

644 /
1963/5

Handwritten signature



ԵՈՒՆՅԱՆ

2

Մ Յ Զ Յ Կ Յ Ն Ն 1 9 6 3



გოგი თოთიბაძე — უნივერსიტეტის ბაღში

ქომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალ პარტიულობას, რეალისტურობასა და ხალხურობას.

თანამედროვე ქართული ხელოვნება მტკიცედ დგას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. ის ეყრდნობა საბჭოთა კლასიკური ხელოვნების გამოცდილებას და ემსახურება მის წინსვლას. ამავე დროს დღევანდელი ქართული ხელოვნება უაღრესად თვითმყოფი, ორიგინალური და ეროვნულია. მან შემოინახა და ააღორძინა ეროვნული ტრადიციები, რაციონალურად გამოიყენა მხატვრული აზროვნების ისტორიული ფორმები, ხასიათი და

(დასასრული გარეკანის მე-3 გვერდზე)



ცისკარი

ლიბერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი


საქართველოს ალკა ც.კ.-სა და
მწერალთა კავშირის
ორგანო

2

9451

თებერვალი

1 9 6 3





ზინაარსი

ივანე თარბა

რაჟდენ უიბა. პოემა

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე. რომანი. გაგრძელება

გურამ დოჩანაშვილი

მთის გადაღმა. მოთხრობა

გიორგი ქავთარაძე

ჯარისკაცის ჩანაწერები.

იან ოტჩენაშვილი

რომეო, ჯულიეტა და წყვილი. მოთხრობა. დასასრული. ჩეხურიდან თარგმნა თ. ჯავახიშვილმა

ხელოვნება

ლალი ყურულაშვილი

ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ.

ქრიჭია და კუბლიხისკია

3 ნოდარ ჩხეიძე
პირველი წიგნი 124

22 ელშარდ ელიგულაშვილი
რამდენიმე შენიშვნა ერთ რომანზე 131

42 შალვა მაჰაჰარიანი
„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული
ლიბრეტო 138

ლაუნიყარი ღღეუბი

ნიკოლოზ თავართქილაძე
დიადი ბრძოლა ვოლგაზე 144

შვილწელის აღაშიანები

69 ალექსანდრე გეგეჰკორი
ბურღები ეჭიდება კლდეს 149

მეხნიეჩება და გეჟნიკა

იაროსლავ კუტიკი
116 სინდისი. თარგმნა ვერა ბუაჩიძემ 155

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯგიკიძე (პ./მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭავაძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ქურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ

ივანე თარგა

საქართველო

აფხაზურიდან თარგმნა შოთა აკობიამ

1

ჯერ ციაგი არ ჩანს ფერთა,
მყუდროდ სძინავს მთასაც, ბარსაც,
ჯერ მოტორი არსად ფეთქავს,
არც კერია ბოლავს არსად.

მთები ნისლში გახვეულა,
იცრიცება დილა-ბინდი;
ვაჟი უკვე ჭიშკარს გასცდა,
აი, სოფლის გზაზე მიდის.

მიდის იგი მარტოდმართო,
უკან რჩება ყრმობის წლები...
დილამ ასგან წამოანთო
მწიფე მარწყვის ნაკვერჩხლები.

მიაბიჯებს ტანად ალვა,
შვენის ჩანთა მდელოსფერი;
თვრამეტი წლის ქაბუკია
სიცოცხლეზე გული მღერის.



— დარჩი, საით მიიჩქარი —
 თითქოს მთები მოსძახიან,
 წინ უცნობი გზები არის,
 უკან მამის ოჯახია!

წამით შედგა ფრილოსთან-
 ქვემოთ, როგორც ხელისგული.
 ლურჯზე ლურჯი ზღვა გამოჩნდა
 ალაგ-ალაგ შენისლული.

ყველაფერი ცისფრად ელავს
 და რიყრაყის ფერებს ერთვის...
 სდუმს ჭაბუკი,
 დღეს პირველად
 ნახა თითქოს აფხაზეთი.

2

მიეძალა მთა-ბარს სიცხე.
 ირგვლივ უკვე აღმურია;
 მზე ამალღდა... აი, თითქოს
 სხივში ცეცხლი გაურია

გრძნობს ჭაბუკი თავის ტკივილს.
 ებინდება თითქოს თვალი.
 წყარო ნახა ბედად გზაზე,
 წამლად ეყო ჭიქა წყალი.

ერთხანს ჩრდილში დაისვენა...
 როს მილულა თვალი ოდნავ,
 მოესმა თუ მოეჩვენა, —
 თითქოს ვიღაც ეძახოდა.

დააჯერა მგზავრი ალლომ —
 ვიღაც იყო ახლომახლო,
 გაიხედა: თხების ფარას
 კორდი თეთრად დაეფარა!

„ჰაუ, რაჟდენ!“ — ისევ ესმის,
 მოიჩრდილა შუბლზე ხელი
 და რაჟდენმა წამსვე იცნო
 მწყემსი, კარის მეზობელი...



ჩანთას უმზერს ბერიკაცი,
წამოსული მისკენ ხენეშით
და ღრმილით ეკითხება:
— სად მიდიხარ ამ სიცხეში?

— მე მეშახტე გავხდე მინდა!
— მაშ ტყვარჩელი გიხმობს, არა?
ჩვენი სოფლის მკვიდრებიდან,
შახტი ბევრმა შეიყვარა.

ასე იცის თურმე შახტმა;
შახტში ქაჩაც კაცი გახდა!
თუმც ეს კია, სოფლად ქაჩას
ძალზე ცუდი კვალი დარჩა!

მაშ შვილოსა, გზას გილოცავ,
ღმერთმა მუდამ ჯანი ზოგცა!
და ზრდილობაც ჯანთან ერთად
ნუ მოგაკლოს, შვილო, ღმერთმა.

საქმეს უყვარს — მოკლე სიტყვა!
საქმე — თავხედს ველარ იტანს!
საქმე — კაცს ჰგავს პატიოსანს,
სულ რომ თესავს კეთილ მარცვალს;
იცის თავზე ხელის მოსმაც,
მაგრამ იცის კინწის კვრაცა.

ტყვარჩელშია ჩემი ლიდაც —
მომიკითხე შვილიშვილი!..
გადაკოცნა.
წუთით მინდვრად
გაირინდა მათი ჩრდილი...

3

საცხოვრებელი ქალთა, —
მათი საერთო ბინა,
სხვანაირია მართლაც,
აქ ყველაფერი ბრწყინავს.

აი, საწოლი სუფთა,
წინის კარადაც — გვერდით.
თაიგულების სუნთქვა
ამ მყუდროებას ერთვის.

სარკმელიც სუნთქავს მშვიდად,
 კრიაღებს, როგორც ბროლი.
 აქ სულ პირველად ლიდას,
 უნდობლად შეხვდნენ ტოლნი.

დრო გადიოდა სწრაფად,
 დღეები დღეებს ცვლიდა,
 ბოლოს გაიცნეს ახლო
 და დად მიიღეს ლიდა.

მუდამ არიან ერთად,
 და გზაც აერთებს მიზნებს!..
 ამიტომ ლიდას დედაც
 სულაც არ ნაღვლობს შვილზე.

მაგრამ პირველად, როცა
 შახტი ახსენა ლიდამ,
 დედა დუმილის დროსაც
 მდულარე ცრემლებს ღვრიდა.

ქმარი დაჰკარგა ომში,
 შვილსაც „ჰკარგავდა“ ახლა! —
 დედას კერიის ბოლიც
 თითქოს მიაჩნდა თაღხად...

ახლა, არ დარდობს სულაც,
 ნაღველი გაეფანტა...
 ადამიანის სურათს
 თვითონ ცხოვრება ხატავს.

ლიდა სულ სხვაა ახლა, —
 ტყვარჩელი ექცა სკოლად,
 მოაქვს ფიქრი და დალლა
 მძიმე ქანებთან ბრძოლას.

მაგრამ ცვლის შემდეგ, როცა
 „მოინათლება“ შხაპით...
 მნახველთა გასაოცრად
 დაემსგავსება აპრილს.

ადამიანის სურათს
 თვითონ ცხოვრება ხატავს...
 მეშახტის ქუდი ჰხურავს,
 წინათ რომ ჰქონდა ნატვრად.

რვალის სიმღერა ესმის, —
 თაობავ, იქვეც რვაღადა!..
 შახტით გაუდგამს ფესვი
 მიწის სიღრმეში ქალაქს...

ის, ამ ქალაქის მკვიდრი.
 სოფელს არაფრით არ ჰგავს,
 ოღონდ, კრძალვა და რიდი
 სოფლური შერჩა აქაც.

და ამ ქალაქში ახლა
 აწუხებს მხოლოდ ერთი:
 სადაც გაივლის, ქაჩაც
 აედევნება გვერდით.

ჩრდილივით დასდევს ასულს:
 — როდის მალირსებ პასუხს?
 — პასუხი ვთქვი და კმარა!
 სხვაგან მონახე ფონი.
 — მარტო მეშახტე არა,
 მონაზონიც ხარ, მგონი.

მაგრამ ასული რამდენ
 ღამეს ათევდა ფიქრით!
 ძილშიც ხედავდა რაქდენს,
 მუდამ ახსოვდა იგი.

*

რაქდენს ბინდისას უკვე
 გზა გამოვლილი ჰქონდა
 და ლამპიონთა შუქზე
 ნაბიჯს მოუკლო ოდნავ.

— რაქდენ! — მოესმა უცებ,
 შემოტრიალდა მყისვე;
 გული ძალუმაღ უცემს,
 ვაჟი ლიდას ხმას ისმენს!

...იცნო, ვერც იცნო თანაც,
 ეს ლიდა არის განა?
 გამურულა და როგორ!
 ჩეჭმაც აცვია გოგოს!

არ ჩამოართვა ხელი: —
 გაისვრებო შენაც!...
 ჭაბუკს, ზედმეტი ღელვით,
 თითქოს დაება ენა.

„ვხედავ, მეშახტის ჯაფა
 ძნელი ყოფილა დიდად.
 სოფლელ ჭაბუკებს, აბა,
 რამდენს უყვარდა ლიდა!

აკი, ამბობდნენ — ქალის
 საქმე არაა შახტი! —
 მგონი, ასედაც არის,
 თავადაც მოწმე გავხდო“.

4

სულ ოცი წუთი გავიდა,
 რაც შახტის კარებს გასცდა, —
 თითქოს დაეთქვათ თავიდან
 მუშებს შეხვედრა მასთან;
 ღიმილით ჰკითხა ერთმა:
 დიდი ხნით მოხველ ჩვენთან?! —

მეორემ რაყდენს მიმართა,
 უფრო საქმიან ტონით:
 — ჭაბუკო, გეტყვი სიმართლეს.
 ასე აჯობებს, მგონი.

ქანი შემოგვხვდა მყარი და
 გეგმას ჩამოვრჩით დიდად,
 დრო აღარ დარჩა ყოყმანის,
 ჩვენ მუშახელი გვინდა!

მოგყევი, თუ გაქვს წადილი,
 თუ გული მართლა გერჩის.

და ვით მეშახტე ნამდვილი
ამოგვიდექი გვერდში...

რაჟდენს ბეერი რამ ასწავლა
ამ ორიოდ წუთმა:
„არა, აქედან არ წავალ!“ —
გადაწყვეტილად უთხრა.

მეშახტემ კილო იცვალა,
აღერსიანად ჰკითხა:
— რა გვარისა ხარ, ყმაწვილო?
შენი სახელიც მითხარ!

— ჟიბა ვარ, მქვია რაჟდენი. —
მომოიხედა ირგვლივ...
დანარჩენს თავის მარჯვენით
უთუოდ იტყვის იგი.

5

დღეები დღეებს მიჰყვა, —
დრო ამბობს თავის სათქმელს...
რამდენ ოფლსა და გარჯას
მოითხოვს თურმე საქმე.

დაბრუნებული ცვლიდან,
ის ჩაუჯდება წიგნებს,
რვეულს დაიდებს წინ და...
გზას ცოდნისაკენ იგნებს.

ბრიგადირს, კუზმიჩს, იგი
უყვარს. მ. რჯვენის უქებს...
„შახტის ცხოვრების წიგნის
ანბანი იცი უკვე!“

მაგრამ, ხანდახან ტკივილს
იგრძნობს ყმაწვილი მართლაც:
აკლია, როგორც სხივი,
ღიმილი ღიდას თვალთა.

* რაჟდენ შიმა *
 * თარბა *
 * ივანე *

რაქედენს პირიქით სურდა,
 მაგრამ მოეწყო ასე:
 თავად მუშაობს დღისით,
 ლიდაა ღამის ცვლაზე.

სოფელში, ერთწამს სადმე, —
 ბაღში, გზაზე თუ მინდვრად, —
 ნახავ გვიან თუ ადრე,
 მას, ვისი ნახვაც გინდა.

აქ გუგუნია ირგვლივ,
 აქ სხვაგვარია თმენაც;
 ხმას ვერ მოგაწვდენს იგი,
 ხმას ვერ მიაწვდენ შენაც.

და ახსენდება რაქედენს.
 ვენახი, ყანა, შუკა,
 ლიდას ღიმილი, გზაზე
 რომ შეეგება შუქად...

6

სასადილო მუშებისა...
 მაგიდების მოჩანს წყება
 და მომტანმა თუ „შეგრისხა“,
 დრო საკმაოდ გაგიცდება.

მუდამ ხედავს ამგვარ სურათს
 და რაქდენი იცდის მშვიდად.
 ერთი კვირა მიიწურა,
 რაც ტყვარჩელში ჩამოვიდა.

და აწუხებს,
 რატომ არსად
 არ ჩანს ლიდა... რატომ არ ჩანს?
 ზის რაქდენი მაგიდასთან,
 მაგრამ უცებ სახტად დარჩა.

დაინახა, მეგობრებში
 ლიდა იჯდა მაგიდასთან,
 ვერც კი იგრძნო, როგორ ადგა,
 ქალის გვერდით როგორ გაჩნდა.

ლიდა ჭაბუკს ვერ ამჩნევდა,
 საუბრობდა თანატოლთან:
 — მოგიკითხა პაპაშენმა! —
 ძლივს თქვა ვაჟმა ანათროლომა.

შერცხვა. იგრძნო, როგორ შეცდა
 და პასუხმაც დასცა ელდა:
 — ეს მოკითხვა, მეგობარო,
 კვირის შემდეგ გაგახსენდა?

7

ყმაწვილკაცმა გზის არჩევა
 გულს ჰკითხა და ამ გზით მიდის.
 ქვეყნად კვალი ვის დარჩება
 გამრჯე კაცზე უფრო დიდი.

კაბელების ძარღვებია
 მიწის გულში დაფანტული,
 ქვანახშირის ტალღებიდან
 დგება შავი ნაკადული.

დგება შავი ნიაღვარი
 მისი ხელით გაჩენილი,
 მართლა ზღაპრის მინაგვარი, —
 დღემდე უქმად დარჩენილი.

დღე დასრულდა... დაღლილობა
 სიხარულმა დააფიწყა...
 თვალს უმზადებს ათას ნობათს
 მოზეიმე ცა და მიწა.

საცხოვრებლის კარს რომ აღებს,
 იჭრიალებს წუთით კარი
 და ანჯამა დაიძახებს:
 „დღეს რამდენი მოასწარი?“

8

ეს მთა იერიშს
 გუშინ
 არ მოელოდა სულაც...

მალარო მთების გულში
მოჰგავს ვეება ლულას.

მისი კედლები შავი
ღამეს გაგონებს უკუნს,
თითქოსდა ისმენ ზეავის
დამაყრუებელ გუგუნს.

აი, დაიძრა განძი,
მიწის სიღრმეში მყოფი.
წყალი მოჰონავს ქანზე
ისე, ვით მკერდზე ოფლი...

ოფლს ცხვირსახოცით იშრობს...
ნიადაგს ოფლი აწვიმს...
— ბიჭო, თქვი, ხომ არ შიშობ? —
უცებ მოესმა ყმაწვილს.

ივან კუზმიჩის სიტყვებს
სულ სხვა მარილი ჰქონდა;
საყვედურს ჰგავდა კიდეც,
აღერსსაც ჰგავდა ოღნავ.

ივი, — მეშახტე ძველი,
იყო კეთილიც, მკაცრიც;
უცებ შემართა ხელი,
— შეხე! — შესძახა ყმაწვილს.

კუზმიჩის ხელში ბურღი
უცებ ამჩატდა თითქოს,
ნახშირის მტვერში მდგარი
ჰგავდა ჩამოსხმულ ლითონს.

და აზანზარდა მის წინ
ღავის კედლები ცივი
და შეიბოლა ნისლით
ელნათურების სხივი...

კვირა იყო.
რაჟდენს იმ დღეს
მეგობრები ჩააცივდნენ:

— წამო რაქდენ, გვაწყენს ვითომ?
რომ გადავკრათ თითო-თითო!

— იქნებ ჯობდეს, ვნახოთ კინო,
ან ვიცეკვოთ, მოვილხინოთ,
— არ მცალია საცეკვაოდ,
არც სმა მინდა, ჩემო ძმაო!..

და ბინაში დარჩა იგი,
დააპირა კითხვა წიგნის.
დაიღალა წიგნში ცქერით,
არ გამოდის არაფერი:

ხტუნვა იწყებს ნება-ნება
ასოებმა, სტრიქონებმა
და შეასედ ისევ ლიდამ
გაულიმა სტრიქონიდან...

და რაქდენი ნათლად ხვდება,
სახლში ყოფნა უძნელდება;
მარტოობა გაუჭირდა,
გულს რომ აწვა მძიმე ტვირთად.

და ქურდულად აღებს კარებს,
დღეა გარეთ, მზეა გარეთ...
აგერ, პარკში გრგვინავს ჯაზი,
ერთად ცეკვავს წყვილი ასი.

უცებ მზერა მოხვდა ლიდას, —
იღვა ღიმიტ გაბადრული;
ჩანდა მისი ღიმილიდან,
რომ ხარობდა ქალის გული.

მოედრებულა რაქდენს სახე,
ლიდას უმზერს, თანაც დარდობს.
„კმაყოფილი იღიმება,
არ იქნება აღბათ მარტო“.

უცებ რაქდენს ბეჭზე დაჰკრეს
მჯილი, ბიჭი სახტად დარჩა.
— გამარჯობა, რაქდენ, შენი, —
ეუბნება ჟიბას ქაჩა.

კარგად იცნობს: იცის, ქაჩა
 სარეველად გადაიქცა,
 ყრმობიდანვე ფულის ხარჯვას
 მიაჩვია მამამისმა.

გამოვიდა ერთი ლოთი,
 ბნელ საქმეთა თანამგზავრი,
 სოფლად დღესაც დადის მასზე
 მითქმა-მოთქმა ათასგვარი.

დღეს ტყვარჩელში დაყიალებს,
 თავს აწონებს ლამაზ ქალებს.
 დაეთრევა ღამით, დღისით,
 ფულს უგზავნის მამამისი.

— ნუ ამიგდებ ბანზე სიტყვას,
 რაჟღენ! მივხვდი თავისთავად;
 ორში ერთი: — ვინმე გიყვარს,
 ან უთუოდ — შენ ხარ ავად.

„მიყვარს ღვინით თრობის წამი“, —
 ასე ამბობს ხაიამი.

ღვინოს რა ჯობს, მე რომ მკითხო,
 არ გვაწყენდა თითო-თითო.

— ხელფასამდე მოვითმინოთ,
 დღეს არ მინდა, ქაჩა, ღვინო.

— რის ხელფასი, რაჟღენ ჟაბაგ!..
 აგერ, მე და ჩემი ჯიბე.

*

მასპინძლობდა ქაჩა უხვად,
 წინ ბოთლების დადგა მწკრივი.
 რესტორანი გაეხადა
 საკუთარი ოჯახივით.

...მეინახე—მთვრალი ოდნავ
 ჭიქებს ცლიდა წარამარა
 და მეთედ კითხულობდა:
 — მაშ, შეშახტე გახდი, არა?

— დიახ! — ჟიბა თავის ქნევით
 მიუგდებდა ამ ერთ სიტყვას.
 — ვგონებ, კარგად არ იქცევი,
 როცა შახტი ასე გიყვარს!

შახტში შრომა, შენებრ, ერთხანს
 მეც მიმაჩნდა იოლ საქმედ,
 გირჩევ, ძმაო, გონზე მოდი,
 ეგ ხელობა დროზე დაგმე.

ჯერ ჯურღმულში როგორ გაძლებ?
 რქ გაძლებას არც აქვს აზრი;
 ჩვენ ეს საქმე ხელს არ გვაძლევს, —
 სად შახტი და სად აფხაზი!

მოერია რაქდენს ბრაზი:
 „თავხედია, თანაც ყბედი!
 რომ არ იყოს აქ დარბაზი,
 თვალის სეირს ვანახებდი“.

ჩხუბს არ იყო დაჩვეული
 და პალსტუხში ხელი სტაცა.
 — ბიჭო, რაქდენ, გაგებუმრე... —
 აცახცახდა შიშით ქაჩა.

დაამყარეს ზავი მალე...
 კვლავ ჭიქები გამოსცალეს.
 რაქდენს ლიდა გაახსენდა —
 მაგრამ თვალწინ ქაჩას ხედავს.

— იმ ლიდაში რალა ნახე? —
 ეკითხება მეინახე, —
 ეს შეკითხვა, როგორც ხედავ.
 ბოლოსათვის შევიინახე.

ჟიბას გულში ეცინება,
 ეუბნება ქაჩას ასე:
 — არ იყო და არც იქნება
 ლიდას მსგავსი ქვეყანაზე!

ივანე თარბა * რაქდენ ჟიბა *

გრძნობს რაჟღენი რალაც ქაოსს,
 გრძნობს რაჟღენი თავის ტკივილს.
 ეჩვენება, რომ ქანაობს
 დედამიწა ხომალდივით.

გზაც ბარბაცებს... ქაჩა შედგა,
 მოიკრიფა თითქოს ღონე;
 როგორც ხეხილს, ჩამობერტყვა
 დაუპირა ლამპიონებს.

შემდეგ განზე გაბარბაცდა
 და მოზრდილ ქვას ხელი სტაცა...

ეიბას ესმის, ვილაც წივის,
 გილაც კივის გახელებით...
 და ფანჯრიდან ქვაფენილზე
 ცვივა მინის ნამსხვრევები.

ქაჩა სადღაც ბნელში გაპქრა
 აღარ ახსოვს დანარჩენი...
 ვილაც რაჟღენს ჩამოსძახის:
 — შენს კაცობას ეს შეშვენის?

10

სიო არხევედა ფარდებს,
 გამოაღვიძა სიომ...
 „წუხელ რაც მოხდა ღამით,
 იქნება მამატიონ!“

მაინც რა მოხდა წუხელ?
 თავზე რად ადგა ყველა?
 რაჟღენს კრებაზე უხმეს,
 მიდის, ფიქრობს და ღელავს.

მას გამოჩენა კლუბის
 დააწვა მძიმე დარდად,
 დუმილით აპყვა კიბეს,
 შეჩერდა ნაცნობ კართან.

დარბაზი ხალხით სავსე...
 მასაც დაუდგეს სკამი.

შიში არ ჰქონდა ჩვევად,
ახლა დაფეთდა წამით.

ახლა შეცბუნდა, რადგან
ყველა მოზრუნდა მისკენ.
აი, მდივანი ადგა:
— რაჟღენ, მგონია, გვისმენ!

გაგვაგებინე, ერთი,
ვისთან დათვერი ასე?
— ქაჩა ჰყოლია გვერდით!
ჭირი შეპყრია გზაზე.

თავი დახარა ჟიბამ,
მიწის გახეთქას ნატრობს:
— ეს პირველია ჩემთვის,
ეს არ მოხდება სხვა დროს.

რატომ დადუმდნენ ავრე,
იქნებ არ სჯერათ მისი?..
უცებ კუზმიჩი ადგა,
თვალი შეაგლო რისხვით.

— პირველიაო, ამბობ?
ვერ დაგიჯერებთ ნათქვამს;
ლოთი ადვილად ბაძავს
მამა აბრამის ბატკანს!

ლოთს ემარჯვება ფიცი,
ცრემლსაც ადვილად დაღვრის,
შენი სიტყვები, ვატყობ,
გახვერტილ გროშად არ ღირს!

თვრები, ხულიგნობ, ღამით
იწყებ ქუჩაში ბარბაცს...
— უნდა გავრიცხოთ ჟიბა, —
უცებ მოედო დარბაზს.

წუხს თავდახრილი ვაჟი:
„ქაჩამ დამიგო მახე,
არ დამიტოვებს კრება
კომკავშირელის სახელს“.

ივანე თარბა * რაჟღენ შიბა *

9457.



ახალგაზრდობა მთელი,
 დაბრუნებული ცვლიდან,
 გულდასმით უსმენს კრებას,
 მათ შორის არის ლიდაც.

წყდება რაჟდენის ბედი,
 გარინდულია ყველა;
 როგორ ეტყობა ლიდას, —
 მეგობრის ბედზე ღელავს.

ბოლოს კენჭის ყრაც მოხდა,
 რა დაავიწყებს ყმაწვილს.
 ხელებს — შემართულს მალლა,
 ხელებს — საშველად გაწვდილს!

ის წყალს მიჰქონდა თითქოს,
 ურიცხვმა ხელმა იხსნა
 და მეგობრობის ძალამ
 შეამსუბუქა რისხვა.

დარბაზში ორნი დარჩნენ,
 უსმენდნენ გულის ძახილს
 და უღიმოდა რაჟდენს
 ლიდა, ნათელი სახით...

11

რესტორანში შედის ჟიბა,
 რა სურათი მოჩანს მის წინ:
 თითქოს კარი იყო მიჯნა
 სიფხიზლის და ავი სიზმრის!

მიმოავლო თვალი დარბაზს:
 „აქ იქნება ქაჩა, ალბათ!“
 სწორედ ამ დროს მაგიდიდან
 ქაჩამ რაჟდენს თვალი ჰკიდა.

ამრეზილად შეუძახა:
 — ვის დაექებ, მეზობელო?
 მომტანს უთხრა: — აი, ახლა
 თავზე უნდა შემოგვევლო!



შემდეგ ფეხზე წამოიჭრა:

— მასპინძლობა იცის ბიჭმა!
აღბათ, ჩვენი პურის გემო
გაგახსენდა, რაყდენ ჩემო!

— საქეიფოდ არ მოგსულვარ,
ისე მსურდა შენი ნახვა.

— საიდუმლო თუ გაქვს სტუმარს,
მასპინძლურად შეგინახავ!

— საიდუმლო შენთან რა მაქვს,
გეკითხები მხოლოდ ამას:
გახსოვს, რა ჰქენ კვირა ღამეს,
რომ მიუხტი ლიდას მძინარს,
რომ დასტაცე ხელი ქვას და
ჩაამტვრიე ფანჯრის მინა?

— კი, ჩავლექე, რაა მერე?
— მე დამბრალდა ყველაფერი.
— ამიტომაც შეგეშინდა?
ჩემი თავი მოწმედ გინდა?

— რისი შიში! შენთან განა
შიშის გრძნობამ მომიყვანა?
სჯობს, სიტყვებით მაცდურ ჯირითს,
თქვა სიმართლე შენი პირით!

— რა გაბრაზებს, ჩემო ძმაო,
მითხარ, რა გვაქვს საკინკლაო?
მეც შენსავით ვიყავ მთვრალი,
ყველაფერი მახსოვს მკრთალად.

რომც მახსოვდეს, რაა მერე?
ეს ამბავი საქმეს არ ცვლის:
ქურდს, რომელსაც ვერ იჭერენ,
ქურდად ვეღარ ჩათვლის კაცი!

რაყდენს ბრაზი მოერია, —
არ შეარჩენს ქაჩას ამას,
უთხრა: — ფუი, შენს კაცობას,
ფუი, შენთან პურის ჭამას...

გათენდა დილა და მალეძარამ
 დარეკა. ტოლებს მალარო ელის...
 ჟიბას ჩაესმა: — სიზმრები კმარა! —
 შეხებაც იგრძნო მეგობრის ხელის.

სხვა იყო ახლა მეგობრის სიტბო,
 მეგობრის ხელიც სხვა იყო ახლა
 და ყველაფერი, რაც მოხდა ადრე,
 მას მოეჩვენა, სიზმარში ნახა.

როგორ უყვარდათ ტოლ-ამხანაგებს,
 პირველად იგრძნო ჟიბამ ამ დილით,
 გაიგო დიდი სიკეთის ძალა
 და მეგობრობის ფასი ნამდვილი...

ნამი ეფინა გაღებულ ფანჯრებს,
 წითლად ეღაფდა ზეცა კეთილი
 და თქვა რაჟღენმა: — „მე გავიმარჯვებ,
 გამომადგება ეს გაკვეთილი.“

მესამე შახტში ბრიგადამ ახლა
 თითქოს მესამე სიჩქარე ჩართო...
 და იყო ჟიბა
 ზღვის ერთი ტალღა,
 ტალღა, რომელიც არ იყო მარტო.

შავი ლავიდან მომსკდარი ოქრო
 მკლავებში ძალას მატებდა ყმაწვილს.
 თავის ცხოვრებას უმზერდა, როგორც
 მილიონების ცხოვრების ნაწილს.


თავზე ნათურა ენთო გვირგვინად
 და შახტის კედლებს ტოვებდა ღამე,
 ეს იყო მართლა, ეს იყო მართლა,
 მისი მეშახტედ მონათვლის წამი!

დროა, დაეუსევამ პოემას წერტილს,
დავფანტავ რითმებს,
მოფრენილს გუნდად.
თუმცა დახატვა გმირის პორტრეტის
აი, აქედან დამეწყოს უნდა.

მოკლე მანძილზე ბევრი რამ ნახა
და მცირე რამე ენახა თუნდაც:
ადამიანი — გზაზეა ახლა!..
გზა ტკივილებით იწყება მუდამ.



ივანე თარბა * რაქუნ შიბა *



რომანო

მ დღეს საქართველოს სამხრეთისკენ ქართველებზე ჯალალედინის გამარჯვების ამბავთან ერთად მეორე ამბავიც წავიდა, ამბავი ხვარაზმელთაგან თბილისელი მაჰმადიანების დარბევისა და აკლებისა. ამ მეორე ამბავს პირველზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა ჯალალედინის მომავლისათვის. თუ აქამდე საქართველოს მეზობელი სამუსულმანო სამეფოები მხოლოდ ფარული ეჭვით უცქერდნენ სულტნის მოქმედებას, ამიერიდან მისი ნამდვილი განზრახვა გამომქლავებული იყო: სულტანმა თბილისელი მუსულმანების გაძარცვითა და დარბევით მაჰმადიანთა ქომავის ნიღაბი აიხადა და თავისი მგლური სახე გამოაჩინა.

საქართველოს მეზობელი სამუსულმანო ქვეყნების მეთაურები მიხვდნენ, რა მტაცებელიც მოევლინა ისლამის ქომავის ნიღბით სამაჰმადიანოს. დღეს თუ არა, ხვალ ეს მგელი მათს ფარეხშიაც შემოვარდნობდა და მართლმორწ-

მუნე მაჰმადიანებს აქაც ისევე იიკლებდა, როგორც თბილისში.

ხლათის მელიქმა და იკონიის სულტანმა ხმალს ბეჯითად დაუწყეს ლესვა, რათა თავიანთი ხალხები მუსულმანთა ამ „ქომავობისაგან“ ეხსნათ.

ციებ-ცხელებისაგან მისუსტებულ, მაგრამ უკვე ვეხზე წამომდგარ ნესევის თბილისის აღებისა და ჯალალედინის უდიდესი გამარჯვების სიხარული იქაურ მაჰმადიანთა დარბევის ამბავმა მოუშხამა. ამ ცნობისათვის სულტნის ბევრ მეგობარსა და ახლობელს ყურადღებაც არ მიუქცევია. მხოლოდ მოჰამედ ნესევი მიხვდა, თუ რა საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა მის სათაყვანებელ მპრძანებელს.

მიხვდა და თავში ხელი შემოირტყა. ჯალალედინის სისასტიკეს მანამდისაც არა ერთხელ შეუწუხებია ბუნებით მშვიდი და კაცთმოყვარე მოჰამედი, მაგრამ სისასტიკეც არის და სისასტიკეც! უღმობლობისა და სიმკაცრის გამოჩენას მხოლოდ მტრის მიმართ აქვს გა-

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 11, 12 — 1962 წ. და № 1, 1963 წ.

მართლება და ისიც ყოველთვის კი არა. ზოგჯერ მტრის შებრალებასა და შეწყნარებას მის მოსპობაზე მეტი სარგებელი მოაქვს ხოლმე და ეს არა ერთი გონიერი მეფისა და სარდლის მაგალითით იცოდა ნესევიმ. ბევრ ძლევამოსილ სარდალს დანდობითა და პატივებით მტრის გული სამუდამოდ მოუგია და დამარცხებული მოსისხლე ეროგულ მეგობრად გაუხდია.

მით უფრო აუხსნელად და გაუგებრად ეჩვენებოდა სულტნის ახლანდელი საქციელი ნესევის: ჯალალედინმა ურწმუნო ქართველებივით დააბრვეინა და დაახოცვინა თბილისელი მაჰმადიანებიც, რომელთაც თავისი სისხლისა და თავგანწირვის ფასად გაუღეს სულტანს ესოდენ გამაგრებული და ძნელად დასაყრობი ქართველთა სატახტოს კარი.

ნესევის აოცებდა სულტნის სიხარბე. იმის ფასი რა სიმდიდრე და ქონება უნდა ეშოვნა თბილისელი მაჰმადიანების ძარცვით, რასაც დაჰკარგავდა. დანაკარგი — მთელი საისლამოს წოდება — გაცილებით დიდი და აუნაზღაურებელი იქნებოდა. ამიერიდან მაჰმადიანური სამყარო ჯალალედინს არა თუ მუსულმანთა მოსარჩლედ დასახავდა, არამედ მართლმორწმუნეთა მტრად ჩათვლიდა, ხელის გამართვის სანაცვლოდ ზურგს შეაქცევდა და თუ აქამდე იმედის თვლით შესცქეროდა, იმ დღიდან შიშითა და შფოთვით დაუწყებდა ყურებას.

რამდენჯერ შეუღარებია ნესევის თავის წარმოდგენაში ჩინგიზ ყაენისათვის ჯალალედინი. ადრე ფიქრობდა, რომ მონგოლთა მბრძანებელი მთელ თავის ძლიერებას შიშზე ამყარებდა, თავისი განუკითხაობითა და გაუგონარი სისასტიკით თავის ხალხსაც და დაპყრობილებსაც მისდამი კრძალვასა და არაადამიანურ, თითქმის ცხოველურ შიშს უწერავდა.

ეს ასე იყო, მაგრამ თვითონ ჩინგიზ ხანიც კი არ უსწორდებოდა თავის მომბრეებსა და კეთილისმყოფელებს ესოდენი დაუნდობლობით, როგორც ჯალალედინი მოექცა მის ხელშემწყობ

მაჰმადიანებს თბილისში. ჩინგიზმა იცოდა, ვინ უნდა დაეშინებინა და ვინ მოწყალეობითა და ლიბოერებით მოენადირებინა. იგი მტრებს ეპყრობოდა განუკითხავად, დამნაშავე და უდანაშაულო მოწინააღმდეგეებს განურჩევლად ჟლეტდა, ბალებს მშობლების თვალწინ ხოცავდა, ქალაქებს წყალში ძირავდა და ხანძრებით ბუგავდა.

ჩინგიზის ურდოებს ხანძრები მოუძლოდა წინ, მაგრამ ხალხები ხანძრებზე მეტად იმ შიშისაგან ძრწოდნენ, რომელიც მონგოლთა ცხენოსნებზე სწრაფად მოჰქროდა, კადით-კიდემდე ვრცელდებოდა, ჩინგიზის გზაზე ყველაფერს ღონეს ართმევდა და სიმტკიცეს უკარგავდა — ადამიანებსაც და ციხეებსაც, მეფეებსაც და მეომრებსაც. მტრები ან გაქცევით ცდილობდნენ სიკვდილისაგან თავის დახსნას ან მორჩილების გამოცხადებით, მაგრამ ვერც ერთი შევლოდათ და ვერც მეორე. გაქცეულებს ჩინგიზის ქოფაკები ეწეოდნენ და ისევე ეუფავდნენ, როგორც დამორჩილებულებსა და შეწყნარების მთხოვნელებს. ჩინგიზის წინააღმდეგობა განაჩენი თავიდანვე ჰქონდათ გამოტანილი. ეს განაჩენი მტრისთვის მხოლოდ სიკვდილს ითვალისწინებდა, იგი შეუვალი იყო და განუხრელი კანონზომიერებით სრულდებოდა.

მონგოლთა მბრძანებლის სისასტიკის ხმა ხალხებს მანამდე უკარგავდა ხსნისა და გადარჩენის იმედს, ვიდრე ჩინგიზი მათს მიწა-წყალზე გამოჩნდებოდა. რაკი თათართა წინააღმდეგ ვერც ხმალი სჭრიდა და ვერც ვედრება, ხალხებმა ჩინგიზის მიერ მათ თავზე დატეხილი უბედურება ღვთის განაჩენად იწამეს, თავიანთ ცოდვათათვის ზეციერისაგან მოვლენილ სასჯელს შეურიგდნენ და დანებდნენ.

ეს ძალა ჰქონდა ჩინგიზის მიერ დათესილ შიშს — მტრებს იარაღს აყრევინებდა და დაპყრობილ ხალხებს თავს მონობის უღელში აყოფინებდა.

გრიგოლ აბაშიძე
ღიღი ღამე

მაგრამ თავად თათრებს რაღა ამოქმედებდათ ქვეყნის ერთი კილიდან მეორემდე? ნუთუ მარტო თავიანთი მბრძანებლის შიში, სიკვდილით დასჯის შიში ერეკებოდა მონგოლთა ურჩივსა და თავით ფეხამდე შეიარაღებულ ურდოებს?!

ნესევიმ იცოდა, რომ თათრები ციხე-ქალაქების იერიშზე გადასულ თავიანთ ჯარებსაც უკან მშვილდოსნებს უყენებდნენ, შეშინებულებსა და შემდრკალებს ისრებს სეტყვასავით აყრიდნენ და გაქცივის ან უკანდახვევის მსურველებს უწყალოდ სიკვდიდნენ. ციხეებზე მოიერიშეებს უკანდასახვევი გზა მაინც მოჭრილი ჰქონდათ და უნდოდათ თუ არა, იერიში ბოლომდე უნდა მიეყვანათ, წინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ. მტერი გაენადგურებინათ და ამით თავისი თავიც დაღუპვის ორმაგი საფრთხისაგან ეხსნათ. ჩინგიზი არა მარტო ღალატისა და დაუმორჩილებლობისათვის სჯიდა სიკვდილით თავის მოლაშქრეებს, მისი კანონებისაგან ყოველგვარი გადახვევისათვის დამნაშავე სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა და ყველამ სარწმუნოდ იცოდა, რომ განაჩენი ერთადერთი და საბოლოო იყო, არავითარი შემაშუქებელი გარემოება მხედველობაში არ იქნებოდა მიღებული. ჩინგიზისათვის შებრალევა და შეწყყარება არ არსებობდა. ჩინგიზის კანონს იმიტომ ჰქონდა ძალა, რომ იგი ყველასათვის კანონი იყო: უბრალო მოლაშქრისათვისაც და ჩინგიზის მემკვიდრე უფლისწულებისათვისაც.

ჩინგიზი ყაენმა მისი პიროვნების წინაშე შიში ღვთიურ კანონამდე აიყვანა და თავისი ქვეშევრდომების შეუმჩნეველად თანდათან მისდამი სიყვარულად აქცია. რაკი ღვთის ტოლი ჩინგიზი ქვეყნად უფლის მიერ მოვლენილი იყო მონგოლთა ბატონობის დასამყარებლად, მისი კანონიც ღვთის მიერ იყო ხაკარჩახვევი და მისი განაჩენი უფლის განაჩენი იყო.

მონგოლები ყაენის მიერ გადაწყვეტილ სასჯელს უყოყმანოდ ღებულობდნენ და დასჯილთა უახლოესი ნათესავები, მამები და შვილები არათუ შე-

რისიძებნასა და სამაგიეროს გადახდას ფიქრობდნენ, არამედ მზად იყვნენ საკუთარი სიცოცხლეც გაეწირათ და თავიანთი მკერდით დაეცვათ მტრის ხელყოფისაგან ღვთაებრივი მბრძანებლის საუკუნო მეფობა.

ჩინგიზის ლაშქარში ცოტა როდი იყო ისეთი მეომარი, რომელთათვისაც მრისხანე ყაენს მთელი ნათესაობა ამოეცილტა, მაგრამ რომლებიც ჩინგიზის მტრებზე თავგამეტებით იწევდნენ, სასტიკი ბრძოლის ცეცხლში მთვრალევივით უშოშრად ვარდებოდნენ და ყოყინითა და ჩინგიზის სახელის ძახილით ეცემოდნენ სასიკვდილოდ განგმირულები.

აი, რა სიცოდნია შიშს! მაგრამ განა მარტო შიშს! ჩინგიზი შიშთან ერთად სიყვარულსაც ავრცელებდა. თავის ხალხს უდიდეს მიზანს — მთელს მსოფლიოზე ბატონობას უსახავდა, სამეფოებს ზედიზედ იპყრობდა, თავის მოლაშქრეებს ალაფითა და ნადავლით ავსებდა და თან გამუდმებით, წლიდან წლამდე ყველა საშუალებით ჩააგონებდა თავის ღვთაებრივობასა და უძლეველობას.

მონგოლები ხედავდნენ, რომ სახელმწიფოები და ციხე-ქალაქები ზედიზედ ეცემოდნენ ჩინგიზ ყაენის ფერხთქვეშ. მრისხანე მბრძანებელს მტრის ვერც ისარი აკლებდა ვერაფერს, ვერც სიმრავლე; მტრებზე თავიანთი სისხლით მოპოვებულ გამარჯვებებს თათრები ჩინგიზის ღვთაებრივ გონებასა და ნიჭს აწერდნენ და მტკიცედ სწამდათ, რომ სიკვდილი მის წინაშე უძლური იყო. თუმცა თავლით ხედავდნენ, მაინც უხორცოსავით ჰყავდათ წარმოდგენილი მონგოლებს თავიანთი მბრძანებელი. მისი ღვთაებრივობისა და მარადიულობის რწმენა მისდამი შიშთან ერთად ბავშვობიდან ენერგებოდათ გულსა და გონებაში.

ჩინგიზისა ეშინოდათ, მაგრამ უყვარდათ კიდევაც იგი, და თუ ადრე ძნელი სათქმელი იყო, რომელი გრძნობა ჰარბობდა, ახლა ყველასათვის აშკარად ჩანდა, რომ მბრძანებლისათომო შიშსაც ხალხში მისი სიყვარული შეექმნა.

ჯალალედინმა ვერც შიში ჩაუნერგა თავის ქვეშევრდომებსა და დაპურობილ ქვეყნებს, ვერც თავი შეაყვარა. ხვარაზმელი სულტანი ჩინგიზივით მეჯოგე ხალხის ბელადობიდან კი არ ამალღებულა, მას, მართლაც, დიდი და აღმატებული წინაპრები ჰყავდა, რომლებსაც თავიანთი ღვთაებრივი წარმოშობით მოქონდათ თავი, მაგრამ ჯალალედინის ღვთაებრივობაზე მისი ყველაზე ერთგული და ახლობელი მსახურებიც არ ლაპარაკობდნენ შინაგანი დაჯერებით. სულტანმა ქვეშევრდომებს თავისი ღვთაებრივობა ვერ ჩააგონა ვერც ძალის გამოჩენითა და შიშის ჩანერგვით, ვერც გონიერი ქვეითა და ბრძნული მოქმედებით.

ძლიერისა და სულ მუდამ გამარჯვებულისა შეუძლებელიც სჯერათ, უღონოსა და მუდამ დამარცხებულს შესაძლებელსაც აღარ უჯერებენ: ჩინგიზი სულ იმარჯვებდა და ამიტომ სწამდათ მისი უძლეველობა და ღვთაებრივობა, ჯალალედინი სულ მარცხდებოდა და ჩინგიზისაგან ლტოლვილს რაღა უძლეველობასა და ღვთაებრივობას დაუჯერებდნენ.

ჯალალედინს მტკიცე ნებისყოფა ჰქონდა, მაგრამ ბოლომდე ურყევი არ იყო. იგი ფიცხი იყო და გაბრაზებისას უღმობელი, მაგრამ როგორც კი დამშვიდდებოდა, წყენას იფიწყებდა და ადრე გამოტანილი განაჩენის შერბილებას თუ ევლარ ასწრებდა, ზოგჯერ გულწრფელად ნანობდა.

ქვეყნის მპყრობელის სიტყვა კანონი უნდა იყოს და ერთხელ ნათქვამი არ უნდა გადათქვას, მტერს სასჯელი არ უნდა შეუშუსუბუქოს და მოყვარეს წყალობა არ უნდა მოაკლოს.

როგორც ჩანს, ჯალალედინს აკლია ზოგიერთი თვისება ქვეყნის მპყრობელი ძლიერი მბრძანებლებისა და ეს ნაკლი სულტანმა მისი ერთგული მრჩევლების დახმარებით უნდა დასძლიოს და შეივსოს. ნესევისა და სხვა ახლობელი მრჩევლების ვალია, ჩააგონონ სულტანს მის იმედად დარჩენილი საისლამოს პატივისცემა, იქადაგონ და

გავარცელონ ხმა ჯალალედინის ღვთაებრივი წარმოშობისა, მაჰმადისაგან მოაწმუნეთა მხსნელად მოვლენილად გააცნონ ქვეყანას სულტანი და მისი შიში და სიყვარული ჩაუნერგონ ყველას.

ჯალალედინის უქანასკნელი ნაბიჯი — თბილისელ მუსულმანთა დარბევა ლახვარს სცემდა თვითონ სულტნის საქმეს, მაგრამ გატეხილი აღარ გამოთვლდებოდა და სულტნის ერთგულ მსახურებს იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ ეს დამლუბველი ხმა არ გავრცელებულიყო და ამიერიდან მაინც მუსულმანების მიმართ ჯალალედინს მტრობის ნაცვლად გულწრფელი მოყვრობა და ქომაგობა გამოეჩინა.

ისანში გამავრებული ბოცო ჯაყელი საიდუმლოდ კაცს კაცზე გზავნიდა მეფის კარზე, დიდი ლაშქრის მოშველებას სთხოვდა და თავის მხრივაც აღუთქვამდა, რომ თუ მეფის სპა მტერს შემოუტევდა, ისნის მეციხოვნეიც ხელს გამოიღებდნენ და მტერს ზურგში დაჰკრავდნენ. თბილისის დაცვის მეთაური იმასაც ატყობინებდა, რომ ჯალალედინი უძლეველი სარდალი არ იყო, ერთხელ ბრძოლაში იგი დაამარცხეს კიდეც თბილისელებმა და თუ მეფე საკმაო ჯარს მიაშველებდა, ხვარაზმელებს დედაქალაქს დაატოვებინებდნენ.

ჯარის შეკრებისა და მოშველების მაგივრად რუსუდან მეფე ისანში გამავრებულ მეციხოვნეებს ბრძოლის გაგრძელების უიმედობაში არწმუნებდა და ისნის სიმავრის დატოვებას ურჩევდა. ბოლოს, როცა გარედან დახმარების იმედი გადაიწყვიტა და მეფის არა ერთი ბრძანებაც მოუვიდა, ბოცომ სულტანთან მოლაპარაკება გამართა და ქალაქიდან უვნებლად გასვლა ითხოვა. ჯალალედინი დასთანხმდა და ისნის ციხეშიც შესწყვიტა უქანასკნელი წინააღმდეგობა.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ხვარაზმელები მეფის საჭურჭლეს დაებატრონენ და ხელთნადები სიმდიდრის მითვლას შეუდგნენ. სულტნის მდივნები უძღურნი აღმოჩნდნენ აღწერათ და მიეთვალათ ყველა განძი და საუნჯე. მაშინ ჯალალედინმა თავის ემირებს უბრძანა, ცოტა ხნით ხმალი გვერდზე გადაედოთ და ხელთ კალამი აეღოთ.

დღედაღამე ითვლიდნენ და ანგარიშობდნენ, სწერდნენ და აღრიცხავდნენ. უშველებელი გრაგნილების გორები დადგა, მისათვლელი სიმდიდრე და საჭურჭლე კი არ თავდებოდა.

თვად ჯალალედინი ვაკვირებულ იყო საუნჯის სიმდიდრითა და ფასდაუდებლობით. ტყუილად კი არ გასულიყო შორს თბილისის საარაკო სიმდიდრის ხმა.

— მე რომ მარტო სიმდიდრისთვის მოვსულიყავი, მეტი არა მენდომებოდა რა! თბილისის სიმდიდრე ჩემთვის სრულიად საქმარისი იქნებოდა! — განაცხადა ბედნიერმა სულტანმა.

სულტნის მდივნები რომ ღამეებს ტეხდნენ თვლასა და აღრიცხვაში, ჯალალედინი იმას ანგარიშობდა, თუ რამდენი ლაშქრის მოგროვება შეიძლებოდა ამ სიმდიდრით, რამდენ იარაღს შეიძენდა და სად დახვდებოდა თავის მოსისხლე მტერს, მონგოლების წყევულ მბრძანებელს.

თავი მისთვის

ისნის ციხის დამორჩილების შემდეგ საქართველოს დედაქალაქი მთლიანად მტრის ხელთ იყო და ძლევამოსილი ზვარაზმმა გამარჯვებას დღესასწაულობდა.

მას შემდეგ, რაც წყევული ჩინგიზი მუჰამედის უზარმაზარ სამეფოს შეესია, ზვარაზმელთა ხმალს გამარჯვებით გაეღვება აღარ ღირსებია. სისხლიან ყაენთან პირველსავე პირისპირ შეტაკებაში დამარცხებული, მონგოლთა ურდოებისაგან დევნილი ჯალალედინი აგერ ხუთი წელია ნადირივით ილტვის, მტერთან შებრძოლებასა და ვაჟკაცურ შებმას ვერსად ახერხებს და გამწარე-

ბოგორც კი თბილისის აღების ამბავი შეიტყო, სულტნის მდივანმა ხლათის დედოფლის სამყოფელს ალყა მოხსნა, დედოფალს თბილისის დაცემის ამბავი შეუთვალა და თან ისიც აცნობა, საითაც გასურს, წაბრძანდი, გზა ყველგან ხსნილიაო.

შეურაცხყოფილი და გულმოკლული დედოფალი ხლათის გზას დაადგა. სახედაბურულსა და თმებჩამოშლილ თამთას შალვას მოჭრილი თავი მიჰქონდა. სამშობლოს უპირველეს მამულისშვილს და თამთა დედოფლის ერთგულ რაინდს ერთადერთი ნატვრა ახდენოდა: მკვდრისათვის თვალები სათაყვანო თამთას ხელებს დაეხუჭა.

მიდიოდა ხლათის უდაბურ, გრძელ გზაზე უიღბლო დედოფალი. ცრემლგამშრალი თამთა ქვესავით ცივი და უგრძნობელი მშერით გაჰყურებდა გადაბრტყულ, ხრიოკ ტრამალებს. ირგვლივ არაფერი იყო და ვერც ვერაფერს ხედავდა შალვას სისხლშემხმარი ტუჩებისა და აზრგამოცლილი თვალების გარდა.

მიდიოდა დედოფალი და თან მიჰქონდა ჯალალედინის უძვირფასესი ძღვენი — თავისი პირველი სატრფოსი და საოცნებო მიჯნურის, მიუთხრობელი მეომრისა და უკეთილშობილესი მოყმის შალვა ახალციხელის მოჭრილი თავი.

ბული უნაპირო ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებდა.

უკანდახეულ სულტანს მამამისის მორჩილი ხანები და ათაბაგები ძველებურად მდებლად უკრავენ თავს, მაგრამ ერთ დროს ზღაპრული სიმდიდრითა და ლაშქრის მრავალრიცხოვანებით განთქმული ზვარაზმსა მემკვიდრე მოსაჩვენებლად მორჩილი ხანებისაგან ვერც ოქროს შოულობდა საქმარისსა და ვერც ჯარს. თათრების უძლევლობაში დარწმუნებულ ხანებს ჩინგიზის შებრძოლებაზე ფიქრიც კი განგების წინააღმდეგობად ეჩვენებოდათ, რადგან მონგოლთა მბრძანებელს ღვთის მიერ მოვ-

ლენილად თვლიდნენ მათივე ცოდვე-
ბის სამაგიეროს მოზღვისათვის. მასპინ-
ძლები თავიანთ მალაღსა და კეთილშო-
ბილ სტუმარს საზრდოსა და სამსახურ-
ზე უარს ვერ უბედავდნენ, მაგრამ
თათრების მოახლოებით შეძრწუნებუ-
ლები, თვითონაც თავქუდმოგლეჯილე-
ბი გარბოდნენ და სულტნის მეთაურო-
ბით მტერთან გადამწყვეტ შეხმას მი-
უღვამელ ციხეებში ჩაქეტვას ამჯობი-
ნებდნენ. სულტანსაც იმ ციხეებისკენ
იწვევდნენ, თუმცა ეს წვევაც ცალუბა
ყო, რადგან კარგად იცოდნენ, რაც
უფრო შორს იქნებოდა მათგან ჯალა-
ლედინი, მით უფრო ნაკლები რისხვა
დაატყდებოდათ მონგოლთა უღმობელი
მბრძანებლისაგან.

თავად ჯალალედინი ამაოდ ამხედ-
რებდა საომრად მონგოლთა მოახლოე-
ბით ზარდაცემულ, მიუხედავად ციხეების-
კენ გაქცეულ ხანებს. მათი გულის
გამაგრება და შემობრუნება რომ არ
შეძლო, თავისივე უღონობით გახელე-
ბული გულს ასკდებოდა. ჯალალედინ-
მა კარგად იცოდა, რომ მონგოლთა
კირთებისაგან კეთილმოორწმუნე მუ-
სულმანებს მიუვალა ციხეები ვერ დაი-
ცავდნენ და რომ ერთადერთი ხსნა
მტრის წინააღმდეგ გმირული შემართე-
ბა იყო.

ისიც აწუხებდა ჯალალედინს, რომ
იმ ხუთი წლის განმავლობაში, რაც იგი
მონგოლთა მდევარი ლაშქრისაგან მო-
წყვეტას ცდილობდა, ერთხელაც ვერ
ახეენა მტერს თავისი ძალა, ბრძოლის
უნარიანობა და ხმლის ბრწყინვალეობა.

და აი, მთელს აღმოსავლეთსა და და-
სავლეთში ძლიერებით განთქმული სა-
ხელმწიფოს დედაქალაქის—თბილისის
აღება იყო ჯალალედინის პირველი დი-
დი გამარჯვება, რომელსაც არა მარტო
იმედგადაწყვეტილი საისლამოსათვის
უნდა გაეხსენებინა, რომ მას ქომაგი
და დამცველი ჰყავდა, არამედ მონგოლ-
თა ძლევაშისილი ყაენის ბანაკშიაც ში-
შის ზარი უნდა მიეტანა იმის გამო,
რომ მათს დაუძინებელ მტერს ჯერ
კიდევ შესწყვედა ძალა ბრძოლის ველზე
სასწაულის ჩადენისა.

ვიდრე ზვარაზმელი სულტნის მოხე-
ლები დაპყრობილი თბილისის აურა-
ცხელი განძისა და სიმდიდრის მითვლა-
სა და აღწერას უნდებოდნენ, შიკრიკები
და მალემსარბოლები ქვეყნის ყოველ
მხარეს გადასცემდნენ ჯალალედინის
უმაგალითო გამარჯვების ამბავს.

ჯალალედინი წარმოადგენით ხედავ-
და მრისხანე ჩინგიზის ვაოცებასა და
შეშფოთებას, როცა მას სულტნის გა-
მარჯვების ამბავს მიუტანდნენ: მის
მოსისხლე მტერს, რომელიც სიკვდი-
ლისპირას მიყვანილი ეგონა, აღმოსაფ-
ლეთის უძლიერესი სამეფო გაენადგუ-
რებინა. და მერე როგორი სამეფო! —
უძლეველი საქართველო, რომლის შერ-
ყევაც მისმა საუკეთესო ბადათურებ-
მა — ჯებემ და სუბუდიმაც კი ვერ
შესძლეს და უშუდეგო ბრძოლის შემ-
დეგ მშვიდობიანად გაცლა ამჯობინეს!..

მშვენიერ გუნებაზე გაელეობა იმ დი-
ლას სულტანს. მთას იქით ამოწვერი-
ლი, ვეებერთელა სისხლისფერი ბურთი
თანდათან მალდებოდა. ჯალალედინმა
სისხლისფერი მზის ამოსვლა იმ ჩარხის
შემოტრიალების მომასწავებლად ჩათვა-
ლა, რომელიც მისთვის ამდენ ხანს ასე
უკუღმა ბრუნავდა.

თბილისში მზე ამოდოდა — ჯალა-
ლედინის ძლევაშისილებისა და გამარჯ-
ვების მზე.

სულტანი საზეიმოდ გამოეწყო. სა-
მოსელთაგან ყველაზე ძვირფასი ჩაიცვა
და სამკაულთაგან ყველაზე პატიოსანი
თვლებით აღიკაზმა. ახლობლებთან ისა-
უზმა. თბილისის აღებაში განსაკუთრე-
ბით თავგამოჩენილებს ქებას ასხამდა.
საერთოდ სიტყვაძვირი სულტანი იმ
დღეს ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობ-
და, ხუმრობდა და ენაწყლიანობდა. სი-
ცილი ჩვეულებად არ ჰქონდა, მხო-
ლოდ შეკავებული ღიმილით გამოხა-
ჩავდა ხოლმე იმ განცდას, რომელიც
სხვებს ხმამაღლა ახარხარებს. იმ დღეს

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

მარჯვნივ და მარცხნივ უხვად აფრქვევდა ღიმილსა და წყალობას.

სუფრიდან რომ წამოდგა, შერეფ ელ მოლს უთხრა: ნამდვილად რაღაც საწყენი შემხედება, ისე მხიარულად ვარო.

სიონის გუმბათზე ასასვლელი გრძელი კიბე უკვე მოეთავებინათ. სულტნის ბრძანებით თავმორღვეულ გუმბათზე ტახტი დაედგათ. ტახტზე ჯალალედინი უნდა დაბრძანებულიყო და იქიდან უნდა ეცქირა თბილისელთა განკითხვისათვის.

სიონიდან ღვთიშობლის ხატი გამოეტანათ და ხილზე დაეგდოთ. ხიდთან უამრავი ტყვე მოერეკათ: კაცი და ქალი, დიდი და პატარა; სულტნის ბრძანებით, ყველას, ვინც ღვთიშობლის ხატს ღებს დაადგამდა, იქვე ქრისტიანობაზე ხელი უნდა აედო და წინა დაეცვითა, ხოლო ისინი, ვინც რჯულის გამობასა და ხატის შეგინებაზე უარს იტყოდნენ, იქვე წამებით უნდა დაეხოცათ.

ტყვეების მოთქმა და ზრიალი გულისშემღონებლად ისმოდა ცეცხლისაგან გარუჯულ, სახლებდაცარიელებულ, დაღწეულ ქალაქში.

ღარახტული ქურანი მოკვარეს სულტანს. კარვიდან გამოსულმა მდორედ მიმიინარი მტკვარს დაადგა თვალი. ფიქრმა წაიღო და ერთხანს გაშტერებით უყურა სისხლით ნაპირებშეღებულ მდინარეს. ალბათ, მტკვრის ცქერამ რაღაც მოაგონა, უკებ შემოტრიალდა და მეჯინებეთუხუცესს მიმართა:

— ეს არა. ჩემი თეთრონი მომგვარეთ...

მეჯინიბეებმა ქურანი უკანვე გააბრუნეს.

სულტანს ტახტი მიართვეს. ფიქრში წასული ჯალალედინი მძიმედ დაეშვა ტახტზე და თვალი ისევ მტკვარს გაუშტერა.

სულტანი მტკვარს გაპყურებდა, მაგრამ აქათებულ სინდზე ფიქრობდა, ინდუსტანის შორეულ მდინარეზე...

ხუთი წლის წინათ ბედმა სწორედ სინდის ქარაფოვან ნაპირებთან მიაგდო

ჯალალედინი. მანამდე მან ორიოდე შეტაკებაში სძლია მონგოლთა მცირე ძალები და ბოლოს ფერუანის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა მონგოლების ოცდაათათასიანი ლაშქარი ჩინგიზის საყვარელი სარდლის ხუტუხუს მეთაურობით.

მაგრამ ხვარაზმშას ბედი არ სწყალობდა და ამ გამარჯვებას უფრო დიდი განსაცდელი მოჰყვა. ნადავლის გაყოფისას ჯალალედინის ორი მთავარი მოკავშირე ემინ მელიქი და აგრაკი ჯიმიან არაბულ ცხენზე შეეცილნენ ერთმანეთს. მელიქი ისე გაფიცუნდა, რომ თავის მოცილეს სახეში მათრახი გააწნა. ჯალალედინი მათ ჩხუბში ვერ ჩაერია, პატივმოყვარე ემინს შეურაცხყოფილის წინაშე ბოდვის მოხდა ვერ მოთხოვა და გაბრაზებულმა აგრაკმა იმ დამესვე დასტოვა სულტნის ბანაკი.

აგრაკის მაგალითს სხვა ხანებმაც მიბაძეს და სულტანი თურქებისა და ხვარაზმელების ამარა დარჩა. ამ მცირე ძალით ჩინგიზის უზარმაზარი ლაშქრის გამკლავებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებაო და ჯალალედინი იძულებული იყო, ჯერ ღაზნისა და შემდეგ სინდისაკენ დაეხია.

შეიტყო თუ არა ხუტუხუს დამარცხებისა და ჯალალედინის ღაზნისაკენ ლტოლვის ამბავი, ჩინგიზ ხანი მთელი ლაშქრით აიყარა და უკან გამოუდგა სულტანს.

დადევნებული ლაშქარი ერთ წუთსაც არსად ისვენებდა, საჰმლის მოსახარვადაც არსად ჩერდებოდა. ჩინგიზი ჩქარობდა, უნდოდა სულტანს მანამ დასწეოდა, ვიდრე იგი სინდზე გადავიდოდა; სინდი ძნელი გადასასვლელი მდინარე იყო, ბევრგან ზღვასავით ფართო და თვალწუვდენელი; სულტანს რომ მეორე ნაპირზე გადასვლა მოესწრო, სამშვიდობოს იქნებოდა და ვინ იცის კიდევ რამდენ უსიამოვნებას შეამთხვევდა.

ხვარაზმელები ტივებისა და ნავების ძებნასა და გამართვაში იყვნენ, რომ მონგოლები მათ უკან მავალ ნაწილებს

წამოწვივნენ, გრიგალივით ეკვეთნენ და გაჟღანტეს.

ჯალალედინი მენავეებს აჩქარებდა. როგორც იყო ერთი ხომალდი გამართეს, ზედ ქალები და ბავშვები აიყვანეს, მაგრამ ხომალდი დინებამ მოიტაცა და ნაპირთანვე შეამსხვრია კლდეს.

აღღვებულ ზღვას ჰკავდა კლდოვან ფართო კალაპოტში სინდი. ტივებსა და ნაგებს ნაფოტებივით ისროდა და ამტვრევდა.

მონგოლთა მეწინავე ჯარმა სინდის ნაპირებთან შეუტია და მდინარიდან უკუაქცია გადასვლის თადარიგში მყოფი მტერი. თავისდაღწევის ერთადერთი გზა მოჭრილი იყო, ახლა სულტანს განგება ან ხმალი თულა იხსნიდა. ჯალალედინმა გაღმა გასვლაზე ზრუნვას თავი ანება და ჯარის საბრძოლოდ დაწყობას შეუდგა.

მონგოლთა ლაშქარი ნალისებურ ნახევარ წრეებად ერთყმოდა ხვარაზმელებს. გარემომდგარ ლაშქარს ორივე წერი მდინარისთვის მიებჯინა და უხარმაზარ მშვილდს ჰკავდა, რომლის ბოლოებს შორისაც სინდი გაჭიმულიყო ლარად. სამმაგი რკალი შემოართყა ჩინგიზმა ხვარაზმელებს და ჯალალედინი ცეცხლსა და წყალს შუა მომწვედეული აღმოჩნდა.

ბრძოლის წინ ყაენმა სასტიკი ბრძანება გასცა: არამც და არამც სულტანი არ მოეკლათ და რადაც უნდა დაჯდომოდეთ, ცოცხლად შეეპაროთ.

განთიადზე მონგოლთა იერიში დაიწყო. ძლიერმა მტერმა ჯერ მარჯვენა ფრთა გაანადგურა, მერე მარცხენას შეუტია და ისიც მიწასთან გაასწორა. შეიდასი თავზეხელაღებული მებრძოლით გარშემორტყმული ჯალალედინი ლაშქრის შუაგულში იდგა და ერთი მუჭა ჯარით თავგანწირული აწყდებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ყველგან, სადაც კი მისი დროშა გამოჩნდებოდა, მტრის წყობა იშლებოდა, შუაში იპობოდა და არეულად უკან იხევდა.

ჩინგიზის ბრძანება კანონი იყო: სულტანი ცოცხალი უნდა ეგდოთ ხელთ, ამიტომ ვერც ხმლის დაკვრას უბედავდ-

ნენ და ვერც ისრის დამიზნებას. სიკვდილთან თავდავიწყებით მოთამაშე სულტანი უშიშრად დაჰქროდა მტრის ლაშქარში და უწყალოდ ჰკაფავდა მისი თავგანწირვით გაკვირვებულ მონგოლებს, რომელთაც გააფთრებული მტრის წინააღმდეგ ხმლის აღმართვა ვერ შეებედნათ.

სისხლისგან მთვრალი ჯალალედინი შუადღემდე ბრუნავდა მტრის მორევში. შუადღისას მიხვდა, რომ ყოველი ღონე ამოა იყო, მონგოლთა ზღვას ნაპირი არ ჰქონდა, ხმლით გაპობილი ტალღა ისევ მთელდებოდა, ყალყზე დგებოდა და მის ჩასანთქმელად მიიწევდა. ჩინგიზის რკალი ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლად ვიწროვდებოდა.

სულტანმა თანამებრძოლთა შეთხელებულ რიგებს თვალი მოავლო, უცებ რაღაც გადასწყვიტა. ეს თეთრონი იქვე ახლო ჰყავდა მარჯაფად, დასვენებული და შეკაზმული. დაღლილი ცხენიდან თვალისდახამხამებაში გადაინაცვლა დასვენებულზე, ერთხელ კიდევ გააფთრებით შეუტია მტერს და მონგოლებმაც ერთხელ კიდევ დაიხიეს უკან მის წინაშე. მაშინ მოულოდნელად ცხენი შემოაბრუნა ჯალალედინმა, იარაღი გადაჰყარა, ფარი ზურგზე გადაიგდო და თეთრონი ციცაბო ნაპირზე შურდულივით დააქანა.

გონსმოსული ჩინგიზის შვილები მიხედნენ, რომ სულტანი ცოცხალიც და მკვდარიც ხელიდან უსხლტებოდათ. ცხენები აღმართზე ააჭენეს და მალეობზე აიჭრნენ, საიდანაც მბრძანებელი ბრძოლის ველს დაჰყურებდა.

— ნება მოგვეცი, ვესროლოთ, დავქრათ ან მოვკლათ!— შესძახეს შვილებმა, მაგრამ სანახაობით გაოგნებულს. ხედვადქეულ ჩინგიზს მათი არ ესმოდა. ცალი ხელით ანიშნა გაჩუმება და მეორე, პირზე დაიფარა, რათა გაოცებისაგან აღმომხდარი ძახილი დაეხშო.

ჩინგიზის სისხლიანი ლეკვებიც სანა-

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ხაობას დაეტყვევებინა და თვალთ ისინიც სინდს მიჯაჭვოდნენ:

ჯალალედინმა თეთრონი კლდიდან ასკუბა და პირდაპირ აქაფებულ სინდში შეაგდო. დასვენებულმა რაშმა ლონივრად გააპო სინდი და ძლიერი ხომალდით მეორე ნაპირისკენ გააქანა პატრონი. გაღმა ნაპირზე გასულმა სულტანმა თეთრ რაშს შუბლზე აკოცა და აღამიანივით მოეფერა, მერე ტანსაცმელი გაიწურა და მუშტით დაემუქრა გამოღმა დარჩენილ, ბრაზისა და გოცობისაგან გამტერებულ მონგოლთა ყაენს.

შემდეგ, გვიან უამბეს ჯალალედინს, მისი თავგანწირვით მოხიბლულ ჩინგის შვილებისთვის ეთქვა: მამას მხოლოდ ასეთი შვილი უნდა ჰყავდესო.

სინდთან ბრძოლაში აძლია ჯალალედინი, მაგრამ თმში ისეთი დამარცხბაც არის, რომელიც თავისი მნიშვნელობით გამარჯვებას აღემატება ხოლმე. იმ დღეს სულტნის ვაჟაკობამ და თავგანწირვამ გადასწონა ბრძოლის წაგების მნიშვნელობა. ცხენზე ჯდომასა და ბრძოლაში გაზრდილმა, გაჭალარაგებულმა ჩინგოზმა იცოდა მტრის ვაჟაკობის ფასი: ამიტომაც აღტაცებისაგან თავი ვერ შეიკავა და სულტნის გმირობა შვილებს მაგალითად დაუსახა.

ჩინგოზმა იცოდა, რომ სანამ ასეთი ნებისყოფიანი და თავზეხელაღებული მტერი ცოცხალი იყო და ხელთ ხმალი ჰქონდა, მისი გამმწარებელი მშვიდად ვერ დაიძინებდა. ამიტომ სდევდა ფეხდაფეხ ხორაზმისა და ხორასნის თვალუწვდენელ ველებზე ვიფხვივით გაჭრილ სულტანს, მოსვენებას არსად აძლევდა და თვითაც ვერ ისვენებდა.

სინდსგაღმა სასწაულებრივად გასულ სულტანს ვაჟაკური სულისა და ამ თეთრონის მეტი აღარაფერი შერჩა: მრავალრიცხოვანი ჰარემი ულამაზესი ხათუნებითა და მკირეწლოვანი შვილებით, ოქრო-ვერცხლთან და სხვა საუნჯესთან ერთად სინდის ტალღებში ჩააძირვინა, რომ მტერს არ ეგდო ხელთ. ღარიბი და მიუსაფარი სულტანი მოჩინებდასავით გაუღვა გზას და ამ ცხენის

ნის იღბლიანმა ფეხმა სამშვიდობოს ჩიიყვანა.

ლაშქრის გროვებასა და მტრისგან ლტოლვაში გაატარა ბუდემოშლილმა სულტანმა თითქმის ხუთი წელი. ცხენზე სკამდა და ცხენზე ეძინა სიმშვიდე-დაკარგულსა და განსვენებამონატრებულს, მაგრამ ეს თეთრი რაში, რომელმაც სინდთან სიკვდილისაგან იხსნა, ერთხელაც თან შეუკაზმვინებია. იგი ყველგან აღა დაჰყავდა და სავანგებოდ მიჩენილ მეჯინიბებს აპატივებინებდა. თეთრ რაშს იმ დღისათვის ინახავდა, რომელზეც ოცნება ძილს უტევდა და ცხოვრების ერთადერთ აზრად გადაჰქცეოდა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეტრიალებულიყო უკუღმამბრუნავი ჩარხი, ერთხელ ბედს მისთვისაც უნდა გაედომნა, წყეული ჩინგოზი თანაბარ ბრძოლაში შეეხვედრებინა და ამდენი სისხლისა და უბედურებისთვის სამაგიერო ეზღვევინებინა.

ამ თეთრ რაშზე ამხედრებული შევიდოდა მაშინ ჯალალედინი მამის სატახტოში... მაგრამ ის სანატრელი დღე იგვიანებდა, მისი უნაპირო სამეფოს აყვავებული ქალაქები მონგოლთა ცხენების ფეხქვეშ მიწასთან სწორდებოდა, ცეცხლსა და წყალში ინთქებოდა. ბედი მტრის მხარეს იყო, თავის რჩეულს არ ღალატობდა, გამარჯვებას გამარჯვებაზე ანიჭებდა.

მაინც არ ტყდებოდა ჯალალედინი, მაინც სჯეროდა, რომ ერთხელ მისი მზეც უნდა ამოსულიყო და აკი ამოვიდა კიდეც.

თბილისის თავზე ვეებერთელა წითელი ბურთი ვარვარებდა—ჯალალედინის ძლევამოსილების მზი ამოდიოდა. ქადაგმკითხავებმა, დერაჯიშებმა და შიიხებმა წითელი მზის ამოსვლა კეთილ ნიშნად მიიჩნიეს და ჯალალედინის ბოთის ჩარხის შემობრუნება უწინასწარმეტყველეს. თბილისთან. წინააზიის უძლიერესი სამეფოს სატახტოსთან უნდა დამთავრებულიყო ხეარაზმეო სულტნის ბიოლოკომართობა. გზა ლტოლვისა და დამიკრებისა. ამიერიდან მას წინაშე გამარჯვებისა და დიდების გზა უნდა

გაშლილიყო და ამ გზაზე სულტანს უნდა ევლო იმ თეთრი რაშით, რომელმაც იგი ადიდებულ სინდთან ჯოჯოხეთის ცეცხლიდან გამოიყვანა და თითქმის მეკვდრეთით აღადგინა.

ფიქრიდან ცხენის ჰიხეინმა გამოიყვანა ჯალალედინი. ორი მეჯინიბე ძლივს უტერდა თავს ნასუქალსა და უნავირს გადაჩვეულ თეთრონს. თამაშ-თამაშით, ცეკვა-ცეკვით მოდიოდა ნესტოვებდაბერილი და ფაფარგაშლილი თეთრი რაში.

უზანგი დაუჭირეს და სულტანი მსუბუქად მოევლო თეთრონს.

ჯალალედინმა რაში დასძრა და მწყობრად, ნელი რხვეითვე მიჰყვა დროშებისა და შუბების ტყე.

მეციხოვნეები და შინაგამცემები რომ ერთიმეორეს დაერჩენენ და ქალაქში ხვარაზმელები შემოვარდნენ, ვაჩე ისინისკენ უკანდახეულ მებრძოლთა შორის იყო; ცხენი მოუტყეს და ქვეითად ხმლით იგერიებდა მოჯარებულ მტერს. მერე მხარში დაჰკრეს, შეტორტმანდა, თავი ველარ შეიმაგრა და დაეცა. ბრძოლის ყიფინამ, ხმალ-აბჯრის ჩახაჩუხმა იქიდან გადაინაცვლა და ვაჩემ თვალი მოჰკრა, როგორ შევარდა ისინის ციხეში გოჩი მუხასძე უკანასკნელ ქართველებთან ერთად. ისინის ციხის კარი დაიკეტა და ხვარაზმელები ამოდ აწვებოდნენ რკინის კარს.

კიბზე ჩაეცილი, დაჭრილი ვაჩე სისხლისგან იცლებოდა. ბრძოლა იმ ქუჩებში მისწყდა. ალაგ-ალაგ ცას ხანძრის ალი ანათებდა. ეგებ ის ხანძრები ძალიან ახლოსაც ენთო, რომ ვაჩე მთელ სხეულში უჩვეულო სითბოს გრძნობდა. დადლილობისა თუ ძილის მოძალებისაგან თვალი თერსთავად ეხუჭებოდა და ტან-ფეხში ჩაღვრილ სითბოს რაოაც უცნაური, ამო ერუანტელოთ შორს, ძალიან შორს მიჰყავდა ქვეყნის ხმაურისა და საზრუნავისაგან, ტალღაზე შემდგარი ნავით ნელა არწევდა და გონებას თანდათან უბნელებდა.

უცებ შენჯღრევა იგრძნო. გამოერკვა. წამოწევა უნდოდა და ხელებით მიწაზე დაბჯენა სცადა. ხელისგულებზე რალაც თბილისა და სქელის შეხება იგრძნო.

— სისხლისგან დაცლილხარ, ბეჩავო,—ჩაესმა ნაცნობი ხმა. თვალი გაახილა. თავს ცაგო დადგომოდა.

— აქ რა გინდა?... — მისუსტებული ხმით ჰკითხა ვაჩემ.

— ბაღს დავექებ, წამით წყალზე გავედი და მობრუნებულს შინ აღარ დამიხვდა.

ვაჩე ისარნაკრავით შეტოკდა, დაიძაბა, უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ცაგოს შეაჩერდა. ახლად დაინახა, რომ ქალს ადამიანის ფერი აღარ ედო და თვალეზი შეშლილივით უბრაილებდა.

— წადი, ბავშვი მოძებნე... მე არა მიშავს, — კვნესით თქვა ტკივილისაგან სახედაღმეკილმა ვაჩემ.

მანდილი წაიძრო ცაგომ, შუაზე გაძხია და დაიხარა. ახალუხის ღილები შეუხსნა, სწრაფად მოუნახა ჰრილობა და ფრთხილად, მაგრამ მარჯვედ შეუხვია. ვაჩემ იქაურობას მოხედა: რუსუდანის ახალ სასახლესთან ყოფილა, სულ ახლო.

გრძნობდა, რომ ღონე დალატობდა და გული უწუხდებოდა.

— შგ შემიყვანე, რუსუდანის პალატებში... — ჩურჩულით თქვა და თვალი მიხუჭა.

ცაგო თან წაიყვანდა ვაჩეს, მაგრამ აქედან მისი თავშესაფარი შორს იყო, ქუჩებში მტრის ჯარი დაჰჭროდა და დაჭრილს ვინ გაატანდა. ბაღის საძებრად გამოსულს ეჩქარებოდა, შვილის მეტი აღარა ახსოვდა რა. ვაჩეს მხარში შეუდგა, ზურგზე წამოკიდება მოუნდომა, მაგრამ ვერ მოერია ახოვან ვაჟკაცს, ისევ ძირს დაუშვა და ძლივს-ძლივობით დასძრა.

როგორც იყო პალატში შეაღწიეს. იქ ტახტზე დააწვინა დაჭრილი.

— ბაღს მოვძებნი და მოვბრუნებდი...—დაუგდო სიტყვა, მაგრამ მისი

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ნათქვამი აღარც ვაჩეს გაუგონია და აღარც თავად მიუხედა დაჭრილისაკენ. თმაჩამოშლილი ცაგო ქარივით გავარდა გარეთ.

შუადღისას გაღვიძებულ ვაჩეს ისევე ის დღე ეგონა. არც ის იცოდა, რამდენხანს ეძინა, აღარც ის ახსოვდა, აქ როგორ განჩნდა.

იწვა ტახტზე სიცხიანი, ძილისაგან ოდნავ ფერსა და ღონეზე მოსული.

გაიღვიძა თუ არა, იქაურობას თვალი მოავლო; მიხვდა, რომ რუსუდანის ახალ პალატებში იყო, სწორედ იმ ოთახში, რომლის მოხატვასაც ამდენი დრო მოანდონა.

პირდაპირ კედელზე მეფედ საკურთხევლად მიმავალი რუსუდანის და მისი ამალის სურათი ჩანდა; სურათი დამთავრებული იყო, სახედართან მდგარ ცაგოს აკლდა დასრულება: ტანი და მთელი სხეული დახატული იყო, ის ადგილი კი, რომელზედაც ცაგოს სახე უნდა გამოეხატა, ჯერ მხოლოდ მონახაზებით იყო მინიშნებული.

ქვეყანა იქცეოდა, თბილისს ცეცხლი ანადგურებდა. თავად ვაჩეც იქნებ ამ მძიმე ჭრილობას ვერ გადარჩენოდა, ამ პალატებსაც, ალბათ, ხანძარი დანთქავდა. მაშ, ვილასთვის იყო საჭირო კედელზე ცაგოს სახის მოხატვა და სურათის დამთავრება, თუკი მაინც ცეცხლსა და მტრის შემუსვრეულ ხელს უნდა მოესპო ყოველივე! ალბათ, აღარავისთვის, მხატვრის გარდა; აღარავისთვის, ვაჩეს გარდა. და სწორედ ამ განწირულებისა და საყოველთაო უბედურების წუთებში მოუხდა ვაჩეს ნახატის დასრულება, ცაგოს სახის დახატვა.

მარცხენა მხარი სტეხავდა და უხურდა დაჭრილს, თავიც სიცხისაგან ჰქონდა დამძიმებული და სახეზე ალმური ასლიოდა. ბარბაცით მივიდა კედელთან. იქვე უწესრიგოდ დაყრილ ფუნჯებსა და საღებავებს დასწვდა...

ხატავდა სიცხისაგან რეტდასხმული და გაბრუებული, მაგრამ შთაგონებით

აღფრთოვანებული და ზეაწეული. ყალმის ქვეშ ნელ-ნელა ცოცხლდებოდა ცაგოს დაუვიწყარი სახე, რომელიც ყველგან და ყოველთვის თან დაჰყვებოდა და თვალწინ ედგა.

ჯერ ოდნავ გაზიდული თვალები და წერილად გატყორცნილი წარბები და ხატა. გაიცოცხლა ცივი და უტყვი კედელი. სიცოცხლითა და სიტურფით გაივსო იქაურობა. ამეტყველდა ვერცხლისწყალივით მოძრავი, ლამაზი და ალერსიანი თვალები და ვაჩეს ყველაფერი დაევიწყდა — თავისი ჭრილობაცა და სატყვიარაც, სამშობლოს უბედურებაცა და სიკვდილის სიახლოვეც.

ამდენი ხნის ნაფიქრი და ნაოცნებარი ფუნჯისა და ყალმის მოსმით გადაჰქონდა ნახატში, შთაგონების ფრთები თავებრუდამხვევად მიაქანებდა და აჩქარებდა. თავადაც სულსწრაფობდა, გრძნობდა, ღონე დიდხანს არ გაჰყვებოდა და უნდოდა სურათის დამთავრება მოეწყო.

სიკვდილი იქვე იდგა, ზურგს უკან, ხოლო განკითხვის დღე — ყველგან, მთელს სატახტოში. ყოველი წამი ძვირფასი იყო და დათვლილი, ცაგოს სახე უნდა დაემთავრებინა და მერე უკვე სულერთი იყო, ჭრილობა მოჰკლავდა თუ ხანძარი დანთქავდა.

უკანასკნელად მოუსვა ფუნჯი: გაიცოცხლებულმა, ცისკენ გასაფრენივით პეროვანმა და მოძრავმა შეხედა ცაგომ კედლიდან და დადნა ვაჟკაცი სიხარულითა თუ ბედნიერებით.

უკან დაწევა, შორიდან შეხედვა და თვალთ შეჯერება მოუხდა, ოდნავ გადაიხარა და ამდენი ხნის შეკავებულმა ტკივილმა თუ უღონობამ ერთბაშად აიშვა: თვალთ დაუბნელდა და იატაკზე უგონოდ დაეცა.

შეღონებულს განწირული ზრიალი ჩაესმა. თანდთან გონი დაუბრუნდა. გაინაბა და ყური მიუგდო. საღდაც, ახლო, ქალების მოთქმა და ბავშვების ზღუქუნის, ვიშ-ვიში და წივილ-კივილი იდგა.

ღონე მოიკრიბა, ვაი-ვაგლახით სარკმლისკენ გახოხდა: ხილზე უამრავი ხალ-

ხი შეეყარათ. წინ ერეკებოდნენ, რაღაცას აძალუბდნენ. კანტიკუნტად, თითო-ორიოლა, გაუბედავი ნაბიჯით გადადიოდნენ მეორე ნაპირზე, უმრავლესობა უკან იხვედა და ვერც მთრახნი, ვერც ხმლის ცემა წინ ფეხს ვერ ადგმევინებდა. უკანშემოქცეულებს ცხენოსანი ხვარაზმელები ხმლით ჩეხდნენ და უწყალოდ მტკვარში ჰყრიდნენ.

მალა, სიონის გუმბათზე, ტახტი იდგა. იმ ტახტზე ძლევაშობილი ხვარაზმე იჯდა და ზემოდან ადევნებდა თვალს ღვთის საგმობად და გასაქლექტად მირეკილ თბილისელთა განკითხვას.

ღედათა და ბაღთა ზრიალმა გული უარესად შეუღონა ვაჩეს.

თვალი დახუჭა და ყურებზე ხელი მიიფარა: საშინელი სურათი თუ ჩვენება მინც თვალწინ ედგა და ყურშიც უფრო ძლიერად, გულისწამლებ ზუზუნად ესმოდა განწირულთა გოდება.

თვალი ისევ სიონის გუმბათს მიაპყრო: ახლო იყო რუსუდანის პალატებიდან სიონი, კარგი ვაჟკაცი ისარს და უცდენლად მიუწევდა. მაგრამ ან ისარი ხად იყო და ან მკლავის ღონე! დაჰკრილმა დარბაზს მოავლო თვალი: უწყესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ფუნჯებისა და ყალმების, საღებავებისა და ხელსაწყობების მეტი არა ჩანდა რა. ის იყო, თვალი უიმედოდ უნდა მიეხუჭა, რომ კარის ზღურბლზე დაგდებულ კაპარქს მოჰკრა თვალი. კაპარქიდან სანახევროდ ამოვარდნილი ერთადერთი ისარი წვერით მალა შემართულიყო და მზის შუქზე ლაღლაპებდა.

კაპარქი, ალბათ, მაშინ მოსწყდა ვაჩეს, ცავო რომ მოათრევდა. მტერზე დაუხარჯავი ერთადერთი ისარიდა დარჩენილი კაპარქში და ახლა ეს ერთი ისარი კვეყნის ფასი ღირს! მაგრამ შესძლებს კი ვაჩე ზღურბლთან მისვლას, მერე უკან მობრუნებას, და, რაც მთავარია, იმ ერთადერთი ისრის აუცდენლად ტყორცნას სიონის გუმბათისაკენ? უნდა შესძლოს, აუცილებლად უნდა შესძლოს!

ვაჩე სარკმლიდან ჩამოიწია და კენესითა და ოხვრით კედელ-კედელ ხელისფათურით წავიდა ზღურბლისკენ.

მშვილდიც იქვე იპოვნა, ისარი აიღო და ფეხზე დასადგომად ძალა რომ აღარ ეყო, უკან ხოხვით წავიდა. ყოველ განძრევაზე ჰკრილობა არაადამიანური ტკივილით სჩხვლეტდა, ჰკრის ოფლი ასხამდა და ყელი უშრებოდა. ხოხვას მინც არ ეხსენებოდა, ნელ-ნელა წინ მიიწევდა.

ეტყობოდა, დიდხანს მოუნდა, სარკმელთან მობრუნებას: ხიდზე ხალხი შეთხვლებულიყო. ალბათ, სულტანი გაძღა უმწეო ტყვეების ტანჯვის ცქერით, ან იქნებ მოსწყინდა კიდეც საშინელების ყურება.

გუმბათიდან მშვიდად ჩამოდიოდა ქართველებზე გამარჯვებით გაამპარტავებული, ზვიადი ხვარაზმე.

აფსუს, რა სამიზნო დაჰკარგა ვაჩემ—სიონის გუმბათზე გამართული ტახტი! ჩქარობს, უკანასკნელ ღონეს იკრებს და მთელ სხეულს ძაბავს ვაჩე. ცოტა კიდევ და სულტანი თვალს მიეფარება. უნდა მოასწროს, უნდა გასტყორცნოს ერთადერთი ისარი...

აი, სულტანი დაბლა ჩამოვიდა, ცხენი მოჰგვარეს. თეთრი რაშის ჰიხვინი ვაჩეს ყურამდე აღწევს. ძალისა და გონების უციღურესმა დაძაბვამ წამით საშინელი ტკივილი დაავიწყა.

ჯალალედინი თეთრონს მოახტა და ვაჩეს ისარიც გაფრინდა.

ისრის მტყორცნელს მეტი აღარაფერი დაუნახავს, ისევ თვალთ დაუბნელდა და გონი დაჰკარგა.

ისარი ზედ ყურთან ჩაერჭო სულტნის თეთრ რაშს. ცხენმა საცოდავად შესჰიხვინა და წინა მუხლებზე ჩაიჩოქა. სულტანმა მოასწრო გადმობტომა. ხელმწიფეს უმაღვე გარს მოერტყუნენ მცველები.

ჯალალედინმა წამით შეასწრო თვალი, როგორ ლევდა სულს მისი უდიდესი განსაცდელისა და უდიდესი გამარჯვების ერთგული მოწმე და მონაწილე.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი დამე

თეთრ რაშს თვალიდან ცრემლი სდიოდა; ცრემლი მოადგა ჯალალედინის თვალსაც, მაგრამ მხოლოდ წამით...

გაცეცხლებული სულტანი წამითვე შეტრიალდა და მცველებით გარშემორტყმულ იქაურობას გაეცალა.

ცუდად ენიშნა სულტანს თეთრი რაშის სიკვდილი. მისი ნახევარი ლაშქარი რომ გაეწყვიტათ თბილისელებს, ისე არ დააღონებდა, როგორც თეთრონის მოკვლა. ბაგაზე დამბულს ამდენ ხანს იმტომ ინახავდა, უნაგირს არ ადგმევინებდა და არ ახედინებდა, რომ გამარჯვებული ამ თეთრი რაშით შესულიყო ურგენჩსა და სამარყანდში, ჰერატსა და მერვში, და ახლა, როცა მისი ბედის ჩარხი წალმა უნდა შებრუნებულიყო, როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო მისი პირველი და უდიდესი გამარჯვების ამბავი, თეთრი რაში აქ მოკვდა, ხვარაზმელთა სატახტოსაგან ასე შორს, და ასე უსახელოდ. იქნებ ჯალალედინსაც ასე უწერია—სამშობლოდან შორს, მტრის ჯავრის ამოუყრელად, უიღბლოდ და უსახელოდ სიკვდილი!

გაათრებულმა სულტანმა გადასწყვიტა თბილისზე ეყარა ჯავრი. თბილისელთა იმდღევანდელ ჭლეტასა და წამებას არ დაჯერდა; ბრძანა, ქუჩები შეეკრათ, ყველა სახლი გაიჩხრიკათ და, თუ დამნაშავეს ვერ იპოვნიდნენ, მთელი ქალაქი გადაეწვათ.

ცოფიანი ძაღლებივით მოედნენ ხვარაზმელები ქალაქს; ერთხელ კიდევ აიკლეს და ააწიოკეს, გაძარცვეს და დააქციეს თბილისი.

ნაშუადღევს გამცემი გაჩნდა, თავისი თვალით დაენახა, რუსუდანის ახალი პალატების ვიწრო სარკმლიდან როგორ უმიზნებდა უცნობი ქართველი ისარს სიონისაკენ.

თავად ჯალალედინი მივიდა ნაჩვენებ ადგილას ორხანის, შერეფ ელ მოლკისა და სულტანშას თანხლებით, რუსუდანის პალატებს ალყა შემოარტყა და ჯარისკაცები შეუსია სასახლეს.

სულტანის სამსახურში გადასულმა თბილისელმა სპარსელებმა სისხლის კვალით მიაგნეს ვაჩეს და მაშინვე იცნეს

დედოფლის კარის მხატვარი. სიციხისაგან სახეზე აღმური ასდოდა დაქრილს. გაოგნებული რადაცას ჩურჩულებდა და მჭრქალი, თითქმის უსიცოცხლო თვალებით მისჩერებოდა კედელზე გამოხატულ უტურფეს ასულს.

მშვილდი და ცარიელი კაპარჭი იქვე ეგდო. რომელიღაცამ სარკმლიდან გადინებდა, სხვებსაც დაუძახა და დაანახვა: სიონი ისე ჩანდა, თითქოს ხელისგულზე ჰქონოდეო. ყველაფერი ნათლად წარმოუდგათ: ამ სარკმლიდან ამ მშვილდით იყო გატყორცნილი ისარი, რომელიც სულტანს ასცდა, მაგრამ რომელმაც მისი საყვარელი რაში მოჰკლა. მხოლოდ ის გაუჟვირდათ სპარსელებს, როგორ ააცდინა მტყორცნელმა მიზანს, ასე ახლო და მარჯვე სამიზნოდან.

— ვინ იცის, იქნებ ერთადერთი ისარი ეგ იყო, მხატვრის მიერ გასროლილი მთელს სიცოცხლეში,—თქვა ერთმა.

— ვერა ხედავ? სისხლის გუბეში წვეს, თითქმის გათავებულია პრილობისაგან, — მიუთითა მეორემ ვაჩეზე და თავისქნევით დასძინა: — კიდევ კარგად უსვრია...

ჯალალედინი გაცეცხლებული შეიჭრა რუსუდანის პალატებში. არც ერთ დარბაზში არ შეყოვნებულა, თვალი არაფერზე შეუჩერებია, თუმცა სიმდიდრეც ბევრი იყო და ძვირფასი განძეულიც.

იჩქაროდა ისრის მტყორცნელის ნახვას, უნდოდა თავისი ხელით, წამებით და ტანჯვით მოეკლა მის მოსაკლავად ისრის მტყორცნელი.

სწრაფად მიმავალს უკან ამაღა მისდევდა. ჩქარი ნაბიჯით იმ დარბაზში შესულს, ის იყო, ბროლის იატაკზე უნდა დაედგა ფეხი, რომ შეჩერდა. მოეჩვენა, წყალში ვადგამ ფეხსო, კაბის კალთა აიწია და ფეხის წვერზე შედგა. ფეხქვეშ მყარი იატაკი რომ იგრძნო, გაბრაზდა, როგორ მოგტყუედიო. მსლებლებს მრისხანედ მოხედა: იმათაც კალთები აეწიათ და ფეხის წვერებს ფრთხილად ადგამდნენ. გაჯავრებულმა ნაბიჯი მტკიცედ გადადგა და დარბაზში რომ შევიდა, იმ კედლის პირისპირ

აღმოჩნდა, რომელსაც დაჭრილი ვაჩე ასე დაქინებთ მისჩერებოდა.

ცაგოს სურათის დანახვაზე ჯალალედინი გაშტერდა, თეთრი რაშიც დაავიწყდა, მისი მკვლელი ქართველიც და უმაღლვე მორთმეულ ტახტზე თავისდაუნებურად ჩაივცა.

მთელი აღმოსავლეთი მოვლილი ჰქონდა სულტანს, ქვეყნის არც ერთი კუთხის უტუტრფესი ქალი არ აკლდა მის პარემს, მაგრამ მსგავსი სილამაზე ჯერ არც ცხადად ენახა, არც სიზმრად, არც სურათში დაეხატა ვისმე და, ალბათ, ვერც ოცნებაში ვინმე წარმოიდგენდა. იცოდა სულტანმა ქალის სილამაზის ფასი, ამიტომ ველარ მოაშორა თვალი ჯერ კიდევ საღებავებზეუმშრალ ნახატს — ცაგოს უმშვენიერეს სახეს.

— რა ლამაზია! ტყუილად როდი აქებენ თურმე გურჯისტანის ქალებს! — აღმოხდა აღტაცებისაგან ჯალალედინს და ნახატისგან თვალის მოუშორებლად ბრძანა: — უთხარით დამნაშავეს, თუ ამ ქალს მომიყვანს, სიცოცხლეს ვაჩუქებ.

სანამ ბრძანებას უთარგმნიდნენ, ვაჩემ თავად გაიგო სულტანის ნათქვამი, სახე ბრაზისაგან დაეღრიჯა და ისედაც წამონთებულ ლოყებზე ცეცხლი მოეკიდა; თვალი დახუჭა დაჭრილმა და კედლისკენ იბრუნა პირი.

— ეგ ქალი მეფის კარის მგოსნის ცოლია. ქმარი გარნისის ოშში დაედუბა, — თავდახრით მოახსენა სულტანშამ.

ჯალალედინს უცებ გაახსენდა, რისთვის იყო აქ მოსული. შუბლი შეიკრა და მკაცრად წარმოსთქვა:

— წმინდა წიგნში სწერია: ვაი მას, ვინც სულდგმულ არსებას დახატავს. განკითხვის დღეს მხატვრის მიერ დახატული ადამიანები ნახტიდან ჩამოვლენ, მხატვარს წინ წარუდგებიან და სულის ჩადგმას მოსთხოვენ.

ჯალალედინი წამოდგა, დაჭრილის წინ გაიარა, წამით დამცინავი მზერა ესროლა და განაგრძო:

— უსულოსათვის სულის ჩადგმა მხოლოდ ღმერთს შეუძლია, ეს კაცი სულს ვერ ჩაუდგამს თავის ქმნილებას,

ამიტომ თავად დაიწვება ჯოჯოხეთის მარადიულ ცეცხლზე...

სულტანმა მალლა აღაპყრო თვალი, სახე ისე აღვზნებოდა, თითქოს ჯოჯოხეთის იმ მარადიულ ცეცხლს მართლა ხედავდა და მისი თეთრი რაშის მკვლელის წამებით სტკებებოდა.

— მაგრამ ეს ღეთის სასჯელი იქნება, — უცებ ხმამალლა შესძახა სულტანმა, — ხოლო ჩვენ ამქვეყნიური სასჯელი უნდა მივაგოთ ურჯულოს.

— იგი, ალბათ, სასჯელამდე ველარც მიიტანს, მძიმედ დაჭრილია და სისხლისაგან დაცლილი, — შეჰხვდა ორხანმა.

— ამიტომ ვბრძანებ, — აუწია ხმას ჯალალედინმა, — ჩემმა ექიმმაშამა იბრუნოს მის განსაკურნებლად. ხოლო როგორც განიკურნება, ყველაზე მძიმე სასჯელით უნდა დაესაჯო იგი სხვების სამაგალითოდ. შენ როგორ ფიქრობ, ბიძაჩემო, — მიუბრუნდა ორხანს სულტანი, — რა იქნება მხატვრისთვის ყველაზე დიდი სასჯელი?

— ალბათ, მარჯვენის მოჭრა, — მცირე ყოყმანის შემდეგ მოახსენა ორხანმა, — მარჯვენამოჭრილი მხატვარი ფუნჯსა და ყალამს უნდა გამოეთხოვოს და ეს, ალბათ, მისთვის ყველაზე მძიმე სასჯელი იქნება.

— გამიგონია, მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს მარჯვენას ჭრიან საქრისტიანოშიო, არც თუ ისე მძიმე სასჯელია, მარჯვენას ქურდებსაც სჭრიან... — ხელი ჩაიქნია ჯალალედინმა და შერეფ ელ მოლკისკენ შებრუნდა. ვაზირი მიხვდა, მის აზრს თხოულობდა სულტანი.

— საბერძნეთში, როცა მხატვარი მძიმე დანაშაულს ჩაიდენს, თვალს თხრიან თურმე, — მძიმედ თქვა ვაზირმა და მბრძანებელს თავი დაუქრა.

— თვალის დათხრა!... აი, ეს ნამდვილად მხატვრისთვის მოგონილი სასჯელია, — გამოცოცხლდა სულტანი, — ვინც თვალს კარგავს, ამქვეყნის სილამაზესაც კარგავს და მხატვრისათვის

გრივოდ აბაშიძე
დიდი დამე

ამაზე დიდი უბედურება რა უნდა იყოს... ვბრძანებ: განკურნონ გურჯი მხატვარი ჩვენმა ექიმებმა, განკურნებული ჩვენს წინაშე წარმოადგინონ, რათა თვლი დასთხარონ.

ჯალალედინმა ხელი აღმართა, შებრუნდა და სწრაფად დასტოვა ქართველთა დედოფლის პალატები.

სულტანის მსლბელთაგან შერეფ ელ მოლკი ყველაზე გვიან გავიდა რუსულანის პალატებიდან. იგი მუშტრის თვალით ათვალთვრებდა ახალი სასახლის დარბაზებს და იმას ანგარიშობდა, თუ რისი წაღება ღირდა იქიდან.

თავის მონებს სასახლის გაძარცვა და ნაძარცვის საიდუმლოდ შენახვა უბრძანა — სასახლეში ბევრი რამ იყო ძვირფასი და იშვიათი. თუ ჯალალედინი ამ სიმდიდრის თვალის შევლელას მოასწრებდა, მერე ის მისი ვაზირისთვის დაკარგული იყო. ასე იცოდა სულტანმა. ჯერ ის უნდა დაპატრონებოდა ნააღფარს, საუნჯესა და ულამაზეს ქალებსაც. ვაზირსა და სხვა დიდებულებამდე მხოლოდ მისი ნაწყალობევიდა აღწევდა — სულტანის საღაროში გავლილი ოქრო და სულტანისავე ლოგინში ღამეგათეული მზეთუნახავები.

ამიტომ ცდილობდა ანგარი ვაზირი, ზოგი რამ ჯალალედინისაგან ფარულად გაეპარებინა თავისი საკუთარი საღაროსაკენ.

შერეფ ელ მოლკმა რუსულანის სასახლის დარბაზები დაიარა და თავისთვის ჩუმად წასაღები ნაძარცვი გადაარჩია.

მტერი ჯერ კიდევ შორს იყო, ვაჩემ რომ ცოლ-შვილი ახალდაბაში გახიზნა. დედაქალაქისათვის მოსალოდნელი ომის შიში აღარ ჰქონდა. დამ-დამობით თბილისის ზღუდესთან რჩებოდა, თბილისის დასაცავად იარაღსხმულ მოქალაქეებთან ერთად ფხიზლობდა და მტრის მოსვლის მოლოდინში მშვილდ-ისრისა და ფარ-ხმალის ხმარებაში იწაფავდა

ხელს. ჯანმრთელსა და აზოვან ვაჟკაცს სამშობლოსთვის ომი ლხინად ეჩვენებოდა და თუმცა დიდებისმოყვარული საერთოდ არ იყო, გულში მაინც ბრძოლის ველზე საგმირო საქმეებით თავის გამოჩენას ნატრობდა.

ბრძოლის წინა დღეს ცოტახნით შინ მობრუნებულს მოულოდნელად ლელა გამოეცხადა.

— აქ რა გინდა? რამ მოგიყვანა? — შეიცხადა ვაჩემ.

— შენმა დარღმა მომიყვანა, ვაჩევერ გავძელი უშენოდ. შენ რომ აქ განსაცდელში მეგულეები, მე იქ რა გამაჩერებს.

— ბალლი როგორ დატოვე? ახლა რა უნდა ვქნათ, აქედან უკან აღარ გავიშვებენ...

— ბალს დედაშენთან რა გაუჭირდება, მე შენთან უნდა დავრჩე, მუხასძეს სთხოვე, მეც რამე ქალის შესაფერის საქმეს მომანდობენ.

საყვედურით რალა გაკეთდებოდა. ვაჩე დაჰპირდა, რომ გოჩის ნახვედა და ლელასაც რამე საქმეს გაუჩენდნენ.

მეფე-დედოფალივით ბედნიერად გაატარეს ის უკანასკნელი ღამე.

დილით ადრე დასტოვა ლოგინი ვაჩემ და თავის თანამებრძოლებს მიამუხრა.

იმ დღეს მტერი პირველად მოადგა ქალაქს. პირველი შეტაკებისას ჯალალედინმა გაქცევით უშველა თავს და თბილისის დამცველები მეზნი ჯაყელის მეთაურობით გამარჯვებულნი მობრუნდნენ დედაქალაქში.

ბრძოლა ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ მსხვერპლი მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა. დაპრილები სასწრაფოდ შემოჰყავდათ ქალაქში და ისინი ციხეში გამართულ სასნეულოებისკენ მიჰყავდათ.

ციხისთავი მუხასძე დაპრილებისა და ექიმების გაწესრიგებას ხელმძღვანელობდა. წამით პირისპირ შეხვდა ვაჩეს და შეწუხებულმა შესჩივლა:

— ამდენ დაპრილს არ ველოდი. დასტაქრები და მათი შემწე ქალები არ გეყოფნის.

— ლელა წაიყვანე, თავად შემოგვხვეწა, ქალის შესაფერისი საქმე მომანდოს რამეო.

— ლელას აქ რა უნდა, აკი განიზნე?

— გავხიზნე, მაგრამ...

გოჩის ეჩქარებოდა:

— ახლავ მონახე და ისნის ციხეში მოიყვანე, — გამოსძახა ვაჩეს და ცხენი ისნისკენ გააქროლა.

ვაჩემ ცოლი ისნის სასნეულოებში მიიყვანა და გულდარხინებულმა დასტოვა: თუ ღმერთი გაწყრებოდა და მტერი თბილისს როგორმე აიღებდა, ერთ წელწადსაც რომ ალყად მდგარიყო, ისნის მაგარ ციხეს ვერას დააკლებდა.

მეორე დღეს მტერი ისევ მოადგა თბილისს, მეციხოვნენი ისევ გაუხდნენ ზვარაზმელებს, მაგრამ უკვე ძლეულნი შემოიქცნენ სატახტოში. მემნი ჯაყელი შინაგამცემებმა მოჰკლეს. მტერმა ქალაქის ღია კარში მოასწრო შემოჭრა და ქუჩებში სასტიკი ომი გაიმართა.

ყველაზე დიდი განსაცდელის ქამს, როცა მამაკაცთაგან ყველა ომში ჩაება, დაჭრილები ქალების ამარა დარჩნენ.

რამდენიმე გულადმა ქალმა ისნიდან გამოსვლა და დაჭრილების მიშველება გაბედა. ლელამ ხანძრების ბოლსა და ისრის სეტყვაში ძლივს გაატანა, ქუჩის პირად დაცემულ მგმინავ მებრძოლს დასწვდა, ზურგზე მოიკიდა და ხოხვით მეორე ქუჩისკენ წაიყვანა. ბრძოლის ადგილიდან გააღწია, დაღწილ ქულბაქს ამოეფარა და დაჭრილი ძირს დაუშვა.

— წყა... ლი... — ამოიკვნესა დაჭრილმა და სახე სიმწრისაგან დაედრიჯა. ლელამ უიმედოდ მოაგლო თვალი იქაურობას.

დაჭრილი თითქმის სულთმობრძავი იყო. „ნეტავ ვაჩე არ იყოს! ნეტავ ის არ იყოს!“ — ნატრობდა გულში ლელა და დაჭრილისკენ გახედვას ვერ ბედავდა.

უცებ ცხენების თქარათქარი და რკინის დიდი ჰიშკრის ზრიალი მოესმა. გაიხედა: ისნის ციხეში ქართველთა ჯარი — ქვეითი და ცხენოსანი — ერთმანეთს ასწრებდა შესვლას.

ციხის კარი ისევ ზრიალით დაიხურა და ლელამ კვლავ ვაჩეზე დაიწყო ფიქრი.

„ნეტავ იქ იყოს! ნეტავ ვაჩეც ისანში ჩაკეტულებთან იყოს!“ — ნატრობდა გულში ლელა და თან წამდაუწუმ პირჯვარს იწერდა.

— მიიშვე-ე-ლე-ეთ! — დაიგმინა მის გვერდით დაჭრილმა და ლელა ახალა გამოერკვა.

მომაკვდავი შეველას ითხოვდა. ისნის კარი უკვე დაკეტული იყო და ლელა სულთმობრძავს სასნეულოში ვედარ მიიყვანდა. თვალს უშწვოდ აცეცებდა. თავათაც არ იცოდა, რა ეღონა.

მანდილი მოიგლიჯა და დაჭრილთან დაიხარა.

ფერდიდან სისხლი სქლად მოჟონავდა.

ლელამ ტანსაცმელი შემოახია იმ ადგილას, სისხლი მოსწმინდა და პირდაღებულ ღრმა ჭრილობაზე მანდილი დააფარა.

— ვაიმე, დედილო! — დაიკვნესა დაკოდილმა და სიცხიანი თვალები ლელას მიაშტერა.

— შენ... ვაჩეს ცოლი ხარ?

ლელამ თავის ქნევით დაუდასტურა.

— მე მამუკა ოქრომჭედელი ვარ, ცაგოს ძმა. თურმანის ცოლის ძმა.

ლელა ცაგოს ხსენებაზე შეტოკდა. დაჭრილს მოხედა, დააცქერდა: ტკივილისაგან დაღმეპილ სახეს მაინც კიდევ შერჩენოდა ბევრი საერთო თავისი ლამაზი ღის სახესთან.

— მიშველე, დობას გაფიცებ... ვაჩეს გაფიცებ! — შეევედრა მამუკა და ლელას ცეცხლი მოეკიდა.

აკლებულ ქულბაქში ყველაფერი მიღწილ-მოღწილი იყო.

სადღაც ყელმოტეხილი დოქით წყალი იპოვნა. დაჭრილს გახურებულ პირში ცოტა ჩაუწვეთა. მერე სისხლი მოჰბანა. დამტვრეული ტახტიდან ფარდაგი გადმოიღო, ძირს დააგო და ოქრომჭე-

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

დელი ნელ-ნელა იმ ფარდაგზე გადაიყვანა.

ის დღე და ღამე დაჭრილთან გაატარა, არც თვალი მოუხუტუვას, არც იქაურობას გაშორებია.

მთელი ღამე შფოთსა და კენესაში გაათენა მამუქამ, შუბლი უხურდა და წარამარა ცივ ტილოს სთხოვდა ლელას. გატეხილ დოქში წყალი ამოთავდა. სულთმობრძაძეს ეს სათხოვარიც მოეკვეთა, ტკივილს დანებდა და თითქოს დაწყნარდა კიდევ. მეორე დღეს სიცხემ უმატა და ბოდვაც დაწყებინა. ლელა საცოდაობით იწოდა — ისე თავდებოდა ვაჟკაცი, შველა არ შეეძლო!

ქულბაქის ნანგრევიდან ქურდულად სულ გარეთ იხედებოდა, ეგებ ქრისტიანი ვინმე დავინახო, რომ დაჭრილს რამე ვუშველო. მაგრამ ქუჩებში მთვრალი ხვარაზნელები დაეხეტებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ნადავლსა და საშოვარს ეძებდნენ, ხოცავდნენ და სწვავდნენ ყველას და ყველაფერს.

ქალაქში ხანძარი მძვინვარებდა, გაძლიერებული ცეცხლი მთელ უბნებს ნთქავდა და ქრისტიანს საღდა გაეველებოდა!

საშირობა იქნებოდა. გზაზე სახედაბურული ქალი გამოჩნდა, აღმართზე ამორბოდა.

ქალის სახეს ვერ ხედავდა ლელა, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, თბილისელი იქნებოდა და ეგებ რამეს მოხმარებოდა. ნანგრევიდან გამოვიდა თუ არა, იმ ქალმა სწორედ მას მოატანა.

— ლელა, წამოძვე, ვაჩე აქ არი, დაჭრილია! — ხელს ქნევით დააყარა. სახიდან საბურავი წამით მოიშორა და ლელამ ცაგო იცნო.

— რაო, ვაჩე დაჭრილიაო? — გაფითრდა ლელა. მომაკვდავ ოქრომქვედელზე ფიქრი უმალავდავიწყდა და სირბილით აედევნა ცაგოს.

— მე თვითონ შევიყვანე მეფის პალატებში. ბალღის საძებრად ვიყავი გამოსული და ვიღრე არ ვიპოვე, ვეღარ მივხედე.

— მძიმედ დაჭრილია? — იკითხა ხმის კანკალით ლელამ.

— ბეჭში აქვს ჭრილობა, მძიმე არ უნდა იყოს. — გაუიოლა ცაგომ, თუმცა კარგად იცოდა, როგორ მძიმედაც იყო დაკოდილი ვაჩე.

ქალები მეფის პალატებში შევიდნენ, ქურდულად, ფეხაკრეფით.

ცაგო იმ დარბაზში შეუძღვა ლელას, სადაც არც ისე დიდხინის წინათ დასტოვა ვაჩე.

უცებ ორივე ქალი შეჩერდა და გაქვავდა. ორივენი გაშტერებულნი მიაკქერდნენ კედელზე მოხატულ უხარმაზარ სურათს.

ცაგომ თავისი თავი უმაღლვე იცნო. თურმანისა და გოჩის სახეებიც მაშინვე გაარჩია და, ბოლოს, კუთხეში, ბანზე მდგარ ჭაბუკს რომ შეხედა, გული შეუქანდა: ვაჩე ცრემლითა და სამღერავით შეჰყურებდა მისგან შორს მდგარ, თორელისაკენ გასაფრენად ფეხისწვერებზე შემართულ ცაგოს.

და ცაგო მისწვდა მისი სიყრმის მეგობრის ცრემლისა და დარდის მიზეზს, შეებრალა ჭაბუკი, დაენანა მისი წმინდა და წრფელი სიყვარული.

ლელა გაოგნებული მისჩერებოდა კედელზე გაცოცხლებულ ცაგოს. წამით ცაგოსადმი შურითა და მტრობით აივსო.

— სად არის დაჭრილი?! — გააფთრებულმა შესძახა და მრისხანე თვალელები ძუ ვეფხვივით შეანათა ცაგოს.

ცაგო გამოერკვა, აქეთ-იქით დაბნეულმა მიმოიხედა. დაჭრილი არსად იყო. კიდევ უფრო დაიბნა.

დარბაზში ფეხის ხმა გაისმა და ორივემ უნებურად კარისკენ გაიხედა.

ზღურბლზე გაქვავებულივით იდგამათთვის უცნობი ჯალალედინის ვაზირი.

— ნამდვილად ის ქალია, ვაზირო! — შესძახა ერთმა მზღებელთაგანმა.

— შევიპყროთ, სულტანს დიდად ვამებთ, — შეევედრა მეორე.

შერეფ ელ მოლკი მოჯადოებულებით უქქერდა ცოცხალ ცაგოსა და მის ხატებას კედელზე. მერე ლელას მიჩერდა მონუსხულებით, მუშტრის თვალით გასინჯა: ამ მშვენიერ ნადავლში

თავის წილად იანგარიშა, მოეწონა და მხლებლებს უბრძანა:

— წამოიყვანეთ!

შერეფ ელ მოლკმა ლელა თავისთვის საიდუმლოდ დამალა, ხოლო ცაგოს შეპყრობის ამბავი იმ დღესვე მოახსენა ჯალალედინს.

სულტანი ქართლ-კახეთის ასაკლებად მიდიოდა და თუმცა გულით უნდოდა ამ იშვიათი ნადავლით დატკობა, საშუარო საქმე ვერ გადადო.

— ჩემს ჰარემში გაგზავნე, თავრებს. საგანგებოდ მოუარონ და ჩემს დაბრუნებამდე კაცმა არ შეხედოს, — ბრძანა და ვაზირს ისე შეუბღვირა, შერეფ ელ მოლკი მიხვდა, რომ ეს გაფრთხილება მხოლოდ მისი მისამართით იყო ნათქვამი.

სულტანი ლაშქრად წავიდა. თბილისის გამგებლად ვაზირი დასტოვა.

შერეფ ელ მოლკმა ჯალალედინის ბრძანება აღასრულა: ცაგო სხვა მრავალ ნადავლთან და სიმდიდრესთან ერთად თავრებს გაგზავნა და თან მცველთა დიდი რაზმი გააყოლა.

შერეფ ელ მოლკი რუსუდანის პალატებში დაბინავდა. როგორც კი სულტანი ქალაქიდან შორს გაიგულა, სასახლეში ჩაიკეტა და თავისი გადაძალულო საუნჯიდან ყველაზე ძვირფასით დატკობა მოისურვა. სული მისდიოდა, ვიდრე ლელას ნახავდა, ხელის ფშვნიტითა და ნერწყვის ყლაპვით ელოდა ლამაზი ტყვის შემოსვლას და ნახებით დაფარულ ვრცელ დარბაზში აღელვებული მიდი-მოდიოდა.

კარი გაიღო და ლელა გამოჩნდა. დარბაზისაგან თვალეზიზღილი, უქმელობისაგან ოდნავ გამხდარი, თმაგამლილი და დამფრთხალი, თვალეზს ფოცხვერით აკვესებდა, სხეული უჩვეულოდ დაძაბვოდა და ყოველ წუთს მზად იყო გასაქცევად თუ გადასახტომად. ის სევდიანი სათნოება, რომელმაც პირველი ნახვისას მოხიბლა ჯალალედინის ვაზირი, სადღაც გაქრობოდა, სამაგიეროდ სახეზე

ველური უნდობლობა და ოდნავ გამომწვევი სიანჩხლე აღბეჭდოდა. ამან უფრო მეტად მიიზიდა ვაჟკაცი. ქალს თავის ენაზე დაუყვავა. ლელამ ნათქვამისა ვერაფერი გაიგო, ვაისუსა, თავაულებლად, ქვეშ-ქვეშ გამოხედა და თავდასაცავად მოემზადა.

შერეფ ელ მოლკი მიუახლოვდა, ჯერ ჩამოშლილი თმები გადაუყარა უკან, მერე ნიკაბი აუწია და თვალეზში ნდომით ჩახედა. ქალი აჩქარებით სუნთქავდა, მკერდი მღელვარებისაგან შესამჩნევად აულ-ჩაუდიოდა. უცებ ხელი აუკრა უტხო კაცს, ნიკაბი გაითავისუფლა და დარბაზის ბოლოს მიაწყდა.

შერეფ ელ მოლკს გაეღიმა, წინააღმდეგობამ ნდომა უფრო მოუმატა და ნელი, დაჯერებული ნაბიჯით ისევ ლელასკენ წავიდა. წელზე ხელის მოხვევა სურდა, მაგრამ ქალმა ხელი ჰკრა და ვაზირი ძირს დაეცა. ქალი ისევ დარბაზის მეორე კუთხისაკენ გაქანდა. შერეფ ელ მოლკი გაბრაზებული წამოდგა და ახლა უკვე გახლებული ეცა ქალს. ლელა ისევ გაუსხლტა. უმწეო ქალი ოთახში შემოფრენილი მერცხალივით ერთი კედლიდან მეორეს აწყდებოდა; ვნებააშლილი, გახლებული მამაკაცი დასდევდა, იჭერდა, მკლავებში იბღუჯავდა და ლოგინისკენ ეწეოდა, მაგრამ გამწარებული ქალი კბილითა და ფრჩხილით იბრძოდა, მოძალებულ ვაჟკაცს პოტნიდა და კბენდა, ისევ ხელიდან უსხლტებოდა და ისევ გაუბროდა. ტანსაცმელი ერთიანად შემოეფლითა. თეთრი მკერივი ხორცის დანახავამ კიდევ უფრო ადაგზნო გონაბნეული ვაზირი და გამეტებით მიეტია უკვე ქანცამოცლილ, მოთენთილ ქალს.

ლელამ უკანასკნელი ღონე მოიკრიფა, ერთხელ კიდევ დაუსხლტა ხელიდან და ფანჯრის რაფაზე შეხტა. შერეფ ელ მოლკი ნელა წავიდა ფანჯრისკენ, ახლა კი ვედარსად წამიხვალო, წაიბუტბუტა და ორივე ხელი გაშალა ქალის

გრიგოლ აბაშიძე
დიდი დამე

დასაჭერად. ლელამ უკან დიხია და ზურგით მიაწყდა თანჯარას. შემფოთებულმა ვაზირმა დაყვირებაც ვერ მოასწრო: მოულოდნელად სარკმელი გაიღო და ქალი ძირს გადაეშვა.

დაპირილ ვაჩეს თავს სულტნის ექიმები ეხვეინენ, კრილობაზე მალამოს ადებდნენ და ღონის მოსაბრუნებელ ათასგვარ წამალსა და საჭმელს აძლევდნენ. კრილობა თანდათან დაუცხრა, სიცხე დაუფარდა და ტკივილმაც უკლო. მალე ალბათ ნახმლევი პირის შეკვრას და მოშუშებასაც დაიწყებდა, ვაჩე ფეხზე წამოდგებოდა და სასტიკი სულტნის განაჩენი აღსრულდებოდა, მხატვარს თვალს დათხრიდნენ.

ენანებოდა ვაქაცს ყოველივე იმის გამომშვიდობება, რაც მასავით არავის უყვარდა და რასაც მასავით არავინ გრძნობდა. კიდევ რამდენიმე დღე და მისთვის სამუდამოდ დაბნელებოდა სინათლე, გაქრებოდა შუქ-ჩრდილის თამაში, აღარც ეს ლამაზი მთა-გორები მიიზიდავდნენ, აღარც იმ მთებზე დამდნარი ლაყვარდი მიუაღერებდა თვალს, აღარც მინდვრებზე დაღვრილი მწვანის ცქერა გაუხარებდა გულს, აღარც...

ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ რამეს დაპარგავდა, ესოდენ გულის დასაწყვეტსა და საყვარელს, სხვისთვის უგრძობებელსა და მისთვის ახლობელს.

იწვა ვაქაცო ლოგინზე. პირი სარკმლისკენ ებრუნებინა და ნელა მიმდინარე მტკვრის ტალღებს აყოლებდა თვალს. მიდიოდნენ უკანმოუბრუნებლად ეს ზვირთები, მიდიოდნენ და ქრებოდნენ. მიდიოდნენ წუთები და საათები, და ვაჩესაც სინათლის გაქრობას უახლოვებდნენ.

გაღმა დაღწილი ქალაქის ნახევარი ჩანდა.

ნახანძრალებს ბოლი კიდევ ასდიოდა, კვამლით გარუჯულიყენენ გადარჩენილი შენობები, ეკლესიის ჯვარმონგრეული გუმბათები და სასახლეთა მალაილი სართულები.

დამწვარი შენობების ჩონჩხის შემხედვარე ვაჩეს ცივად აერკოლებდა და ჯალალედინს წყევლიდა, მისი დასჯა ასე შორს რომ გადასდო; მაშინვე რომ დაეთხარა თვალი, აოხრებული თბილისის ნახვას მაინც ვერ მოასწრებდა და უსინათლოდ დარჩენილის ხსოვნას ბედნიერი და კეთილნაშენი, დაუნგრეველი და მტრისგან ხელშეუხებელი თბილისი შერჩებოდა.

დაპირილმა რუსუდანის ახალ სასახლეს შეავლო თვალი. მაღალ კლდეზე დაშენებული სასახლე ღრუბლებში ატყორცნილიყო და მტკვარს ზედ დაჰყურებდა. სასახლე ხანძარს გადარჩენოდა და ცეცხლისაგან გამოშინებულ, ჩაღამებულ შენობებს შორის სასწაულივით იდგა — ლამაზი და ერთადერთი.

„რა კარგი სასახლე ააგო გოჩი მუხასიძემ!“ — ფიქრობს ვაჩე და მერამდენეჯერ ჩჩრეკს სასახლის ყოველ წვრილმანს. აი იმ სარკმლიდან ჩამავალი მზის შუქი ახლა მის ნახატს ეცემა...

ვიწრო სარკმელი მოულოდნელად გაიღო და ვაჩემ თვალს არ დაუჯერა: სარკმლიდან ანგელოსი გადმოეშვა, ნახევრად შიშველი და თმაგაშლილი. ანგელოსი ფრთების დაურჩევლად მტკვარზე დაეშვა და წყალში უცებვე გაუჩინარდა. კიდევ წამი და იმ სარკმელს მამაკაცი მოაწყდა, ერთი დაბლა გადმოიხედა და შეშინებულმა სარკმელი სწრაფად მოხურა.

ქვეყნად ყველაზე უბედური ქალი დედოფლური პატივითა და დიდებით მიჰყავდათ თავრეზისაკენ.

ორი ძმა თბილისში დასტოვა სიკვდილის პირას, ქმარი მტერს ჰყავდა ტყვედ, ხოლო ერთადერთი შვილი უპატრონოდ დარჩა მტრისაგან აკლებულ, ცეცხლმოდებულ ქალაქში.

შეპყრობის პირველი წუთებიდანვე თავის მოკვლას ფიქრობდა ბედშავი ცაგო, მაგრამ საგანგებოდ მიჩენილი მცველები ფხიზლობდნენ, წამითაც არ ამორებდნენ თვალს. რაკი თავი ვერაფრით მოიკლა, გადაწყვიტა უსმელ-

უქმელობით მომკვდარიყო. ერთხანს სმა-ჭამა აღიკვეთა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაუძლო ტანჯვას, ჯერ წყურვილს დაუთმო და მერე, თანდათან, შიმშილსაც.

დაუსრულებელ დარდასა და ფიქრში საიდანღაც იმედის ბატარა შუქმაც იჩინა თავი: თურმანი ჯერ კიდევ ცოცხალია, პავლიაც გამობრუნდებოდა და ბაღს სადმე გადაამალავდა, იქნებ მამუკაც გადარჩეს სიკვდილს და ცაგოს ოჯახმა ისევ ბედნიერად მოიყაროს თავი! მაშ რად იკლავს თავს, რატომ ასწრებს ყველას ცაგო, რად სჩადის ღვთისა და ხალხის საგმობ საქციელს?!

ერთი გული რომ ამას ეუბნებოდა, მეორე იმას ეკითხებოდა, რად მიჰყავდათ იგი ასეთი დიდებით სპარსეთისაკენ. ნამდვილად სულტნის ან მისი ვაზირის ჰარემისათვის აპატიებენ ცაგოს, ხვარაზმელთა მბრძანებლების უამრავ ცოლებს ამოუყენებენ გვერდში და დღეს თუ ხვალ მასაც ნამუსს ახლიან. ამის გაფიქრებაც კი ჰზარავდა. ყველა-

ფერს ავიტან, ყველა ტანჯვას გაუძლებს ქმრისა და შვილის ნახვის იმედით, მხოლოდ ამას კი ვერ შეეურიგდები, უმალ თავს მოვიკლავო, მტკიცედ გადაწყვიტა ცაგომ.

ბრწყინვალე ამაღლის თანხლებით მიდიოდა სამხრეთისკენ საქართველოს ულამაზესი, მაგრამ უბედშავისი ქალი. მეფური ტახტრევნიდან სევდიანად აყოლებდა თვალს უკან დარჩენილ მთა-გორებს, წინ გადამულილ დაუსრულებელ ველებს, ალაგ-ალაგ ბაღებსა და წყალუბვ მდინარეებს. მიდიოდა ცაგო და იმას ფიქრობდა, ალბათ, თურმანიც ამ გზებით წაიყვანესო. ზოგჯერ საშინელ სიცხეში, უდაბნოს აღმურში თორელის ლანდი მოეჩვენებოდა, წამით ტახტრევნიდან ჩამოსვლა და მისი ნაფეხურების დაკოცნა მოუხდებოდა, მაგრამ ჩვენება უმალვე ქრებოდა, ცაგო ტიროდა და ქარავანი მიდიოდა.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ლამე

გაგრძელება იქნება



მთა ჯაღაღი

ს უფრის თავში კაპიტო იჯდა, ბოლოში—მისი ცოლი, აქეთ-იქით—ვაყები და პატარა გოგონა. უხმოდ შეექცეოდნენ ბადრიჯანს. ყველაზე მაღიანად კაპიტო ილუკებოდა.

— პურს ნუ გლეჯთ, დაქვრით ხოლმე, — თქვა კაპიტოს ცოლმა.

პატარა ბიჭმა ჯიბის დანა ამოიღო, გულმოდგინედ გაწმინდა და პურის დაჭრას შეუდგა. ბიჭს ძალიან მოსწონდა დანა, სამი დღის წინ კარგ ხასიათზე დაბრუნებულმა მამამ რომ აჩუქა. ამ სამ დღეში ბიჭმა უამრავი ჯიბი გამოთავა, სადილობისასაც პურს ჭრიდა ხოლმე. მას სიამოვნებდა მამის დაეალება და მოთმინებით უცდიდა კაპიტოს სიტყვებს: „დაქერი, ბიჭო!“ ბიჭი ძალიან პატარა ნაჭრებად ჭრიდა პურს, მერე დანას ტკაცუხით კეცავდა და ჯიბეში ინახავდა.

— ჭამე. გოგო, — თქვა კაპიტოს ცოლმა, — რას იციცქნები.

— ეს არ მინდა.

— აბა რა გინდა?

— არ მინდა, ვაი...

— ვაის მოგცემ მე შენ, — თქვა კაპიტომ, — ჭამე ჩქარა.

გოგონამ ლუკმა ჩაიღო პირში.

კაპიტომ ჭამა დაამთავრა და ოჯახის წევრებს გადახედა.

— დაჩეხე, ბიჭო, შეშა?

— კი, მამა, — მორიდებულად გაუღიმა უფროსმა ბიჭმა.

— ბევრი დაჩეხა?

— კი, ბევრი, — უთხრა ცოლმა.

— ყოჩაღ, ძუკუ, — თქვა კაპიტომ, — წყალი მომიტანე, მალაია.

გოგონამ წყალი მოუბრუნინა.

— ერთიც, — თქვა კაპიტომ. ცოლმა სუფრის ალაგება დაიწყო.

— დიდი გოგო გაიზარდე, — კაპიტო ტახტზე წამოწვა და ასანთის ღერი

კბილებში გაირჭო. მალაიამ ნახატებიანი წიგნი გადაშალა.

— თუთუნი მომიტანე, ძუკუ.
 — ეხლავე, — წამოდგა უფროსი ბიჭი.
 — თ... თ... თო... — ჩურჩულით ეპოტინებოდა მალაია მსხვილ ასოებს.
 უმცროსი ბიჭი თანჯარაში იყურებოდა.
 — რამ გაგაშტერა, ბიჭო?
 ბიჭი შეკრთა, გაწითლდა და მალაიასთან მივიდა. გოგონა მსხვილ ასოებს აუჩქარებლად უმატებდა ერთმანეთს.
 — თო... ხ... თოხ... ი... თოხი! — წამოიძახა მალაიამ და მიმოიხედა. კაპიტომ დაამთქნარა.
 — ხარებს მოვიყვან, მამა.
 — მოიყვანე, ძუკუ.
 — დღეს გაგიძახეს, გოგო? — იკითხა კაპიტომ.
 — არა.
 — შენ, ბიჭო?
 — არა.
 — რავე მისდღემში არ გიძახებენ! — გაბრაზდა უცებ კაპიტო.
 — გუშინ არ გამიძახეს? — თქვა ბიჭმა.
 — რაში?
 — გეოგრაფიაში.
 — რავე მარტო გეოგრაფიაში გიძახებენ.
 ბიჭი ჩუმად იყო.
 — უყვარს გეოგრაფია, — თქვა კაპიტოს ცოლმა. ბიჭმა მორიდებულად გაიღიმა.
 — თ...ი...თი... — ჩურჩულებდა მალაია.
 ბიჭმა ფრთხილად გააღო კარი და ეზოში გავიდა.
 — კისწავლე, — წამოხტა მალაია.
 — სუ! — თითი ტუჩებთან მიიტანა ქალმა. გოგონამ შიშით გაიხედა ტახტი-საკენ. კაპიტო ხვრინავდა.
 — ვითამაშო? — ჩურჩულით იკითხა მალაიამ. დედამ თავი დაუქნია. გოგონა ფრთხილად მივიდა კართან, კარმა გაიჭრიალა და მალაიას ძალიან მოუნდა გაცინება. კარი მიხურა, ძმასთან მიიბრინა და აკისკისდა.
 — რა გაცინებს, გოგო, — გაუღიმა ძმამ.
 — ზურა, დამსვი რა...
 ზურამ გოგონა საქანელაზე დასვა.
 — გამაქანე.
 ბიჭმა გააქანა.
 — უფრო! — დაიყვირა მალაიამ.
 — არ შეიძლება.
 — რატომ?
 — გადმოვარდები, მალაია.
 — არ გადმოვვარდები. მიდი რა...
 — არ შეიძლება.
 მალაია ჩამოხტა და გაიბუტა.
 სახლიდან დედა გამოვიდა.
 — წადი, შვილო, ინდაურები მოიყვანე.
 ბიჭმა რაღაც წაიბუზღუნა.
 — სად არიან?

- ქალაში იქნებიან. სად მიდიხარ?
- წიგნს წავიღებ.
- წაიღე, შვილო...

ქალა, სადაც ინდაურები ბალახობდნენ, პატარა მდინარესთან თავდებოდა. მდინარის იქით მინდორი იყო, მერე — ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთა. ბუჩქ მოწყენით უყურებდა ნაცნობ ადგილებს. უმზერდა მთას და არ იცოდა, რა იყო ამ მაღალი მთის გაღაღმა.

გეოგრაფიის სახელმძღვანელო რუკებით იყო აპრელებული. ბიჭი ფურცლავდა წიგნს და ეძებდა ყველაზე წვრილი ასოებით დაბეჭდილ სტრიქონებს. ამ სტრიქონებში ბევრი რამ იყო საინტერესო. ბიჭი კითხულობდა წიგნს და სტრიქონებს შორის ხედავდა უზარმაზარ ქალაქებს, უზარმაზარი სახლებითა და ქუჩებით. სტრიქონებს შუა მიედინებოდნენ დიდი მდინარეები და იდგნენ მარადი თოვლით დაფარული მწვერვალები. ჩანდა გაუვალი ტყეები და მამაცი მოგზაურები... ვულკანები შავად ბოლავდნენ და ოკეანეში აისბერგები ტივტივებდნენ... მწვენი ჯუნგლებში ვეება სპილოები მოაბოტებდნენ. მზეზე ლაპლაპებდა მკვდარი ტბები, იგრძნობოდა ზღვის სუნთქვა და განმარტოებით იდგა უზარმაზარი ხე — სეკვოია...

ბიჭმა გაიხედა.

ქალა პატარა მდინარესთან თავდებოდა. გაღმა მინდორი იყო, მერე ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთა...

ბიჭი კითხულობდა.

„ვენეცია ყურადღებას იპყრობს თავისი მღებარეობით“, — ეწერა წიგნში წვრილი ასოებით. — „იგი გაშენებულია მრავალ (ასზე მეტ) პატარა კუნძულზე, სადაც სახლები წყალში დგას; ქუჩების მაგივრად არხებია; არხებზე ნაოსნობა გონდოლებით — ბრტყელძირიანი ნაევებით წარმოებს; ნიჩბიანი მეგონდოლე ნავის ბოლოში — კიჩოსთან დგას“.

მერე მსხვილი ასოებით ეწერა: „იტალიის მეურნეობის მთავარი ნიშნები“.

ბიჭმა გაიხედა და დაინახა:

ისევ ის მდინარე.

იგივე ქალა.

ისევ ის ეკლიანი ბუჩქებით დაფარული მთა.

კაპიტომ კარგ ხასიათზე გამოიღვიძა.

— წყალი დამალევიწე, გოგო...

მალიამ წყალი მოურბენინა.

— გაიზარდე.

კაპიტო აივანზე გამოვიდა და ცოლს შეხედა. მერე ვენახს მოავლო თვალი და გაიღიმა. — წელს კარგი მოსავალი გვექნება.

ზურამ ეზოში ინდაურები შემოიყვანა. იგი ისეთი მოწყენილი იყო, კაპიტო შემოთღა.

— ინდაურები ხომ არ დაკარგე, ბიჭო?

— არა.

— ორი, ოთხი, შვიდი, ათი... — დათვალა კაპიტომ. — სწორია, კარგად მოუარე, შვილო.

— კარგი, — უპასუხა ბიჭმა.

ზურა სკოლიდან მეზობლის ბიჭთან ერთად ბრუნდებოდა. ორივე მეექვსე კლასში სწავლობდა.

სანამ სკოლაში მიაბარებდნენ, ზურა ეზოდან იშვიათად გადადიოდა; მამას და ძმას უკან დასდევდა და ფეხებში ებლანდებოდა. ისინი ბუზღუნებდნენ. დედა ეფერებოდა, იშვიათად თუ გაუწყრებოდა ხოლმე.

მასთან მეზობლის ბიჭი მოდიოდა და თამაშობდნენ. ხანდახან ჩრდილში წამოწვევობდნენ, ღრუბლებს უყურებდნენ ხოლმე. ზურას ღრუბელი რბილი, ნაზი და თბილი ეგონა. დედის ალერსი ღრუბლებში ყოფნას ჰგავდა.

ირგველივ ბევრი რამ უცნობი იყო.

— მამა, იმას რა ჭკია?

— რა ჭკია და ჭადი.

— ცისარტყელაა, შვილო, — ეტყოდა დედა.

მამას აღარაფერს ეკითხებოდა.

ერთხელ მეზობლის ბიჭთან ერთად მაღალ ხეზე აცოცდა და შინ ტანსაცმელშემოხეული დაბრუნდა.

კაპიტომ მკლავში წაავლო ხელი.

— სად დაიხე ხალათი, ბიჭო?

— ხეზე ავედი.

კაპიტომ თავში წაჰკრა.

ბიჭმა წყენით შეხედა მამას.

ეზოში ხალხი შეგროვილიყო. აივანზე თოფიანი კაპიტო იდგა და სახეზე ბრაზნარევი სიხარული ეტყობოდა.

ზურამ წრე გაარღვია და ძირს დაიხედა. მიწაზე ქორი ეგდო.

ქორი ნაღვლიანად იყურებოდა. სისხლი წვეთავდა მოტეხილი ფრთიდან. მოკაუჭებული ნისკარტი მიწაზე დაედო; ბრიალა, სისხლიანი თვალეები ჰქონდა. მზერა არ გამოხატავდა ტკივილს; ქორის თვალეებში ნაღველი ჩანდა.

მაღაია შეშინებული თვალეებით უყურებდა ქორს. კაპიტოს ღმინილი დასთამაშებდა სახეზე.

ზურამ მამას ახედა. კაპიტომ შვილს თვალი აარიდა და ხალხისაკენ გაიხედა.

— მანე ფრინველია, — თქვა კაპიტომ.

ზურას შეეცოდა სისხლში ამოსვრილი ქორი.

— გადარჩება? — იკითხა ვილაცამ.

კაპიტომ თოფი მოიმარჯვა — გამოიწიე, ბიჭო.

— ნუ მოკლავ, მამა...

— გამოიწიე, ვის ვეუბნები მე!

— ნუ მოკლავ მამა, ცოდვია...

— მაინც მოკვდება, — თქვა ვილაცამ.

— ტყვილა ნუ გააფუჭებ ვაზნას, კაპიტო...

კაპიტო დაფიქრდა.

— როგორ მოარტყი, კაცო, იმ სიმაღლეზე.

კაპიტომ გაიღიმა.

— სადმე გადაავდე, ბიჭო...

ზურამ ქორი ხის ყუთში ჩასვა. ზემოდან ფიცარი გადააფარა და დიდი ქვე-
ბი დალაგა. სახლიდან პური გამოიტანა და ყუთში ჩაავლო. ყუთი თივის ზვინს
ამოათარა, მამას რომ არ შეემჩნია.

ქორმა ნაღვლიანად დახედა პურის ნატეხებს. მოტეხილი ფრთა სისხლში
ჰქონდა ამოსვრილი.

ბიჭი იჯდა და ქორს უყურებდა.

საიდანღაც მოფრინდნენ დიდი, მწვანე ბუზები და ჭრილობაზე დაასხდნენ.
ქორმა თავი მიაბრუნა და ფრთა შეარხია.

ბიჭს გაელიმა.

— წადი შვილო, ინდაურებს მიხედე.

ზურა შეიკმუნა.

— წადი, შვილო.

— წყალს მოგიტან.

— გვაქვს.

— შეშას დაგიჩეხავ.

— ძუკუმ დაჩეხა.

— არ მინდა ინდაურებთან.

— წადი, შვილო, — მოეფერა ქალი, — წადი, ღედა გენაცვალოს...

... ბიჭს ინდაურებისთვის ზურგი შეექცია.

ჰალა...

მდინარე...

მთა...

გეოგრაფიის სახელმძღვანელო გაახსენდა. ეწყინა, რომ წამოღება დაა-
ვიწყდა.

ბიჭი გულაღმა დაწვა.

ცაზე წყალში ჩამდგარი კობტა ოდა-სახლები გამოჩნდა. წყალზე მიცურავ-
და ლამაზი ნაეი; ნაეზე ნიჩბიანი მეგონდოლე იდგა. მალე ეს ყველაფერი ცარ-
ციტ დაწერილივით აღვილად წაიშალა და ახლა უზარმაზარი ხე — სეკვოია გა-
მოჩნდა....

მერე დაინახა მთა, რომლიდანაც ბოლი ამოდიოდა. ვულკანის დანახვამ გაა-
ხარა. ეკლიანი ბუჩქებით დაფარულ მთას მიაჩერდა.

მთიდან არ ამოდიოდა ბოლი.

ზურა წამოდგა და გაიხედა.

ისევ ის მდინარე...

იგივე ჰალა...

იგივე მთა...

„რა არის იქით, იმ მთის გადაღმა?“

ბიჭი უყურებდა მთას. მთა წამოვიდა და ბიჭს გაუკვირდა. მერე მიხვდა,
რომ თვითონ მიდიოდა.

... ბიჭი მთაზე აღიოდა. ტანზე ეკლიანი ბუჩქები ედებოდა, ფეხი უსხლტე-
ბოდა. პირი გაუშრა. მძიმედ სუნთქავდა.

მუხლი მოეკვეთა, მაინც ზევით მიიწევდა. დაკარგული თითებით ებლაუქე-
ბოდა ბუჩქებს.

... ბიჭი მთაზე იდგა და იყურებოდა.

ქვევით პატარა სოფელი ჩანდა. სოფლის შემდეგ დიდი ველი იყო. მერე მთა. ზურამ ვერ დაინახა ვერაფერი ახალი და მოუნდა იმ მთაზე ასვლა. დადლილ ფეხებზე დაიხედა.

მაშინ ინატრა ფრთები და ხის ყუთი გაახსენდა.

სწრაფად დაეშვა ძირს. ხალათი ეკლიან ტოტს წამოედო და გადაიფხრია.

ქორს ყუთიდან თავი გამოეყო და ნაღვლიანად უყურებდა ცას. პურის ნატეხები ისევ ყუთში ეყარა.

„იქნებ ხორცი ჭამოს“...

ზურა ოთახში შევიდა. დედამ შეხედა და შეჰკვივლა.

კაპიტო წამოდგა.

— სად იყავი, ბიჭო...

— მთაზე ავედი.

— რა გინდოდა! — კაპიტომ გასარტყმელად შემართა ხელი.

შვილმა თვალი გაუსწორა.

კაპიტომ ძირს დაუშვა ხელი.

ქორი ნისკარტით გლეჯდა ხორცს და ჭამდა. ზურამ ყუთში წყლით სახვეჯამი დაუდგა. დედას ბამბა გამოართვა, არაყში დაასველა და ქორს ჭრილობა გაუსუფთავა. ზურა უყურებდა ჯანსაღ ფრთას, რომლითაც ქორს შეეძლო ერთი მთიდან მეორეზე გადაფრენა, შეეძლო წასულიყო ძალიან შორს, აფრენილიყო ძალიან მაღლა.

ქორს ყველგან წაიყვანდა ფრთები, სადაც მოისურვებდა. ამ ფრთებით შეიძლებოდა მიფრენა იქ, სადაც მართლა ბოლავდნენ ვულკანები, ჰქროდა სამუმი, ტივტივებდნენ აისბერგები და იქაც, სადაც იდგა უზარმაზარი ხე — სეკვოია.

ზურამ ყუთს თავი ახადა. ქორი არ გაფრენილა — ხტუნვა-ხტუნვით ბუნქებში მიიძალა.

ზურა იყურებოდა ცაში და ქორის გამოჩენას უცდიდა.

ფრინველი არ ჩანდა. დრო გადიოდა, ბიჭი მაინც არ ჰკარგავდა იმედს.

ქორი ირაოს აკეთებდა ჰაერში.

ბიჭის მზერა ქორს მისდევდა და ცაზე იხატებოდა უზარმაზარი ქალაქები, მზეზე ელავდა დიდი, დათოვლილი მთები და ზღვაში აისბერგები ტივტივებდნენ. ფრთების მოქნევის დროს ისმოდა ჩანჩქერის ხმაური და ტბა ლაპლაპებდა.

ბიჭი იყურებოდა და ხედავდა ყველაფერს, რაც წვრილი ასობით დაბეჭდილ სტრიქონებში იყო აღწერილი.

ზურას უხაროდა, რომ არ იყო მარტო. ყიჟინით მისდევდა ქორს, იცინოდა და ხელებს იქნევდა.

დიდხანს ირბინა ასე.

უცებ შეჩერდა. გაცეცხით შეხედა ბუჩქებს, სადაც ჩავარდა ქორი და გაახსენდა, რომ სროლის ხმაც გაიგონა.

აივანზე თოფიანი კაპიტო იდგა.

— შენ ესროლე? — ხმადაბლა ჰკითხა ბიჭმა.

— ხო.

— რატომ?

კაპიტომ საჭიროდ არ სცნო პასუხის გაცემა.

— რატომ მოკალი! — დაიყვირა ბიჭმა.

— გაგიყედი, ბიჭო?

ზურა უახლოვდებოდა აივანზე მდგარ მამას; თავი მალლა ჰქონდა აწეული. ცაზე არაფერი არ ჩანდა.

— ჭუყები რომ არ მოეტაცა, არა? — დაუყვირა ზურამ.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — შეერთა კაპიტო.

ზურამ ქვას დაავლო ხელი და გაიქცა. ხელი მოიქნია, მაგრამ ინდაურმა გვერდზე გახტომა მოასწრო. ბიჭი შემოტრიალდა და მამას შეეჩეხა.

კაპიტოს ბრაზით ანთებოდა სახე. ხელი მოუქნია და გააბრტყა.

*

გომურში თივაზე მიგდებულ ბიჭს დედის კალთაში თავი ჩაედო და ტიროდა. დედა ეფერებოდა და ბიჭს გაახსენდა ღრუბელი. მერე გაახსენდა ქორი.

— დედა, შენი ჭირიმე, დედა, რატომ მოკლა?

— დაწყნარდი, შვილო.

— დედა, რატომ ესროლა, რატომ მოკლა?

— კარგი შვილო, ნუ ტირიხარ, ვაჟკაცი არა ხარ?

ბიჭმა ცრემლები მოიწმინდა.

— რატომ მოკლა, დედა?

— დაწყნარდი, შვილო. იქნებ არც მოუკლავს.

— იქნებ გადარჩეს, არა? იქნებ გადარჩეს, დედა, ერთხელ ხომ გადარჩა?

— კი, შვილო. გადარჩება, აბა რას იზამს.

ბიჭმა გომურის კარი გააღო.

მთა იყო ძალიან შორს და იგი ძლივს არჩევდა ბუჩქებს, სადაც ქორი ჩავარდა. ზურამ თვალეზი დახუჭა და მაშინვე დაინახა ქორი; იგი ეკლიან ბუჩქთან ეგდო, ნალვლიანად იყურებოდა სადღაც და თითქოს არც ამჩნევდა სისხლს, მოტეხილი ფრთიდან რომ წვეთავდა. მერე ქორმა ჭრილობას დახედა და ფრთა შეარხია.

ბიჭმა თვალეზი გაახილა.

იგი უყურებდა მთას და იღიმებოდა.



გიორგი ქავთარაძე

ქრონიკა ზინაურები

(სამი წელი ფაშისტურ ტყვეობაში)

უცხოეთში ყოფნის დროს ვფიქრობდი: თუ სამშობლოში დაბრუნება მეღირსებოდა, პური, წყალი და მარილი თუ მექნებოდა, სხვა სანატრელს აღარ ვინატრებდი და ჩემს თავს დიდად ბედნიერ აღამიანად ჩავთვლიდი.

ამისრულდა ნატვრა. დაებრუნდი ჩემს გამარჯვებულ სამშობლოში.

დავადგი თუ არა ფეხი ჩემს შშობლიურ მიწას, უნდა ვაღიარო, რომ პირჯვარიც კი გადავიწერე, ვეამბორე თბილისის მიწას და როგორც ბავშვს შერჩება სველ ტუჩებზე შაქრის ნამცეცები, ისე შემრჩა პირზე ჩემი მიწის მხურვალე მტვერი. მიწაზე დახრილს სამშობლო დედის გულისცემა მომესმა, შინისაკენ ბედნიერი გავეშურე და ახალი დარდი არასასიამოვნო თანამგზავრივით ამედევნა. ვფიქრობდი: ნეტავ რა ამბავია ჩემს ოჯახში? როგორ გადაიტანეს ეს დაწყევლილი ომი? ღმერთო, დამიფარე, ცუდი ხომ არაფერი მომხდარა? დღიდან ომში წასვლი-

სა, ოჯახსა და ახლობელ ადამიანებზე არაფერი ვიცოდი.

რა უსაზღვრო, რა დაუქმყოფილებელი რამაა ადამიანის სურვილები. რა აღუვსებელი რამ ყოფილა ადამიანის მუდამ დაუმცხრალი გული.

ჩემი სამშობლოს პური, წყალი და მარილი არ მეყო. ახალი სურვილები დამებოდა. ეს სურვილები თანდათან იზრდებოდნენ, ძლიერდებოდნენ, არ მასვენებდნენ, რაღაც მაწვალებდა ცხადდ თუ სიზმრად. ვამჩნევდი: როდესაც ჩემს განცდილსა და ნახულს ვიხმეს ვუამბობდი, რაღაცნაირ საოცარ სიამეს ვგრძნობდი. ბოლოს აღარც ეს მეყო, ვეღარ შევძელი დუმილი და დავარღვიე, გავტეხე ჩემი აღთქმა, მოვკიდე ხელი კალამს და შევეუდექი მეტად მძიმესა და სასიამოვნო საქმეს. გადავწყვიტე, მეამბნა ჩემს თანამემამულეთათვის, მკითხველთათვის, რაც ვნახე, რაც განმაცდევინა ხალხთათვის საქულველმა ომმა ფაშისტურ გერმანიაში სამი წლის ტყვეობის განმავლობაში.



დაიწყო თუ არა სამამულო ომი, მე, როგორც სამხედროვალდებული — ადმინისტრაციული დარგის მეთაური, გამოცხადდი ჩემი რაიონის სამხედრო კომისარიატში. სამხედრო სამსახურში დროებით თბილისში დამტოვეს.

ომის დროს ადმინისტრაციული დარგის სამხედრო მეთაურები ბევრნი აღმოჩნდნენ, ფრონტს კი მებრძოლი ოფიცრები სპირდებოდა. ექვს თვეში დაემათაერე თბილისში ფეხოსანთა სამწყობრო მეთაურთა სამხედრო სკოლა და 1942 წლის 21 ივნისს, უმცროსი ლეიტენანტის წოდებით სხვა ახლად-დამთავრებულ ოფიცრებთან ერთად ფრონტზე გავემგზავრე.

ახალი დადამებული იყო. ეშელონის საკმლიდან ვხედავდი, თუ როგორ მოგვდევდა თბილისის ცაზე ფარივით დაკიდებული, მუდამ გულგრილი, ზაფხულის ჯერ დაუმცხრალი მთვარე.

ჩემთან ერთად ფრონტზე მიმავალ ზოგიერთ ოფიცერს ომამდეც ვიცნობდი, დანარჩენები კი თბილისში ჩემთან ერთად სწავლობდნენ სამხედრო სასწავლებელში. არც ერთი მათგანი არ იყო ჩემი ახლო მეგობარი, მაგრამ მათ ისე დაეუახლოვდი, ყველა ერთად ჩემი ღვიძლი ძმებივით შემოიყვარდა.

თბილისში, უმცროს ლეიტენანტთა სამხედრო სკოლაში, სამხედრო ტაქტიკას გვასწავლიდა ერთი ოფიცერი გვირად სავჩენკო, ეროვნებით უკრაინელი. სწავლის დროს მკაცრი და მომთხოვნი იყო. მეცადინეობას რომ მოვრჩებოდით, უცებ გამოიცვლებოდა და მეგობრულად გვეპყრობოდა.

ოფიცერი სავჩენკო თბილისში დარჩა დროებით. გამომშვიდობებისას კეთილი და აღურსიანი თვალებით გვიცქერდა, თითქოს ჩვენთან პირშერცხვენილიც კი იყო. სრულიად ახალგაზრდას თეთრი პუნტულა ლოყები შეფაკლოდა, უნდოდა ყველას გამოლაპარაკებოდა; მოვიდოდა, ისეთ რამეს იტყოდა, რაც სულ არ შეეფერებოდა ომისა და ფრონტის ამბებს, დახრიდა

თვსა და გაგვმორდებოდა. მისი ყოველი მიხრა-მოხრა, მისი საქციელი გვეუბნებოდა, რომ ჩემი სიქაცრე სამხედრო სკოლაში საქმისათვის და ისევ თქვენთვის იყო საჭირო.

იგი პირადად ჩემს ხსოვნაში დარჩა, როგორც ნამდვილი ძმა და მეგობარი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კეთილდღეობისთვის ზრუნავდა.

სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგამომშვებულმა ოფიცრებმა ფული შევავაროვეთ და ლეიტენანტ სავჩენკოს, ნიშნად პატივისცემისა, საათი ვუყიდეთ. იშვიათად მინახავს საჩუქრით ისე გახარებული ადამიანი.

ნამდვილად საჩუქარმა კი არა, იგი უფრო სხვა რამემ გაახარა. დახედა მან ჩვენს მიერ მიძღვნილ მაჯის საათს, თეთრყიბშიზ სახეზე უფრო მეტი სიწითლე წამოეპარა. მე მგონია, არ მივაყენებ შეურაცხყოფას მის ვაქაცობას, თუ ვიტყვი, რომ გული აუჩუყდა და ცრემლები მოერია, სივრცეში გაიხედა, ვერაფერი თქვა, გატრიალდა და წავიდა.

ფრონტზე მიმავალი ეშელონის წინ სავჩენკო ნერვიულად, ხშირ-ხშირად დაპყურებდა ჩვენს მიერ ნაჩუქარ მაჯის საათს. დგებოდა ეშელონის წასვლის დრო, დრო ბევრი ჩვენთაგანის სამუდამო განშორებისა.

სავჩენკო ომის დროს თბილისში გარდაცვლილიყო უეცარი სიკვდილით. მისი გული საათზე ადრე დადუმებულიყო. მისი საათი კი ვინ იცის, იქნებ ისევ ცოცხალია და ისევ გულგრილად ითვლის ქამთასვლას.

ჩვიდმეტი დღე და ღამე ვიყავით ეშელონში. ჩავედით უკრაინის ქალაქ სტარობელსკში, გავმართეთ ვაგონებში დიდი ხნის მგზავრობით დახუთული მუხლები.

ქალაქი ცეცხლის დროშების ფრიალით შეგვხვდა. იწვოდა სტარობელ-

სკი. საზარელი და გაუმაძღარი ხანძარი მალა აღმართულიყო, გაშმაგებულ მადით ცის შთანთქმასაც ლამობდა. დაუბერავდა ქარი ავარდნილ ალსა და კვამლის ღრუბლებზე ატლასად აფენდა. ქარი ოდნავ შენელებოდა და ისევ ხანძრის მთები აღიმართებოდნენ. ცეცხლის უზარმაზარი ენები ლოკავდნენ უკრაინის ცას.

იწვოდა შენობები, იწვოდა ყველაფერი. სწვადნენ თვითონვე სტარობელსკელები სურსათ-სანოვაგეს, სწვადნენ პურს, რათა მტერს არ დარჩენოდა.

ესეც შენი ომი, ვთქვი გულში, რას მოვესწარი?

მომავონდა, სად მომავონდა? — ერთხელ, ომაჰდე, სოფლად, გლუხს ურძით ხორბალი მიჰქონდა, უცებ ტომარას თავი მოეხსნა და ხორბალი დაებნა. მისი შეწუხებული სახე ახლაც კი მახსოვს. თვალწინ დამიდგა იმ ორომტრიალში. აქ კი რამდენი ხორბალი იწვის!

შშვენიერი უკრაინა არასოდეს არ მენახა და ცეცხლმოდებულს რომ ვუცქერდი, გული მიწუხდა. ყუმბარების ძეხთა ცემა და არტილერიის გუგუნი მიწას აზნაზარებდა. ნეტავ ისე მაინც მომხდარიყო, რომ ფრონტზე მისვლისთანავე ჩავბმულიყავით ბრძოლაში. ჩვენ კი ჯერჯერობით უსაქმოდ დავებტებოდით და უფრო მწვავედ განვიცდიდით ომის საშინელებას.

მაშინ მტერი ახალი აწყვეტილი იყო და, როგორც ყველა პირველად თავდასხმელ გოეს, წარმატებებიც ჰქონდა. პირველად ტყვიების სეტყვამ, ყუმბარებისა და თვითმფრინავების განუწყვეტელმა გუგუნმა შეგვაშფოთა, მაგრამ ჩქარა მივეჩვიეთ და შემდეგ სხვანაირად ვედარც კი წარმოგვედგინა.

ივლისი იყო. ცხელოდა. ამხანაგებმა ხანძრისაგან განათებულ ღია ცის ქვეშ გავათიეთ პირველი ღამე. ვერ დავიძინე. არასოდეს არ დამავიწყდება ის საოცარი ღამე. ვხედავდი, როგორ ეთამაშებოდა და ანათებდა ბრიალა

ალი მძინარე ამხანაგების პირქუს სახეებს.

გათენდა, მაგრამ გადაშწვარი ქალაქებისა და სოფლებისათვის ისევ ღამე იდგა. ყველაფერი ბოლში გახვეულიყო და სადაც კი ცეცხლს თავისი საკბილო ეშოვნა, შთაენთქა; მარტო გარუჯული ქვის კედლები დარჩენილიყო.

აღრე წამოვდექით, შინიდან წამოღებული თითო ჰიქა არაყი გადავკარით, თითო ლუქმა პური ძლივს ჩავყლაპეთ და ჩვენი პოლკის ძებნას შევუდექით. პოლკი, როგორც ამბობდნენ, სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო ტყის შეხამებულ; იარაღი უნდა მოეცათ, მებრძოლი ჯარისკაცები უნდა ჩაებარებინათ ჩვენთვის და ჩავბმულიყავით ბრძოლაში.

აღნიშნული პოლკის საქებნელად ოთხი კაცი გავემართეთ: მე, დათიკო ჩახავა, ვასო ლოსაბერიძე და იოსებ მანაშეროვი.

რამდენიმე დღეს ვიარეთ უკრაინის ველ-მინდვრებზე და როგორც იქნა წავაწყდით ჩვენი მომავალი ნაწილის მხოლოდ სატრანსპორტო ბატალიონს. გაგვხარდა. მათ კარგად მიგვიღეს, გვიტბრეს, რომ თვითონაც მოწყვეტდნენ პოლკს და ახლა ჩვენსავით ეძებდნენ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მგონი აღარც კი ეძებდნენ, ვინაიდან ის პოლკი მთლიანად განადგურებულიყო. ჯერ მაინც შტაბი უნდა მოგვენახა და შემდეგ ახალშედგენილ პოლკში გავგანაწილებდნენ.

განვავრძეთ გზა. ახლა უკვე მარტონი აღარ ვართ, სატრანსპორტო ბატალიონს მივეკედლეთ. თბილისიდან წამოღებული ჩემოდნები რომ გვქონდა, უკრაინელ ქალებს ვაჩუქეთ, სამაგიეროდ ზურგჩანთები გვიშოვნეს, მოხერხებულად მოვირგეთ ზურგზე და შევებით ამოვისუნთქეთ. მინდვრად უპატრონოდ გაშვებულ უბელო ცხენებს წავაწყდით, დავიჭირეთ და მოვევლეთ

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ზურგზე. ზოგიერთები სატრანსპორტო ბატალიონის ორთვალეებზე დასხდნენ და კვლავ შეეუდღეთ პოლკის ძეგნას.

ისევ ამხანაგებისაკენ მიმიწევს გული. მინდა მათთან ახლოს ვიყო, ვისაუბროთ. აბა რა ვადაივლის ამ ვრცელ ველის დღემილით; თვალიც კი იღლება ერთი გადახედვით.

— მოდი, გოგი, ჩვენთან! — მეძახის მუდამ ხალისიანი და ოხუნჯი ვასო ლოსაბერიძე. მეც ეს მინდოდა; რომ არ დაეძახნა, მე მაინც მივიდოდი მათთან. მივეშურები ამხანაგებისაკენ. დათიკო ჩახავა დაღვრემილია, ვაფანჩულ წარბებში თვალები ძლივს და მოუჩანს, ისიც გვიერთდება და იშორებს გულის წუხილს. სოსო მანაშეროვიც მოაჩაქჩაქებს ჩვენსკენ ცხენს. ვასო ლოსაბერიძე ჩურჩულით მეუბნება: სოსო მანაშეროვი იერუსალიმში მიმავალ იესო ქრისტეს ჰვავსო. ვხარხარებთ. მანაშეროვი კარგ ტაიქს ნატრობს და ამბობს: — კარგი ტაიქი რომ მომცა, მაშინ კი ტარიელს დავემსგავსებო. სულ რამდენიმე დღეში ისე შეგვყვარებია ერთმანეთი, რომ მეტი აღარ შეიძლება. ომშიაც ერთად ვაპირებთ ბრძოლას, თბილისშიც ერთად გვინდა დაებრუნდეთ. სამხედრო სკოლაში არ ვყოფილვართ ასე დაახლოებული ერთმანეთთან. აქ კი ყველა კარგია, ყველა საყვარელი. ნეტავ რად მქონდა იმ დღეს ისეთი დაუმცხრალი სურვილი მათთან ახლოს ყოფნისა, რად მივისწრაფოდით ასე გულით ერთმანეთისაკენ? ალბათ იმიტომ, რომ თურმე ის დღე უკანასკნელი იყო. მას შემდეგ არც ერთი მათგანი აღარ შემხვედრია და დღემდის მაწვალებს მათი ბედი.

გავიარეთ ის თვალუწვდენი ველი, შემდეგ ტყე. იმ ტყეში რალაც უცნაური, თერთნანიანი ხეები შევნიშნე. ასეთი ხეები არასოდეს არ მენახა, თურმე არყის ხეები ყოფილა! ანთებული სანთლებივით ჩანდნენ პირქუში მუხებისა და სხვა ხეების ჯარში გარეულნი. მაშინ მივხვდი, ასეთი სიყვარულით რატომ უმღერიან რუსი და უკრაინელი პოეტები ამ მშვენიერ არყის ხეებს.

ტყის შემდეგ კიდევ ერთი ტრიალეელი გამოჩნდა.

ამ უზარმაზარ ველზე ყოველი მხრიდან მოედინებოდა ყველა სახის ტრანსპორტი, ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, ცხენოსნები და ფეხოსნები, არტილერია და კავალერია, ორთვალეები და ოთხთვალეები. ახლაც თვალწინ მიდგას ზარბაზნის კოფოზე მჯდარი რუსი ქალიშვილი. არ ვიცი, სანიტარი იყო თუ ექიმი, მეზენიტე თუ მშვერავი. მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო, ისე გამოიყურებოდა, რომ მხნეობასა და გამბედაობას შეგმატებდათ.

გავიარეთ ერთი სოფლის ახლოს. გზის ნაპირას პატარ-პატარა ხუხულა სახლები იყო ჩამწყკრივებული. იმ ხუხულა სახლების წინ ნეკისოდენა უკრაინული ჯიმის მხესუმზირები დახვავებულნიყო. მე, როგორც ყველაზე უმცროსს, ჩემმა ამხანაგებმა მეგობრულად დამავალეს, მომეტანა მხესუმზირა. ცხენები დიდი ხნის გაშვებული გყავდა, ორთვალაზე ვისხედით. ამხანაგებს უნდოდათ თავი შეექციათ მხესუმზირით, თუმცა რა დროს თავის შექცევა იყო, საკმელი არ გაგვჩნდა, გვშიოდა.

უარი ვერ ვთქვი. ჩავედი, ავახსე ჩემი პილოტურა და სანამ ამხანაგებთან მივალწევდი, მოულოდნელად დაგვესხნენ მტრის თვითმფრინავები და ყუმბარები სეტყვასავით დაგვაყარეს. ის დიდი ზღვა ველი ჯერ ერთ მთლიან ტალღად აღიმართა, შემდეგ დაეშვა და კოლბოხევივით დაიმსხვრა.

აირ-დაირია ყველაფერი, მხესუმზირით ავისილი პილოტურა უაზროდ დავიხურე და ჩემთვის საკმელად მუდამ საქულველი მხესუმზირის მარცვლები თავზე გადავიყარე.

გავეშურე ამხანაგებისკენ, მაგრამ ამოდი. იმ ადგილზე, სადაც ისინი დავტოვე, ორი წაქცეული ცხენი დამხვდა, ორთვალა ვადაბრუნებული ევლო და ზედ დაწყობილი ბარგი-ბარჯანა, ყუმბარებისა და ტყვიების ყუთები ირგვლივ მიმოფანტულიყო. გაოგნებული ვიდექი და თვალებით ვეძებდი ამხანაგებს. მეორედ მოფრენილმა თვით-

მფრინავებმა მაიძულეს გავქცეულიყავი და მიმეტოვებინა ჩვენი საშუალო დაშორების ადგილი.

დავკარგე ამხანაგები: დათიკო ჩახავა, ვასო ლოსაბერიძე და სოსო მანაშერივი.

დავრჩი მარტო, შეტისშეტად დადარდიანებული. თუმცა მერე ათასი ტანჯვა მხვდა წილად, მაინც ამხანაგების დაკარგვა და მარტო დარჩენა, ის პირველი განსაცდელი ახლაც ყველაზე მძიმედ შეჩვენება.

მათ რა უჭირთ-შეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის, თუკი საწყალი ბიჭები სიკვდილს გადაურჩნენ, სამივენი ერთად იქნებიან, ერთმანეთის გამამხნეველებად და იმედად. მე კი მარტო დავრჩი გუნდს ჩამოშორებული წეროსავით.

ჩემს დღეში ერთი ლენინგრაძელი რუსი ახალგაზრდა ოფიცერიც იყო. მასაც ჩემსავით დაკარგოდა ამხანაგები, ისიც ჩემსავით ახალი მოსული იყო ფრონტზე. ძალიან ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა ჩანდა, კოხტად იყო ჩაცმულ-დახურული, თან გამოპყლოდა ლენინგრადული ბრწყინვალეობა. ჩვენ პირველი გაცნობისთანავე დავუახლოვდით ერთმანეთს. ვფიქრობდი, რომ ჩვენ სიკვდილის გარდა ვერავითარი ძალა ვერ დაგვაშორებდა. არიან ადამიანები, რომელთაც არასოდეს არ დაუწერიათ ლექსი და მაინც პოეტები არიან. სწორედ ასეთი იყო ჩემი ლენინგრადელი მეგობარი. რომ ლაპარაკობდა, მეგონა, დიდი ოსტატობით დაწერილ ურითმო ლექსს მიკითხავდა.

იგი ჩემს გვერდით ტყვეობაში გარდაიცვალა, ისე რომ ჯერ კიდევ არ ეგრძნო ტყვეობის ჯოჯოხეთური პირობები. პერანგისამარა და ფეხშიშველა მოკვდა, სიკვდილამდე გაძარცვეს პოლიციელებმა. სიკოხტავის ნიშან-წყალოც კი აღარ შერჩენოდა, მხოლოდ მისი გრძელი და ლამაზი ხელის თითები კიდევ უფრო გამშვენიერებულიყვნენ.

დაღამდა და ომის ორომტრიალი დამის სიბნელეში შთაინთქა.

მივედით ერთ სოფელში. მტრის შემოსვლის შიშით სოფელი თითქმის

მთლიანად ტყეში გაბიზხულიყო. დავისვენეთ ვილაც უკრაინელი გლეხის ხატასთან. კარგი დასვენება კი გამოგვივიდა: უპატრონოდ მიტოვებული საქონლის ბღაველი, ძაღლების ყძულილი და ქათმების კრიახი ყუშბარების ხმაურზე უარესად გვეჩვენებოდა.

სახლთან თივა ეყარა და უხმოდ მივეგდეთ ღამის გასათევად. ბნელოდა, მაგრამ სიბნელეს ყუშბარების გადაქროლვა წამდაუწუმ უხელდა თვალს. ათასნაირი განცდისაგან დაწეწილი ნერვები არ გვაძინებდა. ძილი და დასვენება კი საჭირო იყო, რათა სახვალიო საქმეს მხნედ შევგებებოდით.

როგორც წესი მოითხოვდა, ჩვენ ახლადჩამოყალიბებული პოლკის ნაწილს შევეუერთდით.

ახალი პოლკიც უკან იხევდა. ჩვენ მათ უიარაღოდ შევეგებეთ. ვაუკვირდით, ავუსხენით მდგომარეობა, შეგვაიარაღეს და ოცუელებიც ჩაგვაბარეს. მაშინვე ჩავებით ბრძოლაში.

ბრძოლის დაწყებამდე უფრო მშფოთვარე დღეები გვქონდა. ვიგრძენი თუ არა ჩემი თავი სრულუფლებიან მეომარ მეთაურად, რაც პირველი ტყვიის გასროლამ დამიდასტურა, მთელი ჩემი სევდა-ნაღველი, შეიძლება ითქვას, შიშიც, ჩემს პირველ გასროლულ ტყვიას გაჰყვა.

ჩემი ღრმა რწმენით, თუ შემთხვევითობას გამოვრიცხავთ, უფრო ადვილად ილუპებოდნენ ის მეომრები, რომლებსაც სიკვდილის ეშინოდათ.

იმ დღეს. ახალი მამველი ძაღლები მოგვემატა და მტერმა პირი იბრუნა. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვიგონებ იმ დღეს. მტრის უკანდახევამ და გაქცევამ დიდი მხედრული კმაყოფილება განმაცდევინა.

მართალია, იმ დღეს ჩვენ არც მტრის ციხე-სიმაგრე აგვიღია და არც მისი ქალაქი დაგვიკავებია, მაგრამ მაინც მტრის გაქცევამ საოცრად გავგამხნევა.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ეს მოხდა ნაშუადღევს, საღამოხანს კი ისევ შემოგვიტია მოწინააღმდეგემ და როდესაც იგი ჩვენს დიდ წინააღმდეგობას წააწყდა, კვლავ უკან დაიხია და გაქქეს. ამჯერად, მგონი, მათ „მონგოლური ტაქტიკა“ გამოიყენეს.

სამუშაობროდ, ცოტა ხანს მომიხდა ბრძოლა ფაშისტების წინააღმდეგ, რაც იმ დღეებში თავს ვაღამხდა, იმის აღწერას მე არ ვაპირებ. იგი არაა ჩემი მიზანი.

წითელი არმიის გმირობაზე ცოტა რამ როდი დაიწერა. მომავალში კი,

მტრის ალყაში

გაფთრებული ბრძოლა იყო ხარკოვის მისადგომებთან.

როგორც ცნობილია, სამამულო ომის დროს ხარკოვი ხელიდან ხელში გადადიოდა. უკანასკნელი დატოვება ხარკოვისა მტერს ძვირად დაუჯდა. ისე გარბოდნენ, რომ ქულების დახურვასაც ვეღარ ასწრებდნენ.

გერმანელების მეორედ უკანდახევას, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მათ გაქცევას, „მონგოლური ტაქტიკა“ ვუწოდებ. ასეთი რამ მტრის გაქცევამ მაფიქრებინა; გარბოდნენ გერმანელები. მათი გვაშობითა და დაპირილებით, მათ მიერ მიტოვებული საომარი იარაღითა და საჭურველით იყო დაფარული უკრაინის მიწა.

მტერმა ახალი იერიშით შემოგვიტია, ბრძანება მივიღეთ, ისევ უკან დაგვეხია.

რად იგვიანებს ტყვია-წამალი? რად ვიყრით ასე უჩვეულოდ ერთად თავს? — შეგჩიოდით ერთმანეთს ამხანაგები. თურმე ალყაში ვყოფილვართ მოქცეული — ამ ამბავმა თავზარი დაგვცა.

თითქმის ორი კვირის განმავლობაში უტყვიაწამლოდ, მშვიტ-მწყურვალნი, დამწყვდეულებივით ვტრიალებდით წრეში. უკანასკნელი ტყვიები ხელშეუხებლად ინახებოდა ძვირფასი საჩუქრებივით.

ალყის რკალი თანდათან პატარავდებოდა.

დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი დაიწერება. ჩვენი არმიის საგმირო ეპოპეა ელოდება ახალ მწერლებსა და ისტორიკოსებს. როგორც ზევით ვთქვი, ამ სტრეტიკონების ავტორის მიზანი სულ სხვაა.

ფრონტზე ბრძოლა საამაყო ვალის გადახდა სამშობლოსათვის. გიხარია და ამაყობ, რომ შენი მამულის სინდის-ნამუსსა და მიწა-წყალს იცავ. ტყვეობა კი კომპარული სიცხადეა და ჯოჯოხეთზე დიდი ჯოჯოხეთი, რომელსაც უფრო დაწვრილებით შევცნები.

ბოდა, შეეჯავფდიოთ და იმდენი აღმოვჩნდით, ტყვია-წამლის მოწოდება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ერთ ცხარე ომს გადავიხდიდით. ქალაქ მილეროვოში მივისწრაფოდით, მაგრამ ამ ქალაქის ნახვა ჩვენ აღარ გველირსა.

ალყაში მომწყვდეულებმა სოფელში მოვიყარეთ თავი. გადაწყვეტილი გვქონდა, უკანასკნელი ტყვიები ისევ მტრისთვის შემოგვენახა. ყუმბარები კუდიანი ვარსკვლავებივით გადაჰქროდნენ ჩვენს თავზე და ღამით არავითარ შუქშენილბვას არა ვქონდა რაიმე მნიშვნელობა. მტერს როგორც უნდოდა, ისე ანათებდა ცაზე გადმოკიდებული ჩირაღდნებით სოფლებს. ყუმბარების მეხთა ცემისაგან მარტო სარკმლის მიწები კი არ იმსხვრეოდა, მიწები ჩარჩოებიანად ვარდებოდა კედლებიდან.

ალყიდან გასვლის საკითხი ყველანაირად მწვევედ გვაწუხებდა. მე რომ ცოტაოდენი ფრონტული გამოცდილება მქონოდა, ანდა ყუმბარის აფეთქების ტალღას რომ არ დავეშავებინე, შეიძლება ახლა აღარც ცოცხალი ვყოფილიყავი, მაგრამ სამაგიეროდ ტყვეობა ამშორდებოდა.

იმ ღამით ჩვენი ნაწილის ერთმა ჯგუფმა ალყიდან გასვლა გადასწყვიტა. მეც მათ შევეუერთდი, ვიხიდან იმ

ჯგუფში გამოცდილი ბიჭები იყვნენ. მივდიოდით ხან ზოხვითა და ხან დაოთხილნი.

ალარ ისმოდა განუწყვეტელი სროლა, მხოლოდ ხანდახან აკაკანდებოდნენ ხოლმე ტყვიამფრქვევები თუ ავტომატები, ხანაც ცას გადასერავდა გააქროლილი ყუმბარა. განუწყვეტელ გრიალს უფრო მივეჩვიე და დროგამოშვებითი სროლა გულს სევდის ისარივით ხვდებოდა. მტერს ალყიდან გასავალი ხევი აღმოეჩინა და ჩვენ წინ წასულ ჯგუფს გასაქანს არ აძლევდა.

მაინც წინ მივისწრაფოდით. როდესაც ჩვენი ჯგუფი გასავალ ხევს მიუახლოვდა, უცებ გათენდა ცაზე გადმოკიდებული ჩირალდნებით, რომლებიც ბრიალით იწვოდნენ, გარემოს თვალის დამაბრმავებლად ანათებდნენ და მიწაზე ნელ-ნელა ეშვებოდნენ. ხევი დახოცილებითა და დაჭრილებით აესილიყო.

დაგვინახა მტერმა, დაგვიშინეს ტყვიები და სიკვდილიც იმ განათებულ გზაზე დაგვედევნა. თავის შეფარება რომ აღარსად შეიძლებოდა, ცოცხლები დახოცილებსა და დაჭრილთა შორის ჩაწექით. დაჭრილების კვნესა-გოდება უფრო აძლიერებდა ჩვენს განსაცდელს. შველა რომ არავისი შემქმლო, თვალებს ვზუჭავდი და ყურებზე ხელებს ვიფარებდი. ასე გავათიე ის ღამე.

გამთენიისას, როდესაც უკან ვბრუნდებოდი, ვილაც დაჭრილი მეომარი წყალს ითხოვდა. გულსაკლავი ხმით გაიძახოდა: „წყალი, წყალიო“. მივამახე, რომ დაჭრილებს ჩქარა გავიყვანდი.

გავრბოდი და სიტყვა „წყალი“ გულში მახვილივით მხვდებოდა. სად მქონდა წყალი? საიდან უნდა მომეტანა? სოფლიდან? ეს ხომ შეუძლებელი იყო.

გავშორდი ხევს და ბერიკაცივით წელში მოხრილ ხეს მივაშურე, მინდოდა ამოვფარებოდი. შვეიდობით მივალწიე ხემდე. ვილაც ახალგაზრდა რუსიც მოვარდა, ერთად შევეფარებით ხეს. იმოღვნა იყო ის ხე, რომ ტყვიისაგან ორივეს დაგვიცავდა.

ისევ გაძლიერდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევთა კაკანი. ჩაჩოქილები ვეფარებოდით წელში მოხრილ ხეს.

ჩემი თანამებრძოლი რუსი პირველად ქოშინით მოვარდა და სროლა დაიწყო მტრის მხარეს; სროლა რომ შეწყდა, სახე დაუშვიდდა და ისე გაახვია მახორკა და გააბოლა, რომ შეც ვადამელო მისი მხნეობა. მას ეგონა, რომ შე უპაპიროსოდ ვიყავი, პირში ჩაჭიღო პაპიროსი და ზედიზედ რამდენიმე ნაფაზი დაეარტყი. დავწყნარდი, მაგრამ „წყალი, წყალიო“, ისევ ჩამესმოდა ყურში.

მასაც ჰქონდა მათარა. მეგონა ჩემსავით ცარიელი ექნებოდა, მაგრამ უცრად მათარა მოიხსნა და მითხრა, დალიეო.

მოვიყუდე პირზე, მაინც ვერ ვიჯერე გული. მომერიდა, სულ რომ დამეცალა მათარა.

— ჩემთან, ომამდე, ყაზარმაში ქართველი ბიჭები იყვნენ. ყოველ თვეში მოსდიოდათ ხოლმე ამანათები, ხან მშობლები ჩამოუდიოდათ და გიყვარდეს, მე რომ ყოფაში ვიყავი, — მოიგონა ყაზარმული ცხოვრება.

მისმა ნათქვამმა გამათამაშა და ვთხოვე გადმოეხსნა ცოტა წყალი ჩემს მათარაში. მას კიდეც გაეხარდა ჩემი თხოვნა და ისეთი კმაყოფილი სახით ჩამისხნა წყალი, თითქოს ქართველი ბიჭების ღვინის ვალს ამ წყლით იხდისო. მგონი მადლობაც არ მითქვამს, მოვტრიალდი და დავეშვი ისევ იმავე ხევისაკენ, სადაც დაჭრილი მეომარი წყალს ითხოვდა. არ ვიცი, რა იფიქრა მან, ალბათ, გიყვად ჩამთვალა.

რა დაუფიქრებლად შოვიქეცი. განა ასე ადვილი იყო ხევაძღე მიღწევა? კიდევ რომ მიმეღწია, რანაირად უნდა მომენახა ის დაჭრილი? დაჭრილებით ხომ სავეს იყო ხევი!

ავტომატების კაკანმა ისევ უკან დამაბრუნა. უცებ, შორიდან გერმანე-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ლებს მოვკარი თვალი. ისინი წაკუზულნი ბუჩქებისაკენ გარბოდნენ. მაშინვე მივუშვი ჩემი ავტომარტი.

შემდეგ ვეღარც იმ ხესთან დავბრუნდი, იმ წყალში მოხრილ ხესთან, სადაც ის კეთილი რუსი ახალგაზრდა ჯარისკაცი დავტოვე.

თენდებოდა, მაგრამ დღის ნათელი ჯოჯოხეთის შავ აღმურზე საშიში იყო. ისეთი ვითარება შეიქნა, რომ ალყიდან გასვლა გადაფრენით თუ შეიძლებოდა.

ჩვენი ჯგუფი, რომელიც ალყიდან გასვლას აპირებდა, სწვადასხვა ეროვნე-

ბის მებრძოლებისაგან შედგებოდა. ქართველები ორმოცი კაცი ვიქნებოდით. აქედან მხოლოდ ხუთი კაცი გადავარჩით, დანარჩენები ბრძოლაში დაიხოცნენ, ზოგიერთნი იქნებ კიდევ გავიდნენ ალყიდან, არ ვიცი. მას შემდეგ არც ერთი მათგანი არ შემსხვედრია.

ბევრის ერთად თავმოყრა არ შეიძლებოდა, პატარ-პატარა ჯგუფებად შევიყარენით და გავეშურეთ სოფლისაკენ. ბევრს სიარული აღარ შეეძლო და გზაშივე რჩებოდა. თავზე მტრის თვითმფრინავები ქორებივით დავეტრიალებდნენ.

ტყვეობის პირველი დღე

კარგად გათენებული იყო. მოწმენდილ ცას ყუმბარებისაგან ავარდნილი ბული შეკუთნოდა. ალყიდან გასვლის აღმარავითარი იმედი აღარ გვექონდა. გარემოცვის რკალი თანდათან პატარავდებოდა და ყველა ერთად ვიყრიდით თავს, რომ უკანასკნელი ბრძოლა გავვემართა მტერთან. შიმშილისაგან თვალები მიბნელებოდა, ჩემს თვალწინ შავი რგოლები დარიალებდნენ, ძალიან ახლობელ ამხანაგს მხოლოდ ხმაზე გცნობდი. სოფელიც დამშეული იყო და სად რა უნდა გვეშოვნა, კაცმა არ იცოდა.

შორიდან, ვზის ნაპირას ერთი სახლი დავინახე. სახლი ტორტმანობდა, წასაქცევად ემზადებოდა, მე ასე მეჩვენებოდა. მივაშურე. შუაგზამდისაც არ ვიქნებოდი მისული, ყუმბარამ გადაიქროლა და სახლის ახლოს დაეცა. შადრევანივით ავარდნილმა მიწამ და მტვერმა სახლი დაფარა. მეორე ყუმბარა ჩემს ახლოს დაეცა. მეტი აღარაფერი მახსოვს. არც ის ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. როგორც იქნა შოვედი გონზე. აღარ შშიოდა, აღარც არაფრის მეშინოდა, თავზე მიწა მეყარა. ძლივს წამოვდექი. რალაც გამოუცნობ ბურანში ვიყავ ვახვეული. გონზე მოსვლისას კი სიხარული და მწუხარება ერთად მეწვია. მიხაროდა, ცოცხალი

რომ ვიყავი, ვწუხდი, წვალემა ისევ რომ უნდა გაგრძელებულიყო.

ჩემს თვალწინ აღარ დარიალებდნენ ლანდისფერი რგოლები. მხოლოდ ყურში აღარ მესმოდა და მიკვირდა, რად ვარბოდნენ და გამობრბოდნენ აღამიანები. სახლთან დავარდნილ ყუმბარას ვეება ძაბრივით ორმო ამოეთხარა.

დავყრუვდი, მაგრამ ყურებში ძინც რალაც ზუზუნებდა. ვფიქრობდი: სროლა თუ შეწყდა, მაშ ამ ჩემს ყურებში რა ამბავია? ეს რა ზუზუნია? ერთნაირი და განუწყვეტელი? რა ძნელი ყოფილა დაყრუება. არ გასულა ერთი საათი, მარცხენა ყურიდან თითქოს რალაც გამოვარდაო, თითქოს ყურის კარი გაიღო, — მაშინვე გავიგონე რალაც ყრუ გუგუნე.

დიდი გაჭირვებით მივაღწიე სახლამდე. სახლის წინ მოხუცი ცოლ-ქმარი იდგა, ორივეს შეშინებული გამომეტყველება ჰქონდა. ღრმად მოხუცებულმა კაცმა ხელი შუბლზე მოიჩრდილა და ცქერა დამიწყო.

ყუმბარის ტალღას სარკმლის შინები ჩაემსხვრია. ცოლმა პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს მადლობა შესწირა, სახლი რომ გადაურჩა. მინის ნამსხვრევებს თავმოყრა დაუწყო. კიდევ გადაიშხულია ყუმბარამ. მოხუცმა ქალმა აღარ

იცოდა, აეკრიფა მინის ნაშხერევები თუ დალოდებოდა მოსალოდნელ უბედურებას. დავაიმედე, რომ გამხნევებულიყო, ვუთხარი: ორი ყუმბარა ერთსა და იმავე ადგილზე არ დაეცემა-მეთქი. მგონი დამიჯერა რამდენიმე დღის ბრძოლით ომში „გამობრძმედილს“. დამხხერეული მინების აკრეფას შეუდგა. კაცმა პირ-ჯგარი უგულოდ გადაიწერა და შინ შემიპატიეა.

შესვლისთანავე ვიგრძენი ოჯახური სიბოზო და მყუდროება. ისეთი სისუფთავე და წესრიგი იყო სახლში, რომ გამიკვირდა. დავჯექი. ისე კარგი იყო ეს დაჯდომა, რომ პირდაპირ აღარ ეცი, როგორ გამოეთქვა. სარკმლის რაფაზე პურის ნაჭერს მოვკარი თვალი და რომ არ მოვტყუებულებოდა, ფარულად გავსინჯე. დავრწმუნდი, რომ ნამდვილად პური იყო. მე უკვე აღარ მესმოდა მათი ლაპარაკი, ისე ამირია ვონება იმ პურმა. შადა მომივიდა და, ჩემს სიცოცხლეში, უცხო ოჯახში პირველად ვითხოვე საშუალება. „Хлеб и ма“. — მიპასუხა ქალმა. მხოლოდ ერთი გამხმარი პურიღა და გერჩაო, — დაუმტა და მიმითითა სარკმლის რაფაზე.

მაშინვე ვეცი და ჭამას შევუდექი.

შუადღისას წამოვდექი და გარეთ გამოვედი. სახლის უკანა მხარეს მშვენიერი ხეხილის ბაღი იყო. მწიფე ალუბალმა თვალი მომტაცა. ბაღში, ალუბლების ძირას დახოცილებივით ეყარნენ ალუბაში მოქცეული მეომრები. ბევრს კი ეღვიძა, ჯუფგ-ჯგუფად ისხდნენ და ალყიდან გასვლის გეგმას ადგენდნენ.

ხარბად შევუდექი მწიფე ალუბლის ჭამას. წამალივით მომიხდა ალუბლის ტკბილ-მკავე ნაყოფი.

ბაღის დასასრულს პატარა ხევი იყო. ხევში თავშეყრილი ხალხი დაეინახე. მივედი მათთან. ისინიც ალყიდან გასვლის გეგმაზე ბჭობდნენ. საღამომდის მათთან დავერჩი. მეც მინდოდა მათ გაეყოლოდი. დანიშნული დროისთვის ხევი ელვისებურად დაცარიელდა. მივიხედ-მოვიხედე ირგვლივ. თხუთმე-

ტიოდე კაცი კიდეც დარჩენილიყო, ისინი ავადყოფები და დაჭრილები იყვნენ. დავაპირე მეც გაეყოლოდი ალყიდან გამსვლელ ამხანაგებს, მაგრამ უეცრად თავბრუ დამეხვა და ხევიდან ძლივს ამოვედი, ისევ მოხუც კოლქმართან მივბრუნდი.

ღიასახლისმა დასაწოლი ადგილი მიჩვენა. დავწექი. საბანი არ მოუცია, — ცხელოდა. მე კი მაკანკალებდა. მაზარა არა მქონდა, ხევში დავკარგე ბრძოლის დროს.

მომაგონდა ფრონტზე ერთი რუსი ჯარისკაცის ნათქვამი: ჯარისკაცს ჰკითხეს: ფრონტზე რა გეცვაო. ჯაჯისკაცმა უპასუხა: მაზარაო; რა გეხურა, მაზარაო; თავსასთუმლად რა გედო, მაზარაო... კი მაგრამ რამდენი მაზარა გქონდაო: ჯარისკაცმა ერთი თითი უჩვენა... უმაზაროდ ძნელია ჯარისკაცის ცხოვრება.

ოთახში ვიღაც ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. გამიკვირდა, საიდან გაჩნდამეთქი. გამეცნო, როგორც იმ ოჯახის რძალი. ქმარი უგზო-უკვლოდ ჰყავდა დაკარგული. უკრაინის მინდვრის ყვავილებივით ჭრელი, თხელი საბანი გადაამახურა და გავიდა. თვალი მივლულე და ცოტა ხნის შემდეგ დამეძინა.

წყურვილმა გამომადვიძა. ბნელოდა. ოთახში ბევრი ვაფათურე ხელი. ვერც წყალი ვიპოვნე და ვერც გარეთ გასასვლელი კარი. რაღაც ნივთს წამოეკარი ხელი და გადმოვავდე მაგიდიდან. მოხუცი ღიასახლისი შემეხშიანა, ჩემთან კი ანთებული სანთლით მისი რძალი შემოვიდა. წყალი ვთხოვე და მომიტანა. თვლებში მძიმედ მაწვებოდა რაღაც. შემეზარა ლამპის შუქი. გაუხდელი რად წეხზარო, ქამარი მძინე შემოიხსენიო, — მზრუნველი კილოთი მითხრა. აღმური მეკიდებოდა. ტანისამოსის გახდა აღარ შემეძლო.

გათენება აღარ მახსოვს. მზის გადახრამდის ვიწექი და ვერ ვერკვეოდი, სად ვიყავი, ან რა ხდებოდა ქვეყანაზე.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

დროდადრო სახლი შეზანზარდებოდა. წამოდგომა მინდოდა და ვერ ვდგებოდი, რაღაც მაწვა გულზე.

ისევ ბურანში გავეხვეი. დამესიზმრა: ლამაზი თმაგაშლილი ალი თავს დამდგომოდა და თმით მალრჩობდა. შიშისაგან გამომეღვიძა. ის ახალგაზრდა ქალი თავზე მადგა, ჩემი მაჯა ხელში ეჭირა და რაღაცას მეუბნებოდა.

სალამო ხანს ოთახში გრივალევით შემოვარდა ის ახალგაზრდა ქალი და დაიყვირა: გერმანელები შემოვიდნენო. მაშინვე წამოვდექი და ეზოში გავვარდი. პირდაპირ გერმანელებს შევეჩხეხე...

გაოგნებული ვიდექი.

— Hände hoch! — დამიღრიალა გერმანელმა ოფიცერმა და ავტომატი მომიშვირა.

არაფერი მესმოდა. მერე დავინახე, ჩემს ამხანაგებს ხელები აეწიათ. გერ-

მანელი ოფიცერი დორბლმორეული ყვიროდა რაღაცას.

მძიმედ მოიზღაზნებოდნენ შარავხაზე ფაშისტების ტანკები. უფრო სწრაფად კი მოტოციკლები მოჰქროდნენ შეა-წითელი სვასტიკებიანი დროშების ფრიალით.

ჩემს წინ მდგარი გერმანელები დინჯად აბოლებდნენ სიგარებს, მშვიდი და მხიარული სახეებით გამოიყურებოდნენ.

ჩქარა მოვედი გონზე და ავადმყოფობისაგან განვიკურნე, ყურშიაც უკეთ მესმოდა, აღარც ცივი ქრუანტელი მივიღია. ვწყველიდი და ვაგინებდი იმ ყუმბარას, რომელიც ამშორდა და მხოლოდ დროებით დამმარხა მიწაში. რამდენიმე ამხანაგი აჩრდილივით შეძიერთდა. ყველანი გაოცებული შეგეუბრებდით გერმანელ ფაშისტებს.

ტყვეების დახარისხება ეროვნებისა და სახმადგრო წოდების მიხედვით

გერმანელებს ტყვეების დიდი ჯგუფი მოჰყავდათ, ჩვენც მათ მივემატეთ. ფაშისტებმა თავიანთი სამხედრო წესის მიხედვით სამ მწკრივად მოგვაწყეს. უნდა გავვევლო რამდენიმე კაციისაგან შემდგარი კომისია. ეს კომისია ტყვეებს არჩევდა ეროვნებისა და სამხედრო წოდების მიხედვით.

„Die Juden links, die Kommissaren rechts“ — (ებრაელები მარცხნივ, კომისრები მარჯვნივ) — გაიძახოდა კომისიის ერთი წევრი. დახარჩუნები დროებით ადგილზე რჩებოდნენ. მეც ადგილზე დავრჩი, ვინაიდან არც ებრაელი ვიყავი და არც კომისარი.

დამთავრდა თუ არა ტყვეების დახლოებით გადარჩევა, მომიახლოვდა ერთი ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი, რომელიც შოკოლადს სჭამდა. იმოდენა კაცს პატარა ბიჭვით ჰქონდა მოსერილი ტუჩები შოკოლადით. მას სრულიად მშვიდი სახე ჰქონდა. პაცი-

ენტან მისული ექიმივით მათვალეობდა. ჯიბეები გამიჩხრიკა, ისეთი ვერაფერი აღმომიჩინა, რომ რამეზე დაეკვებულყო. დროც საკმაოდ ჰქონდათ, წინ მიიწევდნენ, დამშვიდებული იყვნენ და პედანტური სიზუსტით გვაპოწმებდნენ.

უბეში მედო მწერალ ილია ერენბურგის პატარა წიგნი „Бешенные волки“, მენანებოდა, მაგრამ დროზე რომ მომგონებოდა, გადავაგდელები.

მქონდა აგრეთვე უბის წიგნაკი, რომელიც სავსე იყო ჩენი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსებითა და ფრონტული ჩანაწერებით.

გადაშალა, გადაათვალიერა წიგნი, თვალი თვალში გამიყარა, რითაც ჩაგრძობინა, ალბათ ჩვენზე კარგი არაფერი სწერია ამ წიგნშიო. გადაშალა ჩემი უბის წიგნაკიც. შიგ იდო ვარდის ფურცლები. დაყნოსა. ვარდის ფურცლები ძირს დაცივდნენ. აიღო, ისევ იმ ადგილზე ჩადო, ყველაფერი დამიბრუნა და დამტერეული რუსულით მკითხა: — შენი-

1 ხელები მაღლა! (გერმ.).

ანების ფოტოსურათები არა გაქვს, თუ დაპკარგეო. მე ძალზე გამაკვირვა მისმა შეკითხვამ. შემდეგ გავიგე, ისინი დიდად მოყვარულნი ყოფილან ფოტოსურათებისა. ბოლოს მკითხა: ვინა ხარ? ებრაელი რომ არა ხარ, გეტყობა, კომისარი ხომ არა ხარო? (წითელ არმიაში ჯერ კიდევ იყო კომისრის თანამდებობა, შემდეგ შეიცვალა).

გერმანელი ფაშისტები ყველაზე მეტად ებრაელებსა და სამხედრო კომისრებს ემტერებოდნენ. პირველ რიგში მათ სპობდნენ.

არავითარი სურვილი არა მქონდა გამეცა პასუხი მის უკანასკნელ შეკითხვაზე. ისევ თვითონ მითხრა: — არა, ებრაელს არ გავხარ, კომისარი კი უსათუოდ იქნებიო.

ვდუმდი და ვფიქრობდი: — რაც ვარ, ესა ვარ, რაჯი ამ დღეს მოვესწარი, რა მნიშვნელობა აქვს, ვინცა ვარ-მეთქი.

თურმე კი ჰქონდა მნიშვნელობა. ვინაც იმ დღესვე სიკვდილი უნდოდა, რომ არ ყოფილიყო, მაინც უნდა ეთქვა, ებრაელი ან კომისარი ვარო.

ის-ის იყო „Rechts“ — მარჯვნივ უნდა ეთქვა, დასახერხებულ გამზადებულ კომისრებთან უნდა გადაესულიყავი, რომ სასოწარკვეთილმა ჩურჩულმა ნიავეით ჩამოიქროლა: ამხანაგებო, ებრაელებსა და კომისრებს პირველ რიგში ზერეტენ, იღონეთ რამეო. ამ დროს რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, ვიღაც ებრაელად მიჩნეულ რუს ტყვეს ებრაელებთან მიათრევდნენ. თვითონ ებრაელებიც კი ამბობდნენ, რომ არაა ებრაელიო. ებრაელად მიჩნეული რუსი არავის არ ემორჩილებოდა. ირწმუნებოდა, იფიცებოდა: არა ვარ ებრაელიო, თუ გინდათ ჩემი სიკვდილი, რუსი ვარ და რუსად მაინც მომკალითო. შემდეგ ვიღაც წითურ გერმანელს დაუძახეს, ეტყობოდა იგი ამ საქმის „სპეციალისტი“ იყო. ტყვე ვანზე გაიყვანეს, მარვალი ჩახადეს და წინადაცვეთა გაუსისჯეს. გადარჩა, არ აღმოჩნდა ებრაელი.

რიგით ჯარისკაცს არ ვგავდი, რომ მე-ოქვა, რიგითი ჯარისკაცი ვარ-მეთქი.

მართალია, ოფიცრობის დამადასტურებელი ნიშნები აღარ შეეკეთა, მაგრამ მქონდა დიდი თმა, რაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა ჩვენი არმიის რიგით ჯარისკაცს. თბილისში შეკერილი ახალთახალი ჩექმები წინა დღით ჩავიცვი, ვინაიდან წაღები გამიცვდა. ერთი სიტყვით, ჩემი ჩაცმულობა უტყუარი საბუთი იყო ჩემი ოფიცრობისა.

— კომისარო, კომისრებთან, — მიბრძანა და გადავდგი თუ არა ნაზიჯი კომისრებისაკენ წასასვლეულად, ჩემს ბედად თუ საუბედუროდ, სწვდა ჩემს მხარზე გადაკიდებულ ტყავის მოყვი-თალი ჩანთას და შემაჩერა, ჩამოძხვნა და გაჩხრია.

ჩემი ჩანთა სავსე აღმოჩნდა სხვადასხვანაირი წამლებით: იოდითა და თავის ტკივილის ფხვნილით, დისულფანიითა და სულფიდინით, თეთრი და წითელი სტრებტოციდებით და კიდევ სხვა მრავალი შედეკამენტებით, რომლებიც კი მაშინ არსებობდა ფარმაცოლოგიაში. ჩემი მეუღლე ფარმაცევტი გახლავთ და ამდენი წამალი ომში მიმავალს მან ჩამიწყო ჩანთაში.

სულაც არ მახსოვდა თუ ამდენი სხვადასხვანაირი წამლებით ვიყავი მომარაგებული; იმდენად არ მახსოვდა, თავი რომ მტკენოდა ან იოდი დამპირებოდა, უსათუოდ სანიტარულ ნაწილს მივმართავდი. აღამიანს გაკაყება სცოდნია გაჭირვებისა და დაძაბული ცხოვრების პირობებში. კარგ პირობებში მყოფი აღამიანი კი შესაძლებელია ოთანში ყვავილების საალერსოდ შემოსულმა სიომაც გააცივოს. ისედაც საკმაოდ საღსა და ჯანმავარს, არც ომში და არც ტყვეობაში ფრჩხილიც კი არ წამომტკენია.

გაუკვირდა გერმანელ ოფიცერს, ამდენი წამლები რომ მქონდა. მიხოვა კიდევ, მიმეცა მისთვის ნაწილი ჩემი წამლებისა. მე სულ შევთავაზე. მან ცოტა აიღო, მიჩვენა, ვითომ გადაყ-

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

ლაპა წითელი სტრეპტოციდი, ხელები დაიკრიფა გულზე და თვალები დახუჭა. ვითომ ხომ არ მომკლავსო. ახლა ექიმობა დამწყაბა.

ვერ ვიკისრე ეს საჭირო სიტყუე, შეთქვა ექიმი ვარ-მეთქი, შეგონა თვითონ გამიხდებოდა პაციენტად, თავს გამასინჯებდა და დიაგნოზსაც დამასმევინებდა. რომ აღარ მომეშვა, ვუპასუხე, თითქოს სანიტარ-ინსტრუქტორი ვიყავი. ებრაელების ჯგუფი ცოტა მოშორებით დააყენეს. კომისრები და კომისრებად მიჩნეულები ისევ იდგნენ, თითქოს მე მელოდნენ.

დამიბრუნა წამლებიც და ჩანთაში რომ ვალაგებდი, თვალი მოჰკრა ქაღალდში შეხვეულ რაღაც ნივთს, ამოიღო და გახსნა. ეს იყო ჩემი საში თვის ვაჟის ოქროსფერი პატარა პერანგი. როდესაც ომში მიმავალი ოჯახს დავემშვიდობე და გადავკოცნე ჩემი პირმშო შვილი, ვერ დავეპაყოფილდი, რაღაც მაკლდა, კიდევ მინდოდა რაღაც. ისევ მივბრუნდი შინ, ბავშვს პერანგი მოვპარე და ისე წავიღე სახლიდან, რომ არავის გაუგია. სანამ ფრონტზე მივიდოდი, ფარულად ამოვიღებდი ხოლმე ქაღალდში შეხვეულ პერანგს, დავხედავდი, მოვეალერსებოდი და სიცილ-ტირილი მომდიოდა. უკანასკნელად ერთხელ კიდევ მომენატრა და მოვიწახულე ბრძოლაში ჩაბმამდე. გაურეცხავი იყო და მაინც საკმაოდ სუფთა, ძუძუს ბავშვის სუნი უდიოდა და ეს სუნი ტკბილ-მწარედ მათრთოლებდა. მას შემდეგ მე ამ პერანგის ნახვის დრო აღარ დამდგომია.

შევხედე თუ არა პატარა პერანგს, უძლური ვარ იმ განცდის გამოსათქმელად, თუ რა ვიგრძენი და განვიცადე. ასეთი განცდა შეუძლია წარმოიდგინოს თუ ვაივოს მხოლოდ შშობელმა, რომელსაც აუცილებელი ვალდებულების გამო შვილი მიუტოვებია და შემდეგ ჩემნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილა.

დანიანა თუ არა გერმანელმა ოფიცრმა ბავშვის პატარა პერანგი, რაღაც უცნაურად გაიღიმა. გაშალა, წაავლო

ხელები პატარა სახელოებში, შეკრა გახსნილი ღილი, შერე ისევ გახსნა, ისევ ასწია მაღლა და ამხანაგებს გადასძახა:

— ვილი, გიუნთერ, ჰაინრიხ!

კომისია თავის საქმეს განაგრძობდა. ჩემი შემმოწმებელი გერმანელი ცოტა ხანს ვაშტერდა. მალე მოვიდა გონზე, ჩემი შვილის პერანგი ჩვრით დააგდო მიწაზე.

ავიღე პერანგი და ჯიბეში ჩავიდე. მას ყურადღება არ მოუქცევია. საბოლოოდ დაიჯერა ჩემი სანიტარ-ინსტრუქტორობა და მედპერსონალთან გადამიყვანა.

ჩემი ჯგუფის ასე გულმოდგინედ ჩხრეკა-გადარჩევა, როგორც შემდეგ ვაივებ, გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: თურმე ვიღაც ახლად-ტყველჩავარდნილ რუს პოლკოვნიკს ეძებდნენ და მის აღმოჩენს, კომისია იქნებოდა თუ ცალკეული პირი, მნიშვნელოვან ჯილდოს პირდებოდნენ.

კიდევ მოხდა ტყვეების გადარჩევა. ამდენი ცერემონიები აღარ დაუწყიათ. შესაძლებელი იყო, რუსი, ქართველი ანდა თათარი ყოფილიყავით და მაინც ებრაელად ანდა კომისრად მიეჩნით და დაეხვრითეთ. ვერც შემდეგ გავბედე ექიმის პროფესიის მითვისება. ბოდიშს ვიხდი ფერშლებთან, თუ არ ვცდები, ისინი არც დიაგნოზს უსვამენ ავადმყოფებს და არც რეცეპტებს წერენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა საბჭოთა სამხედრო ტყვე ერთ ფაშისტურ ტაფაზე იხრაკებოდა. მედპერსონალს მაშინვე არ ხვრეტდნენ და ძველ ხან ფერშალი ვიყავი და ხან სანიტარ-ინსტრუქტორი, თუმცა, სანიტარობის ღირსიც კი არ ვიყავი. ვანა სანიტარმა არ უნდა იცოდეს ბანდის სწორად შემოხვევა? ძე კი დაპირლ ტყვე ამხანაგს ბანდი უკუღმა შემოვავსებე ჭრილობაზე. სანიტრობა იქნებოდა თუ სხვა რამ, ყველაფერი საქმისათვის მჭირდებოდა. სულაც არ მიმაჩნდა თავი მტრის

მონა-მორჩილად, თვალი გასაქცევად შექირა და ვეძებდი შესაფერის შემთხვევას.

გადარჩეული ებრაელები და კომისრები ჩვენს თვალწინ დახვრიტეს. ნაწილი ებრაელებისა და ზოგიერთი ახლადდამოჩენილი ებრაელები კი საწამებლად დაიტოვეს. მათ შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგახსენებთ.

ებრაელებისა და კომისრების საჯაროდ დახვრეტამ თავზარი დაგვცა. რამდენიმე ათასი კაცი პირუტყვებივით გავგდენეს ზურგში. ორივე მხრიდან პირველ დღეს ტანკები მოგვყვებოდნენ. ტანკებზე ავტომატმომართული გაძ-

ლიერებული ბადრაგი იყო. დაჭრილები და ავადმყოფები მანქანებით მიჰყავდათ. გვიხაროდა და გვიკვირდა, რომ ავადმყოფები და დაჭრილები მანქანებში ჩასხეს.

სამწუხაროდ, მათ მიერ ავადმყოფებისა და დაჭრილების ვითომც შებრალება ნიანგის ცრემლები გამოდგა. ჩვენს კმაყოფილებას ჩვენივე თვალწინ დახვრეტილი ტყვეები აქარწყლებდა. რა უნდა გვექნა? როგორ უნდა მოვქცეულიყავით? სხვა დროისათვის სხვანაირად უნდა გვეძია შური, თუ კი მანამდე ცოცხლები დავრჩებოდით.

გლუბოკა, ვოლოჟინო, ლისინანსკი

ეს სამივე პატარა ქალაქი უკრაინაშია. პირველად გლუბოკაში მიგვიყვანეს. თითქმის არც ერთი ავადმყოფი და დაჭრილი არ მოგვეყოლია გლუბოკამდე. რომელთაც სიარული არ შეეძლოთ, ადგილზევე ხვრეტდნენ.

ვიღაც დიდი ჩინის ოფიცერს ჩამოველო. სამოქალაქოში სამართლის ისტორიის პროფესორი ბრძანდებოდა. ავადმყოფები და დაჭრილები რომ მახელებზე დასხდარი დაენახა, ეთქვა: — ეს ხომ ნამდვილი კურონოზიო. განკარგულება ვაეცა, არც ერთი ტყვე არ დავიანახო მანქანაზეო. ვინც სადაც დავარდეს, იქვე დახვრიტეთო.

ხოცავდნენ არა მარტო ავადმყოფებსა და დაჭრილებს, ხოცავდნენ აგრეთვე იმათ, ვინც მცირე მანძილით ჩამოვვრჩებოდნენ, ან სულ უმნიშვნელო წესრიგს დაარღვევდა. იცით, რა იყო მათი აზრით წესრიგის დარღვევა? გზიდან გადახვევა წყლის დასაღვეად, მიწაზე დაეარდნა დალილობის გამო, შველა დაცემული ამხანაგისა და სხვა ამის მსგავსი შემთხვევები.

გლუბოკაში მხოლოდ სამი დღე დავრჩით, შემდეგ ვოლოჟინოსაკენ გავემართეთ. სანამ დანიშნულ ადგილამდე მივადწევდით, ტყვეების გადაყვანის

ხელმძღვანელმა. გერმანელმა ოფიცერმა გასცა ბრძანება, გაეჩერებინათ ტყვეების მთელი კოლონა. დავეძიეთ და გამოაცხადა: დიდი გზა გვაქვს გასავლელი, ვისაც სიარული არ შეუძლია, გამოვიდეს კოლონებიდან, ცალკე მოიყარონ თავი, მათ მახელებით წავეყვანოთ. გაეხარდა ყველას, ავადმყოფებსაც და კარგადმყოფებსაც.

გამოვიდნენ, ვისაც სიარული არ შეეძლო. მოიყვანეს გერმანელებმა მანქანები და ჩაამწყრივეს მათ გასწვრივ. ბევრი გამოვიდა კოლონებიდან, უფრო მეტი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მათ არ უწევდნენ მეზადრაგენი წინააღმდეგობას. საწყალი ავადმყოფები ისე შესცქეროდნენ მანქანებს, როგორც ახლადგახადგმული ბავშვები შესცქერიან თავიანთ უფროსებს და ელოდებიან ხელში აყვანას.

მანქანით მეზავრობის მსურველნი მანქანებში სხდებოდნენ, დაუძლურებულებს ასევე უჭირდათ და თვითონ გერმანელებიც კი ეხმარებოდნენ. ჩვენც ვშველოდით. ზოგიერთი დამხმარეც კი ახერხებდა ავადმყოფებთან დარჩენას.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

მე შეენატროდი ასეთების ბედს და ავადმყოფებთან რომ ვერ მოვახერხებ დარჩენა, კარგადმყოფებთან დავრჩი გულდაწყვეტილი.

ისედაც ღონეშიმხდილს, ჩემი ახალი ჩექმები მიჰვრდა, ისევ ჩემს გაცვეთილ წალებს ვენატრობდი. გავიხადე ჩექმები, გადავაბი ერთმანეთზე და მხარზე ვადავიკვიდე. მინდოდა დამესვენა და ისევ ჩამეცვა. ბადრაგს მოეწონა ჩემი ახალი ჩექმები და წამართვა. ფეხშიშველი მივდიოდი. პირველად ვერ ვიგრძენი, შემდეგ კი სულ დამისისლიანდა ფეხები. ისევ მომნახა ჩემი ჩექმების წამართმევა. ძველი, ყვითელი, გერმანული ჩექმები მომაყარა და წავიდა. ხავიცივი და ისე კარგად მომერგო ფეხზე, კიდეც რომ დაებრუნებინა ჩემი ჩექმები, არ მინდოდა.

დაიძრნენ ავადმყოფებიანი მანქანები და დაღვნენ ერთ ხევში. იქვე პატარა მდინარე ჩამოდიოდა. ჩვენ მათ შემდეგ განვაგრძეთ გზა. გვერდი რომ ჩავუარეთ, ვხედავდით, თუ როგორ ჩამოდიოდნენ ავადმყოფები მანქანებიდან და როგორ თავისუფლად სვამდნენ წყალს, იბანდნენ პირს; ვისაც აღარ შეეძლო ძირს ჩამოსვლა. ამხანაგები აწოდებდნენ წყალს, ჩვენ კი წყურვილი გვკლავდა. გვახელებდა ანკარა მდინარე, არ გვაძლევდნენ წყლის დაღვეის უფლებას. ავადმყოფები კი იკლავდნენ წყურვილს და ახლა უფრო შეენატროდით მათ ბედს. ვფიქრობდი: არა უშავს რა, ასე იციან წესიერმა და კეთილმა ადამიანებმა, ჯერ ავადმყოფებსა და ბავშვებს მიხედავენ ხოლმე, შემდეგ კი კარგადმყოფებისთვის მოიცლიან-მეთქი, რას ვიფიქრებდი, თუ ისინი მანქანებში მსხდომი ავადმყოფებისთვის უფრო ადრე მოიცლიდნენ.

ნახევარი კილომეტრიც კი არ გვექნებოდა გავლილი, იმ ხევიდან, სადაც მანქანები გააჩერეს, გულშეშარავი ღრიალი ატყდა და ქარიშხალივით დაგვეწია. სად ჰქონდათ მაინც იმ უბედურებს ისეთი საშინელი ღრიალის ძალდონე?

მერე ატყდა ავტომატების კაკანი და ყვირილისა და სროლის ხმა ერთმანეთში აირია.

სახარელი განცდა დაგვეუფლა. დაცემულ ტყვეებს იქვე ხერგტდნენ და სტოვებდნენ. თუ ვინმე მიეშველებოდა დაჭრილს ან დაღლილობით დავარდნილ ამხანაგს, მასაც ზედ წააკლავდნენ. ტანკები ცოტა ხანს მოგვევებოდნენ. მოტოციკლეტისტები გვერდსაც არ უვლიდნენ დაცემულ ტყვეებს და პირდაპირ მათზე ვადადიოდნენ.

მივიჩქაროდით. ავადმყოფებისა და დაჭრილების სასიკვდილო ამოძახილი უდარდელ ქარს უკრაინის თვალუწვდენ ველ-მინდვრებზე გადაჰქონდა და ფანტავდა.

გზადაგზა უკრაინელი ქალები და ბავშვები მოგვედევდნენ, მოჰქონდათ სასმელ-საჭმელი და მოგვძახოდნენ: „Не бойтесь ребята, не бойтесь хлопцы“.

არ ეუბებოდნენ ბადრაგის მუქარას, არც მათი ავტომატებისა ეშინოდათ; კულულებჩამოყრილები, აწითლებულები, კაბააკალთულები მოგვედევდნენ თეთრ-თეთრი თავსაფრების ფრიალითა და გვამხნევებდნენ.

გამოცვივებოდნენ სახლებიდან, მტრის მიერ გაძარცულ ოჯახებში რაც კი მოეპოვებოდათ, რაც ხელში მოყვებოდათ, არაფერი არ ენანებოდათ ტყვეებისათვის. გზები სასმელ-საჭმელით იყო მოფენილი.

ავერ ერთ სოფელს მიეუახლოვდით, რა გვექონდა საზეიმო? ჩვენი ბრძოლა აღარავის ახსოვდა, თითქოს უკვალოდ გაჰქრა. მთელი სოფელი მაინც ზეიმით შეგვევება. ქალები და ბავშვები იერიშით მორბოდნენ ჩვენსკენ, რალაც-რალაცივებს ხელში გვიღებდნენ და ალერსიანი სიტყვებით გვამხნევებდნენ.

ზოგან, სოფლის შარავნის ორივე მხარეს, ჩაემწყრივებინათ პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრილი პური და ხილი. ქალები ოსტატურად იქცეოდნენ: ბადრაგს ართობდნენ, მათს ყურადღებას

იქცევდნენ. ჯერ მათ უმასპინძლდებოდნენ. სეტყვისავეთ გვაყრიდნენ თავზე პატარ-პატარა ნაკრებში გამოკრულ მარილს. ხშირად მათ თავიანთი საქციელი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ და მაინც არ იშლიდნენ თავისას. რის თქმასაც სიტყვიერად ვერ ახერხებდნენ, ქალღმერთად წერდნენ და ნაკ-

რებში გამოხვეულ მარილთან ერთად ვლებულობდით.

ვინაიდან წყლის მოწოდება ძნელი იყო, გზის ორივე მხარეს წყლით სავსე კასრები და ქვებები დაედგათ. ვისაც წყლის ქურჭელი არა ჰქონდა, იქვე სვამდა პეშვით, ან ზედ დაეყუდებოდა. სვამდნენ ქულებით, ჩექმებსაც კი იყენებდნენ წყლის დასაღვეად.

მხრათი სამხედრო ტყვეების წამება ვოლოჟინოში

გლუბოკადან რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქ ვოლოჟინოში წავგიყვანეს. შუა ქალაქში არ ვაგვივლია და წარმოდგენაც არა მაქვს ვოლოჟინოზე.

ქალაქის განაპირას დავბანაკდით, ერთი მდორე და შლამიანი მდინარის პირას.

ერთი თევზი დავიჭირე, თუმცა არ დამჭირებია დიდი დევნა და არც მეთევზის ტკბილი განცდა მიგრძენია მისი დაჭერით. ჭაობივით შლამიანი მდინარის თევზები ლანდებივით დაბორილობდნენ წყალში, უსიცოცხლოდ იქნევდნენ ბოლოებს.

თვალში მომხვდა ერთი დიდი თევზი. დავედევნე, ჩქარა დამნებდა. მე ღინამიტით გაბრუებული მეგონა. ადგილობრივმა ტყვე უკრაინელებმა მითხრეს: აჲ, ამ მდინარეში მხოლოდ ამნაირი თევზი იცისო. სასწრაფოდ შევხანხლე ცეცხლში, ჩალასავით უგეშური იყო.

რამდენიმე ათასი კაცი ვიყავით ერთად თავმოყრილი. თვითველ ტყვეს, მხოლოდ თავისი ფეხის დასადგმელი ადგილი ეკუთვნოდა, ვინაიდან ჩვენთვის განსაზღვრული ტერიტორია იყო გამოყოფილი. ერთი მხრიდან მდორე მდინარე, მეორე მხრიდან ხევი, დანარჩენ ორ მხარეს მცველები მეთვალყურეობდნენ. დასაწოლი ადგილი კარგი საბანივიც გვქონდა სანატრელი. მდინარის პირას ყოფნა მაინც კარგი

იყო ჩვენთვის, წყურვილის აღარ გვეშინოდა.

გერმანელებმა პირველად ვოლოჟინოში მოგვცეს საქმელი. მანამდე კი გზად გავლით თუ ვიშოვნდით რაშეს, ან როგორც წინა თავში ვთქვი, სოფლებში გავლის დროს უკრაინელი მოსახლეობა თუ რაიმეს მოგვაწოდებდა, თორემ სხვა არავითარი საშუალება არ გაგვანდა სასმელ-საჭმელის შოვნისა.

ვოლოჟინოს ბანაკში ჩვენი პირველი სადილი იყო უმარილოდ მოხარშული ხორბალი, რომელშიაც ხანდახან ცხენის გახრწნილი ხორცი ეყარა. იყო შემთხვევები, როდესაც ცხენის ფეხებიც ეყარა და, თუ დაუჯერებლად არ მოგეჩვენებოთ, ფლოქებზე ნალებიც კი იყო შერჩენილი.

დილიდან რომ დაიწყებოდა სადილისა თუ კერძის გაცემა, საღამომდე გრძელდებოდა.

ერთხელ შეავე კიტრები ჩაეყარათ მოხარშულ ხორბალში. ისე კარგი, სანუკვარი რამ იყო, თითქოს უკეთესი არასოდეს შეგემნოს. აი, თურმე რა ყოფილა შიმშილი!

ვისაც კერძის მისაღები ქურჭელი არა ჰქონდა, ქუდით ან ხალათის კალთით უნდა მიეღო კერძი. ვინც ასე არ მოიქცეოდა, შიმშილით უნდა მომკვდარიყო.

სამზარეულოსთან, სადაც ტყვეები საქმელს ვლებულობდით, საწამებლად

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

თავმოყრილი ებრაელები ჰყავდათ. ჩამოუვლიდნენ ჯალათები მწკრივებად დაწყოხილ ებრაელებს და რეზინის ჯოხებითა და კეტებით სცემდნენ.

თვალს ვარიდებდით, ძნელზე ძნელი ასატანი იყო მათი ტანჯვა-წამების ცქერა. ებრაელები ნიფხვებისა და ტრუსების ამარა ეყარნენ. ზოგიერთები დედისობილადაც კი იყვნენ. ის ორჯერ უბედურები ჩვენთან შედარებით, აგვისტოს თავარა სიცხეში სიცვიისაგან კანკალებდნენ, ვინაიდან წამდაუწუმ მდინარეში ჰყრიდნენ, ამოჰყავდათ და ისევ ერთად აგროვებდნენ.

არც ერთი დაპყრობილი ქვეყნის, არც ერთი ეროვნების ხალხს არ ზოგავდნენ ისინი, მაგრამ ებრაელებისთვის ფაშისტები ცოფიან მგლებზე საშიშნი იყვნენ.

სიკვდილზე საშიშნი იყვნენ ისინი. სიკვდილი ჰკლავს სიცოცხლეს, მათ კი ცოცხალი ადამიანები მარტო მოსაკლავად კი არა, საწამებლადაც უნდოდათ.

იმ დღეს ჩვეულებრივად მივიდიოდით სამზარეულოსაკენ საჭმლის მისაღებად. საწამებლად თავმოყრილი ებრაელები აღარ ჩანდნენ იმ ადგილზე, მათ ფანერებისა და ხის ტოტებისაგან გაკეთებული ფარდა ფარავდა.

ფეიქრობდი: ალბათ აღარ უნდათ დაგვანახონ თავიანთი აღვირახსნილი საქციელი და ებრაელებს ფარულად აწამებენ-მეთქი. მაგრამ სად ისინი და სად სირცხვილ-ნაშუსი!

სადამო ხანს ფარდა გაიხსნა და ახალმა სანახაობამ თვალი დაგვიხელა. ათამდე გერმანელი ოფიცერი მაგიდას უჯდა, სიგარებს აბოლებდნენ და ოლიმპიური სიმშვიდით უცქერდნენ მათ ტანჯვა-წამებას.

როდესაც მეორე ფარდაც გაიხსნა, ნაცნობი სანახაობის დასასრული

შეცვლილი იყო. ადამიანების თითქოს მოკვეთილსა და მიინც ცოცხალ თავებს წრე შეეკრათ, ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მაშინვე დავრწმუნდით, რომ ცოცხალი ადამიანები ყელამდე ორმოებში იყვნენ ჩაფლულნი. შემადრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მოლაპარაკე თავები.

ყველა ტყვეს აძლევდნენ უფლებას, რიგრიგობით და ჯგუფ-ჯგუფად ენახათ ბედშავი ადამიანების ტანჯვა-წამება „თეატრში“.

ჩაივლიდა ერთი მწკრივი, მიიღებდა კუთვნილ ულუფას, დააყენებდნენ ცოტა ხანს, დაატკობდნენ „ხელოვნების“ იშვიათი სანახაობით, შემდეგ სხვა მწკრივი ჩამოივლიდა და გრძელდებოდა ასე.

მეორე დილით, გვერდი რომ ჩაეუარეთ იმ ადგილს, სადაც ებრაელებს აწამებდნენ, დავინახეთ, რაღაც იწვოდა. უქარო ამინდში კვამლი დიდ სევდასავით ცისკენ ასვეტილიყო. გუშინდელ ბალაგანში სიჩუმის აჩრდილი დაფარვებდა, აღარ ლაპარაკობდნენ მოკვეთილი თავები.

ვოლოშინოს გამსვლელ ბანაკში თითქმის ყოველდღე აწყობდნენ ამნაირ წარმოდგენებს. სამხედრო კომისრებს, რომლებიც აქა-იქ კიდევ იყვნენ მიმალულნი, ჯამუშების საშუალებით ექებდნენ, პოულობდნენ და ხერხებდნენ.

იღვოდა ჩვენი ვოლოშინოში ყოფნის უკანასკნელი დღეები. ერთხელ კიდევ მოკვარი თვალი ებრაელების წამებას, თვალი ავარიდებ, გამოვიქცეო.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. დღემდის მაწვალებს და სანამ ცოცხალი ვარ, ვერ დავივიწყებ ყველა იმ არაადამიანურ საქციელს, რასაც გერმანელი ნაციისტები სჩადიოდნენ.

გზორული ბიჭი

ვოლოშინოში სრული ერთი თვე დავრჩით. ამ ერთი თვის განმავლობაში არაფერი არ მინახავს, გარდა ადა-

მიანთა წამებებისა და დახერხებებისა. ჯერ კიდევ არ ვიყავი მოსული გონზე, თანდათან ვერკეოდი და ვერ ვურიგდებ-

ბიდი ტყეობას. დავნაწილდით ჯგჯგ-ჯგუფად ნაცნობ-უცნობები და ვეძებდით ხელსაყრელ პირობებს ტყეობა-დან თავის დასაღწევად.

ამ ერთი თვის განმავლობაში ებრაელების წამების „წარმოდგენები“ ყოველდღე იმართებოდა. გასწყვიტეს სამხედრო კომისრებიც. სანამდის სამხედრო იერი არ დაჰკარგეს კომისრებმა, ადგილი გამოსაცნობი იყვნენ. შემდეგ ჯაშუშები გაჩნდნენ და ამ ზნეობადაკარგული, მოღალატე ადამიანების საშუალებით ეძებდნენ გერმანელები კომისრებს.

ზაფხული იყო და ღია ცის ქვეშ გავატარეთ ის ერთი თვე. უკრაინაში კარგი ბუნებაა და მანცადამანც შემწვუნებელი ზაფხულის სიცხე არ იყო. მხოლოდ ერთხელ მოვიდა თქორისებური წვიმა გამთენიისას და ამით დაგვაკმაყოფილა გულგრილმა ბუნებამ და შეგვიბრალა შეუბრალებელმა ღმერთმა. შეგვიბრალა-მეტყი, მისთვის ვამბობ, რომ როდესაც გლუბოკას ბანაკში ვიყავით, ერთ დღეს კოკისპირული ღვართქაფი წამოვიდა; გადაუღებლად, გიჟურად წვიმდა თითქმის მთელი დღე და ღამე.

ტყეების უმცირესმა ნაწილმა იქვე ახლოს მდებარე რაღაც ყაზარმისებურ შენობას შევაფარეთ თავი. შენობა ბანაკის ტერიტორიაზე იდგა და გერმანელებისთვის სულ ერთი იყო, წვიმაში ვიქნებოდით თუ საღმე თავშეფარებულში.

მიუხედავად ზაფხულისა, დიდმა წვიმამ თავისი კვალი დასტოვა. დილით, ადგილი რომ გადავინაცვლეთ, გავხედეთ, ჩვენი ნაბანაკარი ბრძოლის ველი გეგონებოდათ: დახოცილიყვნენ შიმშილითა და ავადმყოფობით ღონეძიხილი ტყეები.

სწორედ ერთი თვის თავზე აგვიკრეს გუდა-ნაბადი და მივატოვეთ ვოლოშინოს წამებისა და სიკვდილის ბანაკი. გავშორდით თუ არა ბანაკს, უკან მოვიხედე, ნაბანაკარი დამშრალ ზღვას ჰგავდა. მის ფსკერზე ტყეების ტანი-

სამოსთა ნაფლეთები და აუარებელი უსულო გვაში ეყაო. ბანაკის განაპირას ავადმყოფი ტყეები მოჯარულიყვნენ პირქუში ღრუბლებივით. დარწმუნებული ვარ, რომ ყველას იქვე დახვრეტდნენ.

ლისიჩანსკიდან გასვლის წინ საგზლად 'Makyxa' მოგვეცეს. მაკუხას ადამიანები არ სჯამენ, მგონი ღორების გასასუქებლად ხმარობენ უკრაინელები, საქონელსაც აქმევენ. ეს მაკუხა ჩვენთვის მინც კარგი იყო, ყოველ შემთხვევაში კარტოფლის ნაფტკვენსა და ბალახბულახს ხომ სჯობდა!

ზეთიანმა მაკუხამ წყალი მოგვაწყურა, თუმცა ეს წყურვილი არაფერი არ იყო იმ წყურვილთან შედარებით, რაც ჩვენ შემდეგ გზაში განვიცადეთ. მაკუხა, როგორც ზევით ვთქვი, საგზლად დაგვირიგეს, გასვლამდე კი მეტისმეტად მლაშე, მუხუდოსაგან დაშხადებული ბალანდა გვაქამეს. მარილიანმა (ჯერჯერობით მხოლოდ მარილიანმა) საქმელმა გული გვიპოვნა, მაგრამ იმისთანა დღე თქვენს მტერს დაადგეს, როგორც ჩვენ დაგვადგა. კინაღამ კი არა, ნამდვილად ვიხრჩობოდით წყურვილისგან.

შორი მანძილი გვექონდა გასავლელი. გვიჭირდა სიარული. კარგ პირობებშიაც რომ ვყოფილიყავით, ერთ ადგილზე დიდ ხანს დგომის გამო მანც ძნელი იყო შორი გზის გავლა. კიდევ კარგი, რომ მეზადრაგენიც ფეხით მოგვდედნენ და დიდად არ გვაჩქარებდნენ.

მიემართებოდა ტყეების კოლონა და გზის ორივე მხარეს ეყარნენ დახოცილთა და დაჭრილთა გვაშები. ტყეებს ყოველი ფეხის გადადგმაზე ჰკლავდნენ, ხან სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის და ხანაც წესრიგის დასამყარებლად. ასრულებდნენ ჰიტლერის ბრძანებას: „დაპყრობილ ქვეყნებში წესრი-

¹ მზესუმზირის ჩენჩი, რომელიც ზეთის გამოხდის შემდეგ რჩება.

გიორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

გის დასამყარებლად საჭიროა თითო ბოძზე თითო ჩამომხრჩვალ ადამიანი ეკიდოსო“.

მიედიოდით, მივლასლასებდით და ნამდვილად ცოცხლად ვიწვოდით წყურვილისაგან. გზაში გვხვდებოდა მდინარეები, უფრო გვახელდებდნენ და მიუწვდომელ ოცნებასავით გვშორდებოდნენ. ის ურჯულოები მაინცადამაინც მდინარეების ახლოს გვასვეხებდნენ, რათა უფრო გავხვლებულიყავით. უკრაინული სოფლები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან დიდი მანძილით და როცა შემდეგი სოფელი ვამოჩნდებოდა, ისე მივისწრაფოდით მისკენ, როგორც ბიბლიური იუდეველები აღთქმული ქვეყნისაკენ. აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, გარდა წყალისა. ყველა გრძნობა და ვნება გამქარალიყო ჩვენთვის და გონებაში ტვინის შემარყევლად რეკდა მხოლოდ ერთი სიტყვა: „წყალი, წყალი!“—მხოლოდ მოჩუხჩუხე ნაკადულები და წყაროები მეჩვენებოდა.

მას შემდეგ ასეთი რეფლექსი გამიჩნდა, სადაც არ უნდა დავინახო წყალი, მდინარე. ნაკადული თუ ღელე, წყალი ონკანისა თუ მოთქრიალე წყარო, სიხარულით შევეცქერი და კრეც რომ არ მწყუროდეს, მაინც ვერ ვშორდები, მივდივარ თუ ვდგავარ მდინარესთან თუ წყაროსთან, ბავშვივით ვეთამაშები მოჩხრიალე წყალს. სიკვდილი რომ მოსულიყო და შეეთავაზებინა: „წყალი თუ სიცოცხლე“, უსათუოდ წყალს ვირჩევდი.

გვხვდებოდა მდინარეები, შერე და რა მდინარეები? იმას კი აღარ დავეძებდით, მღორენი იყვნენ თუ მოჩხრიალენი. ისინი უკრაინასავით ვრცლად, ლალად მიედინებოდნენ და არც მიედინებოდნენ, თითქოს ვნანებოდათ ამ მშვენიერი მიდამოების სამუდამოდ მიტოვება. ასე ამაღლევებელი. ასე ღამაზები არასოდეს არ მჩვენებია მდინარეები. რა ბედნიერი იყვნენ ის შერცხლები, მდინარეების მოლაპლაპე ზედაპირზე რომ დანავარდობდნენ, თეთრ პერანგებს რომ ისველებდნენ წყალში

და მერე თითქოს პერანგების გასაშრობად აფრინდებოდნენ და ცის სივრცეში ირავს აკეთებდნენ. გველაგდა, ზეზეურად გველაგდა, გვევაგდა და გვახრჩობდა გაათრებულნი წყურვილი.

ტყეობის პირველივე დღიდან გვერდიდან არ მშორდებოდა ერთი ახალგაზრდა თბილისელი სომეხი. თბილისში შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს და როგორც ერთი მაწა-წყლას ბანადარნი, ერთად ვიტანდით ყოველგვარ გასაკვირს. იგი რაღაც იმედს გრძნობდა ჩემთან სიახლოვით. ძალიან იტანჯებოდა წყურვილისაგან, ბოლოს ველარ გაუძლო და მითხრა:

— გოგიჯან, მეტი ძლარ შემიძლია, რაც მომივა, მომივიდეს. აი, გახედე? გავალთ თუ არა იმ ხილზე, მდინარეც იქვეა, უსათუოდ უნდა დავლიო წყალი. თუ მოჰქლავენ, მოჰქლან, შენ იცი და შენმა კაცობამ, ჩემი მისამართი იცი, თბილისში რომ ჩახვალ, გადაეცი დედაჩემს ჩემი ამბავი.

ვურჩიე ცოტა კიდევ მოეთმინა, მას არ მოეწონა ჩემი რჩევა და ისეთი თვალეებით შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „რატომ გენანება, შე კაცო, დავლევ წყალს, შენ რა დაგაკლდებაო“.

გავედიო ხილზე, მივუახლოვდით მდინარეს. იგი აცახცახდა, დაიბნა, ქვაბუნა მე მომაჩეჩა ხელში და მლოცველივით ხელეგაწვდილი გაემართა მდინარისაკენ. „Ferfluchter“¹ — გაისმა გერმანელი ჯარისკაცის ხმა და სანამ მეორედ ავსებულ პეშვს პირთან მიიტანდა, იქვეა თოფმა. იგი იქვე ჩაიკეცა მდინარეში.

გავედიო მდინარეს და ცოტა შევჩერდით პატარა ხევთან. ემჩნეოდა, რომ იმ ადგილას ღელე უნდა ყოფილიყო. აღარ დავგვხვდა, დამშრალიყო ჩვენი „ბედის წყარო“. მაინც გვესიამოვნა ნესტიანი ადგილი, ვთხრიდით მიწას, ვწვდებოდით უფრო სველ ადგილს, ლოყას ვადებდით ზედ, ვლოკავდით და ვკოცნიდით, ვაწვალდებდით და

¹ დაწვეალი (გერმ.).

ვეიჯგინდით, როგორც მშვიერი ბავშვები დედის რძედამშრალ ძუძუებს.

მერე მოულოდნელად გამოგვიცხადეს: შემდეგ რომ შეგვხვდებოდა მდინარე, იქ დავისვენებთ და წყლის დაღვინებას მოგვცემთო, ვინაიდან თვითონაც უნდა დაესვენათ და ესაღილათ.

ეხ, რა კარგი რამ გვითხრეს იმ ლეთისგან შეჩვენებულებმა. იმდენად ვიტანჯებოდით წყურვილისაგან, რომ ჩვენი მწამებლები სათნო აღაშინებდად მოგვეჩვენენ.

მალე მდინარეც გამოჩნდა. ცახცახი აგვივარდა. არ შეგროდა, რომ ეს ბედნიერება გვეღირსებოდა.

ერთმა ქართველმა ბიჭმა მითხრა: თუ მართლა მივალწიე და თუ მანამდე არ გავგიჟდი, შიგ უნდა გადავბტეო!

მისი ნათქვამი ხუმრობად ჩავთვალე, თუმცა მაშინ ვიღას ჰქონდა ხუმრობის თავი.

უკვე მდინარესთან ვართ...

ვერ გავიგონე, ჩვენმა მეთვალყურე გერმანელებმა როდის გასცეს ბრძანება დასვენებისა და წყლის დაღვინება. ყველა მდინარისაკენ გარბოდა დამფრთხალი ბაყაყებებით და მეც გაჰქანა. ის ქართველი ახალგაზრდა მართლა გადახტა წყალში და კამეჩივით ჩაწვა შიგ. იგი ალბათ გახურებულ რკინასავით აშუშუნდებოდა.

მე მუხლამდე ვიდექი წყალში და ვნატრობდი: დიდხანს, დიდხანს გაგრძელებულიყო ეს უდიდესი სიამოვნება. მოვიკალო წყურვილი, შუბლი გავიგრძილე და მათარა ავესე. წამიერად მარტო დავრჩი ჩემს თავთან. მენანებოდა მდინარიდან ამოსვლა. გავხედე მდინარის ზედაპირს, თვალი მომტაცა ძისმა ლივლივმა. თავბრუ დამეხვა, წაგბარბაცდი...

ჩქარა გასცეს წინ წასვლის ბრძანება. განვაგრძეთ გზა.

ის ქართველი ბიჭი, კამეჩივით რომ ჩაწვა მდინარეში, გალუმპული მოგვედევდა და გაიძახოდა:

— ჩემო ძამიე (გურული იყო), აწი თუ მოვეკლები, აღარ ეჩივი, მაგრამ აწი რა მომკლავსო... — იგი გაცივდა, ცოტა

ხნის შემდეგ ტუჩები ჩაულურჯდა და კანკალი დააწყებინა. ვეღარ მოგვედევინე მხნედ. მერე სულ ჩამოგვეშორდა საღვაც გზაში დარჩა, დაგვეკარგა.

1947 წელს თბილისში, ქუჩაში მივიდიოდი. ვიღაც ახოვანმა შეგვეგრემანმა ახალგაზრდამ გზა გადამიღობა, წინ დამიდგა, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: შენ ქავთარაძე არა ხარ! გოგო ქავთარაძე! აბა, თუ მიცნობ.

მივატყერდი იმ ჯიქურად მოვარდნილ ბიჭს. გაიღიმა თუ არა, მაშინვე ვიცანი. ის იყო გურული ბიჭი, გზაში რომ დაიკარგა.

დაეაყვავებულიყო, დამშვენებულიყო. მხურვალედ გადავეხვიეთ ერთმანეთს, ცრემლები მოგვევრია ღიმილთან ერთად, ძლივს შევიკავეთ თავი. მოვინახეთ შესაფერისი ადგილი, მიუჯუჯკით სუფრას და გული ლაპარაკით ვიჯერეთ.

ვინაიდან იმ დღეს სიარული აღარ შეეძლო, თურმე ეს ბიჭი გზაში დახვრებილ ტყვე ამხანაგებში ჩაწოლილიყო და დამალულიყო. სანამ გზაში დახოცილ ტყვეებს აკრეფდნენ, საღამო ეამს, მას, ავადმყოფს, იმდენი კიდევ მოეხერხებინა, რომ ერთი მადლიანი უკრაინელის ოჯახში შეეფარებინა თავი. სახლის წინ, თივაში დაემალათ. მისი მომვლელი და გადამრჩენი ქალიშვილი შეჰყვარებოდა. როდესაც წითელ არმიას ის სოფელი გაეთავისუფლებინა, ჩვენს ჯარს შეერთებოდა, მტრის ქლევით გული ეჯერებინა. ომის დამთავრების შემდეგ მოენახა უკრაინელი ქალიშვილი და ცოლად შეერთო, შვილიც შესძენოდათ. ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ გარდასული უბედურება ისე ავად აღარ აგონდებოდა. მოვიგონეთ, თუ როგორ გადაეშვა წყალში წყურვილგახელებული.

ისე დავიბენიო, — მითხრა, — მდინარეში რომ ჩახტე და ჩაეწექი, წყლის დაღვინა კინაღამ დამაგიწყდაო. იქნებ

გოგორგი ქავთარაძე
ჯარისკაცის ჩანაწერები

სხეულიდან შევისრუტე წყალიო. ბედნიერების ცრემლები გვდიოდა. ათას რამეს ვიგონებდით, თითქოს განვლილი უბედურება აღარაფრად მიგვაჩნდა.


გერმანელი მებაღეები ტყვეებს ყოველთვის ფეხით მოგვყვებოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ღრმა ზურგში მოგვაქციეს. გერმანელი ბატონი ოფიცრები, რომლებიც სამხედრო ტყვეების გადაყვანას ხელმძღვანელობდნენ და საერთო თვალ-ყურს ადევნებდნენ, ველოსიპედებით, მოტოციკლეტებითა და ხანაც მახჭახებით ჩაგვიქროლებდნენ, გაგვისწრებდნენ

წინ, შეივლიდნენ უკრაინელთა ოჯახებში. და მაგრად გამოთვრებოდნენ. როდესაც სოფელში მივიდოდით, დაგვათვალიერებდნენ, ისევ წინ გაგვისწრებდნენ და შემდეგ ქალაქში. ან სოფელში დაგვხვდებოდნენ.

დასასვენებლად ყოველთვის ტრი-ალ მინდორს ირჩევდნენ. ახლო-მახლო ტყე ან ბუჩქნარი არ უნდა ყოფილიყო. წამოწვებოდნენ ჩვენი მეთვალყურე გერმანელები გულაღმა, თან საათებზე იხედებოდნენ. ცნობილ პედანტებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ დანიშნული დროისათვის მივეყვანეთ რომელიღაც სადგურზე, საიდანაც თურმე ბელაიაცერკოვის ბანაკში უნდა მოვეთავსებინეთ.

გაგრძელება იქნება





ჩეხურიდან თარგმნა თანათინ ჯავახიშვილმა

მოთხრობა

V

წუმი აღშფოთების გარდა, ყოველი ადამიანის გულში რომ ჩაბუდებულიყო ამ დღეებში, ბევრი შიშმაც შეიპყრო. ქალაქს თითქოს ზედ გადაეფარა სოფლური ბუმბულის ლეიბი, რომლის ქვეშაც ღამის კოშმარები ახრჩობდა ადამიანს. შიში გულში შეძვრა, არც ჭამის დროს ასვენებდა ადამიანებს და არც ძილის დროს; სატრფოს რომ ეხვეოდა ან ბავშვს უნანავებდა, მაშინ წამოეწეოდა. შიში მოცურავდა რეპროდუქტორებიდანაც და გაზეთის ფურცლებიდანაც.

— რაზე ფიქრობ? — ეკითხებოდა ესთერი, როდესაც პავლეს დარდიანსა და დაფიქრებულს ხედავდა. პავლე კი ზოგჯერ ისე ღრმად ჩაეფლობოდა ფიქრებში, ხოლო გონებით წარმოდგენილი სურათები ისეთი საზარელი იყო, რომ ესთერის ხმა თითქოს მიუწვდომელი სივრციდან შემოესმოდა.

პავლე სახეს ხელისგულით ისრესდა და ნაძალადევად, უღიმღამოდ იღიმებოდა.

— არაფერია... ისეთი არაფერია...

მაგრამ პავლეს ესმოდა, რომ ესთერს ვერ მოატყუებდა, ამიტომ ეხვეოდა. თვალებს უკოცნიდა, მის რბილ თმებს ყნოსავდა და ფიქრობდა — „შენ რომ იცოდე, შენ რომ შეგეძლოს წარმოდგენა...“

ქუჩებს იენისის პაპანაქების ოხშივარი ასდით. ბალები, როგორც წესია, ამ დროს ზაფხულის ფერად-ფერადი ყვავილებით ბიბინებენ, ჭია-მაია ხელისგულზე მიცოცავს და ფრთებს შლის. რაღაც გულქვაოზაა ბუნების ამ გულგრილობაში — ისე ბარაქიანად ღვივის და ჰყვავის ყველაფერი თაკარა მზის სხივებქვეშ.

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“ №1.

მაშინ, როდესაც კობილისის¹ მხრიდან სულ სროლის ხმა ისმის. ჯალათებს მოცლა აღარა აქვთ, იმდენი საქმე გაუჩნდათ. შამხანის ლულა გაცივებას ვერ ასწრებს. „...ამასთან დახვრეტელი იქნებიან ის აიონიც...“

— მიყვარხარ. — ეჩურჩულება ესთერი.

მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ესთერის ტუჩებს გრძნობს ტუჩებზე, ფიქრები კვლავ გაშმაგებით მიჰქრებიან. თვალწინ უღვას სიები: სახელები, ჩვეულებრივი, უბრალო სახელები. ამ სახელებს გაჰყვირიან გაზეთებიც, სახლის კედლებიც, კიხოს აფიშებისა და კბილის ელექსირის რეკლამების გვერდით გაკრული ბლაკატებიც. მოტივი თავზარდამცემად მოკლეა: ჩაუწერავ პირთ მალავდა — ბუპ! პროტექტორზე თავდასხმას მოწონებით შეხვდა — ბუპ! სხვებს მოუწოდებდა ბოროტ-მოქმედთა დამალვას — ბუპ! ბუპ! იარაღს მალავდა — ბუპ!..

მიყვარხარ! ოპ, დემერთო, ნეტავ კიდევ რისთვის დახვრეტენ ხალხს? იმისთვის, რომ შეხედე, იმისთვის, რომ ბედავ იცოცხლო, ამოიხრო, იტირო! ბუპ! ბუპ! პრალის გესტაპოში რეკენ ტელეფონები. ერთმანეთს აბეზღებენ, უთავბოლო ჩვენებებს ბოლო არ უჩანს. კიდევ ერთი მილიონი გადაიდო. გესტაპოელების აზრით, ფული მიაგნებინებს დამნაშავეთა კვალს. მაგრამ სად არიან ეს ბოროტმოქმედნი? და საერთოდ არსებობენ კი ისინი? ვინ იცის, რა ხანია ცოცხლები აღარ არიან და დახვრეტებასაც არასდროს ბოლო არ ექნეს?

სახელები, სახელები, სახელები, მისამართები და სროლის ხმა. ქარგალმა ჩეპეკმაც კი თავი ანება თავისებურ კომენტარებს. ყოველ დილით, გაზეთს წაიკითხავს თუ არა, ზარზეიმით წამოდგება, გამართავს ბებერ ბეჭებს და გულისგადაძაღვევ სიჩუმეში ძველ ქუდს იხდის დახვრეტელთა ხსოვნის პატივსაცემად.

ბავლე სუნთქვაშეკრული კითხულობდა სიებს. იდგა ამ ფურცლების წინ კრიკაშეკრული, ხელებადამუშტული. ივნისის მზე კეფაში მიბეჯენოდა, ოფლი რაკრაკით ჩასდიოდა საყელოში. ამ სიებს რომ გაშორდებოდა, მთელ სხეულში სისუსტეს გრძნობდა. მეორე დღეა სიებს კითხულობს. ახალი, წებოშუშუმრალი სიები თანდათან იზრდება, ახალი სახელები ემატება. ახალი სახელები — ესაა სახეები, ხელები, ტუჩები, თვალები, უამრავი თვალები...

ძალზე ადვილია ამ სიებში საკუთარი სახელის წარმოდგენაც.

შემდეგ — მამის, დედის, ჩეპეკის სახელებიც. ანტონი ჩეპეკი, თერძი, მცხოვრები...

ამას მოჰყვება... იმისი სახელი! ვითომ რატომაც არა?

ეს სახელი ერთ-ერთი იქნებოდა ამ სახელების კორიანტელში და როცა ვინმე თვალს გადააქვებდა სიებს, ვერც კი გამოარჩევდა სხვებში. შემდეგ კი სროლის ხმა, რომელსაც ბოლომდე ვერც კი მოისმენ.

ბავლე ვეღარ ჩერდებოდა შინ, სადაც სიჩუმე სულ უფრო და უფრო დაძაბული ხდებოდა. იქ მშობლების გულისხმიერი ყურადღებით იყო გარემოცული, მათს ფიზიკურ თვალს გრძნობდა და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, გარბოდა სახლიდან. მას მხოლოდ მზისგან გამოთეთრებული, მოჩვენებითს უძრავობაში გარინდული ქუჩაღა დარჩენოდა. ქვაფენილს ოხშივარი ასდის. გამველეთა სახე ნიღაბი გეგონება — არაერთარი გამოიმეტყველება არა აქვს; ყველაფერს გამოხატავს მხოლოდ ფარული გამოხედვა, მხოლოდ ფრთხილად, ტუჩების ცმაცუნით წარმოთქმული სიტყვები. საცოდავად ჭრიალებენ ტრამვაის ვაგონები — რა ხანია დახეტია არ ღირსებათ. მანქანების საყვირი ტვინს უბურღავს. ვიღრინის მიხეზში მკრთალად ირეკლება ფიგურა ყმაწვილისა, ჯიბეში ხელებჩაწყობილი რომ დაეხეტება. პასაჟებისა და გადასასვლელების სიგრილე, საზოგადო საპირფარეშოების სუნი, სანაპიროს თაკარა სიციხე, პაპანაქებისაგან მოთენთილი მდინარე.

¹ პოლიგონია პრალის გარეუბანში.

გერმანელი ხეივანი ჯარისკაცი ცდილობს იაფფასიანი აპარატის ობიექტივში მოაქციოს გრადას¹ კონტური. თავისი ხვედრით კმაყოფილი ჯარისკაცი მზეზე თვალებს ჭურჭლს და აპარატს აჩხაკუნებს. მხნედ, თავდაჯერებულად გამოიყურება. ახლა ალბათ ამ ათასჯერ დახატულ და გადაღებულ სურათს ტრადიციულად წააწერს: „ჩემს საყვარელ მონიკას“, და სადღაც თავის სახლში გაგზავნის.

დიდის ამბით გათამაშებული იქნა კომედია: „მთავრობიდან“ მარიონეტების უბადრუკი ხროვა მაამებლად ქედმოდრეკილი ეახლა უსაშველოდ გრძელტიტულიან ახალ უფროსებს, რათა ბრძანებები მიეღო. ადამიანები მახეში გამომწყვდეულებივით ცხოვრობდნენ.

ბავლემ თავზე ხელები მოიჭირა. მდინარის პირას იჯდა, გადმობრუნებულ ნავზე, ხიდის ჩრდილში. ვიდაცის ძაღლმა დასუნა ფეხებზე და თავის პატრონთან გაიქცა.

ესთერი რომ იბოვნონ, იქ რომ იბოვნონ, რა მოხდება?

რა სულელური კითხვაა! არსებობს ოფიციალური ნუსხა. ნადირივით მიახვრეტენ! გამოათრევენ თავშესაფრიდან და მიახვრეტენ. შემდეგ მიაყოლებენ თვითონ ბავლეს, მამას, დედას, იქნებ ჩეპეკსა და პეპიკსაც, რომლებმაც ესთერისა არაფერი იციან, იქნებ მისი სკოლის ამხანაგებიც დაიჭირონ — ვოიტა, კამილა... ვინ იცის? ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი...

ლოდივით დააწვა გულზე საშინელი სიმძიმე. ზოგი წუთი იყო, ისეთ საშინელებას განიცდიდა, საკუთარი კანიდან გამოხტომას ნატრობდა, თითქოს ეს კანი კი არა, კეთროვანის ტანსაცმელი ყოფილიყო. ესთერმა კი არაფერი იცის. არც უნდა იცოდეს, თვითონ ბავლემ უნდა გადაიტანოს ყველაფერი. ესთერმა რომ შეიტყოს, საფრთხე უფრო მეტი იქნება — არაფერს იცის, როგორ მოიქცევა...

არაფერს არ უნდა იცოდეს ეს ამბები! მაგრამ თვითონ კი შესძლებს ამის დიდხანს დამალვას? როდის უმტყუნებენ ნერვები და როდის დაიწყებს ყვირილს? დარდისგან როდის შეირყევა ჭკუაზე ოთხ კედელს შუა გამომწყვდეული ესთერი?

მაგრამ ესთერმა უნდა გაუძლოს, უნდა აიტანოს, თორემ ყველაფერს ეპარება აზრი.

ნეტა მალე თუ მოედება ამას ბოლო? მალე თუ დამთავრდება ომი? მალე თუ წაეთრევიან გერმანელები?

ახლა ბავლე გერმანელებზე სულ სხვანაირად ფიქრობდა, ვიდრე წინათ. მას სიძულვილი ახრჩობდა, ბრძოლის საშინელი წყურვილი სტანჯავდა. ტყვიამფრქვევი რომ ჰქონოდა, პირდაპირ ესროდა მათ მედლებით შეშკულ, ბორბალივით გამოხრეტილ მკერდში. ხელს დაჰქერდა გაშეტკას და დასცხებდა. უნდა იბრძოლოს! და უცებ ბრაზი მოუვიდა ადამიანებზე. რატომ არ იბრძვიან თუნდაც ცარიელი ხელით? ბავლე სიხარულით შეუერთდებოდა მათ, პირველ რიგებში ჩადგებოდა. რატომ სდუმან? რატომ სჯერდებიან მხოლოდ ჩურჩულს? რას ელიან?

— ბატონო ჩეპეკ, თქვენი აზრით, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი? — მოჩვენებითი გულგრილობით ჰკითხა ერთხელ ბავლემ.

— რაზე ლაპარაკობ? რა დამთავრდებაო, ყმაწვილო?

— რასაკვირველია, ომი...

— აჰა, ომი? ეს დაწყველილი ომი...

ქარვალმა ჩვეულებისამებრ მიიხედ-მოიხედა, ფიქრებში წასულმა ხელი მოისვა გაუპარსავ ნიკაპზე, მაკრატელი გვერდით გადასდო და შეთქმულივით თვალი ჩაუკრა:

— შემოდგომაზე რუსები გაუსწორებენ მაგათ ანგარიშს, ყმაწვილო! დარწმუნებული იყავი!

¹ პრადის კრემლი.

პაველე იმ დღეებში გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს გაზეთებს, გერმანელთა სარდლობის ქუნწ ცნობებსაც კი ხარზად კითხულობდა, ჯიუტად ეძებდა ამ ცნობებში ოკუპანტთა სისუსტეს, სულიერი დაცემის ნიშნებს, უკანდახვევის თაობაზე თუნდაც გადაკერით ნათქვამ ცნობას, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ იყო. მხოლოდ ერთი, ერთადერთი ადამიანის ნატვრას ახდომის ჯადოსნური ძალა რომ ჰქონოდა, გერმანელთა ფრონტი თვალისდახამხამებაში დაინგრეოდა.

ცნობების ხოტბას ასხამდა გერმანიის ჯარის უძლეველობას, იტყობინებოდა აღმოსავლეთის ფრონტზე შეტევების, ჩაძირული გემების, იაპონელთა წარმატებისა და აფრიკაში მარშალ რომელის გამარჯვების ამბებს...

ერთ საღამოს პაველემ შეირბინა ვოიტასთან, რომელსაც დიდი ჯახირით აეწყო ორლამპიანი რადიომიმღები. თუ კარს მაგრად მიხურავდი, საზღვარგარეთის დაჭერაც შეიძლებოდა. გადმოცემები იმედიანი იყო, მაგრამ ფრთხილი კომენტარები და ცნობები სანუგეშოს აღარაფერს ტოვებდა. ზირქით! პროგნოზებს აშკარად აკლდა ჩეპეკის ზღაპრულად უბრალო წინასწარმეტყველება. როგორ მოიქცეს? უნდა რაიმე მოიფიქროს! უნდა გაიქცეს ესთერთან ერთად! მაგრამ სად? პაველე ოთახში ჩაიკეტა, ევროპის რუკას სწავლობდა და უმწეოდ ტუჩებს იკვებდა. ვიქი ვარ! გადარეული! საითაც კი არ გაიხედავ, ყველგან ისინი არიან! ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით, დასავლეთით. ხოჭოსავით, კალიასავით მოედგნენ ევროპას. მიწაშიც ვერ იპოვნი თავშესაფარს, თუ რკვიით თავგახერცილი არა ხარ! პაველეს კანკალი აუვარდა. ნამდვილად მხოლოდ ახლა მიხვდა იმას, რასაც წინათ ანგარიშს არ აძლევდა. მახეშია გაბმული!

მიყვარხარ!

რალაც უნდა იღონოს! რა? ცოლად რომ შეირთოს? მერედა ეს უშველის? პაველემ ფრთხილად გაიკითხ-გამოიკითხა ეს ამბავი — ყველფერი ამაოა! ესთერი უკვე კანონგარეშეა გამოცხადებული და ოფიციალურად იგი ებრაელადაც კი აღარ არსებობს. უკანდასახევი ყველა გზა მოჭრილი აღმოჩნდა.

პაველეს აღარაფერი აინტერესებდა. ახლოვდებოდა ზეპირი გამოცდები, მაგრამ ეს არც კი აგონდებოდა. აღარც ამხანაგებს ხედებოდა. ზოგჯერ რომელიმე ამხანაგი მისი ოთახის კარზე დააკაკუნებდა და პაველე და გოგონა გაინაზებოდნენ ხოლმე ოთახში. კითხვასაც თავი ანება, აღარც ვარსკვლავები აინტერესებდა. რაღა დროს ვარსკვლავები! რა საქმე მაქვს ვარსკვლავებთან, როდესაც საკუთარი სიცოცხლე ძაღზე ჰკიდა? იგი ქუჩაში ხეტიალით ჰკლავდა დროს. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დაჭმუჭნული გაზეთის ნახევი იყო და ქარი დაფრიალებდა ქალაქის თავზე. ხან მდინარეს დასცქეროდა ხოლმე საათობით და მის წყნარ ტალღებში კენჭებს ისროდა; ხან პარკში იჯდა სკამზე, ვიდრე ივნისის წვიმა არ აიძულებდა პასაჟის გვირაბში შეეფარებინა თავი. უცნაური გრძნობით შესცქეროდა პაველე ზაფხულის ქექა-ქუხილს, ზეცას რომ აპობდა და დგაფუნით უშენდა ქვაფენილს წყლის ნიაღვრებს. მთელი მკერდით ისუნთქავდა ნაწვიმარ ჰაერს, მის სურნელებას კი ვერა გრძნობდა.

ყველაზე ცუდი იყო სახლში: „პაველიკ, ასე, პაველიკ, ისე!“. დედა, ბავშვი ხომ აღარა ვარ? დედა ნამდვილად აუტანელია, მაგრამ რომ ვაფუჯავრდე, რა აზრი აქვს! დედა საღამოობით იჯდა სამზარეულოში, ჩურჩულით კითხულობდა დაბადებას, ხელებს სალოცავად აღაპყრობდა და თავის ღმერთს ესაუბრებოდა. პაველეს აღარაფერი უკლდა, რომ ბავშვივით ატირებულყო.

— დეიდა ბეტა იწერება, არდადეგებზე პაველე ჩამოვიდესო. მოსავლის აღებაში მივხმარები! ძალზე კეთილი ხალხია.

— ზაფხულში? ვინ იცის, ზაფხულამდე რა მომელის!

— მაგას ნუ ამბობ, პაველიკ, ნუ მტანჯავ! რა ჩვეულებაა ვახშამის ოთახში

გატანა? ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვვხვდებით! რა დაგემართა? ავად ხომ არა ხარ? შვილო, ჩემო შვილო! საღამოს ისევ წახვალ? სად მიდინარ?

პავლეს სხვა გზა არ ჰქონდა — ისევ სიცრუისათვის უნდა მიემართა. იძულებული შეიქნა ამხანაგებისათვის ეთხოვა დახმარება. ამხანაგებს ცნობისმოყვარობა ჰქონდათ, მაგრამ მანაც ხელს უწყობდნენ, რომ საღამოთი სახლიდან გამოსულიყო. პავლე უკან იხედებოდა, ხომ არავინ მომდევსო. მამა ჯიუტად სდუმდა, გულგრილი და განაწყენებული სახე ჰქონდა. მამა-შვილს აღარ ესმოდა ერთმანეთისა, მაგრამ პავლე გრძნობდა, როგორ ადევნებდა თვალს მამა. მამამისი მოლოდინში იყო.

ერთხელ პავლე ესთერთან მიდიოდა. უცებ მოიხედა და მამა დაინახა. მამა კოჭლობდა და ძლივს მისდევდა. გაცეცხლებულმა პავლემ ნაბიჯს უმატა. თითქმის სირბილით მიდიოდა. ცალი თვალთ მოიხედა უკან და შეშინებულმა შეამჩინა, რომ მამაც მორბოდა. საშინელი სურათი იყო! კოჭლობდა, სულს ძლივს ითქვამდა და მანაც მორბოდა. პავლემ მოსახვევში გაუხვია, ქურღივით გაძვრა სადარბაზო შესასვლელში, ჰიშკარს ამოფარა და ქუქურუტანიდან დაუწყო ცქერა მამას. დაინახა, რა მწუხარედ ათვალეირებდა ის საღამოს ბინდბუნდში გახვეულ ქუჩას, ძძიმედ სუნთქავდა, ცხვირსახოცით იწმენდდა გახვითქულ შუბლს, ქუდი ინიავებდა სახეს. პავლემ ერთბაშად შეამჩნია, როგორ დაბერებულიყო მამა. და ისე უთვინტომოდ მოეჩვენა ეს უიღბლო, დაღლილი პატარა ხელოსანი, რომელმაც ითელი თავისი სიცოცხლე მახლობლებს მოახმარა. ყმაწვილმა ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გამოგარდნილიყო და ქვითინით არ გადახვეოდა. მამა! აბა, რა შეგიძლია მითხრა? არაფერი. მე შეშინა შენი თვალებისა, შენი შიშისა. მე საკუთარ შიშსაც ძლივს ვზიდავ! ვიცი, დაიწყებ ლაპარაკს კეთილგონიერებაზე. მაგრამ რა ჰყრია ჩემთვის მაგ კეთილგონიერებაში? და, საერთოდ, რა არის კეთილგონიერება? ანდა სად არის იგი? შენშია? ჩემშია? არ ვიცი, მამა! კეთილგონიერება ისაა, რომ გააგლო კაცმა ესთერი თახიდან, გამოათრიო ამ თავშესაფრიდან, ანდა უბრალოდ მოჰკლა. შეიძლება თქვა: თავდაცვის გამოო. ჩუმად მოჰკლა, შემდეგ აიყვანო და ღამის წყვდიადში სასაფლაოს მესერზე გადისროლო. მას არავინ არ მოიკითხავს. ახლა აღარავისთან და აღარაფერთან აღარ არის დაკავშირებული. მხოლოდ ჩემთან და წყვდიადთან.

ამ საღამოს ესთერმა და პავლემ გაიგონეს წყნარი კაკუნი კარზე. პავლემ თითო ტურზეზე მიიღო, ლამაზა ჩაატრო და გაიტრუნა.

— პავლე!..

მამა ეძახდა. წუთი საუკუნედ მოეჩვენათ. პავლეს ესმოდა, როგორ უფართხალებდა ესთერს გული. პავლემ ხელი დაადო მკერდზე. შეშინებული გული ამოვარდნას ღამობდა. კარს იქით მდგარი არ ეშვებოდა. თავის სახელოსნოში შევიდა, ახლა იქიდან მოაწვა კარს. ამოდ: კარი დაკეტილი იყო, გასაღები კლიტეში ერქო, სახელური თავისუფლად ადი-ჩადიოდა, მაგრამ კარი არ იღებოდა.

გაისმა კარის რახუნი. მამა წავიდა, მაგრამ პავლესა და ესთერს გუნება წაუხდათ.

პავლე წამოდგა და წასვლა დააპირა. ესთერს არ უთხოვია, დარჩიო. პავლეს სახე დაემანჭა. შიში და სირცხვილი ახრჩობდა, რაღაც მტანჯველი გრძნობა დაეუფლა. დაღვრემილმა, თმაზე ხელი გადაუსვა ესთერს და გაღიმება სცადა. ესთერმა თავი დაუქნია და ნაღვლიანი ღმილით უპასუხა. მას ყველაფერი ესმოდა.

მომხდარი ამბით გატანჯული პავლე უფახშმოდ დაწვა, მაგრამ ძილი არ მიეკარა. გულადმა იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და იმის ძალაც არ შესწევდა, რომ ლამაზა ჩაეტრო. კარის ჭრიალი მოესმა, მაგრამ თვალი არ გაუხელია, თავი მოიმძინარა. მან იცოდა, ვინც მოვიდა. წამწამებშორის, შუქის პაწია სხივებზე ხედავ-

და მამას. დაღლილი, სახედანაოკებული, თავზე დაადგა. მოხუცის თვალები შეი-
ლის სახეზე რალაცის ამოკითხვას ცდილობდა.

— პავლე...

შვილმა უფრო მაგრად დახუჭა თვალები, ეცადა მძინარესავით თანაბრად
ესუნთქა. ცრემლები ასრჩობდა. „მე ქვა ვარ? ვტყუო? ვატყუებ იმას, ვინც ჩასწავ-
ლიდა, სიმართლე ილაპარაკეო. რად მასწავლიდა სიმართლეს, თუ ახლა იძულებ-
ული ვარ ტყუილი ვილაპარაკო?“

— პავლე, გძინავს? გესმის, ბიჭუნო?

თერძის გამხდარი ხელი მსუბუქად გადასრიალდა შვილის თმაზე, სასთუ-
მალთან სინათლე ჩაუქრო. თერძმა ოდნავ ამოიხსრა და ფეხის წვეკრებზე დაბ-
რუნდა სამზარეულოში, რომ გაზეთს მისჯღმომოდა. გაზეთის პირველ გვერდ-
ზე, შავ ჩარჩოში მოთავსებული დიდი სურათის ქვეშ ეწერა: „სს ოპერგრუპპენ-
ფიურერი რეინჰარდ ჰეიდრიხი გარდაიცვალა თავდასხმის დროს მიყენებული ჭრი-
ლობების გამო“.

VI

დრო საშინელი სისწრაფით მიჰქროდა.

ქვეყნიერების ხმაური აქ შორიდან მოდიოდა. უიმედობითა და შიშით შებყ-
რობილი პავლე მხოლოდ ესთერის გვერდით მშვიდდებოდა. გოგონას წამწანების
რხევა, ტუჩების მოძრაობა და ხელის შეხება დარღს უქარგებდა. მისი ცხოვრება
ახლა ორად იყო გახლეჩილი და ეს ნაწილები არაფრით არ ჰგავდა ერთიმეორეს.

ამ ოთახში კი ისა და ესთერი მშვენიერ საღამოებს ატარებდნენ. მარტონი
იყვნენ ვარსკვლავებთან, ერთიმეორის სუნთქვით ცოცხლობდნენ, ერთმანეთით
ბედნიერნი იყვნენ. ხოლო იქვე, მათ გვერდით, ცხოვრობდა ძველი სახლი. ისინი
ჩურჩულით ბაასობდნენ, ხუმრობდნენ, ათას სისულელეს ლაპარაკობდნენ, ერთი-
მეორეს ახელებდნენ და ჩუმად იცინოდნენ, ვინაიდან სიხარული, თვით ახალ-
გაზრდული ბუნების თანახმად, სძლევეს ყველაფერსა და ყველას. და მაშინ მათ
ერგენებოდათ, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ უკვე გადარჩენილნი არიან, რომ
ქალაქის კედლებგადაღმა არიან დამალულნი და სრულიად აღარავითარი საფრთ-
ხე აღარ მოელოთ.

ჰო, არავითარი საფრთხე აღარ მოელოთ! ხუთი ნაბიჯი წინ, ხუთი ნაბიჯი
უკან!

ხანდახან პავლე სდუმდა, სიტყვები არა ჰყოფნიდა, და ესთერს მხოლოდ
თვალებით ელაპარაკებოდა. „მე არც ვიცოდი, რომ ქვეყნად არსებობდა ასეთი
რამ! სანამ შენ შეგხვდებოდი, ჩემში მხოლოდ მოლოდინი იყო... მხოლოდ მოლო-
დინი. რა სისულელეა! თოთხმეტი წლის რომ ვიყავი, ერთი სენტიმენტალური ამ-
ბავი შევთხზი: ვითომ მე მფრინავი ვიყავი, ერთი მზეთუნახავი გადაგარჩინე... შე-
ვიყვარე და ცოლად შევირთე. სახელიც კი მოვუგონე. სასაცილოა, არა? ის სრუ-
ლებით არა გგავდა შენ! რალაც აჩრდილი იყო. მრცხვენია კიდევ ახლა ამისა. ახლა
კი ხარ შენ, შენ მხარზე მეყრდნობი და მე გვრძნობ შენი თმის სურნელს. ნეტავი
რისი სუნი ასდის?“

ასეთ წუთებში დრო ჩერდებოდა. ისინი ერთიმეორეს უსიტყვოდ ელაპარაკე-
ბოდნენ, მდუმარედ ოცნებობდნენ. ერგენებოდათ, რომ ხელიხელჩაკიდებულნი დაე-
ხეტებინან ისეთ გზებზე, სრულებით რომ არა ჰგავს ამ ფანჯრის იქითა სამყაროს
გზებს; ერგენებოდათ, რომ ყველაფერი მზის სხივებში იძირება, და დედამიწა, რო-
მელზედაც დაბაიჯებენ, ფეხქვეშ არ ეცლებათ; ისინი მინდვრად დარბიან და მთე-
ბიდან მონაბერი ნიაგი თმებს უწეწავს. ლავარდი, უღრუბლო ზეტა დაჰყურებს
მათ. როგორ იცინის ესთერი! მრავალხმიან ექოდ გაისმის მთებში მისი კისკისი.



ინან ოტჩინაშვიტი და რამომო, ჯუღლიანთა და წამლიანი *

პავლე მას ხელს ხევეს, მაღალ ბალახში აწვენს და თვითონაც იქვე წვება, რათა ახლოს ხედავდეს ცოცხალ, სველ ტუჩებს, დახრილ წამწამებს, საიდანაც შავი სინათლე იღრქნევა. ესთერს მკერდზე ადებს თავს და თვალებს ხუჭავს. გესმის, როგორ სმაურობს ქვეყანა?! შენ აქა ხარ, ჩემთან! პავლე გრძნობს მისი ხელის მსუბუქ შეხებას. მიწამ ჩაიხუტა ისინი და საიმედო ხელით არწევს. მთელი არემარე გაირინდა. ისინი გამკვირვალე, მომწვანო წყალში მისცურავენ. ესთერი ცოტა წინ მიცურავს. შემდეგ უკან იხედება და პავლეს ხელს უქნევს.

„სად მინახავს ეს ყველაფერი? — ფიქრობს პავლე. — სად მინახავს ეს ღერწმით დაფარული ტბის ნაპირები, დაქანებული ველები რომ აკრავს გარს, ჭადრების ხეივანი და არყის ხეების თეთრ ჩრდილში ჩაკარგული გზა? სად არის ეს ქვეყანა? როგორ მოგხვდე იქ?!“

სურათი გამოიცვალა. ისინი ვაგონის ვიწრო გასასვლელში დგანან. ფანჯრის იქით კი მიჰქრის პეიზაჟი — მუქი, მერე ისევ ოქროსფერი...

— პავლე...

პავლე გამოერკვა. ირგვლივ ისევ ოთხი კედელია.

— რაო?..

ესთერი ცოტა ხანს ყოყმანობს, სიტყვებს ეძებს.

— შენ... გყოლია... შეყვარებული?

ყმაწვილმა იდაყვებზე წამოიწია.

— რაო? მყავდა თუ არა...

— დიახ... — ესთერი მთლად დაიბნა. — მაგას გეუბნები...

პავლე გაჩუმდა. ამ კითხვამ უსიამოვნოდ განაცვიფრა. არ მოელოდა. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. ჯიუტად მიაჩერდა. ენის ბორძიკით, უხალისოდ და უბრალოდ გამოტყდა:

— არა.

და მაშინვე მისკენ მიტრიალდა:

— რად შეკითხე?

— ისე. მიხარია!

— რატომ?

— არ ვიცი. ოღონდ ძალიან კი მიხარია.

ესთერმა ჩუმად გაიცინა, პავლეს მხარზე მიდებული თავი ასწია, მისი სახე ხელებში მოიქცია და ნელა შეეხო ტუჩებით. შემდეგ მკლავს ქვეშ შეუქვრა, მოხერხებულად მოთავსდა, კნუტივით მოიკუნტა და შვებით ამოისუნთქა.

— შენ თვითონ?

გოგონამ ვერ გაიგონა მისი სიტყვები, ფიქრებში იყო გართული. ამ დუმილმა გული ატკინა პავლეს. ის ერთბაშად შეინძრა და უნებურად მოიშორა ესთერი.

— შენ თვითონ?

ესთერმა გაკვირვებით შეხედა.

— მე? არც მე. შენ გეგონა...

— არაფერიც არ მეგონა!

— შენც ხომ გიხარია, ჰა?

— რასაკვირველია, — გამოუტყდა პავლე და ამოიოხრა.

— შენ ამაზე გიფიქრია?

— არც ისე. მე ეკ არ მაინტერესებდა... თუმცა, პატიოსნად რომ ვთქვათ —

ჰო! მე ვფიქრობდი ამაზე.

— ჩემზეც?

სირცხვილითა და გაურკვეველი შიშით გატანჯულმა პავლემ ძლივს ამოისუნთქა.

— შენზეც! მიწერები?

— რატომ უნდა გიწყებოდე? მე ხომ მიყვარხარ. და მინდა მოგცე ყველაფერი, რაც მახადია.

— შენ კარგი ხარ, — უთხრა გულაჩვილებულმა პავლემ.

— არა. მე ამისი მეშინია...

— ნუ გეშინია. მე შენ არასოდეს არ გაწყენინებ... და თუ...

— მე ვიცი, თავდაპირველად მე ჩვეულებრივი გოგო ვიყავი, ერთი მოუქნელი მოზარდი. ამხანაგები ესთას მეძახდნენ. შემდეგ გავიზარდე და უცებ გამოირკვა, რომ მე თურმე სხვებს არ ვგავდი — ებრაელი ვიყავი. თითქოს სულ სხვა ვილაც გავხდი. რატომ? მე ამიკრძალეს არიელებთან შეხვედრა. იცი, პავლე, კაცმა რომ თქვას, შენც ხომ არიელი ხარ.

ესთერმა გაიცინა და თითები თმაში გაუყარა.

— სისულელეს თავი დაანებე, — აბუზღუნდა პავლე და სცადა გოგონას ხელიდან განთავისუფლება, თუმცა სინამდვილეში ძალიანაც სიამოვნებდა.

— არ დავანებებ! მე მიყვარს შენი თმები! მე ამ წუთას ყველაფერი სასაცილოდ მიჩვენება. დღეს სულ სიცილი მინდა. შემდეგ რა იყო? შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოხდა. მე აქა ვარ და ჩემი ბრალი არაა, თუ თქვენ შემიყვარდით, არიელო! მართლა... ჩემი ბრალი არაა...

— ნუ მაჯავრებ!

ესთერს რალაც ახალი იდეა დაებადა.

— პავლე, შენ ცეკვავ?

— საიდან მოიგონე? ისე რალა... ცეკვებზე დავდიოდი.

— მე კი მაგის ნება არ მქონდა. ერთი ძალიან ლამაზი კაბა მქონდა, მაგრამ მერე დედამ გადამიკეთა. ცეკვას მამა მასწავლიდა.

— მე ცეკვა მაინცდამაინც არ მიყვარდა. ეს პიქონების საქმეა. „ბესედა“¹ რომ უნდა დაწყებულიყო, ჩვენი ბიჭები სულ ითესებოდნენ.

— მე კი ძალიან მიყვარდა ცეკვა.

— მერედა სად ცეკვავდით? — ჰკითხა პავლემ უნდობლად.

— რა თქმა უნდა შინ, ოთახში. რომ არავის დავენახეთ, ფარდას ჩამოვშვებდით ხოლმე. დედა მიუჯდებოდა როიალს, ვალსს უკრავდა, მამა კი ცეკვას მასწავლიდა. ერთი, ორი, სამი, ტატა-ტა-ტატა-ტა. მამა საუცხოოდ ცეკვავდა და მეც მალე ვისწავლე... ძალიან ადვილია. მოდი, ვიცეკვოთ.

— გაგიჟდი! — პავლემ გაოცებით შეხედა, მაგრამ გოგონა უკვე საცეკვაოდ ექაჩებოდა. პავლე უხალისოდ წამოდგა, გაჩეჩილ თმას იწეწდა და თავს აქნევდა.

— მე ისე მინდა ცეკვა, პავლე, — ემუღარებოდა ესთერი და პავლე ვერ მიმხედარიყო, რამ ალაგზნი ასე გოგონა. ესთერს ლაწევიბი ასწითლებოდა. — ვერავინ დაგვინახავს, მე კი... მე ისეთი ბედნიერი ვიქნები! გინდა, რალაცას გაჩვენებ! მოიცა! ახლავე მოვალ, შენ კი სცადე საცეკვაო მუსიკის დაჭერა, კარგი?

სანამ პავლე გამოერკვეოდა, ესთერმა გასალები გადაატრიალა, ბნელ სახელოსნოში გავიდა და სინათლე აანთო. პავლეს თავზარი დაეცა:

— ჩააქრე, თუ ღმერთი გწამს, ახლავე ჩააქრე! ფანჯრებზე არაფერი არ არის ჩამოფარებული. ჩააქრე!

პავლემ მიმღები ჩართო, ამაოდ ცდილობდა რაიმე მუსიკის დაჭერას. ხრილსა და ხმაურში მხოლოდ სამკლოვიარო დაფდაფებისა და დოლის ხმა ისმოდა. რეპორტაჟი იყო. მკვდარი პაულებიერი საავადმყოფოდან გრადში გადაჰყავდათ.

პავლეს გააზრიალა, სწრაფად გამორთო რადიო.

მაგრამ როდესაც მოტრიალდა, სიცილი ველარ შეიკავა. კარებში ესთერი იდგა; მას მანეკენიდან მოედრო დაუმთავრებელი, სახელომიზნადღული პიჯაკი და

¹ ჩეხური ცეკვა.



ჩაეცვა. პიჯაკი დიდი იყო, პატარა ხელები სახელოში არ მოუჩანდა. ბამბადადებულნი მხრები უწნოდ ეკიდა. პიჯაკი მუხლებს ქვევით სცემდა. პავლემ ტაში შემოჰკრა.

— ოჰ, მომასულიერეთ! ეს რა ჩაგვიცვამს!

— არ მოგწონვარ? — გადაიხარხარა ესთერმა ბედნიერი სიცილით; მოხდენილი მენუეტით მიუახლოვდა პავლეს და მდაბლად დაუკრა თავი:

— მილორდ, იმედია შემდეგ ჩემთან იცეკვებთ!

— დიახ, მილედო! — აჰყვა პავლემ და გაიბღინძა. — სამწუხაროდ, ცეკვების პროგრამა შინ დამჩა, როიალზე. ასე რომ, მუსიკა არ ჩქნება.

პავლემ ესთერს სასაცილო პიჯაკი გახადა, მოუქნელად ჩაავლო ხელი და ჩუმად დაიწყო ვალსის სტენა; ამ ვალსს უკრავდნენ ხოლმე მაშინ, როცა საცეკვაოდ დადიოდა:

— მ-ტა-ტა, მ-ტა-ტა...

ახალგაზრდები გაიტაცა თამაშმა—ვითომ ძველებური უდარდელი ცხოვრება! — და ტახტსა და მაგიდის შუა დაიწყეს ტრიალი. ცეკვავდნენ უკვებ დასერიოზულებულნი, ორი ფიგურის ჩრდილი კი კედლებზე დასრიალებდა, ჭერში მიცოცავდა, თრთოდა, კუთხეში ტყდებოდა და იკლავებოდა. სინათლე და ჩრდილი ტრიალით ეცემოდა მათ სახეზე. პავლეს ესთერი უკვებ სულ სხვანაირი მოეჩვენა. გოგონას თავი უკან გადაეგდო, წამწამები დაეხარა, ტუჩები ოდნავ გაეღო და ისე ცეკვავდა. მოძრაობის რიტმს აყოლილი გოგონა მოქნილი, მიშყოლი და ნაზი, თოვლის ფიფქით, სუნთქვასავით უსხეულო და ჰაეროვანი გახდა.

პავლემ ესთერის ჩემოდანზე წაიბორძიკა და წონასწორობა დაჰკარგა. გოგონა ხელიდან გაუსრიალდა და დივანზე დაეცა. პავლემ იქვე დაასკდა. ორივემ გადაიხარხარა. პავლემ თმებში ხელი შეუყო გოგოს.

— მოდი! მოდი, კიდევ დავტრიალდეთ!

— ნამდვილად გავგიჟდით!

სიცილი შეწყდა.

— ესთერ!

— რაო?..

პავლე ვედარ ცნობდა გოგონას თვალს. მათში რაღაც ბოზოქარი ცეცხლი გიზგიზებდა. მათი ელვარებით მოჯადოებულ პავლეს სუნთქვა შეეკრა. უკვებ ესთერმა ხელი მოხვია, მოულოდნელი ძალით მიეკრა და ტუჩებით მის პირს დაეწაფა.

პავლემ უნებურად თვალი დახუჭა, განძრევისა ეშინოდა.

— შენ ჩემი ხარ...—მოესმა ჩურჩული ბურანში.—ჩემი... არასდროს არ მიმატოვო, პავლე! მე მინდა, შენთან ერთად დავემალო ყველას და ყველაფერს...

პავლემ გულში ჩაიკრა გოგონა. ორივეს ხანძარი მოედო და გონება დაუბნელა. ყველაფერი გაქრა და მხოლოდ ესთერიღა დარჩა. ეს გაფრენას ჰგავდა, შორევის ტრიალს. ახალი გრძნობით დაბრმავებული პავლე მკაცრი სინაზით ეაღერებოდა გოგონას სახეს. ოჰ, გული! იგი დიდი ზარით რეკავდა. ესთერის სუნთქვა გახურებულ სახეს ელამუნებოდა, საფეთქლებზე თმას ურხევდა. მაგრამ როდესაც პავლე მკერდზე დაეკონა, ესთერი მთელი სხეულით დაიკლუნა და გაიბრძოლა.

— არა, პავლე, გემუდარები... არა! დღეს არა... პავლე... ეგრე ნუ მიცქერი... გამიგონე! გევედრები...

პავლემ ესთერის თვალზე ცრემლი დაინახა და წამსვე ხელი გაუშვა. თანდათან გონს მოვიდა. ყველაფერი გაქრა. დაძაბულობა ნელდებოდა და რჩებოდა მხოლოდ კდემამოსილი თრთოლება და მხურვალე ნაღველი. მოეჩვენა, თითქოს გა-

ძოფიტული დარჩა, მარტოდმარტო, მათ შორის მანძილი უფრო და უფრო იზრდებოდა. ტირილი მოუნდა.

ცმაწვილი დაჯდა, სახე მოისრისა. როცა გაიფიქრა, ახლა სასაცილო ვარო, უცებ გამოფხიზლდა. საშინლად შერცხვა. ლაწირაკი! წვინტლიანი! ვერ გაეგებდა ესთერისათვის სახეში შეხედვა. წამოდგა და თითქოს უხერხულობის გაქარგებას ცდილობსო, ჩახრენწილი ხმით თქვა:

— ფანჯარას გაგაღებ. აქ კაცი დაიხრჩობა!

VII

ისინი სიბნელეში დარჩნენ. ფანჯარაში მოჩანდა ადრიაანი ვარსკვლავებით მოჭედვილი ცის ნაჭერი. პავლე გოგონას უცქერდა ჯა ვერ ხედავდა. გული ძალუშად უცემდა. მას დაეუფლა სინანული, სიმწარე, სინდისის ქენჯნა, გრძნობები, რომელთაც ადამიანთა ლექსიკონში სიტყვას ვერ მოუძებნი. რაღაც უკეთური სირცხვილი! პავლე აპიანურებდა დუმილს. რისთვის? რისთვის ჰკრა ხელი ესთერმა? მისი დამცირება უნდოდა? პავლემ არ იცოდა. სიბნელეში წყნარად მოისმა:

— ჯაერობ?

— არა!

— მართლა?

პავლეს ტყუილის თქმა არ უნდოდა და დუშდა.

— რად გაჩუმებულხარ?

— ვფიქრობ!

— რაზე? გვედრები ილაპარაკე. ოღონდ ჩუმიდ ნუ ხარ!

— არაფერზე. ისე!

— შენ ცუდი ხარ! განა რა დაგიშავე ისეთი? შენ ბრანობ, რომ...

— დაივიწყე ეს ამბავი, — სიტყვა გააწყვეტინა ადვლეგებულმა პავლემ. — არაფერი საშინელი არ მომხდარა.

— მართალს არ ამბობ. მოხდა... მე შემეშინდა. მაგრამ შემდეგ... შენ გჯერა ჩემი?.. შენ ახლა სულ ერთიანად ნადვლობ, არა?

— კმ...

— არ მინდოდა შენი წყენინება. დამიჯერე. მე სულელი ვარ... უშადური! შენ ახლა ეს უკვე იცი.

პავლემ ამოიოხრა: „რა ძნელია შენთან!“. მოძებნა ესთერის თავი და თმაში თითები ჩაუცურა, მაგრამ ყველაფერი ის არაჩვეულებრივი, რაც თავს გადახდათ, სამუდამოდ გაქრა. ფარისევლობა კი არ შეეძლოთ!

ესთერმა პავლეს მკერდზე მიაღო თავი და დააყურადა.

— რას სჩადიხარ?

— ვუსმენ, როგორ ფეთქავს ცოცხალი გული. დაიცა, არ გაინძრე, მინდა ვუსმინო. აი — ტაკ, ტუკ, ნეტავი შენს გულზე მაკოცინია.

— სულელი! გული ფეთქავს, მერე რა მოხდა?

— როდესაც ადამიანი კვდება, გული აღარ ფეთქავს...

— რა არის აქ საკვირველი? — წყენით შეაწყვეტინა პავლემ.

— არაფერი. ვიცი, სუნთქვაც ჩერდება. ყველაზე ძალიან ის მაგიჟებს, რომ ადამიანი სუნთქვას სწყვეტს. როცა მე ძალიან მიძიმს, ჩემს თავს ვეუბნები ხოლმე: სულელი, შენ ხომ სუნთქავ, შენ ხომ სუნთქვა შეგიძლია! ეს დიდი ბედნიერებაა და ეს ბედნიერება დროზე უნდა, შეისმინო. მოდი, ერთად ვცადოთ. გინდა? შეისუნთქე... ღრმად შეისუნთქე პაერი, გრძნობ? თან იფიქრე: მე ვსუნთქავ, კიდევ ვსუნთქავ... რა მდიდარი ვარ...

პავლე უნებურად აპყვა ამ სიგიჟეს. ისინი ღრმად ისუნთქავდნენ ივნისის ღამის ნოტიო პაერს. „ნამდვილად, ვგიჟდებით, — ფიქრობდა პავლე. — მაგრამ შენ.

ესთერ, ისუნტქე, იცოცხლე, არასდროს შეწყვიტო სუნთქვა. ჩემი გულისათვის! პავლე წამოდგა, ფანჯრის მიხურვა დააპირა.

— არ ჩამოათარო ფარდა, მინდა ცას ვუყურო. ღამე აქ ცინებს წააგავს. მე მძულს წყვდიადი.

— მეც.

პავლე ტახტზე ჩამოჯდა. სიგარეტს მოუკიდა. წითელი სინათლე აცემიმიდებოდა და ისევე ქრებოდა. პავლემ მხრებზე მოხვია ხელი ესთერს. უნდოდა ჩვეულებრივ, უბრალო რამეზე გადაეტანა ფიქრები. მთელი არსებით სძულდა სიკვდილზე ფიქრი, ეს მწარე, უსიამო ფიქრი. რატომ ლაპარაკობს ესთერი სიკვდილზე? განა არა კმარა, სიკვდილი ქალაქში რომ დათარეშობს?

— რას გააკეთებ ომის შემდეგ? რასაკვირველია, იმის გარდა, რომ ჩემი ცოლი გახდები?

პავლემ იგრძნო, რა მადლიერებით მიეკრა ესთერი.

— მე? ცეკვას ვინატრებდი!

— სალომეასავით?!

— ჰო. მაგრამ მე არავის თავს არ მოვიტხოვ. ცეკვა ადვილი საქმე როდია, მაგრამ მე ვეცდები. მე ვცეკვავდი, როდესაც არავინ მიცქერდა ხოლმე. მხრებზე ქრელ სუფრას წამოვიხსაწი და ვცეკვავდი. მამა მიცქერდა, როგორ დავხტოდი ბაღში და იცინოდა: „რასა გეგხარ, ესთერ, სულელო!“.. ღმერთმა უწყის, რას ვცეკვავდი. ისე, ჩემთვის ვცეკვავდი, გესმის? როდესაც მოწყენილი ვიყავი, ცეკვა სევდიანი იყო, როდესაც რამე მიხაროდა — ცეკვაც მხიარული იყო! ერთხელ მე და დედა ბაღეტზე ვიყავით. „ზღაპრიდან ზღაპარში“ ერქვა, ღამაში ბაღეტი იყო. ძალიან მინდა ოდესმე დიდ სცენაზე ვიცეკვო. მე ვცეკვავ, სინათლის შუქი კი დამდევს. უცებ ქალები ინთება, ხალხი ტაშს მიკრავს, მე მადლობას ვუხდი და... შემდეგ გარეთ გამოვდივარ სუფთა პაერზე...

— იქ კი მე გხვდები და გეუბნები: „დღეს შენ დიდებული იყავი“.

— და მერე ჩვენ ერთად მივდივართ სადმე, მხოლოდ მე და შენ. ჩვენ და ქარი. გიყვარს ქარი?

— მიყვარს შემოდგომაზე, როდესაც ხეებს ფოთლები სცვივა. მე მიყვარს შემოდგომა. შემოდგომას რაღაც დიდებული სიმშვიდე და წესრიგი აქვს.

— შენ რაღას გააკეთებ ომის შემდეგ?

— მე? ვისწავლი. ჯერ კიდევ რამდენი რამ უნდა შევიტყო!

— ვარსკვლავებზე?

— საიდან იცი? — შეეკითხა პავლე და გაკვირვებულმა თავი ასწია.

— ასე მგონია.

— ჰო. საღამოობით ობსერვატორიაში ვიქნები ხოლმე, თაღს გავხსნი და ცას დაეუწყებ ცქერას. ერთხელ უკვე ვცაღე. არაჩვეულებრივი რამაა! ჯერ კიდევ პატარაობისას, მამიდასთან რომ ჩავიდოდი სოფელში, ღამე ბალახზე წოლა მიყვარდა. წიგნარ და ზეცას შესცქერი. უცებ გეჩვენება, რომ ფეხქვეშ დედამიწა შეირხა და შენ მიღრინავ სამყაროში. გზად დედამიწა შემოგხვდება, ხელს დაუქნევს საღამო. იუპიტერო! როგორა ბრძანდები. ვენერავ? უცქერი მთვარეს და უცებ ამჩნევ, რომ ბლანჩით მრგვალი კი არ ყოფილა, როგორსაც ჩვეულებრივად ხედავენ ხოლმე ადამიანები. მთვარე თურმე სფეროა, სივრცეში მიექანება უსასრულოდ. უსაზღვროდ, საყრდენი წერტილი არა აქვს. ყველაფერს ამას წარმოიდგენ და თავბრუ დაგეხვევა. მაგრამ როგორც კი სერიოზულად დაიწყებ ასტრონომიის

1 სალომეა — იუდეველთა მეფე იროდის მეუღლის იროდიადას ქალიშვილი, რომელმაც გადმოცემით. მისი ცეკვით მოხიბლულ მეფეს იოანე ნათლისმცემლის თავი მოსთხოვა.

მესწავლას და ციფრებსა და ფორმულებში ჩაეფლობი, მიხედები, რომ ეს მათე-
მატიკაა და არა პოეზია...

ესთერი აღფრთოვანებული იყო: რა ბევრი რამ იცის პავლემ ამ უძველეს
მღვდლარე სამყაროთა შესახებ!

პავლე უამბობდა ვარსკვლავთა კატასტროფებზე, სხვა მნათობთა შესახებ,
ჩვენს დედამიწას რომ არ ანათებენ, აგვისტოს მეტეორებზე — მათ პერსიედებს
ეძახიანო, — კაცს ეგონება, სიას თანავარსკვლავედიდან ცვივიანო; უამბობდა
სამყაროს შუქურებზე. გიგანტ ანტარზე, რომლის გვერდით ჩვენი მზე იმ პატარა
ბურთსა ჰგავს, გაზაფხულზე ბიჭები რომ თამაშობენ ხოლმე. პავლე უამბობდა,
თუ რარივად ახსნა კებლერმა პლანეტების მოძრაობის კანონები; უამბობდა
ყველაფერს და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ ესთერის შეგნება ამას ვერ ჩას-
წვდებოდა. რა უშავდა მერე! გოგონა გატრუნული უსმენდა და ბიჭის ასეთი გა-
ტაცება ნათელ სიხარულს ჰგვრიდა. ასეთ წუთებში უფრო მეტად გრძნობდა, რა
ძლიერ უყვარდა პავლე.

— ამას ყველაფერს ხომ მაჩვენებ?

— რასაკვირველია!

— იქნებ ახალი ვარსკვლავი აღმოაჩინო! ჩემი სახელი დაარქვი! ჯერ ხომ
არ არის ასეთი ვარსკვლავი?

— სულელო! — უფროსივით იცინოდა პავლე. — შენა გგონია, ასე ადვილია
ახალი ვარსკვლავის აღმოჩენა?

— რა ჰქვია აი თუნდაც იმ კაშკაშა ვარსკვლავს, ხედავ? — შეეკითხა ესთე-
რი და თითოთ უჩვენა.

— ვევა, აღფ-ვარსკვლავი ლირის თანავარსკვლავედიდან. შეხედე ამ თანა-
ვარსკვლავედს, ეს და ეგერ რომ ვარსკვლავია, ყველა ლირაა.

— ძალიან არ წააგავს ლირას?!

— ჰმ... დიდი ხანია ასე უწოდეს. ძველ ხალხს ალბათ ჩვენზე უფრო ძლიერ
წარმოსახვა ჰქონდა. საერთოდ კი ოდესმე გინახავს ნამდვილი ლირა?

— არა.

— საქმეც ევაა!

— შენ?

— არც მე...

— საქმეც ევაა, — მიუგო ესთერმა მისივე სიტყვებით და ცელქურად უცებ
აკოცა ტუჩებში. გოგონამ ხელი დაუქნია ზეცას: — შენ ეი, ვევა! ლირის თანა-
ვარსკვლავედიდან, სალამი! მე ესთერი ვარ! შეხე, შეამჩნიე, როგორ ჩამიკრა თვა-
ლი?! შორეულ ვეგასთან უფრო ადვილი ყოფილა საერთო ენის გამონახვა, ვიდრე
ადამიანებთან, თუმცა ის შორსაა, ადამიანები კი ახლოს არიან.

პავლემ ხელი მოხვია და ტუჩებით დაუმუწა პირი. „ენაჭარტალა“, — გაი-
ფიქრა პავლემ, გულში კი უხაროდა, რომ ესთერი სწორედ ასეთია — ცოცხალი,
მოუსვენარი, მოულოდნელი იდეებით, ცნობისმოყვარეობითა და მოუთოკავი ფან-
ტაზიით აღსავსე; რომ მალ-მალე ეცვლება განწყობილება და გრძნობები, და
ფიქრებიც ისე უსწრებენ ერთმანეთს, რომ თვალს ვერ მიატანს კაცი.

— პავლე! — უცებ დაიჩურჩულა გოგონამ. — იქ რაღა არის, ვარსკვლავებს
იქით?

— რას გულისხმობ? იქ ისევ ვარსკვლავებია, სამყარო, უსასრულობა...

— იქით? იმის იქით?

— სხვა ვარსკვლავები და სხვა სამყარო, ამას გალაკტიკას ეძახიან...

— იქ ღმერთი არის?

პავლეს ამ საკითხზე არასოდეს არ ეფიქრა. ამ საკითხზე ფიქრი სამარცხვი-
ნოდ მიაჩნდა მომავალ სწავლულს.



— არ ვიცი, — უხალისოდ წაიბურტყუნა და მხრები აიჩიჩა. — ამაზე არ მიფიქრია. მე მეცნიერება მაინტერესებს. სხვა დანარჩენი სისულელეა! შენ? შენ გწამს ღმერთი? რომელი? თქვენი ღმერთი?

— მე? არც კი ვიცი. სიმართლე რომ გითხრა, ხანდახან მინდა ხოლმე. რომ არსებობდეს კეთილი, სამართლიანი მოხუცი, რომელსაც შევჩვილებდი, თუ რა უმიზეზოდ გადამგვიდნენ ადამიანები. უთუოდ სისულელეა, მაგრამ ის რომ არსებობდეს, მაშინ შიში აღარ მექნებოდა. ღმერთი ალბათ თითს დამიქნევდა და მეტყობდა: „ესთერ, ამოდი, გოგონი, აქ, ჩემთან, იქ გეშინიან! მანუ, ძირს, შენ არავის უნდისხარ“.

— ესთერი! — შიშით გააწყვეტინა სიტყვა პავლემ. — შენ მე მინდისხარ!
 — ვიცი. მაგრამ ღმერთი ხომ არ არსებობს. თორემ ასეთ რამეს როგორ დაუშვებდა? იცი, ჩვენები — შინ — მორწმუნენი არ იყვნენ. მამას, შენსავით, მხოლოდ მეცნიერება სწამდა. მეც მეცნიერება მწამს. და ძალიან მიხარია, რომ შენ ასეთი ჭკვიანი ხარ, ბერის მცოდნე.

— მე კი მიხარია, რომ შენ არსებობ, — წამოსცდა პავლეს; თან ესთერს ეხვეოდა, სახეზე ხელს უსვამდა, მოთვინიერებული ყოველივე იმის გამო, რაც მათ ასე ახლობლებს ხდოდა ერთმანეთისათვის. ეს აღერსი უსიტყვო სიმღერას ჰკავებდა. მესამე პირი ამას ვერ გაიგონებდა, თუმცა ეს სიმღერა ასეთი რეალური, ასეთი ნათელი და ასეთი მკაფიო იყო.

პავლემ ქაღალდის ფარდა ჩამოუშვა და ლამაა აანთო. უცებ საშინლად მოუწონდა ესთერის სახე დაენახა.

—... ბედნიერი ვარ, რომ შენ ცოცხლობ ქვეყნად, ესთერ, ჩემო ვარსკვლავო! მე შენ შემთხვევით აღმოვჩინე პარკში და არა ზეცაში! რომელი თანავარსკვლავიდან ჩამოვარდი? არ ვიცი! შენ მუდამ ჩემთან უნდა იყო, გესმის? გესმის? მე, ალბათ, სისულელეს ვროშავ, მაგრამ სხვანაირად გამოთქმა არ შემიძლია. შენ ისეთი მახლობელი ხარ ჩემი... დედ-მამაზე მახლობელი... მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია! ოდესმე შეეხვდები შენს მშობლებს და მადლობას ვეტყვი მათ! ვეტყვი, რომ შენ მუდამ მეყვარები. მუდამ შენ მეყვარები!

ამ წუთში მათი სიმართლე დარღვეული იქნა. მათ ექვიც არ აუღიათ, რომ დაკმუჭნულ ქაღალდსა და ფანჯრის ჩარჩოს შორის პაწია ჭუჭრუტანაში სიბნელიდან შუქზე შემოიხედა მოჭუტულმა თვალმა, მოათვალეირა კედლები, ძველი ავეჯი და წამით შეჩერდა სკამზე გადაკიდებულ ჭაკეტზე — მასზე დაკრებულ იყო ყვითელი ვარსკვლავი, ციურ ვარსკვლავს რომ არ წააგავდა. თვალი გაქრა. მძიმე ნაბიჯებზე დაიქრიალა ხის კიბემ. ძველი სახლი სიჩუმეში ჩაიძირა.

VIII

ო, როგორ გამოიცვალა სამყარო! ოთხ კედელში მოთავსდა, ჭერსა და მტვრიან იატაკს შუა. კაცთა სამყარო გარეთ დარჩა. ესთერი ფანჯარაში ცის ზოლს ხედავდა. საათობით შეეძლო ეცქირა მისთვის. ხედავდა ხავსიან კრამიტის სახურავს, რომელიც სიძველისაგან ისე ჩაზნექილიყო, თითქოს გოლიათი იდაყვით დაყრდნობიყო, ზედ ორი წაბლის ხის ტოტებიც გადააფენოდა.

ესთერი ფანჯარასთან ახლოს მისვლას ვერ ბედავდა: ასე გადაწყვეტის მათ, პავლემ მტკიცედ მოითხოვა ეს. ესთერის სამყარო ციხის საკანს წააგავდა.

ხმები შორიდან ისმის. ესთერი ხანდახან უკვე არჩევს ზოგ ხმას. ის ჩუმი მოწმე შეიქნა ძველი სახლის ცხოვრებისა; ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი, ჩხუბი, თუნუქის ვარცლის ფსკერზე წყლის ჩხრიალი, ვიდაცის ფეხის ხმა, დღისით

6. ცესარე, № 2.

ხელის მანქანების ხმაური, ნაცნობი ხმები სახელოსნოდან. ჭრიალა ხმას ბუტ-ბუტი სცვლიდა, ხან კი უცნობი, უცხო ხმა გაისმოდა. საღამოთი საიდანღაც ისმოდა ჩაქურჩის თანაბარი კაკუნის, გიტარის დახშული აკორდები, ვილაცის ნაზი სიმღერა. ბავშვის ტირილი ესთერს სიბრაღულს აღუძრავდა. ღამის მდუმარებაში კედლის იქით დიდის ამბით ტიკტიკებდა საათი, ხოლო ყოველი ნახევარი საათის შემდეგ დინჯად რეკავდა. სადღაც თავგები ფხაკურებდნენ. ესთერი უკვე შეეჩვიოდა ამ უცხო ცხოვრების მაჯისცემას. დღეში ასჯერ მაინც ათვალაოვრებდა თავის სამ ყოფელს, ზოლოს თვალი შეაჩვია. თავდაპირველად ეგონა, სიმარტოვე სიგიჟემდე მიიყვანდა. საათობით იწვა ბალიშში თავჩარგული და ტიროდა. მაგრამ როდესაც ღამე ჩამოწვევბოდა, გულმოდგინედ დაივარცხნიდა თმას, თვალებს ამოაწმენდა, რომ პავლეს დამშვიდებული, ჩვეულებრივი გახარებული ღიმილით შეხვედროდა.

— ახალი ხომ არაფერია?

— არა, ბატონო კაპიტანო! — ესთერი მხედრულად გამოსწევდა მკერდს და ბედნიერი ღიმილით უპატაკებდა: — ყველაფერი რიგზეა!

— კარგია! — სერიოზულად უპასუხებდა პავლე და სამხედრო საღამს აძლევდა. — თავისუფლად! ჯერ მიირთვი! მოშივეებული იქნები.

ესთერი თავის ქნევით უარობდა, თმები მხრებზე ერხეოდა. არასოდეს არ უთქვამს, მშიაო.

— ტყუილია! მე ვიცი, რომ მშვიერი ხარ. ტყის ფერია ხონ არა ხარ?

პავლე საწიგნედან ამოაძვრენდა ხოლმე ქვაბს. ესთერი ისე ხარბად შეექცეოდა საკმელს, აშკარა ხდებოდა მისი წელანდელი ტყუილი.

— როგორ ფიქრობ, — ბუტბუტებდა პირგამოტენილი, — არსებობენ არა-არიელი ფერიები?

— სისულელეა! — მოიღრუბლებოდა ყმაწვილი და ჩანთაში დებდა ცარიელ ქვაბს. — ცოტა იყო, ხომ? მეტის შოვნა ვერ მოვახერხე! ნუ გამიჯავრდები. — დაუმატებდა ხოლმე პავლე დარცხვნილი ღიმილით.

ესთერი ხელით იწმენდა ტუჩებს და შუბლზე ჰკოცნიდა პავლეს. გოგონას მხოლოდ პავლე აკავშირებდა ცოცხალი ადამიანების სამყაროსთან. ახლა ის ყველაფერი იყო მისთვის. როდესაც პავლე მასთან იყო, ღონიერ ხელს ტლანქად ხვევდა და თმას უწეწავდა, მაშინ ესთერი ბედნიერად გრძნობდა თავს. როდესაც პავლე მიდიოდა, ესთერს სძულდა ეს ოთხი კედელი და საშინლად უნდოდა აქედან გაქცევა, აქაურობის გაშორება — მზად იყო კარი გამოემტვრია და გაქცეულიყო! სულ ერთი იყო, სად! ოღონდ იქ, სადაც ადამიანები არიან! დღე-მამასთან! მაგრამ სად არიან ახლა ისინი? ალბათ ელოდებიან, ალბათ წერენ მშვენიერ ვრცელ წერილებს... შინ რომ გაიქცეს? მაგრამ სად არის ახლა მისი სახლი? გაიქცეს ახლავე, სანამ ოთახში წყვდიადი არ შემოჭრილა და აირივით არ აუვსია იქაურობა. მას ეშინია წყვდიადისა. არ შეიძლება იცხოვრო მხოლოდ იმ ერთადერთი წუთის მოლოდინით, როცა კარის სახელური ფრთხილად მოტრიალდება და პავლე შემოვა. სახეზე უღარდელი ღიმილი აქვს, მაგრამ თვალბში შემფოთება ჩასწოლია და აშკარა ხდება, რომ მისი ღიმილი თვალთმაქცობაა.

ესთერი გრძნობდა, რომ რაც დღე გადიოდა, ის და პავლე მით უფრო ახლობლები ხდებოდნენ. იგი გრძნობდა, რომ ორივეს გულში ჩაბუდებულიყო ენითგამოუთქმელი შიში იმისა, რაც მათ მოელოდათ, რაც ჩაწოლილიყო მათ შორის, ვით უსიტყვო შეკითხვა, რაც ამოხეთქვას ლამობდა სინაზეთა სიღრმიდან და კვლავ მიიქცეოდა. გაუბედაობით უკუქცეული. ეს ჩანდა პავლეს ხელის მოძრაობაში, მის თვალბსა და ტუჩბში. იგი ძლიერი ნებისყოფით იხშობდა ამას, და ესთერიც მადლიერი იყო. ესთერს აშინებდა ის წუთები, როდესაც ერთმანეთს თვალბში ვერ უყურებდნენ.



პავლე დგებოდა, სივარეტს უკიდებდა, სახეს ხელისგულით ისრესდა.

— შენ აქ დიდხანს აღარ დარჩები. ძალიან ფერმკრთალი გახდი, შენ მზე გჭირდება. რატომ სდუმხარ? რა დაგემართა?

— დაიფიცე, რომ... რომ დღეს არც ერთხელ არ შეხედავ საათს. არც ერთხელ!

— ეს ისე ვუტყვირი ხოლმე, ჩვეულება მაქვს ასეთი.

— მე კი მგონია, ყოველ წუთს წასვლას აპირებ.

— რად ამზობ მაგას? ევ მართალი არ არის!

— ხანდახან ჩემს თავს თვითონ ვეღარ ვუძლებ. მაშინ მგონია ხოლმე, რომ ჩვენ ჭკუაზე შევცდით, პავლე. გონიერება რომ ხყოფნიდეს და ნაკლებ მიყვარდე, აქედან წავიდოდო.

— შენ ჭკუაზე ხარ? იცი, რომ...

— რა?

— არაფერი... მოითმინე, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. სულ რამდენიმე დღედა დარჩა, უნდა აიტანო... ეს ხომ... ეს შეუძლებელია... გთხოვ დამიჯერო!

ასეთ წუთებში პავლე ესთერს მკერდზე იხუტებდა, ეხვეოდა, თითქოს უნდოდა თავისი ნებისყოფა მისთვის გადაეცა. გოგონა ემორჩილებოდა, თვალს ხუჭავდა და თავისი გრძნობის მთელი ძალით ეხვეოდა პავლეს. და უსაზღვრო, უცხო ნეტარებით აღსავსე ეს ძალა თავბრუს ახვევდა ესთერს. მის გულში ჩამარხვას ნატრობდა, რათა დამალვოდა ყველას და ყველაფერს, ნატრობდა, როგორმე გადაეღებინა ის მტანჯველი ზღვარი, სადაც თავდებოდა პავლე და იწყებოდა თვითონ.

აბა როგორ შეეძლო აქედან წასვლა?

და ის კვლავ მარტოა. კარი მოიხურა.

ესთერი უღონოდ წევს, ყველაფერი შთაინთქა რალაცნაირ ძილღვიძილში. ყველაფერი სულერთი და მდუმარე გახდა. დღე დამეს სცვლის — რამდენი ასეთი დღე-ღამე გავიდა! და ესთერს ეჩვენება, რომ გული რატომღაც უფრო ნელა სცემს, სისხლი ანელებს ძარღვებში სრბოლას. მხოლოდ მისი მეხსიერება არ დუნდება. თითქოს ჯადოსნურ ფანარში მიჰქრიათ სინამდვილის მკრთალი, არეული სურათები. ზოგჯერ ეჩვენება, რომ ყველაფერი აღრინდელი, წარსული სულაც არ იყო სიცოცხლე. ის იყო მხოლოდ მოლოდინი, პრელუდია, სიზმარი. ამ სიზმარშია ყველაფერი: დედა, მამა, მშობლიური ქალაქი, ძველი სკოლა ჭოტის და მანქათელას ფიტულებით; ტრონიჩეკის ტბა, მათი ბაღის მწვანე ფანჩატური, მამის სკეტი, ზაფხულში საამური ზუილი რომ გააქვთ; ძველ კარადაში დარჩენილი სამეჯღლისო კაბა; და კიდევ ექიმის თეთრი, საპნისა და დეზინფექციის სუნით გაქვნილი კაბინეტი — მოჯადოებული სამეფო, სადაც პატარა ცმუკის აკრძალული ჰქონდა შესვლა; შავი მუხის ავეჯით მორთული მისაღები ოთახი, მაკიდაზე — ათასჯერ გადაკითხული კალენდარი; კედელზე ჰკიდია სურათი — კვამლში გახვეული ორთქლმავალი — და ლითოგრაფია: ექიმი, რომელიც ხელს ჰკრავს საზიზღარ ჩონჩხს, ახალგაზრდა გოგონასკენ რომ იწვდის ბრჭყალებიან ხელებს. ექიმი ახალგაზრდა და სრულიად არა ჰგავს მამას, მაგრამ მისი შემხედვარე ესთერი მამითაც ამაცობს. სურათის წინ კი ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული აციენტები დააბიჯებენ ჭუჭყიანი ჩექმებით. ისინი სტოგებენ ბოსლის სუნს და გაზაფხულის ტალახის ნაფეხურს. სახეები, ხმები, სიტყვები. გაისმის ზარის ხმა. მამა ჭიშკართან ვიღაცას ელაპარაკება და თავის შევერცხლილ, კეთილშობილ თავს უქნევს; აი გამობრუნდა და გარაყისაკენ გატრიალდა. მერე კი ესთერი მამასთან ერთად მიჯაყუაყებს ტალახიან გზაზე ძველი, ბუყბუყა მანქანით. მამა საჭეს ატრიალებს, ის სერიოზულია. მანქანა კოლბოხებზე ხტის და ტალახს ისვრის... მამამ ვიღაცის სასთუმალთან მდგარი სიკვდილი უნდა გააგდოს. სანამ მამა ავადმყოფის სახლშია, ესთერი მანქანაში უცდის. ხედავს: სახლის კართან ქალები

დგანან და აღღვებულნი ხელებს იქნევენ. ვიღაცამ ველოსიპედით გაიქროლა და წყლის შავფები შეასხა აფხორილ ბატს... მაგრამ აი, გამოდის მამა. ჩანს კმაყოფილია, — სიგარას აბრლებს. კვლავ თუხთუხებს მანქანის მოტორი და როცა გაღუმულ მინდვრებზე მოჯაყჯაყებენ, მამა მხოლოდ მაშინ ამბობს: „იმ ქალს ბიჭი ეყოლა“. ესთერი ეკითხება: „ძალიან ტკივით ხოლმე, როდესაც ვინმე იბადება?“ — „ბევრი რომ იცოდე, მალე დაბერდები“, — და ორივენი იცინიან. ძალზე სიამოვნებთ შემოდგომის წვიმიანი ცის ქვეშ ყოფნა...

ესთერი უკვე ცამეტი წლისაა! მას გულითადი ამხანაგი ჰყავს — იტკა; ორივემ როგორც იქნა დაიყოლია დედა და ესთერმა ნაწნავები შეიკრიბა. მოხდა პატარა შეთქმულება. მამა უკმაყოფილოდ ბუტბუტებს. ესთერი უკვე თითქმის ქალიშვილია; მიზეზიანობს, ნაღვლობს, თითქოს აშინებს ის, რაც ეწვია. რამაც აუწეწა აზრები; იმდენი გრძნობა შემოესია, რომ ველარ მორეწია, ხან შმაგია, ხან სენტემენტალური. საიდუმლოებანი, ჩურჩული, ხან ყურისმომპრელი ბავშვური გაცინება, ანდა დაჭმუჭნული ცხვირსახოცით ხელში მარტოკა სერიზობა. როგორ მოიქცეს? და პატარა გატაცება! მას იაროსლავი ჰქვია, მაგრამ ყველა იარეკს ეძახის. იგი ერთი კლასით წინაა და მანამდე სულ არ ამჩნევდა ესთერს.

როგორ დაიწყო ყველაფერი? ეს მოხდა ტრონიჩკას ტბასთან, მოთიბულ ველზე. ესთერი ფეხშიშველა ხტოდა, თავისთვის ცეკვავდა. უეცრად იარეკი შეამჩნია ნაპირზე, ადგილზე გაშეშდა და გაიბუტა. იარეკი ხეს მიყრდნობოდა, ხელები ჯიბეში ჩაეწყო და იღიმებოდა. ჩვეულებრივად იარეკი სერიოზული იყო და ღიმილიც რალაცნაირი მოღრეცილი და ნაღვლიანი ჰქონდა ხოლმე. მაგრამ ახლა, როცა დაინახა, როგორ მისჩერებოდა მას გაწითლებული გოგონა და არ იცოდა ხელები საით წაეღო, იარეკმა უსიამოვნოდ გადაიხარხარა და მრავალმნიშვნელოვნად შუბლზე მიირტყა თითი. ესთერმა, ვიდრე გაიქცეოდა, იარეკს ენა გამოუყო. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. დადიოდა თავჩადუნული, ჯიბეში ხელებჩაწყობილი. ესთერი გრძნობდა იარეკის უცნაურ მზერას და ადგილს ველარ პოულობდა. სწორედ იმხანად ესთერი ბოჟენა ნემცოვას „ზენაას“ კიოხელობდა. მან თავი ვიქტორკად წარმოიდგინა, ხოლო იარეკი შავ მონადირედ. ოღონდ ესთერის მონადირეს ცისფერი თვალები და ბავშვური პირი ჰქონდა.

ერთ დღეს ესთერმა უცნაური წერილი მიიღო. ხაზიანი რვეულიდან ამოგლეჯილ ფურცელზე ნაჩქარევი ბიჭური ხელით ეწერა: „მე თქვენ მიყვარხართ! გინდათ ერთმანეთს შეგხედეთ ხოლმე? გელით ხვალ ოთხ საათზე იმ ადგილას. თქვენი ერთგული ი. ბ.“ ქვეშ მიწერილი იყო: „დაუყოვნებლივ დაწვიით!!!“

ესთერმა წერილი დახია, თან თავის თავს არწმუნებდა, აღშფოთებული ვარო, მაგრამ პაემანზე მაინც წავიდა. დღესაც თვალწინ უდვას იარეკი: მზეზე გარუჯულია, ქოჩორი გადაუსლექია, სახე მღელღარებისაგან უკრთის. აი ხეს მოშორდა, ესთერისკენ გამოეშურა, თვალებს ქუტავს და ყვინჩილა ხმით ეუბნება პირველ დრახას, უთუოდ დაბეჯითებით რომ მოუფიქრებია გზაში. ცხადია, ესთერი ეუბნება, რომ შემთხვევით გამოიარა ამ გზით. იარეკი ღონდება, აღარ იცის, რა უთხრას. მერე კი ესთერის ნათქვამი ტყუილი როგორღაც ორივეს დააფიქცა. ბიჭი თავაზიანად მისდევს გვერდით ესთერს ტბის გასწვრივ ვიწრო ბილიკზე და ფიქრობს — მკლავზე ხელი მოვკიდო თუ არაო. ესთერი გუშანით ხვდება ბიჭის გასაჭირს და ეტარებს. იარეკმა არ იცის რაზე ელაპარაკოს, გახევებული ენა როგორ ამოიდგას. „ხომ არა გცივით?“ — „არა!“ — „ბრალში ყოფილხართ?“ — „ჰო“. — „გეჩქარებათ?“ — „არა!“ — „ჰმ...“

ამის შემდეგ ესთერი და იარეკი ერთმანეთს ხედებოდნენ ხოლმე. იარეკი კარგი ყმაწვილი იყო. მის მამაკაცურ თავშეკავებულობაში ბავშვური მოკრძალება გამოპკრთოდა. იარეკი ესთერს გამოუტყდა: მრგვაურობაზე ვოცნებობ და უკვე შევიძინე დიდი ატლასიო. როცა წარმოიდგენდა, მამაჩემის აფთიაქი უნდა მივიღო მემ-

კვიდრეობით და ასპირინითა და სასაქმებელი ზეთით უნდა ვივაჭროო, თავზარი ეცემოდა და გაპარვაზე ოცნებობდა. ბიჭმა სერიოზულად, როგორც ნამდვილმა შეთქმულმა, ერთად გაქცევა შესთავაზა ესთერს. გოგონა იცინოდა. თუმცა ის მუდამ დასცინოდა ხოლმე იარეკს, მაგრამ მასზე ისე ფიქრობდა, როგორც თავის პირველ სიყვარულზე.

გარდატეხა! სხვა სახელს ვერ უწოდებ. მაგრამ ეს გარდატეხა უცარი როდი იყო. იმ დღეს, როდესაც ტალახით მოსვრილმა გერმანულმა მოტოციკლებმა ქალაქში ჩაიჭროლეს, ესთერს ტყის პირას პაემანი ჰქონდა იარეკთან. იდუნენ, ხმას არ იღებდნენ და ფეხით ზელავდნენ გაზაფხულის ტალახს.

დღეები გარბოდნენ. ესთერს ყველაფერი როდი ესმოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, მხოლოდ ზოგ რამეს თუ ამოიკითხავდა მშობლების სახეზე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით თუ ხედებოდა რაღაცას.

„მამა, რა ხდება?“ — „არაფერი, ესთუშკა! ჯერ არაფერი“. რატომ ჩუმდებიან ხოლმე, როგორც კი ესთერი გამოჩნდება? შემდეგ დანგრეა ყველაფერი ზედზედ: ცუკვის გაკვეთილები, სკოლა, — სკოლაში ველარ ბედავდა სიარულს. და მალე მდუმარე სასოწარკვეთილებით აღმოაჩინა: ადამიანებს უნდათ უსიტყვოდ დარწმუნონ ესთერი, რომ ის სხვებს არა ჰგავს — ის ებრაელია. ებრაელების რამდენიმე ოჯახი საზღვარგარეთ გაიქცა, იმათ სახლებში კი ჩასახლდა უცხო, უცნობი ხალხი, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებს სძულდათ. რად გაიქცნენ? „მამა, ჩვენც უნდა წავიდეთ?“ — „არა, ესთა, ჩვენ აქ დავრჩებით! აქ ჩვენი სამშობლოა“. ბევრი ნაცნობი წასვლას ურჩევდა მამას, მაგრამ ის უდრეკი დარჩა. შემდეგ ესთერის ძმა კამილი ჩამოვიდა გამოსამშვიდობებლად. იგი პრალის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ კარგა ხანი იყო, ლექციებზე სიარული აუკრძალეს. კამილი უკვალოდ გაჰქრა მათი ოჯახიდან. შემდეგ კიდევ უფრო მძიმე დრო დადგა. დიდი ხანი გავიდა, სანამ ესთერი მიხვდებოდა, რატომ იყო, რომ იტკას ყოველთვის სადღაც მიეჩქარებოდა. იტკა ახლა მხოლოდ საღამოს თუ შემოირბენდა ხოლმე, ისიც უკანა ჭიშკრიდან. იტკა კეთილი იყო. გოგონები მწვანე ფანჯატურში ისხდნენ ხოლმე, იტკა თმებზე ხელს უსვამდა ესთერს: „ნუ ტირი! ამ ამბავს როდისმე მოეღება ბოლო“. — „ვიცი, აღარ ვიტყვებ. რა არის ახალი სკოლაში? ცუკვებზე? შენ უფრო ხშირად ვისთან ცეკავ? გინდა ჩემი ახალი კაბა გაჩვენო?“

იარეკი? რაც დრო გადიოდა, იარეკი უფრო მშინავი ხდებოდა. მათი პაემნები თანდათან უფრო იშვიათი და მდუმარე შეიქნა. იარეკი იმიზეზებდა, ბევრი სამეცადინო მაქვსო, თან თვალს არიდებდა, დამნაშავესავით გამოიყურებოდა და ცერად იღიმებოდა. ესთერი მიხვდა: იარეკი მხდალი ყოფილა! და ასეთ კაცს სურდა მოგზაური გამხდარიყო! არა, იარეკი ნამდვილად შეეჩვევა პროვინციული აფთიაქის დახლს და კმაყოფილიც კი იქნება, ასპირინით და სასაქმებელი ზეთით რომ ივაჭრებს. სულ არ ებრალებოდა, როცა ხედავდა, რას მიედ-მოედებოდა ბიჭი, რათა ეპასუხნა შეკითხვაზე: ხომ არ გეშინიან ებრაელ გოგონასთან შეხვედრისაო. რა თქმა უნდა, ეშინოდა! ესთერი ცდილობდა გადაჩვეოდა იარეკს, ამ პაემნებს, რადგან ის მოტყუვდა იარეკში. იარეკი ისე ექცეოდა, თითქოს თანაგრძნობას უცხადებდა გოგონას. ამის გამო ესთერმა შეიძულა ბიჭი. ერთხელაც იარეკს დაავიწყდა ეკითხნა, კვლავ როდის შეხვდებითო. ეს მოულოდნელი არ ყოფილა. რამდენიმე დღის შემდეგ ესთერმა მიიღო მანქანაზე დაბეჭდილი წერილი. იარეკი დაუცხრომელ სიყვარულს ეფიცებოდა და მოაგონებდა, აუცილებელია სიფრთხილეო; სთხოვდა მის მდგომარეობაში შესვლას. მერე ირწმუნებოდა: როდესაც ყველაფერი დამთავრდება, ჯვარს დავიწერთ და ერთად მოვივლით ქვეყნებსო. ბოლოს სთხოვდა, სურათები დამიბრუნე, ეს ყველაზე უფრო კვიანური სატყეილი იქნებაო. წერილი ხელმოუწერილი იყო, მაგრამ პოსტსკრიპტში არ დავიწყებოდა „დაუყოვნებლივ დახიე...“

ყველაფერი გათავდა, ესთერს კი ოდნავადაც არ ტკენია გული. დარჩა მხოლოდ ჩუმი ზიზღი და სიმწარე. როცა ერთხელ დაინახა იარეკი, ისევე მოუქნელად რომ მისდევდა გვერდით იატაკს, როგორც ოდესღაც მას მიპყებოდა, აოც კი წყენია. ალბათ იატაკსაც ეფიცებოდა სამარადისო სიყვარულს და დიდ სამყაროში ერთად გაქცევას.

ესთერი სულ უფრო და უფრო მეტად გრძნობდა სიცარიელეს. საითაც კი გაიწვლიდა ხელს, ისევ სიცარიელეს გრძნობდა. ეს კია, რომ ქალაქის მცხოვრებლებსა და გარეუბნელების უმრავლესობა მათდამი კეთილად იყო განწყობილი; ისინი მდუმარედ, მაგრამ მისახვედრად აგრძნობინებდნენ ექიმის ოჯახს, რომ არ მოსწონდათ ახალი წესრიგი, რომ ამ ოჯახის მახლობლად მიაჩნდათ თავი. მეტადრე ღარიბ პაციენტებს არ ავიწყდებოდათ თავიანთი „პახი ექიმი“: მის თოყლივით თეთრ კაბინეტში აღარავინ შემოდის, მაგრამ მუდამ პოულობდნენ ჰეგობრულ სიტყვას და გრძნობდნენ კეთილი, დამხმარე ხელის მადლს. ოღონდ ამ უცნაურ გაუგებარ სიცარიელეს მარტო თანაგრძნობა ვერ შეავსებდა. ხეტყვასაყით წამოვიდა ახალი, უფრო და უფრო საშინელი ბრძანებები!

ოჰ, ეს გულშემატკივრული მზერა! ესთერს ეჩვენებოდა, რომ სწორედ ეს გულშემატკივრობა ჰქმნიდა უფსკრულს მასსა და სხვა ადამიანთა შორის. გესმის? „საბრალო გოგონი, ვიცი, თქვენ არაფერში ხართ დამნაშავე! ჩვენ ყველას გვიყვარს მამაშენი. თქვენ პატიოსანი ხალხი ხართ“. „რაში მჭირია ეს ყველაფერი, მიიხარო, თუ ღმერთი გწამთ? — დღე და ღამ თავს იმტვრევდა ესთერი. — რისთვის, რისთვის ვეცოდები?!“. მაგრამ გამოჩნდნენ სხვა ადამიანებიც, მეტადრე მამაშენი, როდესაც დედა იძულებული შეიქნა მათს ტანსაცმელზე ყვითელი ვარსკვლავები დაეკრებინა. ზოგიერთები კბილებს იღესავდნენ ექიმის სახლზე. ჰეგობრებმა ექიმი გააფრთხილეს.

ახლა მისი ყოფილი თანაკლასელები! ესთერი გაურბოდა მათ. შეხედრისას ისინი სხვადასხვანაირად იქცოდნენ. ზოგი თვალს არიდებდა, ნაზიჯს არ ანელებდა და ისე წაიჩურჩულებდა: „სალამი“. ზოგი შეთქმულივით თვალს ჩაუკრავდა ხოლმე, ახლოს მივიდოდა და ეტყოდა: „რასა იქ? როგორმე გამოიარე ჩვენკენი!“. ეგ კი არა, სასწავლო წლის დასაწყისში ვიღაც უცნობისაგან ფოსტით მიიღო სასკოლო სახელმძღვანელოები და ახლა თვითონაც შექმლო მეცადინეობა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც. ახლებურად რომ შეხედეს ესთერს — მათ გამოამჟღავნეს საკუთარი უპირატესობის პირქუში გრძნობა, იდიოტური ცნობისმოყვარეობა და დაუფარავი ინტერესი, თითქოს რაღაც სასწაულს ხედავდნენ. ასეთი ხალხი ესთერს სძულდა. განსხვავება, რომელსაც წინათ არა გრძნობდნენ, უცებ აშკარა გახდა და მათ „ქეციანი ცხვარივით“ განდევნეს ფარეხიდან ესთერი.

როგორ ამოიშანთოს მესხიერებიდან მესერზე დაბლაჯნილი წარწერა? ის წარწერა ესთერმა ნახა დილით ადრე, სახლიდან რომ გამოვიდა: „ურჩიებო, წაეთრიეთ აქედანი!“ — ეწერა უშნო, თეთრი ასოებით. ამ ასოებმა თითქოს შემოუტოეს ესთერს, კინაღამ თვალები დაუბრმავეს. თავზარდაცემული ესთერი ღრიალით შევარდა სახლში და მამის მკლავებზე გადაესვენა. მამამ ესთერი მკერდზე მიიკრა. „მამა, რისთვის? — სუნთქვა ეკვროდა ესთერს. — რა დავაშავეთ? წავალ! წავაშლი!“ მაგრამ მამა დუმდა, ისე მშვიდად იყო, თითქოს ყველაფერს შერიგებოდა. „არა, ესთა, ამით არა გვეშველება რა. ნუ მიაქცევ ყურადღებას... უნდა ავიტანოთ... ნუ სტირი, გოგონი...“

ესთერმა თვალი გაახილა. გაიფიქრა — სადა ვარო. ეზოში ბინდი შემოპარულიყო. შუშაბანდში ვიღაც დადიოდა და წყნარად უსტვენდა. ესთერი პირქვე დამხობილი იწვა, შიმშილისაგან კუჭი ეწვოდა. ღმერთო ჩემო, როდის მოვა პავლე? და ისევ მოლანდება: მამა! ის შვილის თავთან იხრება — ესთერი გრძნობს დეზინფექციის სუნს, მის გახამებულ ხალათს რომ ასდის. მამა აკანკალებულ ხელს

თავზე უსვამს და დუმს. რათა დუმს? რატომ არ აჯანყდება? რატომ... ნუთუ რაიმე საშინელი ამბავი იცის? რა? რაიმე ბოროტმოქმედება ხომ არ ჩაუდენია?

ესთერი ხედავს ფერმკრთალ, ნაოჭიან სახეს, შავ ბრძნულ თვალებს და ჩია ფიგურას, ყვითელფარსკვლავიანი პალტო რომ აცვია. ჩუმი, ოჯახზე ზრუნვით მოქანცული, იგი სახლიდან გათენებისას გადის. მაგრამ ახლაც კი, ყველაფრის მიუხედავად, საღამოობით ჩამოშვებული შავი ფარდების იქით, ის მაინც აცინებს ხოლმე ესთერს და ვალს ასწავლის. აი ამოტივტივდა ახალი ამხანაგის, ბლანკას სახე, — გოგონები საერთო ბედმა, ყვითელმა ვარსკვლავმა დააახლოვა. იქვეა დედა, რომელიც „არაფრისაგან“ სადილს ამზადებდა; ჩუმად მტირალი დედა და წყვილიადითა და წინათგრძნობით გარემოცული სახლი... არა, არა, ისინი კვლავ ერთად არიან!

ნელა გადიან ბირქულში, გამოცარიელებული დღეები, კვირეები, თვეები! სადა ვარ? სიზმარია ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ საშინელი სიზმარია წვიმასა და ძველ ურიკაზე... ურიკა მირახრახებს წვიმისაგან ალაპლაპებულ ქვაფენილზე. ზედ ჩანთები და ჩემოდნები ხტიან — ორმოცდაათი კილო სულზე. მამა ურიკას მიათრევეს, ესთერი და დედა კი გვერდით მისდევენ. ქიშკართან დაემშვიდობებიან ერთმანეთს. ასეა საჭირო. წვიმს. გარს ადამიანები ტრიალებენ, ყველაფერი სველია, მთელ ქვეყანაზე წვიმა მოდის. „ალბათ ასე დაიწყო მსოფლიო წარღვნა“, — ფიქრობს ესთერი. ქვაფენილის ქვები წვიმის წვეთებივით წააგავენ ერთიმეორეს. თუ არკ ერთხელ არ დაადგამს ფეხს შავ ზოლს, მაშინ ისევ ერთად შეიკრიბებიან. ესთერს სჯერა ეს და არც სჯერა, ხომ არ შეიძლება სულ აქ იდგნენ? მოდიან სხვა ურმები და ურიკები, მოდიან ისეთებიც, მხოლოდ ჩემოდანი რომ უკავიათ ხელში. ყველას — კაცს, ქალს, ბავშვს ყვითელი ვარსკვლავი აკერია პალტოზე. ცრენლი, სიცილი, წვიმა, ვიღაც წვერგალუმბული მოხუცი. ქერანაწინაგებიან გოგონას ხელში გამურული დედოფალა უჭირავს... და ისევ წვიმა, ლაპარაკი, ოფიციალური საბუთები, სახლების სველი კედლები, თხრილში გადაყირავებული ურნა, ფანჯრები, თვალები!

მამა ნუგეშის სიტყვებს ჩურჩულებს, თან ცხვირსახოცით იწმენდს ოფლიან შუბლს. იგი გატანჯულია, მაგრამ მაინც სუსტი ღიმილი გადაჰკრავს სახეზე. ქუდის ფარფლებიდან წვიმის წვეთები ჩამოდის. დედა ცრემლებს ველარ იკავებს. „ჩემო გოგონა...“ — „მამა, — ყურში ჩასჩურჩულებს ესთერი მამას: — რისთვის?.. რა ჩავიდინეთ?“ — „არაფერი, ესთა, ცული არაფერი. მხოლოდ ის, რომ ჩვენ ვარსებობთ — გესმის, ესთა? ახლანდელი დრო წყვილია, წინ აღუდგე მას... ნუ ტირი, ჩვენ კვლავ დავბრუნდებით ჩვენს ბაღში და ისევ ერთად ვვლით ავადმყოფებთან... ყოჩაღად იყავი, წერილები მოიწერე... ჩვენ დამნაშავენი არა ვართ... ყველაფერი კარგად იქნება...“ მაგრამ ეს დარიგებანი აღარ მოქმედებს. „მეც თქვენთან მინდა წამოსვლა! თან წამიყვანეთ! უთქვენოდ აქ რა მინდა! მშინია...“

ძველი ურიკა კვლავ იძვრის. ქიშკარში შედის და ფეხებში ედება გვერდით მიმავალ ხალხს. „მამა!“ — „მშვიდობით, ესთა, მალე გნახავთ. ნახვამდის, გოგონი! ტერეზინაში შევხვდებით ერთმანეთს“. — „მამა!.. მამა!“ — ყვირის ესთერი, და ველარ ხედავს მათ...

ესთერი ტახტიდან წამოხტა, სახეზე ხელები მიიფარა, მერე ფარდა ჩამოუშვა და ლამა აანთო. საცაა პავლე მოვა და თმა უნდა დაივარცხნოს, მოირთოს. ჯიბის სარკე ცარიელ ლანგარს მიაყუდა და აწეწილ თმაზე სავარცხელი გადაისვა. სარკის კრიალა ზედაპირზე გამოჩნდა უკეთური ძილით მოთენთილი უცხო სახე. ესთერს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა. ეს მე არა ვარ! არა! ესთერს მო-

ერვნა, თითქოს ჭერმა ძირს დაიწია, გასრესას უბირებს. წამოხტა და კარს მივარდა. ძლივს სუნთქავდა. არა, მოეჩვენა. მიხვდა ეს შიმშილის ბრალი იყო. შიმშილი გულმუცელს უღრღნიდა, გონებას ურევდა, ტკივილს ჰკვირდა.

ოჰ, ღმერთო, რატომ არ მოდის პავლე?

კარის სახელურზე გაუშეშდა ხელი.

ესთერმა კარს ყური მიაღო, კარს უკან ვიღაც იყო. ან იქნებ ყურების შხუილი აქვს?

ესთერს მოაგონდა — პატარაობისას ხეივანში ტელეგრაფის ბოძებს მიაღებდა ხოლმე ყურს. გესმის სივრცეთა შორეული ხმები, სიჩუმის გუგუნი, თავისკენ რომ გიხმობს?

დამეხსენ, დამეხსენ!.. ესთერი მიხვდა, რომ ერთხელაც იქნება ვეღარ აიტანს ასეთ ცხოვრებას, გაიქცევა და ჩაეფლობა თავიანთი ბაღის ბილიკებზე დაფენილ ფოთლებში, ან ბაღის ბოლოს რომ კურდღლების სორია, იქ შექვრება. უცებ სამინლად მოუნდა აქედან გაქცევა. ეს სურვილი მოედო მის ხელებს, ფეხებს. გული ისე უზავუნებდა, თითქოს უროს ურტყამენ გრდემლსო. ახლავე უნდა გაიქცეს!

ესთერი კარის სახელურს დაწვა. კარი ადვილად გაიღო და გამოჩნდა ჭერში დაკრძებული პატარა ღურჯი ღამბით განათებული ღერეფანი. ნოტიო სუნი დგას. სადღაც კარი გარახუნდა. „კაპ, კაპ, კაპ“, — ცვივა პირსაბანში წვეთები.

ნაბიჯი, კიდეც ნაბიჯი! ერთ წამს სიჩუმე იდგა, მაგრამ უცებ ვიღაცის მძიმე ნაბიჯმა კიბე ააჭრიალა. ესთერი უკვე კარგად არჩევდა იმ ადამიანების ფეხის ხმას, თვალთაც რომ არ ენახა. ახლა რომ მოდის, ძონძროხა კაცია, ქოშინი აწუნებს. არა, ეს პავლე არ არის. მისი ფეხის ხმას ცნობდა ხოლმე იმ ადლოთი, გამუღმებულმა, სულწასულმა მოლოდინმა რომ გაუმახვილა. დღეს იქნებ არც მოუხედეს, რაღაცას ამბობდა ამაზე. რა საშინელი საღამოა!

ნაბიჯი აალოგდებდა. შეშინებულმა ესთერმა უკან დაიწია. ოთახში შევიდა და კარი მოიჯახუნა. გული ყელში მოეხუნა. ნაბიჯის ხმა შორდებოდა, ახლა შუშაბანდში დაიჭრიალეს ფილებმა იმ ვიღაცის ფეხქვეშ.

ესთერმა შვებით ამოისუნთქა.

მას რომ დაენახა ესთერი!

გადასწყვიტა პირი დაებანა და პავლეს დალოდებოდა — იქნებ მოვიდეს?

გოგონა კართან მივიდა, გასაღები გადაატრიალა და მარჯვენა ვასრიალდა ბნელ სახელოსნოში. სინათლე აღარ აუნთია — უშუქოდაც მშვენივრად ჩაუარა საკერავ მანქანებს და დაბლანდულპიჯაკიან მანეკენს. პირსაბანი კუთხეში დგას. ბნელაში ონკანი მონახა. კაბის პირი გაიხსნა და მხრენი შეუშვიოა წყალს. ესო ამოვნა. სახეზე შეისხა. გაუთავებლად იზხაპუნებდა წყალს, იბანდა კისერს, ისველებდა თმას. ისე გაერთო, რომ ვერც კი გაიგო, სინათლე როგორ აანთეს.

ესთერმა შეჰკივლა, პირსახოცს დასტაცა ხელი, მკერდზე მიიკრა, თან დაბნეულმა თვალი ვერ გაუმართა შუქს.

— ხომ დაგიპირე!

მეზობელი ოთახის კარში, სულ ახლოს, კაცი იდგა და სათვალის ზევიდან ცნობისმოყვარეობით ათვალღირებდა გოგონას. მისი ხმა ეცნობა ესთერს. კაცი სარივით მაღალი და გამხდარი იყო, ოდნავ წახრილი, მელოტი. უცნობი კეთილად იღიმებოდა და ზღაპრის ჯადოქარ მოხუცს წააგავდა. სულ არ იყო საშინელი. მაგრამ ესთერს ხმა ვერ ამოედო.

— საიდან გაჩნდი აქ, ქალიშვილო?

ესთერი ღუმდა, სიცივისაგან კანკალებდა. თვალბეგაფართოებული შესცქეროდა კაცს, ნახევრად დაეღო პირი, პირსახოცი მკერდზე მიიკრა.

— მაშ შენ დიასახლისობ აქ დამდამობით, — უთხრა მოხუცმა ჩუმი სიცილით. — ან ხომ დაგიდარაჯდი. რათა ხარ გაჩუმებული? მუნჯი ხარ?



ესთერმა თავი გააქნია, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— აბა, აბა... ჩემი არ უნდა გეშინოდეს. ჩაიცვი და მოვილაპარაკოთ, კარგი?

IX

უბედურება სამი დღის მერე მოხდა. ყველა მდგმური იმ აზრისა იყო, ამ საქმეში უთუოდ რეისეკის ხელი ურევიაო. სახლში — სარდაფიდან სახურავამდე — ძველი ბინადრები ცხოვრობდნენ და იმათ კი, ჩვენ შორის რომ ეთქვათ, კარვად იციან, ვის რა ასულდგმულებს, ვის შეიძლება გული გადაუშალო და ვის კიდევ უნდა ერიდო.

მაგრამ დანამდვილებით კი არავინ არაფერი იცოდა. რეისეკი? რასა ბრძანებთ? სსუ...

არავის აღარ ახსოვდა, როდის დასახლდა რეისეკი მესამე სართულზე, მაგრამ მაინც ვერც ერთი მეზობელი ვერ იტყოდა დაბეჯითებით, რეისეკს ახლოს ვიცნობო; ხოლო იმ მომენტიდან, როცა ხმა გავარდა, რეისეკი გერმანელების მხარეზეაო, სულ აღარავინ ეკარებოდა.

რეისეკს იცნობდნენ, როგორც უხეირო მეზობელს; კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ცოლსაც უკრძალავდა ონკანთან შეგროვებულ მეზობლის ქალებთან ლაპარაკს. რეისეკს თავი მედიდურად ექირა, როგორც სცენისმოყვარეთა სპექტაკლში დიდი კაცის როლის შემსრულებელს — ეშინოდა თავისი ღირსება არ დაემცირებინა შინაურული ან უხეში საქციელით. სახლში იცოდნენ, რომ მისი სახელოსნო, ქალაქგარეთ რომ მდებარეობდა, კრიზისის წლებში საწინააღმდეგოდად გაკოტრდა. ეტყობოდა, ამ გაკოტრებას ძალიან განიცდიდა. მეზობლები ხედავდნენ, ვახშმის შემდეგ რეისეკი როგორ ბრუნდებოდა თავის ბინაში — იღლიაში გატენილი ჩანთა ჰქონდა ამოჩრილი, ძლივს მოჰქონდა მძიმე სხეული, სუნთქვა უჭირდა; და რაც უფრო მეტად ცდილობდა კეთილშობილი გამოჩენილიყო, მით უფრო საცოდავი იყო თავისი ქშენითაც და მელანქოლიური მედიდურობითაც.

ცოლი ჯერ კიდევ ოცდათვრამეტში გარდაცვალა — სანთელივით დადნა და მეზობლებს არც კი შეუმჩნევიათ მისი სიკვდილი. მოკვდა, დამარხეს და ძველ სახლში ცხოვრება თავისი წესით წავიდა. რეისეკის გაწვლელა ნაშეირი დედის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ აღარავის უნახავს. ამბობდნენ, რეისეკი სწავლობსო. ვინ იფიქრებდა, რეისეკი ამდენს შესძლებდა! დროდადრო მოდიოდა ხოლმე შინ, შავი პლაშჩის საყელი აწეული ჰქონდა, შლაპა — შუბლზე ჩამოფხატული და შუშაბანაის ჭრიალა ფრთებზე გაპრიალებულ ჩექმებს მიაბრახუნებდა. უკანასკნელად ამ ორი თვის წინათ ნახეს: ბინიდან რომ გამოვიდა, გერმანული მუნდირი ეცვა და ჩემოდანი ექირა ხელში. რეისეკები — მამა და შვილი — კარებში ერთმანეთს დიდხანს ეთხოვებოდნენ, ეხვეოდნენ, ტუჩებში კოცნიდნენ. და მოხუცი რეისეკი დემონსტრატიულად ზურგზე ხელს ურტყამდა თავის სალდათს. იმავე საღამოს მოხუცმა თავის ბინაზე ვიღაც საექვო მეგობრებთან ქეიფი მოაწყო. კათუნებადის ღრიალებდნენ სამხედრო მარშს და ბოთლებს ამჭერდნენ. არავის უძინია. ამ დღიდან ქეიფი უფრო და უფრო გახშირდა, და მეზობლებმა, უსიტყვოდ და არც თუ დიდი ინტერესით, აღნიშნეს: რეისეკი გალოთდა! — და აზრი შეცვალეს. თუ წინათ უფლებელ, შეუმჩნეველ და ახირებულ კაცადაც კი თვლიდნენ, ამ ბოლო დროს უფროთხოდნენ. რეისეკის გამოჩენაზე ლაპარაკი შუასიტიყვებზე შეწყდებოდა ხოლმე. მას გაურბოდნენ. ფრთხილად — რეისეკი! სსსუ!... მაგრამ სწორედ ამ ბოლო თვეებში ეს უცხვირპირო კაცი შორიდანვე ესალმებოდა მეზობლებს და ცდილობდა საუბარი გაეხა. ბრიყვი! მის ირგვლივ უფსკრული იყო და მისი ყოველი ცდა უშედეგო რჩებოდა — არავინ ელაპარაკებოდა, მხოლოდ მხრების აჩეჩვით უბასუხებდნენ.

რეისეკისას ქეიფი სულ უფრო და უფრო გახშირდა. ეტყობოდა, ფული არ აკლდა. მაშ რა იქნებოდა! რეისეკმა დაიწყო მშვენივრად ჩაცმა. მეზობლები იმასაც კი ამბობდნენ, შინ დალიანდაგებული ხალათი აცვია, აი ისეთი, სახლის მებატრონეები რომ ატარებენო. ზოგჯერ ხედებოდნენ ახალ, მშვენივრად შეკერილ კოსტუმში გამოწყობილს, გულზე ყვავილით. ნამდვილ საცოლე კაცს დაემსგავსა! რას არ მოიგონებთ! იტყვიტ ხოლმე რაღაცას! არავინ წვრილად არაფერი იყო, არავინ არაფერს ეკითხებოდა. რეისეკი მთლად სიკეთის განსახიერება იყო, მაგრამ მტრული განწყობილება მასა და სახლს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა.

ამ ორი დღის უკან კი მოულოდნელი ამბავი მოხდა. რეისეკი თავისი ოთახიდან შუშაბანდში გამოვიარდა, ხელში ქაღალდი ეკავა. ფარდებს უკან მდგარი მეზობლების ათეულმა თვალმა ყურადღებით გააყოლა მხერა. ცრემლებისგან დაბრმავებული რეისეკი ღრიალებდა და მთელი ტანით ცახცახებდა. მეზობელს კარზე დაუკაკუნა და გაკვირვებულ ქალს მდუმარედ გაუწოდა ქაღალდი, რადგან ხმის ამოღება არ შეეძლო. რეისეკი ოხრადა და ქრელი ცხვირსახოცით იწმინდდა თვალებს. ქალმა საჩქაროდ გადაიკითხა ქაღალდი, თანაგრძნობით გააქნია თავი, მაგრამ არაფერი უთხრა. შემდეგ ყველამ ამ ქალისაგან შეიტყო, რომ რეისეკის ვაჟი დაეცა აღმოსავლეთ ფრონტზე, ხარკოვთან, „ფიურერისა და დიდი გერმანიისათვის“. ესეც ასე!

ქალმა წერილი დაუბრუნა და კარი მოხურა. რეისეკი შუშაბანდში მარტოკა დარჩა. ახლა კიბეზე ავიდა და მხატვარს მიუკაკუნა, პასუხს აღარ მოუცადა და სახელოსნოში შევიდა. ღმერთმა უწყის, რატომ გაემართა რეისეკი მაინცდამაინც მხატვრისაკენ! ყველა იცნობდა მხატვარს. ეს გახლდათ წესიერი, ცოტა უცნაური კაცი. იქნებ იმიტომ მივიდა, რომ უნდოდა გული გადაეშალა მასავით მარტოხელა ადამიანისათვის, ან იქნებ იმიტომ, რომ არის ხოლმე ცხოვრებაში ისეთი წუთები, როცა არავის აღარ შეუძლია მარტო დარჩეს საკუთარ თავთან.

მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ რეისეკი კვლავ გამოჩნდა კიბეზე. იგი პანჩურაპირული მოგორავდა ძირს, ხელებით მოაჯირს ეჭიდებოდა, უკან სახელოსნოსაკენ იხედებოდა და ხრინწიანი ხმით ყვიროდა:

— დიახ, მე ვამაყო! თქვენ მართალი ხართ... თქვენ... დიახ, მე... ვამაყო!

ყველა დარწმუნებული იყო, რომ ან მთვრალია, ან დარდისაგან ჭკუაზე შეცდაო, მაგრამ მისი ღრიალი სავსე იყო ბოროტი მუქარით, და როდესაც მეორე დღეს უბედურება დატრიალდა, ყველა მეზობელმა თქვა: ეს რეისეკის საქმეაო!

პავლე და ესთერი საღი კლდის მწვერვალისაკენ მიიწვდნენ. ისინი უკვე ნაცრისფერ ღრუბლებს ზემოთ იყენენ, მაგრამ უფრო მაღლა მიცოცავდნენ, ყოველ მეტრს გაჭირვებით ლახავდნენ. ვილაცამ — პავლეს არ ახსოვდა მისი სახე — უბრძანა მათ ამ მთაზე ასვლა. ესთერს ძალა გამოეღია, დასისხლიანებულ ხელებს აჩვენებდა პავლეს და ქვითინებდა. პავლე ამშვიდებდა და თხოვდა, განვაგრძოთ გზაო, მაგრამ თავისი ხმა არ ესმოდა. პავლე ესთერს წვეტიან ქვეზე მიათრევდა და ისე უმძიმდა, რომ საცა იყო გული გაუსკდებოდა. კიდევ უფრო მაღლა! პავლეს ეშინოდა ძირს ჩახედვა, რომ არ გადაჩხილიყვნენ უფსკრულში, ნისლის ჭუმუყიან ნაფლეთებს რომ დაეფარა. პავლე მხოლოდ მაღლა იცქირებოდა. რამდენიმე მეტრიღა დარჩა: აი ამ ლოდს უნდა შემოუაროს და გრანიტის კლდეში გამოკვეთილ, გასლიპულ საფეხურებს უნდა აპყვნენ. ფეხზე ძლივს დგანან, ისეთი ძლიერი ქარია. პავლეს უნდა ისე ხმამაღლა დაიყვიროს, რომ ქარიშხალი დაჟვაროს, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის. მხოლოდ ქარიშხლის ზუზუნი ისმის. პავლე მოათრევს ესთერს თავისკენ, ერთი ბეწო სწორი ადგილისკენ. ძალამიხდილი გოგონა მის ფერხთით ეცემა. „წინ წავიდეთ, ესთერ, შენ უნდა გაუძლო! რამდენიმე ნაბი-

ჯილა დარჩა, უნდა გაიჭირვო, მაღლა, მაღლა!" და უცებ თავზარდაცემული ჰყვირის. მათ თავს დასტრიალებს უზარმაზარი ფრინველი. გაშლილი ფრთების ჩრდილი ესთერს სახეზე ეცემა. პავლე ხედავს ფრინველის თვალებს. ეს ადამიანის თვალეზია. სად უნახავს ეს თვალეზი? პავლე უკანასკნელ საფეხურზე დგას, რკინის რგოლს ჩაბლაშუქებია და მაგრად უჭირავს ხელში ესთერის ხელი. ესთერი უფსკრულის თავზე ჰკიდია, მის ძველ ქაკეტზე ნათლად მოსჩანს ყვითელი ვარსკვლავი. წყვილიადიდან კვლავ მოფრინავს ფრინველი. პავლე ხედავს: ფრინველს ბრწყალების მაგიერ ადამიანის ხელები აქვს. აი იგი ესთერს ფეხებში სწვდა, ძირს მიათრევს, საშინელი ძალით გლეჯს. ვერ გაუძლებს! ჩუმად შესცქერიან ერთმანეთს, ტუჩებს აცმაცუნებენ, სიტყვები აღარა აქვთ, ყველა სიტყვა უკვე ნათქვამია. მხოლოდ თვალებით ელაპარაკებიან. უცებ პავლემ დაინახა, რომ ესთერს თვალეზი აღარა აქვს. თვალეზის ფოსოში ორი შავი წყვილია. ალბათ ფრინველმა... პავლე ხელს უშეებს. ესთერი წყვილიადში მიჰქრის, სულ უფრო და უფრო პატარავდება, და მისი ყვრილი ყრო ექოდ ედება არემარეს. ყვრილი მიწყდა... უცებ პავლე მსუბუქი ხდება, უცხო ძალას აჰყავს ის მწვერვალზე, უფრო მაღლაც ავიდოდა, სხვის ხელებს რომ არ დაექირა. ეს მხოლოდ ხელები იყო, უსხეულოდ. პავლეს უნდა ძირს ჩავარდეს, ესთერთან, მაგრამ ხელები იჭერს; ყვრილი უნდა, ხელები პირს უკუშევენ. პავლე ებრძვის, მაგრამ ხელები უფრო დონიერი. და პავლემ უცებ იცნო ეს ხელები, თავზარი დაეცა. გაეკიდა მათ. სიბჭებზე მიგორავს, მუხლებზე ეცემა. ხელები ხან ქრება თხელ ნისლში, ხან ახლოვდება. ჯერ კიდევ შეიძლება შეეღა. ოპ, ეს ხელები...

პავლეს გამოეღვიძა.

ფანჯარაში ივნისის მზე იჭყიტება, სამზარეულოში ყავას ფქვავენ, ყველაფერი თავის ადგილზეა. პავლე გაოგნებული იხედება აქეთ-იქით, თავი ვერ დაუღწევია სიზმრისგან.

მთელ დღეს მოჩვენებასავით თან სდევს ეს სიზმარი. სისულელეა!.. ეს მხოლოდ სიზმარია!

იმ დღეს პავლეს სიმწიფის ატესტატის მისაღებად ზეპირი გამოცდები ჰქონდა. პავლესთვის ყველაფერი სულერთია! გამომცდელეების წინ დგას და ავტომატივით, ზიზღით ჰყვება ფიურერის ბიოგრაფიას. ყველაფერი მოსაბუნრებელია. მტანჯველი, უკუნური. სკოლის გრილ დერეფნებში დადის, ნაცნობებს ერიდება. "რა დაგემართათ? — კლასის დამრიგებლის თვალეზი კითხვა აღბეჭდილა. — ავად ხომ არა ხართ? კარგად კი უპასუხეთ, მაგრამ, ბიჭუნო, რატომღაც არ მომწონხართ!"

ამხანაგები კი: "პავლე, შენ რა, სულ შეირყი ჭკუაზე?" — "მე დღეს ალბათ გერმანულში ჩავიჭრები".

საკლასო ოთახის კართან ვიღაც დგას და ქაღალდის ფერი ჩასდებია. ნეტა როგორ იბრუნვის ეს წყველი "Sein?". "Adolf Hitler wurde in Braunau geboren"!

— პავლე, გამომძვერი მაგ შენი სოროდან, წამო ბილიარდი ვითამაშოთ! გეყოფა ზუთხვა.

გამოცდები ჩააბარა. ატესტატი მიიღო. თავი გაანებეს.

მისთვის კი ყველაფერი სულერთია.

ის მიდის ივნისის მზით გავარვარებულ ქუჩაში, გვერდით კი, როგორც უსინათლოს ძაღლი, მისდევს ის სიზმარი.

კუთხეში ახალგაქრულმა ცნობამ ადგილზე გააქვავა პავლე. შეძრწუნებულმა წაიკითხა, თუ როგორ გადაწვეს სოფელი, რომლის სახელიც პირველად გაიგონა. მის უკან ხალხი შეჯგუფულა, კითხულობენ.

1 "ადოლფ ჰიტლერი დაიბადა ბრაუნაუში" (გერმ.).

ყველა სუნთქვაშეკრული დუმს...

„კაცები დახვრეტილნი არიან, ქალები — საკონცენტრაციო ბანაკში გაიგზავნენ, ბავშვები... სათანადოდ აღსაზრდელად! სოფელი მიწასთან გაასწორეს...“ იქნებ კი დახვრეტილთა ახალი სიები. პავლემ გაარღვია ხალხი, თავჩაღუნული მიდის, ეშინია თვალეზში შეხედოს ვინმეს.

პავლე მირზის, მიჰქრის და კვლავ გვერდით მისდევს სიზმარი და ადამიანის-ხელიანი ფრინველი. პავლე ნაბიჯს უმატებს, ცდილობს მოიშოროს საშინელი სიზმარი. პავლე მირზის ესთერთან. აქოშინებული ნაბიჯს ანელებს, მას ჰგონია, რომ გამგელები უყურებენ. სულს ითქვამს. ხელებს ჯიბეში იწყობს. ხოლო როცა თვალი მოსწყვიტა ერთნაირ, ათასჯერ ნახულ ქვაფენილს, თავზარდაცემული შეკრთა, თვალეზი ღამის გადმოუცვივდა, ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა, მუხლები მოეკეცა. ის სიზმარი! პავლე ზურვით მიეკრა ტელეფონის ჯიხურს. ძველ სახლთან დაბალი შავი მანქანა, საეჭვოდ ნაცნობი „მერსედესი“ დვას. შოფერი ტროტუარზე იცდის, ტყავის ქურთუკის ჯიბეებში ჩაუწყვია ხელები. ის თამბაქოს აბოლებს, ამთქნარებს, თვალს ავლებს სახლის კედლებს, ფანჯრებს. ფანჯრები თითქოს ცარიელია და ქუჩაშიც ჩვეულებრივი ცხოვრება მიედინება. მაგრამ პავლემ იცის, რომ შავ მანქანაზე მიჯექული ყველას მხერა. შიშით გაფართოებული მრავალი თვალი უთვალთვალებს მას ფარდებიდან. ქუჩა საზარ შიშს მოუცავს. პავლე ვერაფერს ხედავს, მაგრამ გრძნობს, რომ შიში მსუთავი აირივით ტრიალებს ჰაერში.

ჩქარა ესთერთან, ჩქარა! მე ვგიჟდები! საღეთქელში რაღაც ურტყამს. მოსწყვდა ჯიხურს და მთვარეულივით დაიძრა სახლისაკენ. მიდის. აღარაფერი დარჩა ქვეყანაზე, იმ შავი მანქანის გარდა. მთელი სამყარო ზურუსმა შთანთქა; პავლეს ჰგონია, რომ ესმის ყვირილი, ბრძანების სიტყვები! არა, გარს ისევ სჩრუმეა. მხოლოდ ტრამვაი ჭრიალებს, ქალაქი ხმაურობს... ის მანქანა კი... იგი დვას, როგორც გიგანტური ანდამატი, როგორც ღამაა, რომელიც იზიდავს ღამის მუმლს... პავლე მიდის. ის მზადაა კბილებით იბრძოლოს... ვიღაც წვდება სახელოში. ბიჭი იხედება და მეზობლის ნაცნობ სახეს ხედავს. პავლე ჯიბიდან ხელებს იღებს, ჩერდება.

— ნუ მიდისხარ იქ, პავლე! — უჩურჩულებს მეზობელი ისე, რომ ნაბიჯს არც კი ანელებს, ბიჭის სახელოს ხელს არ უშვებს და თავაზიანად, მაგრამ დაჭინებით მოჰყავს უკანვე.

— რაო?..

— ისინი არიან! ვიღაცის წასაყვანად მოვიდნენ. არაფერი არ ვიცი.

პავლე ტელეფონის ჯიხურთან მოვიდა გონს. მზე შეუბრალებლად იკბინება, გაგარვარებული სხივებით უზურღავს კანს, ოფლი ღვარად ჩაუდის პერანგში. „გამეღვიძება, — ეუბნება ის თავის თავს, — გამეღვიძება და ყველაფერი რიგზე იქნება: ოთახი, იადონი, წიგნები, ვარსკვლავების ატლასი. ეს მხოლოდ სიზმარია, სიზმარია ყველაფერი! იქნებ ესთერიც?.. არა, ოღონდ ეს კი არა!“

ჯიხურის მინებიდან უცქერის შავ მანქანას.

საინტერესოა, რამდენ ხანს გრძელდება მარადისობა?..

რატომ არ გამოდიან? და ამას ჰქვია სამუშაო ვაჟაკებისთვის, კარგი ხელფასიანი და ნაპატივები მკვლელებისათვის! ამათ ხელში ჩავარდნილ ესთერს მართო შიში ეყოფა, რომ გული გაუსკდეს.

მაგრამ აგერ ჭიშკარში გამოჩნდნენ. ხუთნი არიან, ხუთი ჩასკვნილი ვაჟაკი. საბუნდოვროდ პავლე ვერც ერთის სახეს ვერ ხედავს. მათ უქულო, შუახნის კაცი მოსდევს. პიჯაკი და საკინძვავსნილი პერანგი აცვია. ხელბორკილი არ უკეთია,



ისე მიჰყავთ მანქანისაკენ. იციან თავიანთი მკლავისა და რვეოლფერის ძალა. ჩვეულგზისა შესახედობა აქვთ, შორიდან კაცს ეგონება, სასიეროდ მიდიანო. აი მანქანას გაუწორდნენ, შოფერი საჭეს მიუჯდა. მანქანის კარი ღიაა, ძრავა გამგონედ აფრუტუნდა. უქულო კაცი წუთით ჩერდება და მზის სხივი სახეს უნათებს. თავს მაღლა სწევს, გასცქერის ქუჩას, ფუქსიებითა და ახალიებით მორთულ ფანჯრის რაღებს. ათეული თვალი აცილებს მას. ის ღრმად ისუნთქავს პაერს და წელში სწორდება.

ეს მხატვარია! მხატვარი სხვენიდან! ერთ-ერთი ხუთთავანი ფერდში მუშტს ჩაპკრავს და მანქანის წყველიაღში შეაგდება. კარს მიახებთქებენ, შავი მანქანა გამაყრუებელი ღრიალით წყდება ადვილს და მიჰქრის შიშისაგან გაშტერებულ ქუჩაზე.

X

ირგვლივ ყველაფერს — სახლებს, ფანჯრებს, გამგელეთა სახეებს, ზღაზიგების აბრებს, სახლების ჩამოქონილ კუთხეებს — ყველაფერს უწინდელი იერი უბრუნდება — თითქოს წყალი ადიდებულყო, ყველასათვის თავზარი დაეცა, ახლა კი ჩამდგარიყო და შიშით განელებულიყო. თანდათან და თითქოს უხალისოდ ცოცხდება ქუჩა; სადღაც ლეკვმა დაიწყებულუნა, საიდანღაც ცხენების ფლოქვების თქარუნი გაისმა.

ბავლე მფეხები მოწყვიტა ქვაფენილს, წინ გაემართა; თან განიცდიდა შვებას, შვების სამარცხვინო გრძნობას; ეგოისტურ, საზიზღარ, სულმდაბალ შვებას.

ახლა კი იფიქრე, იფიქრე, ტვინი გაანძრე! ცხადზე უცხადესია — ესთერის აქ დარჩენა აღარ შეიძლება. მათ შეუძლიათ გაჩხრიკონ მთელი სახლი, როგორც „მეამბოხეთა კერა“, გაჩხრიკონ ბინები, სხვენი, სარდაფები. დღეს, ხვალ, როგორც კი უფრო მოიცლიან! ესთერი აუცილებლად უნდა გაეცალოს აქაურობას. ძაგრამ სად წავიდეს? მამიდასთან წაიყვანოს სოფელში? მამიდა ხუტორში ცხოვრობს. რაიმე უნდა მოიფიქროს, დედ-მამას უნდა მოეღაპარაკოს, დაარწმუნოს, აიძულოს, თუგინდ შიშისაგან გული უსკდებოდეთ. ესთერმა უნდა იცოცხლოს. ვიდრე ეს ისტერიკა გაივლის, ვიდრე შაშხანები ცოტათი შენელებიან, ვიდრე კვლავ დადგება გამოყვანილებული, ერთფეროვანი პროტიქტორატის დღეები.

ბავლე მიდის მძიმე ფიქრისგან წელში მოხრილი.

შუადღის მზისგან გავარგარებული ქუჩა გულგრილად გაწოლილა. ყელი უშრება წყურვილისაგან. ჯერ მამასთან შეივლის სახელოსნოში — წყალს დაღვეს, იქაურობას მიათვალეირ-მოათვალეირებს.

სახელოსნოში სუნთქვა შეუძლებელია. ახალი შემკვეთი მოსულა.

მერედა როგორი შემკვეთი! ფეხები განივრად გაუდგამს და იაფფასიანი მატერიის ნაკუწებში ჩამდგარა, პავლესკენ ზურგშექცეული. ბავლე მამინე იცნო და შეკრთა. რა უნდა აქ? შემკვეთი შეუჩერებლად ქაქანებს, რაღაც სისულელეს ჰყვება.

მას თითქმის არ პასუხობენ. თერძი მის წინ მუხლებზე დაჩოქილა. ტილოს მეტრით შარვლის ზომას იღებს და დაფლეთილ ბლოკნოტში იწერს.

მამამ უსიტყვოდ შეხედა შვილს და მოიღრუბლა. ყველა დუმდა. მხოლოდ ახალი შემკვეთი — რეისეკი მხიარულად იქნევს ხელებს.

და ქაქანებს, ქაქანებს, ქაქანებს.

— მეც ჩემს თავს ვეუბნები: რაღა სხვაგან ეძებო თერძი, როცა აქვე ცხვირწინა გყავს-მეთქი? და გამოვცხადდი თქვენთან, პატრონო! ეცადეთ, რომ ნამდვილ ფრანტს დავემსგავსო!..

არავინ არ იცინის. რეისეკის ქაქანში ჩამოვარდნილ პაუზებს ყრუ მღუმარება ავსებს. ჩეპეკი მაუდის დაუმაფრებელ ჭილექს ბლანდს აძრობს და გაცივებუ-

ლი სრუტუნებს; სიცხისაგან დარეტიანებული დიდი ბუზი ფანჯრის მინას აწყდებოდა. „ბზზ... ბზზ...“. ჩეპეკი შევარდნილი მუცლით თერძის მაგიდას მიყრდნობია თითებით სრესს მატერიას, ბეც თვალბთან მიაქვს და კარგი მცოდნის სახით იქნეეს თავს. „ჰმ, ჰმ...“

— რას იტყვი? — ეკითხება რეისეკი. ჯიბიდან კამფეტების პაწია პარკს იღებს და ერთ ცალს ნეტარებით იღებს პირში.

— კარგი ნაჭურია, ჰა?

— საოცნებო, — გაქვავებული სახით უდასტურებს ქარგალი, თან თვალს არიდებს თერძის მავედრებელ და გამაფრთხილებელ მზერას. — ასეთ მატერიას დღეს მაღაზიებში ვერ იყიდის კაცი...

— რა თქმა უნდა... — მედიდურად ლულულღებს რეისეკი, კამფეტი ლაპარაკს უშლის, მაგრამ რალაც არ მოსწონს ქარგლის პასუხში. — მაინც რა გაქვთ მხედველობაში? მე ეს ნაჭური დიდი ხანია მაქვს... გთხოვთ კოსტუმში რაც შეიძლება მალე შემეიკეროთ. არის მიზეზი. ხოლო... რაც შეეხება ფულს — ნაღდად მიიღებთ!

— ვაი თუ დაგცხეთ ამ კოსტუმში, — მზრუნველობით შენიშნავს ჩეპეკი და მატერიას განზე სწევს.

— ეგრე გგონიათ? — გულგრილად უცქერის რეისეკი.

თერძი გამწვარებული ახველებს. ჩეპეკს ესმის, რას ნიშნავს ეს ხველა. თერძი ცდილობს ჩაახშოს სახიფათო ლაპარაკი.

— ცხელი ზაფხული იქნებაო, ასწლიან კალენდარში წერია თურმე, — სერიოზულად უხსნის ჩეპეკი და თითს უკაკუნებს მატერიაზე. — კამფოლის შალია!

— აჰა!

— რა ბრძანეთ?

— არაფერი. აჰა-მეთქი!

— აჰა! ერთმაც ამას წინათ „აჰაო“ და ძალზე ცუდად წაუვიდა საქმე. თუმცა მარჯვე ბიჭი იყო. დიახ, დღეს უმჯობესია...

— შინაური შვეიკი.

— მართლა? მაინც რა გაქვთ შვეიკის საწინააღმდეგო?

— ბრიყვია, — პასუხობს რეისეკი. — საშიში ბრიყვია. ახლა ბევრი შვეიკობს, ოხუნჯობს. ეს ეროვნული ავადმყოფობაა. რაც გინდა ის იფიქრე, ეშმაკმა წაგიღოს, სისულელეებს კი თავი გაანებე. შვეიკობით დაიწყებ, მერე კი დაასრულებ, როგორც საბოტაჟის მომწყობი, ძირგამომთხრელი ელემენტი, და სახრჩობელაზე ახვალ! ღმერთმანი, მენანება ჩეხების თავები!

— რასაკვირველია, — ეთანხმება ჩეპეკი, — ძალიან დასანანია...

— თქვენ, პატივცემულო, ერთი დიდი გნებავთ თუ ორი? — ერევა თერძი და შუბლიდან ოფლს იწმენდს.

— ერთი! — სიტყვას უჭრის რეისეკი და განაგრძობს: — ომია! საშინელებაა! ვინ იცის, რითი დამთავრდება ყველაფერი ეს.

— რა? ომიო? — უკვირს ჩეპეკს. — სრულიად გასაგებია! გაზეთები წერენ...

— რასაკვირველია! მაგრამ ხომ უნდა შეგეძლოს კაცს განსჯა, სწორი განსჯა, — თავისივე სიტყვები აღანთებენ რეისეკს. — ჩვენებს არ სურთ დაავასონ ის, რომ ჩეხები გადარჩნენ სანგრეპში გლებას. ხელეუბნები ეტავებათ... არ აფასებენ, რომ შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ...

— მეტსაც ვიტყვი, საკმაოდ მადლიერნი არ არიან იმ მფარველობისა, რომელსაც ჩვენ გერმანია გვიწევს.

რეისეკი წამით ჩუმდება, ჩეპეკს მიაპყრობს დაფიქრებულ, ჩაცხიბულ მზერას და მხრებს იჩიჩავს.

— ბუნებრივია, ნაციონალური გრძნობებია. მე, რასაკვირველია, ვუთანაგრძ-

ნობ მათ! მაგრამ შენ ფხიზელი თვალთ შეხედე ყველაფერს! რეალისტურად. გერმანიას ჩვენთვის არა სცალია, ისედაც ბევრი საქმე აქვს. კედელს შუბლით ვერ გაარღვევ!

— უწმინდესი სიტყვებია, — მხურვალედ კვირს უკრავს ჩიბუკი.

— ბოლოსდაბოლოს, არც ერთი სახელმწიფო არ მოითმენს ანარქიას. წარმოგიდგენიათ: ერთმა კაცმა საწოლის ფერხითთ შაშხანაც კი დამალა... ძველი, მგონი ოცდაათწლიანი ომისდროინდელი შაშხანა. ნაკავია, საერთოდ არც ისვრის. აი ასეთებს ნებავთ ტანკებისა და თვითმფრინავების წინააღმდეგ გალაშქრება. გიჟები არიან! ზოგი კიდევ, — დაურთავს რეისეკი ცოტახნის დუმილის შემდეგ, — ბინაში ჩაუწერელ ხალხს ფარავს. ურიებსაც კი მალავენ! გესმით? მერც კი მათ... მერც... შენ კი თავს იმტვრევ, როგორ გაავფრთხილო ასეთი უგუნური, მეოცნებე ფანტაზიორებიო.

რეისეკის თვალეზი დარბის ერთი საგნიდან მეორეზე და უცებ პატარა ოთახში გასასვლელ კარზე ჩერდება. დამსწრეთაც ავლებს თვალს. ელოდება. აბა?!

— როგორც აი ის, ზედა კაცი, — ისევ ვერ ისვენებს ჩიბუკი.

— ვინ?

— აი ის, სხენში რომ ცხოვრობდა. დღეს წაიყვანეს.

— ბოლშევიკია.

— მართლა? საიდან იცით?

— ეს ყველამ იცის. ასეთ ძველ სახლში...

აქ უკვე ლაპარაკში ჩაერია გატანჯული თერძი.

— როდისთვის გნებავთ, პატივცემულო... მიიღოთ კოსტუმი?

— რაც შეიძლება, მალე, პატრონო! ერთ კვირას გაცლით. ძალიან კარგი! გასასინჯად სამი დღის შემდეგ მოვალ. შევთანხმდით?

რეისეკი ბებერი დათვივით მიზაჯუბაჯებს კარისკენ, თან ჭრელი ცხვირსახოცით კეფას იწმენდს და უშნოდ იღრიჭება.

— კარგად ვიმასლაათეთ, არა? აბა, ნახვამდის!

და რეისეკი უცებ ქუსლებზე ტრიალდება. ხდება მოულოდნელი რამ: ის მიემართება პავლეს ოთახში გამავალი კარისაკენ.

სანამ ვინმე გონს მოვიდოდა, რეისეკმა სახელურს ხელი ჩაავლო და დააწვა.

არავინ არ განძრეულა პავლეს გარდა. ის წამოდგა. მიტკლის ფერი დაედო. ეს არავის არ შეუშინებია. ზურგს უკან მოსინჯა თერძის დიდი მაკრატელი და ხელი ისე მოუჭირა, სახსრები ჩაუთეთრდა. აი ახლა! თვალმოწყურული პავლე მისჩერებოდა ოთახის სახელურზე ჩაელებულ ხელს. ის ფრინელო! ხელი კვლავ დააწვა სახელურს. უნდა დაჰკრას! ეცეს უკანიდან, ღონიერად ჩაარტყას მაკრატელი ნეკნებში, დასჭრას, დასჩეხოს ეს ხელი! სხეული ნახტომის გასაკეთებლად დაეკიმა.

მოსცილდა კარს!

პავლემ ამოისუნთქა.

სახელური არ გადატრიალდა. რეისეკმა მოიხედა, დამნაშავესავით გაიღიმა, ყველას გამომცდელი თვალი მოავლო და საქციელწამხდარმა მხრები აიჩეჩა.

— გასასვლელი აქ გახლავთ, მობრძანდით! — თავაზიანად ამოიღულულა თერძმა.

— ჰო, მართლა! ეშმაკმა წაიღოს, კარი ამერია. ალბათ სიცხის ბრალი! ცხელა!

რეისეკი გავიდა. სახელოსნოში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. დუმილი. სიცხე.

ყველაზე მალე ქარგალი გამოერკვა. მისმა სახემ ჩვეულებრივი გესლიანი გამომეტყველება მიიღო.

— ხომ ხედავ, — თავი კარისკენ გაიქნია, — ესეც შენი ახალი შემკვეთი. თერძმა თავი ბლოკნოტში ჩარგო, თითქოს ზომების მეტი არაფერი აინტერესებს. წრიალებს, იშმუშნება.

— რაო? საყულომ მოგიჭირა?

— აბა... აბა...

— და შენ გინდა შეუკერო იმას ეს ოხრობა? — ფტევეს ქარგალი თერძს და ზიზღით თითს არტყამს მაუღს.

თერძი ხელებს შლის, თავს იცავს:

— რა მე, რა? რა ისევ — მე? შევეუკერავ, არ შევეუკერავ! თავში ჭკუა უნდა გქონდეს. შენ კი... შენი ლაპარაკით... ეს კარტის თამაში არ გეგონოს.

— აი თურმე რა ყოფილა! თუნდაც ადამიანის ტყავი მოგიტანოს, მაინც შეუკერავ პიჯაკს ორ ღილზე?!

— გაგაჟღერე — ჩურჩულებს სუნთქვაშეკრული თერძი. ჩეპეკს არაფერი არ მოარჯულებს — ეს ხომ პროფოკაცია იქნება, მე რომ...

— მაშ შეუკერავ?

— შეიგნე, თუ ღმერთი გწამს. მაშ რა ვქნა?

— დაფრთხი, ხომ? შენ უკეთ იცი! სახელოსნოს პატრონი შენა ხარ. დავ ჩვენი „გონიერების“ ხარჯზე იმათ მუცელი გაისქელონ! ეპ, შენც ხარ რაღა!..

მაგრამ ამ ლაპარაკს ჩვეულებრივი პაექრობა აღარ მოყოლია — კამათი შეაჩერა მაგიდაზე დაგდებული დიდი მაკრატლის ხმამ.

„ეს მხოლოდ სიზმარი იყო“, — ფიქრობდა პავლე და გრძნობდა, რომ გულზე მოეშვა. აქვე, მის გვერდით იყო სინამდვილე. ცოცხალი და თბილი. შეეძლო ხელი შეეხო, მის თმებში ჩაეფლა თითები, წამწამებზე გადაესვა ხელი, ტუჩებით შესებოდა მის ტუჩებს.

საშინელმა სიზმარმა გაიარა, კვლავ გონს მოეგო. მაგრამ სრულად ვერ განთავისუფლდა ზმანებისაგან. მთელი იმდღევანდელი ამბები საოცრად იცვლიან სახეს, გიჟურ სიმბოლოებად იქცევიან. ესმის ზუნდოვანი გამაფრთხილებელი ხმები შორეთიდან. ჰგონია, მახეშია მოყოლილი. მახე არ ჩანს, მაგრამ ნათლად გრძნობს.

— გძინავს?

— არა.

პავლემ თავი მოატრიალა, ცას ახედა. ზეცა უტყვია და აღმ-ფრენის სურვილს არა ჰგერის. სამყაროს კანონის თანახმად ვარსკვლავები თანაგარსკვლავედებში შეჯგუფებულან, პავლეს შეუძლია ყოველი მათგანის დასახელება. ისინი ცივად ციმციმებენ, უცვლელნი, მუნჯნი, გულგრილნი. ნეტა რა საჭირო არაა ეს ვარკველავები?

— იმას რას უზამენ? — ესმის წყვილიადში.

პავლემ იდაყვებზე წამოიწია.

— შენ დანახე?

— ჰო. ამ ღანჯრების წინ მიათრევენ. ერთი მათგანი გაჩერდა და სიგარეტის მოსწია. ფერმკრთალი და გამხდარი იყო, იქნებ ავადაცაა; მარჯვენა ხელზე ხელთათმანი ეკეთა, ალბათ ზედ იარა ჰქონდა.

— მან დაგინახა?

— არა, საბანს ამოვეფარე.

— კარგი გიქნია, — თავი დაუქნია პავლემ. — ჭკვიანად მოქცეულხარ.

— ვინ იყო?

— აბა მე რა ვიცი.



- არა, ის, ვინც წაიყვანეს.
- ჰო, ისა?! მხატვარი იყო. შენ იცნობ — გიტარაზე უკრავდა ხოლმე.
- რა ნაღვლიანი სიმღერებს უკრავდა.
- ოდესღაც სხვა სიმღერებსაც მღეროდა. ამბობენ, ცოლი გაექცაო. არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. ათას რამეს ლაყბობენ.
- რატომ წაიყვანეს?
- ამბობენ, კომუნისტიაო.
- რად გადაეკიდნენ კომუნისტებს?
- ალბათ იმიტომ, რომ რუსეთშიც კომუნისტები არიან. ისინი გერმანელებს ებრძვიან. მე მეტი არაფერი ვიცი. არასდროს არ დავინტერესებულვარ.
- ბოლოსდაბოლოს რუსები დაამარცხებენ? შენ როგორ გგონია?
- დარწმუნებული ვარ, უთუოდ დაამარცხებენ! ოღონდ როდის მოხდება ეს?
- ჩვენ რატომღა გვდევნიან?
- იმიტომ, რომ მხეცები არიან. რაღაც რასობრივი თეორია მოიგონეს, როგორც შუა საუკუნეებში — გეტო.

— მაგრამ ახლა შუა საუკუნეები ხომ არ არის — მეოცე საუკუნეა.

პავლემ მწარედ ჩაიცინა.

— მართალია. მეოცეა. მაგრამ ჩვენ საკვირველ დროში ვცხოვრობთ. ეს არასოდეს არ მიფიქრია შენთან შეხვედრამდე. აი შეგხვდი და თვალზე ამეხილა. მათი პროტექტორატი მახეა, გემის?

პავლე დაღუშდა, გულაღმა დაწვა. სიბნელეში მონახა ესთერი და მკერდზე მიიკრა. თავზე ხელს უსვამდა, აწეწილ თმას თითებით უფარცხნიდა, ცდილობდა ფიქრებით მხოლოდ ესთერთან ყოფილიყო, მაგრამ არ გამოსდიოდა.

— პავლე... — თქვა ჩუმად გოგონამ.

— რაო?

— რა ხდება იქ, გარეთ?

კითხვაში მუდარის კილო ისმოდა. პავლე შეშფოთდა. ხელი ვასწია და ლამპა აანთო. ოთახი განათდა. პავლემ გულგრილი გამომეტყველება მიიღო და ესთერისკენ მიტრიალდა.

— არაფერი!.. შენ რაზე მეკითხები? არ მესმის, — ბუტბუტებდა პავლე უთავბოლოდ და თვალს არიდებდა ესთერს. მაგრამ უეცრად მის თვალებს წააწყდა და მიხვდა: გოგონამ რაღაც იცოდა. მის სიტყვებში შიში ისმოდა.

— ესთერ, რა იცი? — შეშფოთებით ჰკითხა მან.

— ცოტა რამ. მხოლოდ ის. რომ შენ მატყუებ. რა საჭიროა.

პავლემ მხრებზე ხელი მოხვია, მოუქირა და ოდნავ შეაჯანჯღარა. თითით აჩვენა რადიომიმღებზე და საყვედურით დაიწყო:

— გამოტყედი, უსმენდი? ეს ეშმაკის ყუთი დიდი ხანია ფანჯარაში უნდა მესროლა. მე ხომ გთხოვე, არ უსმინო-მეთქი. რათა ხართ ყველანი ასეთი ცნობის-მოყვარენი? ამ სახლში ქრელი ხალხი ცხოვრობს. იქნებ ზოვნი კარგებიც არიან, მაგრამ ეშინიათ. ჩვენს ზემოთ ერთი კაცი ცხოვრობს, გერმანელებს მიეტმასნა. უნდა წავიღო ეს ძველი რადიო. სულ არ გქონია ჭკუა! შენ აქ ხელს არავინ გაბლებს, ჩემთან ხარ! ხოლო რაც იქ ხდება, შენ სულ არ გეხება. შეიგნე ეს!

— მეხება! და შენც გეხება. შენ ეს იცი!

— რა ვიცი, რა ვიცი, ღმერთო ჩემო...

ესთერი ატირდა, პავლემ გულში ჩაიკრა, თავზე ხელები მოხვია და, რაც უკანასკნელ დღეებში გულზე აწვა, ერთბაშად ამოხეთქა. პავლემ მოიცილა გოგონას ხელები, წამოჯდა. კრიჭაშეკრული, თითებით ქაღალდს ათამაშებდა და უსმენდა; ჯიბეები ამოიტრიალა, იქნებ ნამწვი მანაც იყოსო. ვერ იპოვნა. ხელები უკანკალეზდა.

— მეტი დუმილი აღარ შემიძლია, პავლე... ეს კარგი არ იქნებოდა. მე ყველაფერი ვიცი, გესმის? ყველაფერი... ისიც, რომ მე თუ აქ მიპოვნეს, შენც დაგვრეტენ. შენს დედ-მამასაც და ყველას... შიშისაგან ლამის ვიკივლო... ჩემი თავის გამო... ნენანება... მაგრამ შენ ეს არ უნდა დაგემართოს, არა...

— გაჩუმდი!.. დამშვიდდი!..

— მე დღეს ვნახე ისინი... მეტს ვეღარ ავიტან... აღარ შემიძლია მიყვარხარ, ჩემს თავზე უფრო მეტად მიყვარხარ, შიშისაგან ჭკუაზე შევცდები! ისე მიყვარხარ... მაგრამ მეტი აღარ შემიძლია... მე ვეღარ ვბედავ ადამიანთა შორის გაჩერებას... შენ... შენ კი უნდა იცოცხლო... გესმის? პავლე!..

პავლემ შეაწყვეტინა ეს წამოძახილები. სასოწარკვეთილებით გადარუელი ესთერი პავლეს მკლავებში იკლაკნებოდა, მაგრამ ბიჭმა ხელი არ გაუშვა სანამ ესთერი არ დამშვიდდა. გოგონამ თავი ბალიშში ჩარგო. მთელი სხეული უთრთოდა ქვითინისაგან. პავლე შორიასლო ჩამოჯდა სკამზე, თავზე ხელები შემოიჭირა და უგონო მზერით დააშტერდა შავ ჩემოდანს.

— რას აპირებ?

— მინდა წავიდე! ახლავე... დღესვე...

— არა! — იყვირა პავლემ. — ნებას არ მოგცემ!

— მე ვალდებული ვარ ასე მოვიქცე, პავლე! ნუთუ არ გესმის?

— არა. არ მესმის! და არც მსურს მესმოდეს. შენ მაშინვე შეგაპყრობენ.

— აქ რომ მიპოვნონ, შენც მოგკლავენ.

— უშენოდ ჩემთვის სულერთია.

— პავლე! — დაიყვირა ესთერმა.

— ეს სიმართლეა. მე ასე ვგრძნობ. არ მინდა! ეს სიკვდილს უდრის. უფრო მეტსაც. შენ თუ არ იქნები, მე აღარ მინდა არაფრის ცოდნა, არაფრის გაგონება, არაფრის გრძნობა. სამყარო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ამაღ არა ღირს. რატომ სხვა დროს არ დავიბადეთ? მაშინ თავს ზევით გვექნებოდა ცა, ჩვეულებრივი ცა. ამას წინათ ჩვენ ერთად ვსუნთქავდით, გახსოვს? ერთად! და მე კარგად ვგრძნობდი თავს. მარტო საკუთარი თავისთვის სუნთქვა კი უაზრობაა. ჩაისუნთქო მხოლოდ შენთვის, ამოიხსუნთქო მხოლოდ შენთვის, ერთი-ორი — გამოთაყვანებული, გამოუსადეგარი საქმიანობაა, იდიოტების შესაფერისი. თვუ! გმადლობ... არ მინდა!

— შენ მართალი არა ხარ, პავლე!.. მე... მე სიცოცხლე მინდა!

— მეც. ათასჯერ! ოღონდ უშენოდ კი — არა!

ჯიუტად ნათქვამ ამ სიტყვაში სასოწარკვეთილება, დარდი და ბრაზი ისმოდა. ესთერი პირველად ხედავდა პავლეს ასეთ ყოფაში. ბიჭი მუხლზე მუშტს ირტყამდა.

— იცი, ყველაზე საშინელი რა არის? ყველაზე საშინელი ისაა, არაფრის იმედი რომ აღარა გაქვს. მაშინ რაღას შეიძლება ელოდო? იმას. რომ ადამიანებმა კვლავ ერთმანეთს მუცლები გამოფატრონ? ცეცხლი აწვიმონ თავზე? გეტო! პროგრესი, ტექნიკა — და შუასაუკუნეები! როგორ დაეშენენ ადამიანები ასე დაბლა? ეს ხომ ჯუნგლია! ნამდვილი ჯუნგლი ცენტრალური გათბობით! გულის ამრევია ყველაფერი... აი სწორედ ასე წარმომიდგენია კაცობრიობის აღსასრულის დღეები. ყველგან წყვდიადია...

— მაგრამ სინათლეც ხომ გამოჩნდება?

— ალბათ. — ხელი ჩაიქნია პავლემ. — საიდან?

— უნდა ეძიო!

— ვეძიო? სინათლე აქ არის. შენს გვერდით. სხვა სინათლე არ არსებობს!

— ჩვენ ამტვეყნად მარტონი არა ვართ, პავლე.

— გეთანხმები, — თქვა პავლემ. — მაგრამ ახლა ჩვენ სხვა საზრუნავი

გვაქვს. იქნებ უკეთესიცაა, ყველაფერი რომ იცი! მომისმინე: ჩვენთვის სახეობით აშკარაა, რომ შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. მე მესმის შენი მდგომარეობა და რაიმე ზომებს მივიღებ. უკვე ვიცი, რა ზომებსაც, მაგრამ პირობა მომეცი, რომ მოითმენ მანამდე! თუ მე გიყვარვარ, და თუ გინდა, რომ ორივენი ცოცხლები გადავრჩეთ. სიტყვას მაძლევ?

— ჰო, — ძლივს გასაკონად წაიჩურჩულა ესთერი.

პავლე გულაღმა დაწვა და ესთერის ხელი მკერდზე მიიხუტა. ხელი თბილი, პეროვანი იყო. მძიმე დღით გატანჯულმა პავლემ თვალი დახუჭა, ეცადა არაფერზე არ ეფიქრა, მაგრამ ვერ მოახერხა. ამბები ტვინში ჩაბუდებოდნენ, გონებას უწამლავდნენ. უნდოდა დაეძინა, სიზმართა უფიქრო სანყაროში ჩაძირულიყო, გაქცეულიყო.

— დავიძინებ!

— პავლე! — მოესმა შორიდან.

— რაო?..

— იმას მოკლავენ, პავლე?

— არ ვიცი! ამაზე არ მიფიქრია. მე... მე არ ვიცი...

პავლეს ჩაეძინა. მოუსვენრად ეძინა. ბავშვივით ოხრავდა, კრთავდა. ესთერი დარაჯობდა მის ძილს, სახეზე დასცქეროდა. მას ესმოდა, რომ დრო იყო გაედვიძებინა, რომ მოხუცები — როგორც ეძახდა პავლე მშობლებს — ღელავდნენ. თავის თავს ევაჭრებოდა ყოველი წუთისათვის, წამისათვის. აყურადებდა მის სუნთქვას. სინაზე ეუფლებოდა. პავლე მისი იყო. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც მას ამქვეყნად დარჩენოდა.



ესთერის კითხვის პასუხი გაზეთმა მოიტანეს. დახვრეტილთა ახალ სიებში, უკანასკნელ სტრიქონზე, ძველი სახლის მცხოვრებლებმა მხატვრის გვარიც ამოიკითხეს...

XI

სუნთქვა გაჭირდა.

აპოკალიპსური¹ სიუჟეტის დრამა ფინალს უახლოვდებოდა, მაგრამ ქალაქში ვერაფის წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ეს ფინალი. გამოცხადებული იყო გაუგებარი ულტიმატუმი. დანიშნული იყო დღე, საათი. ამ დროისათვის თავდასხმის საიდუმლო მონაწილეებისათვის უნდა მიეგნოთ მათს თავშესაფრებში. წინაღმდეგ შემთხვევაში... რაო?

— წაიკითხე, — თითს არტყამს ჩეპეცი გაზეთზე, — აქ შენ ემანუილი² გიხსნის, თუ როგორ უსწორდებოდნენ რომში იმ პირთ, ვინც აჯანყებულებს თანაუგრძნობდა. ლიდციის მერე მე ველარაფრით გამაკვირვებ.

თერძი სათვალეებით ჩაპკირკიტებს გაზეთს, თავს აქნევს.

— მაგრამ ეს, ალბათ... ეს, ალბათ... მინც...

გერმანელებმა სხვა ვერაფერი მოიგონეს ახალი. ეს იყო შურისძიების აპოთეოზი. უმსგავსო ორგია, მასიური სასაკლაო კობილისის სასროლო მოეოანზე, სროლა, კარების შემტვრევა, ბინების ჩხრეკა და ძარცვა. გადაცმულ მძარცვე-

¹ აპოკალიპსი — ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, სადაც მოცემულია მისტიკური წინასწარმეტყველებანი „ჯიჟინის აღსასრულის“ შესახებ.

² როგორც ჩანს. მხედველობაში ჰყავს პროტექტორული მოაზრობის მინისტრი მორავეცი.

ლღებს ეღირსათ ნამდვილი სამუშაო. შიში და ბოროტება. ქვითინი. ებრაელებით
საფეც ტრანსპორტი, საშინელი სისწრაფით რომ მიჰქრის და თან შემზარავად ღრი-
ალებს. ტელეფონების რეკვა, ანონიმური წერილები, ზერეულ ცნობები თავდასხ-
მის მონაწილეთა შესახებ, რომელთაც უთუოდ მიწამ უყვო პირი. ახალ-ახალი სიე-
ბი გზაჯვარედინებზე. სახელები, სახელები, სახელები. გაზეთები და რადიო იტყო-
ბინებთან სახელებსა და მისამართებს, და იქვეა ცნობები — ყველა ფრონტზე გა-
დამწყვეტი მარცხი ვაგემით მტერსო. არაფერია ახალი. მხოლოდ რადიოს ღრია-
ლი, დაფდაფების ბრახუნი, მონური დემონსტრაციები და ტრიბუნებზე კვლავ
ბოლშევიზმის წინააღმდეგ ამხედრებული მინისტრები, სანთლის მანეკენებს რომ
ჰგანან. „ვაი ჩვენ, — გუგუნებს მელოტი მინისტრი მორაგეცი, — ვაი ჩვენ, თუ
გერმანია იძულებული გახდება განაჩენი გამოუტანოს მთელ ხალხს!“

— ახლა მაგის საქმე კარგად არის! — ცივად შენიშნავს ჩეპევი. — თავში
არაფერი უყრია, მაგრამ გერმანიის წინაშე ერთგული სამსახურისათვის უთუოდ
მინიჭებენ საბატო ტიტულს. ამიტომაც იკლავს თავს. დახე, როგორ იჭაჭება...

პაერში რომ ხმები ტრიალებს, ტანში ცივ ჟრუანტელად უვლის ყველას: ხვა-
ლამდე თუ არ იპოვნიან თავდასხმის მონაწილეებს, ყოველი მეთე კაცი...

იმ დღეს რეისეკმა ორჯერ მიაკაკუნა კარზე და სახელოსნოში შევიდა. ის
კოსტუმის მოსაზომად მოვიდა და ძალიან გაუკვირდა, როდესაც თავისი მატერია
ხელუხლებელი დანახა მაგიდაზე. სკამზე ჩამოჯდა სიცხისაგან დაოსებული, კეფა
ცხვირსახოცით მოიწმინდა, ქოშინებდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ჩივი-
ლით თქვა:

— რა სიცხეა! უფ-უფ-უფ! აბა როგორ არის საქმე?..

ყველანი დუმდნენ და სამუშაოზე დაეხარათ თავი.

რეისეკმა არ დააყოვნა და თვითონ წამოიწყო ლაპარაკი. რაღაც ჯოჯოხეთუ-
რად აურია ყველაფერი: დასტიროდა ჩვენი ხალხის ტანჯვას — მეორე თეთრი
მთა!, დმერთო! — აღშფოთებული ლანძღავდა ჩეხების პოლიტიკურ გონება-
შეზღუდულობას, აგინებდა იმით, ვინც ეს ამბავი ასტეხა. ის თანდათან შედიოდა
როლში, ბრაზისაგან ციცხლს აფრქვევდა და დაძაბულ სიჩუმეში თვალებს აცემებ-
და მთელს სახელოსნოში. ბოლოს პატარა ოთახის კარს მიაშტერა თვალები, ამო-
აძვრინა დაჰმუქნული პარკი, ერთი კამფეტი ამოიღო და პირში ჩაიღო. ეს ამშვი-
დებს ადამიანს!

როცა დუმდა, იტყოდით, ერთი დაღლილი და კეთილი კაციათ.

თერძი გამოერკვა და მოზოდიშება დაიწყო:

— აუარება სამუშაო გვაქვს, — გულმხურვალედ ტყუოდა ის, — სიქა გვაქვს
გაცლილი, მაგრამ თუ თქვენ, ძვირფასო ბატონო, ზეგ... ან სჯობია ორშაბათს...
ლუ თქვენ...

— კეთილი, — წაიბუტბუტა პირგამოტენილმა რეისეკმა და დიდსულოვნად
დაუმატა: — შე მოვიციდი, მაგრამ დიდხანს კი არა. — გაკირვებით წამოდგა და
გახსნილი პარკიდან კამფეტი შესთავაზა ყველას. — მიირთვით, მეგობრებო, საუ-
ცხოო კამფეტია.

ჩეპეკმა, რომელიც მთელი ის ხანი დაბღვერილი დუმდა, რაღაც ჩაიბურტყუ-
ნა, მაგრამ კამფეტი არ აიღო. თერძი შეეყოყმანდა, მაგრამ უარის თქმა ვერ გაბედა.
გაუბნდავად ჩაჰყო ხელი პარკში, დამნაშავესავით გადახედა ჩეპეკს, რომელიც მის-
კენ სურვილთ იჯდა და მგონი ვერაფერს ხედავდა. თერძმა შევბით ამოიოხრა.

1 1618 წელს ჩეხებმა აუწყებდა მოაწყენ პაბსტურგების ტირანიის წინააღმდეგ. აუწყებამ ორ
წელიწადს გასტანა და ჩახშობილი იქნა მხოლოდ მაშინ, როცა ჩეხები დამარცხდნენ თეთრ მოასთან
ბრძოლისას. ამ დამარცხების შემდეგ ჩეხოსლოვაკიამ სავსებით დაჰკარგა ეროვნული დამოუკი-
რებლობა.



— მაღლობას მოვახსენებთ, — ოდნავ გასაგონად წაიჩურჩულა მან. როგორც კი რეისეკი კარს მიეფარა, ჩეპეკმა ვეღარ მოითმინა და პირდაპირ მიახალა თერძს:

— არ დაიხრჩო!

არც ერთ მწარე სიტყვას, რომელიც კი ოდესმე მაინც უთქვამს ჩეპეკს მისთვის, ისე არ უტყენია გულში, როგორც ამ მშრალმა სიტყვებმა: თან ცხელოდა, ნერვიული დაძაბულობაც მატულობდა, კეთილი მოხუცის მოთმინების ფილააც აივსო. თერძი გაცემცხლდა.

— რა იყო? — წამოიძახა წვრილი ხმით. — რა გინდა ჩემგან? თავი გამანებე. მე ოჯახი მყავს, შვილი... ფეხზე მინდა დავაყენო... ავადმყოფი ცოლი... შენ ამას ვერასოდეს ვერ მიხვდები!

— მიხვდები, ლოიზა! — უჩვეულოდ გულთბილად უპასუხა ჩეპეკმა.

— შენ გინდა კოლაბორაციონისტი გამხადო? — თერძი ცახცახებდა, სიზრახვისაგან ატირებას არაფერი უკლდა. — განა რა მოხდა, თუ მინდა ამ ჩვარისაგან კოსტუმი შევუკერო? კამფეტი? ეს არ შველის გერმანელებს ომის მოგებაში. აბა მე რა მეომარი და გმირი ვარ? მე უფლება არა მაქვს ამის ნება მივცე ჩემს თავს...

— უნდა მისცე! — მტკიცედ გააწყვეტინა ჩეპეკმა და დაუმთავრებელი პიჯაკი გადაავდო. — ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა გაბედო! თუნდაც შიშისაგან შარვალში ჩაისვარო... ან გამარჯვება ან სიკვდილი! სხვანაირად არამზადა გამოდიხარ! არც მე ვარ იანოშკი¹, მერწმუნე! მაგრამ არის ხოლმე წუთები, როდესაც ადამიანმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ნამდვილად ადამიანია, რომ მას შეუძლია თამამად უყუროს თვალეზში პატიოსან ხალხს.

— რას... რას... ღმერთო ჩემო... რას ბოდავ?

ჩეპეკი წამოდგა, თერძს ხელი მოხვია და კუთხეში გაიხმო. მას ცოტათი ეცოდებოდა კისერზე სანტიმეტრგადაკიდებული მოხუცი.

— მომისმინე, — უჩურჩულა ჩეპეკმა. — შენი შემინება არ მინდოდა, მაგრამ რაღაც არ მომწონს ეს ყველაფერი, ბარემ გიამბოზ, სანამ გვიან არ არის...

ბავლეს მოეჩვენა, რომ სახლში ვიღაც სხვა ადამიანი დაბრუნდა. სამზარეულოში რომ შემოვიდა მამა, ნაცრისფერი ედო, თვალებს მოუსვენრად აცეცებდა, ხელები თითქოს მისი არ იყო, ისე უღონოდ ეკიდა; ჩუმად დაჯდა თავის ადგილზე, გაუბედავად წაიჩურჩულა ჩვეულებრივი საღამო და ამაოდ ეცადა გალიმებას.

სწრაფად დახარა თავი თევზზე, რომელზეც ოსშიგარი ასდიოდა კარტოფილის სუბს. ჩვეულებისამებრ არ დაუწყო ძებნა გაზეთებს, არც რადიო ჩართო. ეტყობოდა საშინლად ცდილობდა სახეზე შეენარჩუნებინა ჩვეულებრივი მშვიდობიანი გამომეტყველება, მაგრამ იგი ცუდი მსახიობი იყო... აკანკალებულ ხელში კოვზი ძლივს ეკავა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ცოლმა.

თერძი შეკრთა, თავი აიღო, ძლივს გაიღიმა.

— არაფერია, მარჯვენა, არაფერი... აბა რა უნდა დამმართოდა? — ჩუმად იმეორებდა იგი, თან თევზს ჩაშტერებოდა. — დღეს მე... მაცევენს ცოტათი.

— ცაცხვის ჩაის დაგაღვივინებ.

— არა... არ მინდა! წავალ, წამოვწვები...

¹ ლევენდარული ეროვნული გმირი, განთქმული თავისი გასაოცარი ღონითა და გულადობით.

უსმოდ იეახშმეს, თერძს თავი დაბლა დაეხარა, შვილს თვალს არიდებდა, მღელვარებისაგან სახის ნაოჭები უთრთოდა.

პავლეს ესმოდა მისი მძიმე სუნთქვა. მგონი მამა მართლა ავადა. მაგრამ იმათ თავს რომ სხვა რაღაც ამბავი იყო, ამასაც გრძნობდა. კამოდზე საათი წიკწიკებდა, მისი ხმა კურკულის წკრიალს ეხმინებოდა. საშინელი, გულგადამღევი სიჩუმე იდგა.

— რუჟამ დაშაშხული ხორცი გამოგვიგზავნა, — დაარღვია სიჩუმე დედამ.

— ჰმ... კეთილი ქალია! ომი რომ დამთავრდება, ალბათ ჩვენც შევძლებთ სამაგიეროს გადახდას.

— რატომ არა სჭამ?

— არ შემიძლია!.. დღეს რატომღაც მაღაზე ვერა ვარ, — ბოდიში მოიხადა მან და დარცხვენით თვალეები აახამხამა.

და უცებ შიშისაგან შეკრთა, კოვზი თეფშზე გაზრიალდა.

— ვიღაც აბრაახუნებს კარს, გესმით? — ენის ბორძიკით თქვა თერძმა და წამოდგომა სცადა. მუხლები მოეკეცა და ისევ სკამზე დაჯდა.

— ვინ უნდა იყოს ასე გვიან? — გაუკვირდა დედას.

— მე არაფერი გამიგონია, — თქვა პავლემ. წამოდგა, ჩაბნელებულ დერეფანში გავიდა და კიბეზე გასასვლელი კარი გამოაღო.

მამა მართალი აღმოჩნდა. კარს უკან მეზობლის ქალი იდგა, საუთოებელი ფიცარი მათხოვეთო. თავრანთი ფიცარი დასწვოდათ უთოთი. მისმა მოსვლამ და ქალიშვილის გაუფრთხილებლობაზე ჩივილმა — სულელმა, ფიცარი დასწვა! — ოღნავ გააქარვა მძიმე სიჩუმე და პავლესაც ხელი შეუწყო: საკუჭნაოს გაღება და კიდევ ორი ნაჭერი პურის მოტაცება მოასწრო. თახჩაზე ქალღალღში გახვეული ღორის ხორციც შეამჩნია. ხორცი ხელუხლებლად იდო და პავლემ ველარ გაბედა ჩამოჭრა.

პატარა ოთახში პავლემ ჩაიცვა თავისი საყვარელი კუბოკრული პერანგი, კარადიდან გამოიღო წიგნი, ჩვეულებრივ ფრჩხილი გააყოლა ჩიტის გალიის სინებს და გასაპარავად მოემზადა, რომ დედის სიყვარულით სავსე სახეს გარიდებოდა.

ნახევრად ბნელ დერეფანში მისი ყურადღება მიიპყრო ქალღალღის თეთრმა შეკვრამ, კიბეზე გასასვლელ კართან კარადაზე რომ იდო. ერთი წუთის წინ კი არ იდო. პავლეს ეს კარგად ახსოვდა. გაკვირვებულმა პავლემ მოსინჯა ხელით. მერე გაშალა. შიგ აღმოჩნდა მსუქანი ხორცის სქელი ნაჭერი და ორი ნატეხი პური. პავლე ვერაფერს ვერ მიმხედარიყო.

მაგრამ როდესაც მოიხედა, თავზარი დაეცა — შუა კარებში შავი აჩრდილივით ჩუმად იდგა მამა, სუნთქვა შეეკრა და ხმას არ იღებდა. პავლეს მოეჩვენა, რომ მოხუცი დაპატარავებულიყო. პავლემ შიშისაგან შეპკივლა.

— მამა...

— ჩჩშშ! — უჩურჩულა შეშინებულმა მამამ და სამზარეულოზე ანიშნა: მისი ცოლი ენაჭარტალა მეზობელს ელაპარაკებოდა ისევ.

— წაიღე!

— მამა... შენ იცი?.. შენ იცი?..

— ჩუმად! თუ ღმერთი გწამს, ჩუმად! — სასოწარკვეთილი ხმით გააწყვეტინა მამამ. შეშინებული, შვილს მხრებში სწვდა და შეაჯანჯლარა, თითქოს უნდა გამოაფხიზლოს, მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმისაგან გააფრთხილოსო. — დედამ არაფერი უნდა იცოდეს, გესმის? არაფერი! არაფერი! ის ავადმყოფია, სუსტი გული აქვს... არც მე მინდა რაიმე ვიცოდე... არ მინდა ვიცოდე! წამოდი შენს ოთახში. . . უნდა მოვილაპარაკოთ... როგორ მოვიქცეთ შემიდეგში, ღმერთო ჩემო, როგორ მოვიქცეთ?!



იმ საღამოს პავლე ბინდშემობარულ ქუჩებში ისე გარბოდა, თითქოს მოშორებოდა მძიმე ტვირთით, რომელსაც აქავე მარტო, დაუხმარებლად ატარებდა. პავლეს პატარა იმედი გავდგომა. მუხლებს თითქოს სულწაღლი მართემნლოზა დაეუფლა. ჩქარა! ასე ჩქარა არ შეიძლება, გვიცივით მივდივარ, ხალხი უწრადღებას მაქცევს, — ფიქრობდა პავლე, გული კი ძალუმაღ უცემდა, დაკ-უკუ, დაუ-დუგ. ქვაფენილს კიდევ შემორჩენოდა დღის სიმსურველე. შეხვეულის ნეტარი: სიმძიმე თითქოს სიმსუბუქეს ჰმატებდა. რაღაც შინაგანი ძალა ახტუნავებდა პავლეს. მას შეეძლო თავშეუწუხებლად აწეულიყო მალა და გაფრენილიყო პაერში, როგორც ხმელი ფოთოლი, როგორც ფრინველის ბუმბული.

აი ის ქუჩაც, აი ძველი სახლიც. ქვედა სართულის ფანჯარაზე ზანტად ამოქნარებს კატა, როცა პავლე გვერდით ჩაურბენს. აი, მძიმე ალაყაფის კარი სპილენძის სახელურით, ბავშვობისას ვერა სწვდებოდა ამ სახელურს. კიბის ხის სპირალზე ქარივით მიჰქრის, სულს არ ითქვამს, სამ-სამ საფეხურს ახტება და მხოლოდ კართან ჩერდება. უნდა დამშვიდდეს.

პავლე კარის წინ დგას, ცდილობს თანაბრად ისუნთქოს, სული მოითქვას. და უცებ ლურჯი ლამპის მკრთალ შუქზე ხედავს რაღაც ნახატს კარზე. „არა, ეს მეჩვენება!“. სულ ახლოს მიდის კართან, მაგრამ ვერაფერს ვერ არჩევს. და მიუხედავად ამისა... სუსტ შუქზეც კი მკაფიოდ მოჩანდა ნახატი.

პავლემ მიმოიხედა და ასანთს გაპკრა. თავზარი დაეცა, შიშმა ძვალრბილში დაუარა.

კარზე დაბლაჯინილი იყო ექვსქიმიანი ვარსკვლავი. ცარცით დაეხატათ, უწნოდ და მოუქნელი ხელით. ერთიმეორეზე იყო ორი მოღრეცილი სამკუთხედი. ეს ვარსკვლავები პატარაა, მაგრამ თვალში ხედება კაცს. პავლე გაშეშდა რაღაც პანიკურმა შიშმა ისე დაუარა, თითქოს ელექტროდენაიო. რას ნიშნავს ეს? შემთხვევითაა? ვინ გაიგო? ვინ? და რატომ... რატომ უკვე აღრე... ღმერთო ჩემო, გვიყდები... რატომაა ეს ყველაფერი... მორჩა... სასწრაფოდ უნდა მოიფიქროს რაღაც.

„Jude“ — თვალს სჭირდა, ყურებში უზრიალებდა, როგორც ათასი რებროდუქტორის ხმა. ეს უკვე აღსასრულია!

პავლემ ხელი თავში იტაცა, თვალები მოისრისა. შეკერა ხელებიდან გაუსრიალდა და იატაკზე დაეცა. პავლე გამოერკვა. კმარა! არ უნდა აუტიქროს აჰაზე! ხვალ ყველაფერი დამთავრდება! ყველაფერი!

შეკერის ასაღებად დაიღუნა და ჯიუტად მოკუნა პირი. ფიქრებსა და შიშს იშორებდა. ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ღონივრად გადაუსვა კარს, მოამორა ცარცი დახეთქილ ლაქს.

ოთახში მაგიდის ლამაზ ენთო. თუმცა გარეთ ჯერ კიდევ არ ბნელოდა, ფარდა ჩამოშვებული იყო. ესთერი არ ჩანდა. მხოლოდ შავი ჩემოდანი იდგა ისევ თავის ადგილზე. პავლე გაშეშდა, სახელურს ხელი ველარ მოაშორა, ველარ გაბედა შესვლა, რადგან თვალს არ უჯერებდა.

— ესთერ!
სუნთქვა მოესმა. შემდეგ დაინახა გოგონა. ესთერი კარს უკან კედელს მიკროდა. პავლემ საჩქაროდ მიაჯახუნა კარი. ახლა ესთერი მის წინ იდგა. ჩაცმული, ხელებმოსხლეტილი, და შესცქეროდა შავი, მრგვალი თვალეზით.

— რას ჩადიხარ, ესთერ! ნუთუ შენ გინდოდა...
იგი ნაშმა სიბრაღეულმა შეიპყრო. გოგონას მოხევია და ცევი ბაგე დაუკონა.
— რად იმალები! გონს მოდი! შეხედე, რა მოგიტანე... მოხდა რამე?

პავლემ ესთერს ხელი გაუშვა და გოგონა ტახტის ბოლოს ჩამოჯდა, საღ იაც

წინ იცქირებოდა, არ ინძრეოდა, ხელში სველი დაკმუჭნული ცხვირსახოცი ჩაებლუჯა.

პავლემ მხრებში ჩაავლო ხელი და ოდნავ შეარხია.

— აბა!

ესთერმა ჩურჩულით თქვა:

— აქ ვილაც იყო.

— მე ვიყავი. მე მინდოდა...

— ახლა არა. მანამდე. ის შენ არ იყავი!

— იქნებ მოგეჩვენა? ვინ უნდა ყოფილიყო...

— არა, ვილაცის ქოშინი მესმოდა. ნამდვილად! ფანჯრიდანაც მაყურებდა.

— დაგინახა?

— არ ვიცი... მგონია ვერ გამარჩია.

— ჰმ.

პავლემ გოგონას ჟაკეტი გაჰხადა, ტახტზე დასვა.

— ალბათ, მოგეჩვენა. თუმცა ახლა უკვე სულ ერთია! ხვალ აქედან წახვალ. მისმენ თუ არა?

პავლე გვერდით მიუჯდა და ყველაფერი აუხსნა: ხვალ მატარებლით წაიყვანს სოფელში, მამიდასთან. მატარებლით შორს არაა, თუმცა ესთერისთვის მატარებლით მგზავრობა არ შეიძლება, მაგრამ თუ ვარსკვლავს აივლიჯს და გადაიცივამს, არავინ მიატყვევს ყურადღებას. თუ ბედმა ცოტა გაგვიღიმა, ცუდი არაფერი შეგვემთხვევა. არც შეიძლება! მამიდა ხუტორში ცხოვრობს, პირველ ხანებში იქ უხიფათოა. რამდენიმე დღის მერე პავლეც ჩაეა. მამიდა კარგი ადამიანია. აი ნახავ, იქ ისე იცხოვრებ, როგორც სამოთხეში. ტყეა, ტყე, ღრუბლები და სუფთა ჰაერი. შენ სუფთა ჰაერი გესაჭიროება. ხოლო როცა მე ჩამოვალ, სულ ერთად ვიქნებით. მხოლოდ მე და შენ, მხოლოდ მე და შენ. ერთად დაუწყვებთ ცქერას ზეცას. ვეგა გახსოვს კიდევ?

ესთერი ჩუმად უსმენდა, პავლე კი, საკუთარი ოცნებით აღფრთოვანებული, ზღაპრულ სურათებს უხატავდა. ყველა წვრილმანი მოეფიქრებინა: ესთერი ოთახიდან გავა და ერთად გაემართებინა სადგურისაკენ. პავლე ჩემოდანს წამოიღებს. ესთერს კი სანოვავის ჩანთას მისცემს ხელში და დაძმასავით ერთად წავლენ.

— იქ საბანაოა გადასარევი. ორი ტბაა. დაიცა, ესთერ, ცურვა იცი? არ დაიხრჩო! მაშინ მე რაღა მეშველება?..

პავლე აღმფრთოვანებული სიტყვებით უქარებდა გოგონას შიშსა და დარდს. ესთერს სუსტი, მადლობით სავსე ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე.

— რომ დაგვიჭირონ?

— არა, არ დაგვიჭირონ. ამაზე არ იფიქრო. ჩვენ ერთად ვიქნებით, ხოლო როცა ერთად ვართ, შენ ხომ არ გეშინია! ხვალ, ხვალ წახვალ!

ორივეს მოეჩვენა, რომ ოთახი განათდა. პავლეს მაჯაზე საათი გარკვევით და უშიშრად წიკწიკებდა. პავლე სულ ახლოს მიუწეა ესთერს. ლამაზა ჩააქრო. მოეხვია. ესთერი მოიკუნტა და თვალეში დახუჭა. ისინი მდუმარედ საუბრობდნენ; სიტყვები არ სჭირდებოდათ, სხეულით, სისხლით, სუნთქვით ლაპარაკობდნენ. ფიქრობდნენ ხვალინდელ დღეზე, ტყესა და ღრუბლებზე. ლირის თანავარსკვლავედზე. ყველაფერზე, რასაც ნახავდნენ და იგრძნობდნენ, იმაზე, რომ ორივენი იცოცხლებდნენ...

ეს ყველაფერი ოდნავ თავბრუს ახვევდა ორივეს.

სადღაც ზევით ხმაური გაისმა. მინები ჩაიმტვრა. ვილაც მთვრალი ჩახრეწილი ხმით ღრიალებდა. ხმაური რეისეკის ოთახიდან ჩამოდიოდა. ეტყობოდა, მეგობ-

რებთან ერთად იქარვებდა სიმარტოვის გრძნობას. ხმაური შორიდან ისმოდა და ხელს არ უშლიდა მათ, ვერ ამჩნევდნენ ამ ხმაურს.

— შენ ჩემი ხარ! — მოესმა უცებ პავლეს ჩურჩული. — შენ ჩემი ერთადერთი აღაშინი ხარ! იცი, მე დღეს გაქცევა მინდოდა.

— საით?

— არ ვიცი. ალბათ დედ-მამასთან, ტერეზინაში. ძალიან მომენატრნენ. ნეტავი როგორ არიან? რას ფიქრობ, ისევ იქ იქნებიან?

პავლემ არ იცოდა რა ეპასუხნა, არც სულელური გამხნელება უნდოდა, არც იაფფასიანი ტყუილი, მაგრამ თანაც ეშინოდა იმ ფიქრებისა, ესთერის სამყაროს რომ მოიკავდნენ. პავლე დუმდა.

— მაგრამ ვერ წავედი. ვერ შევძელი. მე შენ მიყვარხარ. შენ მუდამ ჩემთან ხარ. მაშინაც კი, როცა სხვა რამეზე ფიქრობ. და როცა მოწყვნილი ვარ, შენ მაინც ჩემთან ხარ. არასდროს არ დავიჯერებდი, რომ ქვეყანაზე ასეთი რამ არსებობს. შენი ყველაფერი მიყვარს: ხმა, ტუჩები, ქერა თმა, გული. როცა ახლოს ხარ, მე მისმის შენი გულისცემა. მიყვარს ეგ ნაოჭები. მაშინ დაგაჩნდება ხოლმე, როცა დარდიანი ხარ... მე ისე მენატრება შენი ხელები, ისე მიყვარს, როცა მეხები ხოლმე... მენატრება შენი სუნთქვა... თუ გადავიტანეთ ეს მძიმე დროება და ცოცხლები დავრჩით, მე ყველაფერს გადავიხდი, თუ კვლავაც გეყვარები...

— რად ლაპარაკობ ეგრე?

— მაშინ ქვეყანაზე მე აღარაფრისა არ შემეშინდება. სიტყვას გაძლევ! მე მინდა შენგან შვილი მყავდეს. მე ეს ვიცი! შენი შვილი!

პავლეს თავბრუ ესხმოდა. სუნთქვა შესწყვიტა, ესთერი მკერდში ჩაიკრა, ხმის ამოღებისა ეშინოდა. ნეტავი გაჩუმდეს! ახლოვდებოდა გარდუვალი და პავლემ შენაგანად თრთოდა. ესთერის აღერსს სულ არ ელოდა. ველარ სცნობდა. იდაყვებზე წამოიწია. მისი ჩურჩული თავბრუს ასხამდა, გული გაშმაგებით უფართხალედა.

— გესმის? გამოფხიზლდი!

— პავლე!

— რაო? — ჩურჩულით შეეკითხა პავლე.

ესთერმა ღონივრად მიიხუტა პავლე, მის გახევებულ ბაგეს დაეწაფა ტუჩებით. პავლეს მოესმა მისი ხმა.

— მე მინდა შენი გავხდე. ახლა, ახლავე, საყვარელო... ნულარ აგვიანებ...



ჯანდაბას დრო! იგი გვერდით ხმაურობდა, მაგრამ მათ არ ეხებოდა. ისინი გადმოცივიდნენ დროის ეტლიდან, გრუსუნით რომ მიექანებოდა.

ზევიდან ისევ მოისმა ჩახრინწული ღრიალი, გატეხილი მინის წკრიალი, კარის მობრახუნება, ვილაცამ გაიზბინა ფანჯარასთან, საზიზღრად იკინებოდა, თან ვილაცას ეშუქრებოდა. და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა თავგების ფხაკუნი და მეორე ოთახიდან კედლის საათის ზვიადი წიკწიკი.

ყველაფერი დამთავრდა; ისინი კვლავ დედამიწას დაუბრუნდნენ, ჯერ კიდევ ვერაფერი გაეგოთ, ისე შესძრა ისინი მათს არსებაში დაფარულმა ძალამ. ორივე დუმდა. სიტყვები აღარ ჰქონდათ. პავლე თვალს არ ახელდა, მაგრამ კვლავ მთელი არსებით გრძნობდა ესთერის სიახლოვეს. თავბრუ ეხვეოდათ. დიდხანს იწვნენ ასე, ქალაქის კედლებს შუა, უცხო სახლის სახურავის ქვეშ მიტოვებული ორი უმწეო ბედი. რამდენ ხანს გასტანა ამან? წლებმა, სინათლის წლებმა, რომლებითაც ზომავენ მანძილს ვარსკვლავთა შორის.

პავლემ დახედა საათის ბრჭყვიალა ციფერბლატს და თავზარი დაეცა. უკვე დაღამებულიყო.

ფრთხილად წამოდგა, ლამაზა აანთო. გაუკვირდა, რომ არაფერი შეცვლილიყო. სულ არაფერი. ისევ ისე იდგა მაგიდა, სკამები, შავი ჩემოდანი, რაფაზე მდუმარე რადიო. პავლემ თვალი მოაგლო ესთერს.

ესთერს ჩასძინებოდა.

მოყვითალო შუქი ეცემოდა ობაზე.

სუნთქვაშეკრული პავლე დაიხარა, მის სახეს დააცქერდა. დაჭინებულ მზერაზე ესთერი შეინძრა, ტუჩებზე ოდნავ ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა, სახით ბალიშს მიეკრა. პავლემ აკოცა, ზრუნვით გადაათარა საბანი და ფეხაკრფვით გაემართა კარისაკენ. ვერ მოითმინა, კიდევ ერთხელ მოიხედა. მერე უცებ გამოალო კარი და წყვდიადში გადააბიჯა.

XII

ბუპ! ჩაძინებულ ქუჩებში გაისმა ეული ბათქი. შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალაქს ჯერ კიდევ წყვდიადი ჰფარავდა. ვარსკვლავიანი ზეცა ის-ის იყო დილისაკენ შემობრუნებას აპირებდა. არსად არ ჩანდა სინათლის ნასახი.

ბათქი საიდანღაც შორიდან შემოიჭრა ძილში და ძილღვიძილში მყოფი არ დაიჯერებდა მის რეალობას, რომ... ერთიმეორეს არ მიჰყოლოდა სხვა ბათქები. ტყვიამფრქვევის ტკაცანმა რომ გააერთიანა.

წამით ისევ სიჩუმემ დაისადგურა უკაცრიელ, ბნელ ქუჩებში.

მაგრამ მალე სროლა ათვერ მეტი ძალით განმეორდა და გამაყრუებელ გრიალად იქცა. მინებმა და ჩარჩობმა ზრიალი დაიწყო. გრიალი ექოდ მოედო ქუჩებს, შავი დამფრთხალი ფრინველივით მისაკდა სახლების კედლებს.

გრიალმა გადაუარა ქალაქს, გულში ჩაეჭრა პავლეს.

მინები ისევ აზრიალდა.

წყვდიადით გაათეცებული შიში მოედო გულს, ხოლო ტვინს, რომელსაც უჭირდა ძილისაგან თავის დაღწევა, თავდაპირველად ვერაფერი გაეგო.

რა ხდება? საიდანაა? ახლოსაა? მგონი, მდინარის მხრიდან უნდა იყოს.

— იესო ქრისტე! იესო ქრისტე! — ერთ ხმაზე ჩურჩულებს მეორე ოთახში ვილატ.

ეს დედაა. როდესაც პავლეს გამოედგაძა, ყველანი უკვე ფეხზე იყვნენ. მას ესმოდა დედის დუდუნე:

— იესო!.. დაგვიფარე!..

პავლე თბილი ლოგინიდან წამოხტა. ვერაფერი გაეგო. სიცვიისაგან კბილებ-აწკაწკებული მივარდა ფანჯარას. მუხლი სკამს მიარტყა და ტკივილმა დაარწმუნა, ეს სიზმარი აღარააო. ნელა დაიკვნესა. ხელებით რაფას დაეყრდნო და ქუჩაში გადაიხედა.

კვლავ წყვდიადია. სახურავებს დასციმციმებენ რიყრაყის მოახლოებისაგან გაფერმკრთალებული ვარსკვლავები. მოპირდაპირე ფანჯრებში, ყვავილების ქოთნებსა და მურაბის ქილებს შორის, თეთრად მოჩანან სახეები.

უქრავნი. მდუმარენი.

პავლე მოწყდა ფანჯარას, მას მხოლოდ ერთი ფიქრიღა ჰქონდა: „ესთერისკენ! ჩქარა!“. საწოლის თავთან ლამაზა აანთო. მაგრამ შეშინებულმა ისევ ჩააქრო, რადგან მოპირდაპირე სახლიდან მოესმა ყვირილი: „სინათლე! ჩააქრეთ სინათლე!“

გამაყრუებელმა გრიალმა პავლე ადგილზე მიაჯაჭვა, ქარიშხალივით მოიარა ვიწრო ქუჩები, გადაურბინა ქალაქს, ფანჯრებს მიაწყდა, გადარეულივით დააზრიალა მინები და ოთახში შეიჭრა. ზარბაზნებია! პავლემ მთვრალივით ხელისფათურით დაუწყო ძებნა ტანსაცმელს. აი პერანგი, შარვალი, სანდლები! მაშინვე ჩაპყო შივ ტიტველა ფეხები.



„მისკენ! იქით!“ — ტვინს უბურღავდა ეს ორი სიტყვა.

ქუჩაში სტვენა გაისმა და იმავე წუთს ცენტრალურ მოედანზე აგუგუზნდნენ მძიმე სამხედრო მანქანები. გუგუნებდნენ წყვდიაღში, იწვედნენ ქვევით, სანაპიროსაკენ, სადაც რაღაც გაუგებარი ბრძოლა მიმდინარეობდა.

კვლავ მანქანების ხრივინი, ისევ სტვენა. „ტა-ტა-ტა“.

პავლემ კარი გააღო, დერეფანში სინათლე აანთო. და პირისპირ შეეჩეხა მამას. თერძს ლუსტრინის უბრალო კოსტუმი ეცვა, საფეთქელთან ჭადარა მოუჩანდა. თვალეში ჯიუტი სიმტკიცე აღბეჭდოდა. ისინი ჩუმად მისჩერებოდნენ ერთმანეთს. შინაგანი სიცივისაგან კანკალებდნენ. მამამ უშფოოდ აიჩეჩა მხრები.

მამა!

პავლე გაუსხლტა მამას, კარი გააღო და სანამ თერძი გამოერკვეოდა, კისრისტეხით ჩაირბინა ძირს. აი ჭიშკარი... მან ხელი ჩასჭიდა რკინის მძიმე სახელურს, გამწარებით შეანჯღრია.

დაკეტილია!

კიდევ შეანჯღრია!

მის ზურგს უკან აღიმართა მამაკაცის მუჭი ფიგურა. კაცმა იდაყვებში სტაცა ხელი; პავლეს მისი სახე არ დაუნახავს, მაგრამ ხმაზე იცნო მეკარე.

— საით?

— გამიღეთ! უნდა გავიდე... — პავლე სახელურს ეჯაჯგურებოდა, მაგრამ ვერ ატრიალებდა. მამაკაცი მაგრად ჩაფრენოდა მჯავში და აქეთ მოათრევდა. პავლე გაშმაგებით უსხლტებოდა ხელიდან.

— გამიღეთ! გესმით? მეჩქარება... ჩქარა გამიღეთ, გთხოვთ!

— გაკედი! რა დროს გაღებაა? არ გესმის?—კაცმა პავლე შეარხია.—გონს ზოდი, ყმაწვილო! მე ნება არა მაქვს აქედან ვინმე გავუშვა... გესმის? აკრძალულია... რომ გაგიშვა კიდევ, შორს ვერ წახვალ... აქვეა სროლა... მთელ კვარტალებს შემოარტყეს ალყა, იქნებ ჩვენც ალყაში ვართ...

პავლემ თავში იტაცა ხელები. გულისწამღები, გამყინავი სტვენა გაისმა! პავლე შუბლით მიეყრდნო ჭიშკარს. რკინა სასიამოვნოდ უგრძობდა თავს. მაგარი მასალაა. პავლე თითებით ჩაეჭიდა, მთელი ტანით ზედ დაეკიდა. მუხლები შოუდუნდა. „გამიღეთ! — სადღაც მკერდის არეში იმიორებდა. — გამიღეთ!“ ესმოდა თავისივე კბილების ღრჭიალი. სასაცილო ხმაა. ველარ შეიკავა ყელში მოწოლილი ქვითინი. რა იღონოს? ელოდოს, ელოდოს! სანამ არ იპოვიან და წყვდიადიდან არ გამოათრევენ! შემდეგ მოვლენ მათ წასაყვანად. ო, ეს ღამე! წყვდიადმა მოულოდნელად დაატეხა თავს უბედურება! სასოწარკვეთილება გულს უფლეთდა. პავლემ თვალეში მაგრად დახუჭა. ბუჰ! ზურგს უკან მიყრუებული სმები გაისმა. გულგრილები!

— რა დავმართა? — ჩურჩულებს ვიღაც. მეორე პასუხობს: — ალბათ, გაგიყდა! — საწყალი! შეუძლებელია! ასეთი კარგი ბიჭუნაა. — დღეს გასაკვირველი აღარაფერია. ლოგინში ჩააწვინეთ... მოიცათ... რა ხდება იქ? ჩუმად!

ვილაცის ხელი მსუბუქად ეხება მხარზე, მერე კანკალით ეაღერსება თმაზე. პავლემ იცნო ხელი. მოიხედა, სახეზე იმქვეყნისური გამომეტყველება აღბეჭდვია, ცრემლი ჩამოსდიოდა, მაგრამ ცრემლებს ვერავინ ხედავს. მამა! პავლემ თავი მიაცურდნო მამას მხარზე და ძლივს გაარჩია ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩული: — გვიანდა... ბიჭუნი... მოლოდინილა დაგვრჩენია... იმედი... იქნებ არაფერია... უნდა ავითანოთ. დედა... არაფერი... გესმის, ავად არის... არ უნდა... უკვე ჩვენს ქუჩაზე არიან...

გამაყრუებელმა გრილმა ჩაახშო მამის ჩურჩული.

ეს გრიალი ესთერმაც გაიგონა თავის საფარში. გრიალი მასთან უფრო ახლოს იყო. ელგის სისწრაფით მიიწედა ეს ხმა მისკენ, თანდათან უახლოვდებოდა. ნუთუ ესთერი იყო მიზეზი! ახ, არა! ესთერს ვერაფერი გაეგო. ხანდახან ყურებში თითებს იცობდა. მოკუნტული იჯდა, ყვითელვარსკვლავიანი დაჭმუჭნული ჭაკეტი ჩაეცვა. ფეხმორთხმული იჯდა და ხელი ჩემოდანისათვის ჩაეველო, თითქოს ეშინია, არავინ წამართვასო. ასე იჯდა. ძნელი გამოსაცნობი იყო, ეძინა თუ ფეხბლოვდა, იჯდა გაუმძრევლად, რეტდასხმული. მხოლოდ ტუჩები უტოკავდა უხმოდ. გრიალმა, რომელმაც კინალამ დაანგრია ძველი კედლები, ჩაუკლა ყველაფერი — ფიქრიც, გრძნობაც. დარჩა მხოლოდ ცრემლი, შვებისმომგვრელი მარილიანი ცრემლი.

ესთერი იჯდა სიბნელეში და ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ფანჯარას. ისეთმა ჩლუნგმა მორჩილებამ აიტანა, თავადაც გაუკვირდა. წყვილი იცრიცებოდა, სინათლე ეპარებოდა. ნელა თენდებოდა; სინათლე ისე იჭრებოდა წყვილიაღში, თითქოს წყლის სიღრმიდან ამოდებოდა. შუშაბანდში ადამიანთა ფიგურები ბორიალობდნენ, თითქოს შავი ქალღიღინი გამოჭრილი და ნაცრისფერ ქალღიღინზე დაწებებული სილუეტებიანო. აღეგებულნი ჩანდნენ, ხელებს იქნევდნენ, ფანჯარასთან გიჟებივით ტრიალებდნენ. სახლს არ ეძინა. გამოღვიძებული ხალხი შუშაბანდში გამოშლილიყო. განთიადის სუსხისაგან კანკალებდნენ. ესთერი კედელ-კედელ მივიდა ფანჯარასთან და დააყურადა. 'იჩუმის ხანმოკლე წუთებში ისმოდა ხმები; მამაკაცთა ტლანქი ხმა. ქალების ხმები. ზოგ ხმას ცნობდა. ესმოდა ტირილი, შიშნარევი ჩივილი, გამოღვიძებული ბავშვის ყვირილი, კარის რახუნი, კიბეზე ფეხის ხმა. ხალხია!

„ტრატ-ტა-ტა...“

სროლა არ წყდებოდა. მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმის შემდეგ კვლავ ისმოდა გრიალი და დოლის ხმასავით წამოსული ტყვიამფრქვევის კაკანი. ჰაერს კვეთდა ყრუ ბათქების ექო. ეს ბათქები ზეცას წვდებოდა და კოშკებზე ჩამომსხდარ ფრინველებს აფრთხოვდა.

— ზარბაზნებს ისვრიან, — თქვა ვილაცამ.

— ქალაქში? სისულელეა. ვის უნდა ესროლონ?

— გეუბნებით, ეს ყოვლად შეუძლებელია!

— არ ვიცო, ოღონდ ეს კი ქვეშეხებია. ახლოს არის... მგონი მდინარესთანაა.

— არა! ეს ექოა, გესმით? აი! მამა... მამა... რა იქნება? ისინი თავისი სიტყვის პატრონნი არიან. ხომ დაგვიპირდნენ — აი დაიწყეს კიდევ. დაგვიფარე... ცოფიანი ძაღლებისაგან... შინ წადი, გთხოვ, შინ წახვიდე...

ქუჩიდან ვილაც შემოვიდა, გაცვეთილი საფეხურები ფრატუნით ამოიარა და შუშაბანდში ფანჯარასთან შეკრებილ ხალხთან შეჩერდა. შეშინებულმა ხალხმა შეკითხვები დააყარა:

— რა ხდება, რა?

— კარვად არ ვიცო, მაგრამ ყური მოგკარი, უკვე დაიჭირესო...

— ვინ, ვინ დაიჭირეს?

— ისინი... აი ისინი, პეიდრისი რომ ჩააძაღლეს... ალყა შემოარტყეს, რესლოვკაზე რომ მართლმადიდებელი ეკლესიაა...

— ეგ ხომ ჩვენთან ახლოა...

— ღმერთო და ღვთისმშობელო, დაგვიფარე...

— გაჩუმდით! გაჩუმდით! აქ ნუ დგებართ, დაიშალეთ! თქვენ-თქვენს სახლში წადით! მე ძლივს მოვალწიე... გესმით, რა რრომტრიალია ქუჩაში...

უეცრად თავისი ბინიდან შუშაბანდში გამოვარდა ვიღაც მამაკაცი და საში-
ნელი ამბავი მოიტანა:

— გერმანელებია... ჩვენც ალყას გვარტყამენ... გაიხედეთ ფანჯარაში, ქუჩა
მანქანებით აივსო... შეიარაღებულნი არიან...

ეს მართალი იყო. ბათქების შემდეგ წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე მანქანე-
ბის ღრიალმა დაარღვია. ისმოდა სამხედრო ჩექმების ჭრაჭუნი, კარების რახუნი,
სტვენა; ბრძანებათა მოკლე სიტყვები ახალმა გრიალმა დაჰვარა. განთიადში
ფრთხილად იჭრებოდა მზის შუქი. აღარავის არ სჯეროდა გათენებისა! აბა, რა
გათენებაა, თუ ჩიტუნები არ ჭიკჭიკებენ?

— დაიმაღეთ! — გაიმეორა ბოროტად და ჯიუტად იმან, ვინც ქუჩიდან შე-
მოვიდა. — ფაქტია! ალბათ ჩხრეკას დაიწყებენ. თუ სახლში იპოვნეს რამე, დავი-
ღუბეთ. ბინებში დაიფანტეთ, ჩაიკეტეთ და თავი მოიმძინარეთ!

ზევიდან რაღაც ყვირილი მოისმა. სიტყვები ვერ გაარჩიეს, მაგრამ მკრთალ
სინათლეში ყველამ იცნო ლოთობისგან გასიებული სიფათი. რეისეკი! ხვეულ
კიბზე ჩამორბოდა, მსუქანი ხელებით მოაჯირს ებლაუჭებოდა და ლუდის კასრი-
ვით მოგორავდა თავის აკანკალებულ ფეხებზე.

— ხომ ხედავთ! — წიოდა მუშტების ქნევით. რეისეკი დამფრთხალ მცხოვ-
რებთა შორის დაბორიალობდა: — ახლა... ყველას დაგხვრეტენ! დაგხვრეტონ!
ახია... ყველამ იცოდა... ყველა... გაჩუმებული იყო...

ვიღაცამ შეაჯანჯღარა:

— შინ წაეთრიე, ლოთბაზარავ!

რეისეკს ზიზღით ეცლებოდნენ, უკან იხევდნენ: შიშისაგან ჭკუაზე ხომ არ
შეცდაო? მაგრამ რეისეკი ტრიალებდა მდგმურებში, ხელებს იქნევდა და გაუგებ-
რად იმუჭრებოდა; ღვინის სუნით ჰყარდა, დაბრანჭულ ლოყებზე ცრემლები ჩა-
მოსდიოდა.

— დააწყნარეთ! რაეზა ბოდავს?

— ჩვენ აბა რა ვიცით?

— თფუი! ლოთი ღორი!

— რა უნდა გვცოდნოდ?

რეისეკმა ხელები აიქნია:

— ახლა უარზე ხართ!.. ყველამ... ყველამ იცოდით, რომ აქ, ფანჯრის უკან...
გოგოა! ჩაუწერავი! აი იქ არის... იპოვნიან და პიფ! პაფ! პა! პა! პა! ჯანდაბას
ყველაფერი...

ვიღაცის ხელი რეისეკს უკნიდან სწვდა კისერში, მეორე ხელმა დორბლიანი
პირი დაუმუწა. რეისეკი ცოფიან ვირთხასავით იბრძოდა, იატაკის ფილებზე ფეხი
უცურდებოდა, მუშტებს აქნევდა, ვიღაცას ფერდში გაჰკრა. მამაკაცთა მარწუხი-
ვით მკლავეებში მოხვედრილი, პაერში ისვროდა ტლინკებს, ვიდრე ვიღაცას მუხლ-
ში არ ჩაქრა წიხლი. გაისმა მტკივნეული წამოძახება. გაცოფებული ძაღლივით
გამწარებული რეისეკი კბილებით წვდა ხელს, რომელიც პირს უკუმავდა. ქალები
გაიფანტნენ.

— გამიშვით... გამიშვით! — ხრიალებდა რეისეკი ბათქების გრიალში.

— ნუ ღრიალებ! გაიგონებენ...

— ჩუმად!

რეისეკმა გადარეული ადამიანის არაბუნებრივი ძალით გაგლიჯა რკინის
შარწუხი. პირდაღებული, მომხდარი ამბით დარეტიანებული, ბარბაცით მიაწყდა
კედელს და მკერდში მუშტი ჩაირტყა.

— თქვენ... გიჭები ხართ... მე არ მინდა... გესმით!.. არ მინდა... აყროლებული
ურჩის გოგოს გულისთვის... დაე თავისით წავიდეს, სანამ დროა... მე თვითონ...
გამოვადებ ბუნავიდან... ახლავე...

და სანამ ვინმე გამოერკვეოდა, რეისეკი გაცოფებული ხაროვით შეიჭრა ღერე-
ფანში, ეცა პატარა ოთახს, მთელი სხეულით მიაწვა დაკეტილ კარს, მუშტები და-
უშინა. საშინელი, ზრმა სიძულელით აღსავსე აბრახუნებდა და კარის გამომტერე-
ვას ცდილობდა. ყრუ ბრახუნი უცმურად გაისმოდა ძველ სახლში. სართულებს
შიში დაეუფლათ

— Aufmachen! გააღე! — ღრიალებდა რეისეკი და სახელურს ატრიალებ-
და. შემდეგ დაიწყო სახელურის ზევეითკენ აღუნვა, რათა ამოეტრიალებინა და
ხიდან ამოეგლიჯა. არაფერი გამოუვიდა. ისევ მუშტი დაჰკრა კარს და გაცოფე-
ბულმა გაშმაგებით დაუყვირა:

— Aufmachen! გააღე... შენ, დაწყველილო გოგო! მანდა ხარ, ვიცი!
მას კი, შიგ მყოფს, ყველაფერი ესმოდა. იცოდა, რომ აღსასრული ახლო-
დებოდა.

სწრაფად თენდებოდა. ვარდისფერი ცისკარი ფანჯარას აწყდებოდა, სროლა
კვლავ ისმოდა. ჩაცმული ესთერი შუა ოთახში იდგა, ხელები დაეშვა და ელოდა.
უბრალოდ იდგა და ელოდა. სუნთქვა ეკვროდა, სული ეხუთებოდა. თვალი დახუჭა.
ასე სჯობია. ყინულივით სიმშვიდე. მორჩილება. არაფერი არ დაინახოს. მალე
ყველაფერს ბოლო მოეღება. გულში რომ მძიმე დარღი დარჩენოდა, პავლეს შეე-
ხებოდა.

ნეტავი სად არის ახლა? რატომ აქ არ არის? მთელი მისი არსება ჯერ კიდევ
აღსავსე იყო პავლეთი.

კარის საშინელმა რახუნმა და ჩახრუნწილმა ყვირილმა გამარფხიზლა ესთერი
და სიცოცხლე მოაწყურა. კარმა ჭრიალი დაიწყო. საით? საით გაიქცეს? ესთერს
თავგზა აებნა და ხაფანგში გამომწყვდეული ნადირივით ოთხ კედელშუა დაიწყო
ბორიალი. საით? ფანჯრისაკენ? არა, ისევ უკან! ტახტქვეშ უნდა დაიმალოს! და,
ბოლოს, შიშით შეძრწუნებული ესთერი ატირდა. რახუნი ლურსმანივით ესობოდა
ტვინში. ესთერი დივანზე დაეცა და ყურებზე ხელი მიიჭირა.

— Aufmachen! გააღე!

უხილავმა ძალამ წამოაყენა ესთერი და მეორე კართან მიავლო; გამოალო კარი
და ცარიელ სახელოსნოში შევარდა. ფარდები ჩამოშვებული იყო, წყვდიადი იდგა.
ესთერმა წინ გაიწია, თავისუფალი ხელით მიიკვლევდა გზას. აი მაგიდა, სკამი,
მანეკენი, უთო, ძველი ჟურნალების შეკვრა, თერძის გრძელი მაკრატელი! უნდა
აიღო ეს მაკრატელი, გაუპირისპირო მკერდს და დაიცი იქ, სადაც სიცოცხლე
ძგერს! ეს იქნება ბოლო, სიმშვიდე, გაქცევა! ძლიერმა დარტყმამ გაავღებინა ხე-
ლიდან მაკრატელი, მუხლი მოუკვეთა, ტვინი აურია... კარის რახუნი და სროლა
ახლა შორიდან ესმოდა. სიჩუმე... ალბათ ახლა დაისადგურებს სიჩუმე, მხოლოდ
სიჩუმე. — აახ! ამოიხრა და არარაობის ტკილ გრძნობას მინებდა.

შუქი! განა ეს შესაძლებელია? ახლა, როცა ყველაფერს ბოლო ეღება? და
შინც...

შუქმა სქელი წამწამების ტვერში გაატანა და წვრილ ზოლად გაანათა სახე.
ესთერმა ჯიუტად დახუჭა თვალები. და უცებ ხელის შეხება იგრძნო.

ზედ სახესთან იგრძნო დაჭინებული ჩურჩული:

— წამოდი! ჩქარა, გოგონი... ნუ გეშინია!...

ესთერმა დაუჯერა, როგორც კი იგრძნო, რომ მამაკაცის ხელებმა წამოაყენეს
ცოცხალ-მკვდარი. როცა იატაკზე წაათრიეს, წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— წამოდექი, — ისე ეუბნებოდა აქოშინებული ხმა, თითქოს უნდა ჭირვეუ-
ლი ბავშვი დარწოლიოსო. — შენ უნდა გაუძლო!

ხელი გაუშვეს. გოგონა რაღაც რბილზე დაეარდა. და ასევე თბილ ტალღა-
სავით გადაეფარა ზედ რაღაცა. სიჩუმე და სიბნელე ჩამოწვა. ერთბაშად ცხვირ-



ინან ოსტინანაშაჰი * რომიო, ჯულიანობა და საუკლიადი *

ში მოხვდა მომკავო სუნი, როგორც ასდის ხოლმე მატერიას, ხშირად რომ უგემნია უთოს სიმხურვალე.

— აქ იწევი... ხმა არ ამოიღო... მე გეტყვი, როცა დრო იქნება...

სად არის? ჩემოდანი! ჩემოდანი სადღაა? მოსინჯა და მკერდზე მიიკრა. მოიკუნტა, რომ უფრო დაპატარავებულიყო; თვალი დახუჭა.

XIII

მოირღვა კარი, რეისეკმა მანც მოახერხა მისი ამოგდება. ოთახში შევარდა, კედელზე ჩამრთველი მონახა. ფილტვებიდან სტვენა ამოსდიოდა. გაბეცებული თვალეზი მოაფლო ცარიელ თავშესაფარს. ხელის ზურგით მოიფშვინა თვალეზი, რომ უფრო კარგად დაენახა. გატყეულა! მას შეპყვენენ ბნელი ფიგურები და უბმოდ შეუგუფდნენ მის უკან. მათს სუნტქვას კეფაზე გრძნობდა. რეისეკმა შეამჩინა სახელოსნოში გასასვლელი ნახევრად ღია კარი და განიერი ბექებით გაეჩინრა შიგ, მაგრამ უძრავმა წყვილიადმა ერთ ადვილს მიაჯაჭვა. სინათლის გრძელმა შუქმა წყვილიადი გაპყვეთა და სახეში შეანათა რეისეკს. გაუნათა ფიზიონომია: სიბრაზისაგან გაწითლებული ყურის ბიბილოები, წირპლიანი თვალეზი, იდიოტურად რომ აპარპალებდა შუქზე, მთვრალი ქაჯის ნამტირალევი სიფათი.

— აქ რა გინდა? — შემოღრიალა წყვილიადიდან მამაკაცის ხმამ.

რეისეკი შეკრთა, წინ გაიწია, მუშტები აღმართა.

— სად არის? მე ვიცი, რომ აქ არის!

რეისეკს პატარა ოთახიდან შემოპყვა რამდენიმე მუქი ფიგურა. ისინი მღუმარედ იდვენენ მის ზურგს უკან, ნახევარწრედ. რეისეკმა წინ გაიწია, შუქზე ხელი ჩამოიფარა. მტკიცე ხმამ შეაჩერა იგი:

— ფეხი არ გადმოღვა! გაჩერდი და ხმა გაიკმინდე! გინდა, რომ შემოცვიდნენ ისინი... ქუჩიდან... შენც სულს გაგაფრთხოხინებენ ჩვენთან ერთად! ძალღვიო...

ბათქების გრიალი ახლოვდებოდა, ფანჯრის ჩარჩოებს არხევდა.

— ვინა ხარ? — ასისინდა რეისეკი.

— შენ რა გესაქმება!... შენ ქურდი ხარ: აქ რა გინდა?

— ის... გოგო... სულ ერთია, ვერ გამეჭყევა...

— გატრეტილო პირუტყვო! მოგეჩვენა. გაეთრიე! გაეთრიე, სანამ ცოცხალი ხარ, შენს ბუნავში შეძვერი და დაივიწყე, რაც მოგეჩვენა... თუ კრინტი დაგიძრავს, საღამომდის ვერ მიატან...

— რაო?.. რაო?..

დაუპატივებელ სტუმარს ნელ-ნელა და მუქარით უახლოვდებოდა ფარნის შუქი და თეთრ სინათლეს ჰფენდა სახეზე... თვალისმომჭრელი შუქისაგან კიბოსავით უკან დაიხია, თან რაღაცას ბუტბუტებდა... ზურგით მიაწყდა მამაკაცთა ფიგურებს, იგრძნო, რომ ზიზღით დაიხიეს უკან. რეისეკი მათ შორის დარჩენილ სიცარიელეში აღმოჩნდა, ხელეზით ეჭებდა დასაყრდენს.

— არ მომეკარო! — დაიწვილა რეისეკმა და ხელეზი წინ გასწია. და ამ დროს რაღაც თბილი მოხვდა სახეში. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ დარტყმა განმეორდა. განმეორდა ზედიზედ. რეისეკი ორივე ხელით იცავდა თავს სეტყვასავით წამოსული დარტყმებისაგან.

— მიიდე! — მოესმა წყვილიადიდან. რეისეკს სახეში მოაფრთხეს მატერია.

— გაეთრიე აქედან! აქ მხოლოდ ადამიანებს უკერავენ!

სახელოსნოში კვლავ ჩამოწვა ავბედითი სიჩუმე, რომელსაც თავგების თაჩუნიც არ არღვიდა. მხოლოდ ქვემეხების მრისხანე გრიალი და ტყვიამფრტვევის კაციანი მოსმოდა ქუჩიდან.

ფარანი ჩაქრა.

მაშაკაცი მიფრატუნდა ფანჯარასთან და შავი ქალღი ასწია. იენისის რიყ-ოაქმა უკვე გამოაჩინა სიბნელეში საგანთა კონტურები. ის კარგად იცნობდა ამ საგნებს. ამათ შორის გაიარა მთელმა მისმა სიცოცხლემ. თვალი მოავლო ოთახს. ფანჯარას მოსცილდა და თავის სკამზე ჩამოჯდა წახრილი. დიდი ხნის კერვის დროს შეეჩვია ამ პოზას. დადღიანმა მელოტ თავზე მოიქირა ხელები. დაწყველილი ცხოვრება! „ბუჰ... ბუჰ...“ — გრიალებს სახურავების თავზე, ზრიალებენ მინები. „ტა-ტა-ტა“.

გემისი? ისინი არიან!

ოხ, არ ვარგა, აღამიანებო, არ ვარგა!

შიში ახრჩობს. მაგრამ თავიდან იშორებს. რა აქვს დასანანი! ვის რაში სჭირდება მისი ბენრეკი თავი! ცოლი არ აუტირდეს ან შვილი! მთელი ცხოვრება ბანქოს თამაშში გაატარა და ახლა გზაზე დაგდებულ ქვასა ჰგავს! რაღა დარჩენია? კარგა ხანია დაეხეტება ქვეყანაზე, მარცხენა ფეხს მიათრევს და დადის... პირველი მსოფლიო ომი... გალიცია... და რაღაც ჯანდაბა...

ზურგს უკან შრიალი მოესმა, მოხუცმა მიიხედა და ფიქრები ბელურების გუნდივით გაეფანტა.

საკუჭნაოს კარებში ესთერი იდგა. გაწეწილ თმებში თეთრ ლაქასავით მოუჩანდა სახე. ჩეპეკი კინაღამ შეაშინა ამ სახემ. ყვირთელი ვარსკვლავი მკერდზე, შავი ჩემოდანი ხელში. ჩეპეკი წამოდგა. გოგონა უთუოდ ვერ ხედავდა მას, ან იქნებ არ უნდოდა დაენახა. იქნებ აღარავის დანახვა აღარ უნდოდა. ჩეპეკმა ადგილიდან დაძვრა ვერც კი მოასწრო, რომ გოგონა მომართულ დედოფალასავით გაემართა კარისაკენ. ერთი, ორი! ჩეპეკი კართან წამოეწია და მთელი ტანით გზა გადაუღობა. მას არ მოსწონდა ამ დიდრონი, წყვედადივით თვალების არაამქვეყნიური მზერა.

— გამიგონე! — ჩეპეკმა მხრებზე დაადო ხელი, სცადა გონზე მოეყვანა. — საით, გოგონა?

— გამიშვით!

— გონს მოდი! ეს ხომ მე ვარ... ისინი ქუჩაში არიან, გემისი?

— უნდა წავიდე... — ჩურჩულებდა იგი. — დროა... წასვლის დროა...

— საით... საბრალოვ... აბა საით...

— იმათთან უნდა წავიდე... ტერზინაში. გამიშვით... ალბათ. წერილებს იწერებინან... აქ უკვე აღარა მაქვს ადგილი... თქვენ ნება არა გაქვთ დამაკავთ. იმასაც მოჰკლავენ... გემით... გამიშვით...

ჩეპეკი ხელებს უშვებდა ნახ მხრებზე, ანჯღრევდა. მკერდზე იკრავდა, ამშვიდებდა, თმაზე ხელს უსვამდა. მოხუცს ცრემლები უნამავდა სახეს. ის ტიროდა. დასტაროდა გოგონას ხვედრს, თავის თავს, მოტყუებულ, გაუგულქვეყნებულ სამყაროს. ემუდარებოდა გოგონას, მაგრამ მას აღარაფერი ესმოდა.

— გამიშვით... გამიშვით... გთხოვთ...

ესთერი გარეული კატასავით იბრძოდა. ორივე ხელი მკერდზე მიაბჯინა და მოულოდნელად ისე უბიძგა, რომ ჩეპეკი შეტორტმანდა, მაგიდას მიაწყდა და სკამზე დაეცა. ხოლო როდესაც წამოდგა, გოგონა უკვე კართან იყო, სახელურს მოჰკიდა ხელი.

კარი გარედან არ იყო ჩაკეტილი, გოგონა გარეთ გასხლტა. კარი მოიხურა. გოგონა გაქრა! გაქრა!..

დერეფანი! ცარიელი, წყნარი დერეფანი!

ესთერმა ირგვლივ მიმოიხედა, გული გაშმაგებით უცემდა. კიბე დაინახა. გაიქცა, ჩემოდანი კედელს მოხვდა, ყრუ ექო უბრუნებდა ქუსლების შეშინებულ ბაკაბუქს. სახეში ეცა შეხუთული ჰაერი. მიიხედა. მარჯვნივ პატარა ეზოა, მარცხ-

ნივ — წყვილია. ჭიშკარი! იქითკენ გაიქცა, თვალი მოჰკრა ვიღაცის ბნელ ფიგურას. კაცმა შიშისაგან შეჰყვირა. ესთერმა ხელი ჰკრა, რკინის სახელურმა წამით გაუგრია ხელი. ჭიშკარი გააღო — ესეც ქუჩა!

სინათლე! მაგრამ მზე ჯერ არ ამოსულა.

ჰაერი საშინელმა გრიალმა შეარხია. მოისმა ბათქი. ჭიშკარი მოიხურა. ესთერი მთელი სხეულით გაეკრა დუქნის პრიალა აბრას: „ყავა, ღვინო, ლიქიორი. კოლონიური საქონელი“.

და უცებ დაინახა ისინი — გერმანელები! სწრაფად დახუჭა თვალები, ისევ გაახილა. ისინი იქვე იყვნენ.

შიშისგან კანკალებდა, მაგრამ თვალი არ მოუშორებია.

ესთერისკენ ზურგშეშებულნი სალდათები კედელთან იდგნენ, ქუჩის მეორე მხარეს, ერთმანეთისაგან ორ-ორ ნაბიჯზე. ესთერს მათი სახე არ დაუნახავს. იდგნენ ავტომატომარჯვებულნი, თავზე მუზარადი ეხურათ. იდგნენ მდუმარედ, ქანდაკებასავით გაქვავებულნი, განივრად ფეხებგადამულნი, შემზარავნი ამ უძრავობით. ესთერი ჯერ არ დაენახათ და იდგნენ მშვიდად...

ტვინი ბრძანებებს იძლევა: ახლა... ახლა! მიიხედ-მოიხედა. საით წავიდეს? სუნთქვა შეიკავა. კედელს ზურგით გაეკრა და რკინის დარბაზების გასწვრივ დაიძრა მოსახვევისკენ. ორი ნაბიჯი! სამი! კიდევ ნაბიჯი... საკვირველია, რომ აქამდის არ შეუნიშნავთ, არ გაუგონიათ მისი გულისცემა! გასაოცარი გრძნობაა: სულის-მემხუთავმა შიშმა თითქოს საკუთარ სხეულს ჩამოაშორა, ახლა თითქოს ვიღაც უცხოს სხეული მიიპარება ფართო, რუხმწვანე ზურგების უკან, ესთერი კი მხოლოდ უთვალთვალავს მას. არა, ეს ყველაფერი მას არ ეხება, ეს სულ ტყუილია...

ერთი ნაბიჯი კიდევ... აი ქუჩის კუთხეც!

ფეხებმა დააღალატეს. თავისით გაიქცნენ, უაზრო შიშით შეტყობილნი... აი მოსახვევიც... ფეხები სხეულს ვიწრო ქუჩაში მიაქროლებენ... შორს, შორს! დაკეტილი ჭიშკრები, ჩაბნელებული ფანჯრები...

მეორე ქუჩის მოსახვევში ისარივით მოეწია სტვენა. ესთერმა სირბილს არ მოუკლო, აღარაფერს ხედავდა და აღარაფერი ესმოდა! ჩემოდანი ჭიშკარს გამოედო და ხელიდან გაუფარდა, მაგრამ არ გაჩერებულა... შორს, შორს აქედან... ქვითინისაგან მთელი სხეული უკანკალებდა... ძალა ელეოდა... ახლა ყოველი მხრიდან მოესმა სტვენა... და რკინით დაჭედილი ათი, ათასი ჩექმის ბაკუნი... რკინის ქუსლების ზრიალი... წინ... საით? ვიწრო ქუჩა უცებ დიდ მოედანს შეუერთდა... მოედნის კუთხეებში დაბალი სამხედრო მანქანები იდგა, იქვე კი რუხმწვანე მუზარადიანი ფიგურები... ისინი არიან! იქ ისინი არიან!...

ესთერი სახლის თაღში შეიყუჩა. შემდეგ ჭიშკრის გვერდით გაძვრა. სახელური დაინახა... დააჭირა ხელი... ჩაკეტილია! „როგორც იქნა... როგორც იქნა!“ — ტკბილი შვებით გაუღელვა. რაღაცის პრიალმა კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე. გამწარებით მოიხედა.

ორ ნაბიჯზე დაინახა სახლი, რომელშიც პასაჟის ბნელი გვირაბი გადიოდა. ორი, სამი ნახტომი... უკვე იქაა! გარბოდა სიბ ქვებზე. გრილ გვირაბს ვიწრო ეზო სჭრიდა. ეზო კასრებით და ბოთლებით იყო სავსე და ხალჩიების დასაბერტყი თევზირები იდგა. თვალები! ესთერმა ვიღაცის შეშინებული მზერა დაინახა, მაგრამ კვლავ განაგრძო უმიზნო, უგონო, მექანიკური სირბილი... ქარი თმას უფრიალებდა... წაიფორხილა. მაგრამ გულგამგმირავმა სტვენამ ისევ წამოაგდო ფეხზე... „ბუჰ! ტა-ტა-ტა...“. წინ! გვირაბის წყვილადში შემოჭრილი შუქი დაინახა. გვირაბიც თავდება, იქ კი... თვალებს არ უჯერის... იქ... ხედავ?

სინათლე!

აჰა, ეღირსა! უნდა ხმამაღლა იყვიროს, ნამდვილი სინათლე! ყოველი ნახტომით უახლოვდება მას... რამდენიმე ათეული მეტრიც, და იქ. ტროტუარს გა-

დაღმა, ამომავალი მზის დაფიონში მწვანედ მოსჩანან ხუჭუჭა ბუჩქები, ბალახი, ხეები, ზვიადად რომ გარინდებულან გაზაფხულის ამ წყნარ დილას... და მზე... შეხე, შეხე, შე მშინარავ, როგორ ინგრევა, როგორ იფანტება წყვდიადი!.. რა მშვენიერია ჩახჩახა სინათლე!.. ბუპ! ბუპ! რამდენიმე ნაბიჯიც და შეიჭრება რბილ ბალახში, თითებს ჩაფლავს, ჭიანჭველასავით ჩაიკარგება შიგ. ეს რა მოსჩანს ბუჩქებში თეთრად? ეს ხომ ბალია, იმათი ბალი, პო, ესთერი არ სცდება... და მამის თეთრი გახამებული ხალათი... ესთერი მიპქრის მისკენ, მიფრინავს... მიფრინავს სულთა პაერზე, ისე საუცხოოდ, ისე არამიწიერად მსუბუქად, მიფრინავს იქითკენ... „მამა! — უყვირის ესთერი. — მამა!.. დამიცადე, მოვრბივარ... რა შიში ვნახე, მამა, თუმცა არა, მე ვიცი... ეს უკვე... თქვენ ხომ ცოცხლები ხართ, მამილო... რატომ არ იწერებოდით?.. თქვენი... წერილები დაიკარგა... იცი, მამიკო, მე ის ძალიან მიყვარს... შინ წაგვიყვანე... მე ალბათ შიშისაგან მოვკვდი... მაგრამ ხელში მაინც არ ჩაფუვარდი... მამა, დამიცადე!..“

ესთერი გვირახიდან გამოიჭრა.

მას აღარ გაუგონია, როგორ აწკრილდა ყოველი მხრივ სასტვენები. აღარ გაუგონია აღარც მადევრების საშინელი ყვირილი, აღარც ხრინწიანი ბრძანებები. მთელი გულისყური მიხყრობილი ჰქონდა იმ დარჩენილ, რამდენიმე ნაბიჯზე.

უკვე გადარჩენილია!

ესთერი ერთბაშად, მოცელილივით დაეცა მოლზე, ხელები გაშალა, თითები გრილ მიწაში ჩაფლა. ბალახის ღეროებზე მთრთოლვარე დილის ნამი თმაზე დაეპყრა. სროლა შეწყდა. სიჩუმე ჩამოვარდა, ქარიშხალს რომ მოსდევს ხოლმე, ისეთი სიჩუმე.

ესთერს ეს არ გაუგონია. ის არც მაშინ შერხეულა, როდესაც მას რამდენიმე სალდათი რკინით დაჭედვითი ჩექმების ბრახუნით მიუახლოვდა და გარს შემოეხვია..

ცოტა ხანს იდგნენ; შემდეგ ერთის ჩექმამ ნელი, ჩვეული მოძრაობით ესთერი გულადმა გადმოატრიალა, მზეს შეახედა.

ვილცამ გაკვირვებით დაუსტივინა და მშვიდად, ახლა უკვე სულ უბოროტოდ თქვა: — Schau, Ernst! Da ist ja eine junge Judin.

ძველი სახლები მოხუცი ადამიანებივით საესენი არიან მოგონებებით. მათ თავიანთი სახე, თავიანთი სუნი აქვთ. მათ კედლებს თავიანთი, საკუთარი ცხოვრება აქვთ. რა არ უნახავთ მათ! რა არ გაუგონიათ! დახეთქილ ბათქაშს რა არ შეუწოვია წლების მანძილზე! დიახ, ეს კედლები ცხოვრობენ იმ ადამიანთა ბედილობით, რომლებსაც მათ ჭერქვეშ უცხოვრიათ. ზოგთა ბედს ხშირად იგონებენ კედლები, ზოგნი დავიწყებული არიან. ზოგთა შესახებ სდუმან. ისინი არსებობენ უსიტყვოდ, უხილავად. ეს ძველი სახლის დაუწერელი, ამაღლეგებელი ისტორიაა.

„შენ უნდა იცოცხლო“, — ჟღერს მის ყურებში ხმა. პაეღე იცნობს ამ ხმას.

იგი კვლავ ზურგზე წევს, ნახევრად თვალდახუჭული, და ფანჯარას მიშტერება. ცისკრის ღრუბლები დაფიონს შეუწითლებია, თენდება. თენდება ჩვეულებრივ დღე, ის დღე, რომლითაც დასრულდება ეს ამბავი.

მეთათსევე უბრუნდება მისი ფიქრი მთელს ამ ამბავს — პარკში მდგარ შემუნწეველ სკამიდან მოყოლებული იმ აუნხნელ წუთამდე... თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა! სახელურს ხელი მოჰკიდა და შევიდა.

ოთახი ცარიელი იყო!

მერეც თითქოს არაფერი მომხდარა. მხოლოდ ძებნა სიცარიელეში ხელის

1 შეხე, ერნსტ — ურიის გოგო ყოფილა! (გერმ.).

ფათურით. უპასუხო შეკითხვები. რატომ სდუმს ყველა? სდუმან ადამიანებიც და საგნებიც! რატომ არაფერი არ მოხდა? რატომ ჩადვა ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში და გაიყინა პროტექტორატის ამყრალებულ პაერში? რატომ არ ჩამოიქცა ზეცა?

და გული ძველებურად ძვერს მკერდში!

სახეები, სიტყვები, ხმა! დახუჭავს თუ არა თვალს, მხოლოდ ეს ხმა ესმის.

„უნდა იცოცხლო! იცოცხლო!“

როგორ? პავლე ედავება, მაგრამ ხმა მასზე ძლიერია. ეს ხმა მასშია, ჯიუტად უბრუნებს იმ საშინელ ღამეს, როდესაც ბოლომდე იწვნია სასოწარკვეთილების მთელი სიღრმე.

და პავლე დანებდა ამ ხმას. უწინდელი გზა დამთავრებულია.

წამოდგა.

გააღო ფანჯარა და ოთახში ბედურების გამაყრუებელი ჟღერტული შემო-
უშვა.

პავლე ნელ-ნელა მოდიოდა გონს, როგორც დიდი ხნის ძილის შემდეგ იცის ხოლმე. რამდენი ხანია, რაც არ უჭამია? ხელეები თავქვეშ ამოიღო და ისე გაიზ-
მორა, ხერხემალმა გაიტკაცუნა. ღრმად ჩაისუნთქა ზაფხულის დილის ნიაფი.

ვიწრო ეზოში კალაპოტის ურიკა დგას. სახურავებს დასცქერის ლაყვარდი ზეცა. ნელ-ნელა რიყრაყდება.

აჰა განთიადიც. პირველმა სხივმა ნელა გადაისრიალა ძველ სახურავზე და სადღაც, წაბლის ხუჭუჭა ტოტებში გაეჩხირა. პავლემ კრიჭა შეჰკრა.

შემოდი, სინათლე!

ძველ სახლებს თავისი საგანთიადო ხმა აქვთ. აბა, მოუსმინე: კიბეზე ჩუმი სტვენით ჩადის ვიღაცა, ფანჯარასთან წამით ჩნდება მისი კეპი, შორენკეცზე ფეხ-
საცმელი ფრატუნებს, სადღაც წკრიალებს მალვიძარა საათი, გამოლვიძებული ბავ-
შვი გაგულისებული ღრიალით ეხმაურება ამ წკრიალს. ფეხის ხმა. ხმაური. შუ-
შაბანდის კუთხეში მდგარ ლითონის ვარცლში სიმღერით ეცემა წყალი. სადღაც გაისმის ქალიშვილის გულიანი კისკისი... სახლი იღვიძებს და სამზარეულოს ღია კარიდან მოისმის ყავის საფუკავის რახრახი...

✱ იან ოტჩინაშვილი ✱ რუმეო, ჯულიეტა და ჯუველიანი ✱



ხელოვნება

ღალი ყუჩუაშვილი

ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ

თუ ვასული საუკუნის რუსეთის საუკეთესო ახალგაზრდობა ამბობდა: დავდიოდით უნივერსიტეტში, ხოლო ვსწავლობდით მცირე თეატრში, თუ თეატრს დღესაც იგივე მოვალეობა აკისრია, რაც სკოლას, — აღზარდოს, ასწავლოს, ამხილოს, საქები შეაქოს, გასაკიცხი დაგმოს, კინოსაც იმავე ამოცანების გადაჭრა ევალება, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით, რადგან იგი ხალხის უფრო ფართო მასებისათვის არის ხელმისაწვდომი და თავისი სპეციფიკის გამო. გამოსახვის მეტი საშუალება და მოქმედების უფრო ვრცელი ასპარეზი აქვს, ვიდრე თეატრს. ამიტომაც, დღეს კინოხელოვნებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. კინომუშაეებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი საიმისოდ, რომ მაყურებელს რაც შეიძლება მეტი მაღალმხატვრული, იდეურად სრულყოფილი სურათი მიაწოდონ.

კინოხელოვნების განვითარების საქმეს ერთგულ დარაჯად უდგას საზოგადოებრიობა, კრიტიკა, პრესა. ყოველი ახალი კინონაწარმოები მსჯელობის საგანია. იწერება რეცენზიები, იმართება დისკუსიები, ეწყობა შემოქმედებითი შეხვედრები. აქებენ ან აკრიტიკებენ რეჟისორს, სცენარისტს, ოპერატორს, მხატ-

ვარს, კომპოზიტორსა და მთავარი როლების შემსრულებელ მსახიობებს. ხშირად ცალკეული რეჟისორის, მსახიობისა თუ ოპერატორის წარმატებას ეძღვნება საგანგებო წერილები გაზეთებსა თუ ჟურნალებში. მაგრამ თითქმის ყოველთვის უყურადღებოდ რჩება კინოფილმის ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე — ეპიზოდური როლების შემსრულებელ მსახიობთა ოსტატობა. ფილმების განხილვისას, როგორც წესი, ეპიზოდური როლების შემსრულებელთა მხოლოდ გვარებს ჩამოთვლიან და საქმეც ამით თავდება. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა მათ სრულიად არ გაიხსენებენ, და ეს მაშინ, როდესაც ყველამ, ვინც ამ რეცენზიებს წერს, კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფილმის წარმატებისათვის კარგად შესრულებულ ეპიზოდურ როლებს; კარგად ესმის, თუ რა დიდ დახმარებას უწევს მსახიობს დროული და სამართლიანი კრიტიკა და როგორ უკარგავს ყოველგვარ შემოქმედებით ხალხის წარმატებებისადმი უყურადღებობა. თუნდაც მარტო ამიტომ აუცილებელია ეპიზოდური როლების შემსრულებლებისადმი ყურადღებრივი და გულისხმიერი დამოკიდებულება.

ყოველი ფილმი ხომ ადამიანების ცხოვრებას ასახავს და ცხოვრებაში კი, გარდა „მთავარი პერსონაჟებისა“, არიან ადამიანები, რომლებთანაც ამ „მთავარ პერსონაჟებს“ აქვთ ურთიერთობა. სწორედ ეს არის ფილმში ეპიზოდური სახეები. ყოველი ეპიზოდური სახე ფილმში ემსახურება ან მთავარი გმირის ამა თუ იმ თვისების გამოვლენის საქმეს, ანდა საკუთრივ ფილმის იდეის გახსნას. არის შემთხვევები, როდესაც ეპიზოდურ როლს აქვს საკუთარი შინაარსი, საკუთარი პრობლემა, თუმცა, რა თქმა უნდა, ისევე ფილმის ძირითად იდეასთან დაკავშირებული. ხოლო თუ პატარა, ეპიზოდური როლი მოწყვეტილი, ამოვარდნილია სურათის მთლიანი ჩანაფიქრიდან, იგი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, რაგინდ ბრწყინვალედაც არ უნდა იყოს განსახიერებული და მხოლოდ კარგად შესრულებული საესტრადო ნომრის ხასიათს ატარებს.

ეპიზოდური როლი ცხოვრების ძალიან პატარა მონაკვეთს წარმოადგენს. ამ პატარა ნაწილით გმირის მთელი ბიოგრაფიის გადმოცემა დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული: საჭიროა ცხოვრების ღრმად შესწავლა, ყოველი წვრილმანის დამახსოვრება, მკვეთრი გამომსახველობითი ხერხების შერჩევა. პატარა როლი მსახიობისაგან მოითხოვს მეტად ფაქიზ დამუშავებას, შესრულების სიმძაფრეს, ფერთა სიმდიდრეს. იმისათვის, რომ მსახიობმა რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთ ან ორ პატარა სცენაში შექმნას სისხლხორცილთა სავსე სახე, საჭიროა დიდი ოსტატობა: ყოველი სიტყვა შინაგანად სავსე უნდა იყოს, ჟესტი და მიმიკა — მკვეთრად ხატოვანი და ლაკონური. პატარა როლში სამეტყველო ტექსტის სიმკირე მსახიობმა მეტყველი დუმილით უნდა შეავსოს, და რადგან სამოქმედო დრო ფილმში ცოტა აქვს, ხოლო სახის მთლიანად გახსნა კი აუცილებელია, უნდა ეცადოს მის ნამუშევარში არაფერი იყოს ზედმეტი და უმნიშვნელო.

არიან მსახიობები, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობენ პატარა, ეპიზოდური როლების შესრულების ხერხებს, დიდ როლებს კი ხშირად საშუალოდ ასრულებენ. ეს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, „მსახიობის ნიჭიერების ერთ-ერთი ნაირსახეობაა და არა ნაკლები“.

არის შემთხვევები, როდესაც ერთ ფილმში მსახიობს ორი ან სამი ეპიზოდური როლის შესრულება უხდება, ეს კი მსახიობისაგან მოითხოვს დიდ მრავალფეროვნებას, ხერხების, დეტალების, საღებავების მდიდარ არსენალს. ქართულ კინოხელოვნებას ჰყავს საკმაოდ ბევრი მსახიობი, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობენ ამ ოსტატობას. მათი დასახელება, მათი მიღწევების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მაგალითისათვის, ვფიქრობთ, საკმარისი იქნება გავიხსენოთ ჩვენი კინოს საამაყო მსახიობი — სპარტაკ ბალაშვილი, რომელიც მანამდე მხოლოდ მთავარ როლებს ასრულებდა ფილმებში. „პოეტის აკვანში“ მან შეასრულა სამი ეპიზოდური როლი: ვაჟა-ფშაველასი, მეწისქვილე ესტატესი და გამზრდელისა. მიუხედავად მცირე ტექსტუალური მასალისა, თვითეული ეს სახე იმდენად სრულყოფილია, რომ მაყურებელს სრულიად არ ეჩითიერება, როდესაც ერთ მსახიობს სხვადასხვა როლში ხედავს.

კარგად შესრულებული პატარა როლი აქტიორული შესრულების ოსტატობით შეიძლება არა მარტო გაუსტოვდეს, არამედ ზოგჯერ უფრო სრულყოფილიც იყოს, ვიდრე მთავარი როლი ამა თუ იმ სურათში. ხშირად ხდება, რომ ეპიზოდური როლი ეკრანზე სულ რამდენიმე წუთს გრძელდება, სამუდამოდ კი გამახსოვრდება. გრჩება შთაბეჭდილება, რომ ფილმში ბევრად უფრო დიდი ადგილი ეჭირა, ვიდრე სინამდვილეში იყო, იმდენად სრულყოფილად წარმოუსახავს მსახიობს ხასიათი, ისეთი სიზუსტით

ლალი ყურულაშვილი

ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ

წარმოუდგენია თავისი გმირის ცხოვრება. ამის მაგალითად საკმარისი იქნება გავისენოთ ვერიკო ანჯაფარიძე, რომელმაც უსიტყვო როლით ფილმში „მე ვიტყვი სიმართლეს“ სულ ორიოდ მოძრაობით, გასაოცრად მომაჯადოებელი ჩალიმებითა და დაძაბული, ყურადღებიანი გამოხედვით დახატა ბანქოს მოთამაშე ქალის სრულყოფილი სახე. ან კიდევ მოვიგონოთ კობტა ყარალაშვილი ნალბანდის აგრეთვე უსიტყვო როლში („არსენა“), რა ნათლად წარმოსახა მსახიობმა თავისი გმირი სულ ორიოდ შტრიხით...

თუ ეპიზოდური როლების მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სურათის წარმატებისათვის, პატარა როლის წარმატება, თავის მხრივ, ბევრადაა დამოკიდებული რეჟისორის კულტურაზე, მსახიობთან მისი მუშაობის უნარზე. რაც უფრო მაღალია რეჟისორის პროფესიული კულტურა, რაც უფრო გულისყურით არჩევს იგი ეპიზოდური როლების შემსრულებლებს და მეტ დროს ანდომებს მათთან მუშაობას, მით უფრო მეტი იქნება ფილმში კარგად შესრულებული როლი. ამის მაგალითი ქართულ კინოხელოვნებაშიც ბევრი გვაქვს. როგორც ძველი თაობის, ისევე ახალგაზრდა რეჟისორების ფილმებში ბევრ მაღალმხატვრულ ეპიზოდურ როლს შეხვდებით და ყველა ეს როლი მსახიობთა და რეჟისორთა თანაშემოქმედების კარგი შედეგია.

ეპიზოდური როლების შესრულებაში დაოსტატებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა მსახიობის ზრდისათვის. იმის მაგალითად, თუ როგორ დაეხმარა ახალგაზრდა მსახიობს ზედინედ რამდენიმე ეპიზოდური როლის შესრულება, გამოგვადგება მსახიობ ვახტანგ ნინუას მიერ კინოხელოვნებაში განვლილი გზა. ფილმებში — „ქაჯანა“, „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“ შექმნილი შესანიშნავი ეპიზოდური სახეების შემდეგ ვ. ნინუამ კარგად განასახიერა არა ერთი მთავარი როლი.

ქართულმა ეკრანმა ბევრი იცის ახალგაზრდა მსახიობების მიერ შესანიშნავად შესრულებული ეპიზოდური სახეები. ბევრი ახალგაზრდა სიხარულთა და სრული პასუხისმგებლობით ეკიდება პატარა როლს, მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ შეხვდებით ისეთებსაც, რომლებიც გაურბიან ეპიზოდური როლების შესრულებას, თაკილობენ, საკუთარი ღირსების შელახვად მიაჩნიათ. მათ, როგორ ჩანს, ავიწყდებათ სტანისლავსკის ცნობილი დებულება დიდი და პატარა როლების შესახებ, რომლის შესანიშნავ გამართლებასაც ქართულ კინოხელოვნებაში წარმოადგენენ ჩვენი სახელოვანი მსახიობები: უშ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ც. წუწუნავა, აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, ც. ამირეჯიბი, შ. ღამბაშიძე, აღ. ჟორჯოლიანი, ს. თაყაიშვილი, აღ. თაყაიშვილი, გ. შავგულიძე, აკ. კვანტალიანი, კ. დაუშვილი და სხვები. მათ მიერ ეპიზოდურ როლებში შექმნილი სახეები სამუდამოდ დარჩება კინემატოგრაფიის ისტორიაში, როგორც აქტიორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

და განა მართო ესენი! ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი გვყავს ეპიზოდური როლების შესანიშნავი შემსრულებელი, რამდენი პატარა, მაგრამ მაღალმხატვრული სახით არის მდიდარი ქართული კინოხელოვნება. ეს სერიოზული კვლევის საგანია. ჩვენ გვინდა შევეჩერდეთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

მრავალი როლი შეასრულა კინოში მსახიობმა მ. ჩახავამ. ამჟამად მხოლოდ ერთი მათგანი გვინდა მოვაგონოთ მკითხველს — მეუზოვე იეზიდი ქალი ფილმიდან „მანანა“. მ. ჩახავას მეუზოვე ქალი ძალზე კოლორიტული, ცოცხალი, მხატვრულად სრულყოფილი სახეა. მართო ერთი ის სცენა, როცა სახლმმართველი მეუზოვეს ქურდობას აბრალებს, საკმარისია იმისათვის, რომ მსახიობის წარმატებაზე ვილაპარაკოთ, როგორ განცვიფრებული, აღშფოთებული და შეურაცხყოფილია ეს ალალმართალი შშრო-

მელი ქალი დაუფიქრებელი ცილისწამებით... მის აღშფოთებასა და განცვიფრებაში ნათლად ჩანს მისი მართალი ბუნება, მთელი მისი ცხოვრება.

ახლა უფრო ძველი ფილმები გავიხსენოთ. მოვიგონოთ „უკანასკნელი მასკარადის“ დასაწყისი — ეზოში შემოდის მხარზე არღანგადაკიდებული მამაკაცი, უკრავს და მღერის „სულიკოს“, თან ყურადღებით ათვალეირებს ეზოს. მისი გარეგნობა, სიარული, სიმღერა მაყურებელს ელვის სისწრაფით თვალწინ გადაუშლის ეპოქას, მაყურებლის თვალწინ აცოცხლებს მეოცე საუკუნის დასაწყისის თბილისს. კ. ყარალაშვილის მიერ შექმნილი ეს დიდებული სახე სამუდამოდ რჩება მაყურებლის მეხსიერებაში. ან მეორე შესანიშნავი, მეტად დამახასიათებელი სურათი ამავე ფილმიდან: ციხეში, ტუსადთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებო აქტიორული სახე მეგრელისა, არკ. ხინთიბიძის განსახიერებით. მისი სახე სწრაფად გაიელვებს ეკრანზე, მაგრამ სამუდამოდ კი ამახსოვრდება ადამიანს.

ეპიზოდური როლების შემსრულებელ მსახიობთაგან ქართულმა კინომ იცის ისეთი სახელები, როგორცაა ჩ. ჩხეიძე, ირ. ნიქარაძე, ალ. კვალაიაშვილი, ელ. იმერელი, ზ. ტერიშვილი, დ. სუხიტაშვილი და მრავალი სხვა, რომელთაგანაც ამჟამად მხოლოდ ორზე — ჩიტოლია ჩხეიძესა და ირაკლი ნიქარაძეზე შევჩერდებით, და შევეცდებით მკითხველს მოკლედ გავაცნოთ შემოქმედებითი გზა ამ საინტერესო მსახიობებისა, რომელთაც აქტიორული შემოქმედების 30 წელი შეუსრულდათ. ვფიქრობთ, ცოდვად არ ჩაგვეთვლება, თუ ამ წერილში მათ სხვებთან შედარებით მეტ ადგილს დავუთმობთ.

ნინო გიორგის ასულ (ჩიტოლია) ჩხეიძეს კინომაყურებელი პირველად 1930 წელს გაეცნო ფილმში „ხუთწლელი ოხწყლედში“. იგი მაშეიკოს ეპიზოდურ როლს ასრულებდა. და მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ 30 წელმა განვლო, ყველას, ვისაც კი ეს ფილმი უნახავს,

კარგად ახსოვს სიცოცხლით სავსე, ლამაზი, ცქრიალა მაშეიკო.

ფილმში „უკანასკნელი ჯვაროსნები“ ახალგაზრდა მსახიობს წილად ხვდა ხევსური ქალის თითქმის სრულიად უსიტყვო როლი, მაგრამ რეჟისორ სიკო დოლიძის დახმარებით მან შესძლო გამოენახა ისეთი ფერები, ისეთი დეტალები, რომ ხევსური ქალის სახე შთამბეჭდავი გახდა.

ჩიტოლია ჩხეიძის შემდგომი მუშაობა დაკავშირებული იყო ქართული კინემატოგრაფიის ისეთი ოსტატის სახელთან, როგორცაა მიხეილ ჭიაურელი. მის ბრწყინვალე ფილმში — „უკანასკნელი მასკარადი“ ჩიტოლია ჩხეიძე ნინოს ეპიზოდურ როლში ნახა მაყურებელმა. ზემოთ მოვიხსენიეთ ამ ფილმში ეპიზოდური როლების შემსრულებელი, ჩვენი ხელოვნების შესანიშნავი ოსტატები კ. ყარალაშვილი და არკ. ხინთიბიძე, რომელთა გვერდით ახალგაზრდა მსახიობის ჩიტოლია ჩხეიძის დანახვა ნინოს პატარა როლში არავის ეჩოთირა.

1936 წელს ეკრანზე გამოვიდა ს. დოლიძის ახალი ფილმი „დარიკო“, რომელმაც ავტორს დიდი წარმატება მოუტანა. ამ ფილმზე მუშაობის დროს რეჟისორმა გაიხსენა ჩიტოლია ჩხეიძე და მისცა მარინეს როლი. და თუმცა მარინეს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა დათმობილი ეკრანზე, ჩიტოლია ჩხეიძემ მაინც მოახერხა მდიდარი საღებავების საშუალებით შეექმნა გურული გლეხის ქალის მეტად კოლორიტული სახე.

ნათელი იყო, რომ მსახიობს უნარი აქვს მცირე მასალიდან შექმნას სისხლხორცით სავსე სახე, განასხვავოს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ფილმში შესრულებული როლები, ზოგჯერ ერთფეროვანნიც კი. ჩხეიძე მეტად მომთხონია საკუთარი თავისადმი, მუყაითი და გულისყურითაა მუშაობაში. ფილმებში „მეგობრობა“ და „კრიჟინა“ ჩხეიძემ განასახიერა ჩვენი თანამედროვე კოლ-

ლალი ყურულაშვილი

ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ

მეურნე ქალები, პირველში ჩიტოლიას, ხოლო მეორეში აგრაფინას სახით. მისი ჩიტოლია და აგრაფინა არ გვანან ერთიმეორეს არც ქცევით, არც გამოხედვით, არც ხმით; მით უმეტეს, სრულიად არა ჰგავს არცერთი მათგანი ზღაპრის მედიდურ, კდემამოსილ დედოფალს ფილმიდან — „ჯურღაის ფარი“.

რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას ჩიტოლია ჩხეიძე შეხვდა კინოფილმ „ნარინჯის ველზე“ მუშაობის დროს, სადაც მსახიობმა მშვენივრად, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით განასახიერა კომკავშირელი ქალიშვილის ფატიის როლი. მისი ფატი ცოცხალი, ენერგიული, ნათელი სახეა, ძალზედ მომხიბლავი და მტკიცე.

ისეთ რეჟისორებთან მუშაობას, როგორც არიან მიხეილ ჭიაურელი, ნიკოლოზ შენგელაია და სიკო დოლიძე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდა მსახიობის შემოქმედებით ზრდისათვის, მით უმეტეს, რომ იგი კინოხელოვნებაში მოვიდა ისე, რომ არც რაიმე სპეციალური განათლება ჰქონია და არც პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ამ რეჟისორებთან მუშაობა იყო ჩიტოლია ჩხეიძისათვის შესანიშნავი აქტიორული სკოლა. დიდად შეუწყო ხელი მსახიობის ზრდას მისმა პირადმა თვისებებმაც, დაკვირვებულობამ, საქმის სიყვარულმა და კეთილსინდისიერებამ.

ყოველივე ამან განაპირობა „დაგვიანებულ სასიძოში“ ცეცილიას, „დაკარგულ სამოთხეში“ — ნიფადორას, „ჭირვეულ მეზობლებში“ — კოლმეურნეობის თავმჯდომარის დასამახსოვრებელი, მრავალფეროვანი მხატვრული სახეების შექმნა.

კინოფილმებში — „ქაჯანა“, „პოეტის აკვანი“ და „მაგდანას ლურჯა“, ჩიტოლია ჩხეიძემ განახორციელა რევოლუციამდელი გლეხი ქალების როლები, ფილმში „დავით გურამიშვილი“ — თავადის ქალი, ხოლო ფილმებში — „ბედნიერი შეხვედრა“, „ჩრდილი გზაზე“, „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“, „ყვავილი

თოვლზე“ — სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის თანამედროვე ქალები.

მაყურებელს უყვარს ჩხეიძე, ყოველთვის სიხარულით ხვდება მის გამოჩენას ეკრანზე და თუმცა მსახიობისა და მაყურებლის ეს შეხვედრები არასოდეს არ არის ხანგრძლივი, ჩხეიძე მაინც ყოველთვის ახერხებს მაყურებლის წინაშე გააცოცხლოს თავისი გმირი.

ჩიტოლია ჩხეიძისაგან განსხვავებით, მსახიობ ირაკლი ნიჟარაძის აქტიორული ბიოგრაფია დაიწყო 1930 წელს, მარჯანიშვილის თეატრში მუშაობით, სადაც მან ორი სეზონი გაატარა ქართული სცენის შესანიშნავი ოსტატების გვერდით, საბჭოთა ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

ამ ორი წლის მანძილზე ირ. ნიჟარაძემ 20-ზე მეტი ეპიზოდური სახასიათო როლი განასახიერა და როგორც მნახველები იგონებენ, — ძალზე კარგადაც. სპექტაკლებში „როგორ“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „ურიელ აკოსტა“ და „კაკალ გულში“ ირ. ნიჟარაძეს სამ-სამი ეპიზოდის განხორციელება მოუხდა და ყოველი მათგანისათვის მსახიობი პოულობდა განმასხვავებელ, დამახასიათებელ, როლის ხასიათიდან გამომდინარე შტრიხებს. შემდეგშიც, კინოში მუშაობის დროს, მას არაერთხელ ჰქონია შემთხვევა ერთ ფილმში ორი ან სამი ეპიზოდური როლის შესრულებისა და აქაც ყოველთვის ისევე შესრულების ხერხების, დეტალების გასაოცარ მრავალფეროვნებასთან გვექონდა საქმე. ახალგაზრდა მსახიობის ხალასი ნიჭი არ გამოეპარა კოტე მარჯანიშვილის მახვილ, დაკვირვებულ თვალს და ხშირად საპასუხისმგებლო ეპიზოდურ როლებს ანდობდა. მარჯანიშვილის დარიგება: ახალგაზრდა მსახიობისათვის მთავარია დისციპლინა, ცხოვრების ღრმა შესწავლა, ბევრი კითხვა და პირად ცხოვრებაში მისაბაძი, სამაგალითო საქციელი, ირ. ნიჟარაძემ სამუდამოდ დაიმახსოვრა და სახელმძღვანელოდ გაიხადა.

1933 წელს ირ. ნიჟარაძე თბილისის მოძრავ საკოლმეურნეო თეატრში გადავიდა სამუშაოდ. აქ იგი პასუხსავე როლებს ასრულებდა და მალე დაიმსახურა მაყურებლის სიყვარული, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ირ. ნიჟარაძე თეატრში დარჩენილიყო. იგი ეძებდა, გული სხვაგან მიუწევდა, და აი, 1936 წ. ირ. ნიჟარაძე ჩაირიცხა თბილისის კინოსტუდიასთან არსებულ კინომსახიობთა სასწავლებელში — იპოვნა თავისი ადგილი ხელოვნებაში. ნიჟარაძე, მუყაითი, მონდომებული ახალგაზრდა კურსზე ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. კინომსახიობთა სასწავლებელში სწავლის სამი წლის მანძილზე ირ. ნიჟარაძემ სხვადასხვა ხასიათის როლების შესრულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სტუდენტთა სასწავლო სექტიკალებში — „რდევვა“, „ორი ბატონის მსახური“, „იჭვიანი მოხუცი“, „შენი ქირიმი“ და „იმედის დაღუპვა“.

ამავე პერიოდში ირ. ნიჟარაძემ განახორციელა მთელი რიგი ეპიზოდური როლები კინოფილმებში. დავით რონდელის „დაკარგულ სამოთხეს“ მსახიობი იგონებს, როგორც თავის პირველ ნათლობას კინოში. ამის შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ფილმებში „დარკო“, „არსენა“, „ნარიჩხის ველი“. აქაც, როგორც ჩიტოლია ჩხვიძემ, ახალგაზრდა მსახიობმა ს. დოლიძის, მიხ. ჭიაურელისა და ნ. შენგელაიას გვერდით განვლო პრაქტიკული სკოლა, იქნებ არაკლებ ნაყოფიერი, ვიდრე ოფიციალური სასწავლებელი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ერთ წელიწადში ირ. ნიჟარაძემ ითამაშა სევესტის როლი „მეგობრობაში“ და სოფლის მწერალი „ქაჯანაში“. ამ უკანასკნელის კარგად შესრულებისათვის იგი ე. წ. დამხმარე შემადგენლობიდან მსახიობად გადაიყვანეს. ამ დღიდან მოკიდებული ძნელად იპოვნით ქართულ ფილმს, რომელშიც ირ. ნიჟარაძეს ერთი, ორი და ზოგჯერ სამი ეპიზოდის არ განეხორციელებინოს. ერთი მეტად დამახასიათებელი ფაქტი მოხდა „გიორგი

საკაძის“ გადაღების დროს, სადაც ირ. ნიჟარაძეს ყოველ სერიასი 2-2 როლი აქვს შესრულებული.

ექსპედიცია სოფ. ქსოვრისში იმყოფებოდა. ერთ-ერთი გადაღების დღეს ნიჟარაძემ (იმ დღეს იგი თავისუფალი იყო), გადაიკვა გლეხის ტანსაცმელი, მხატვარ-გარიმორის გრ. მხეიძის დახმარებით გაიკეთა ღრმად მოხუცის გრიმი და ასე ჩაისვირნა გადაღების ადგილისაკენ. მიხ. ჭიაურელმა მაშინვე მიაქცია ყურადღება ძალზე საინტერესო, დამახასიათებელი გარეგნობის მოხუცს და მოახმობინა იგი, როგორც შესანიშნავი ტიპი. ვერავენ იცნო ირ. ნიჟარაძე, ვიდრე მან არ დაილაპარაკა.

ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ირ. ნიჟარაძემ ათობით ეპიზოდური როლი შეასრულა სხვადასხვა ფილმში, სხვადასხვა რეჟისორთან უხდებოდა მუშაობა. წლების მანძილზე მსახიობმა შეიძინა მდიდარი გამოცდილება, ოსტატობა, შექმნა ბევრი ძალზე საინტერესო სახე.

1948—1952 წლებში ირ. ნიჟარაძე მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მუშაობდა მსახიობად. სახასიათო როლების კარგი შესრულებით მან მალე დაიმსახურა ნორჩი მაყურებლის სიყვარული. მსახიობს თეატრში საკმაოდ კარგი მდგომარეობა ჰქონდა. არ აკლდა არც საინტერესო სამუშაო, არც შრომის დაფასება, არც მაყურებლის სიყვარული; მიუხედავად ამისა, გულმა მაინც კინოსაკენ გაუწვია. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მას არც თეატრში მუშაობის დროს გაუწყვეტია კინოსთან კავშირი.

კინოში მუშაობის 23 წლის მანძილზე ნიჟარაძემ ბევრი ეპიზოდური როლი ითამაშა და მრავალფეროვან სახეთა გალერეა შექმნა. მკვეთრი შტრიხის, მკაფიო ნახატის, ნათელი ფერების ოსტატი, იგი ეპიზოდურ როლებს ანიჭებს სიღრმესა და კოლორიტობას, ქმნის განზოგადებულ ტიპიურ სახეებს.

ღალი ყურულაშვილი

ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ

... სოფლის ორღობეში მიდის ჯოხზე დაყრდნობილი, ჩამოფლეთილი, ფეხშიშველა მათხოვარი. აი, იგი მიაღდა ერთ ქიშკარს. მისი ნაბიჯი ფრთხილია, გაუბედავი, თითქოს ეშინია იმისი, რასაც უახლოვდება, მაგრამ სახეზე ამ დროს იმედის სხივი დასათამაშებს, რაღაც სასიხარულოსაც მოელის თითქოს. და ეს ხომ მართლაც ასეა: გლახას ეშინია კიდევ ოთარაანთ ქვრივის რისხვისა და დარწმუნებულებაც არის მის სიკეთეში.

როდესაც გლახა სვამს ოთარაანთ ქვრივის მიერ გიწოდებულ ღვინოს, ხოლო მაყურებელს ესმის ქვრივის სიტყვები — „მოხლე ჩარჩენილა ჭურჭელში, თორემ კარგ ღვინოს შენ როგორ დაგაღვეინებო“, გლახას სახე გარწმუნებთ, რომ ღვინო, რომელიც მას დააღვეინეს, ჩინებული იყო და რომ იგი მშვენიერად ხვდება ოთარაანთ ქვრივის ამ დაყვედრების აზრს, ხვდება და მაყურებელსაც მიახვედრებს.

გლახას ამ პატარა როლით ირ. ნიჟარაძემ ხაზი გაუსვა ფილმის მთავარი გმირის უაღრესად კეთილსა და თავისებურ ხასიათს.

ფილმის მთავარი გმირის ხასიათის ერთ-ერთი თვისების გამოკვეთასვე ემსახურება ირ. ნიჟარაძის მიერ „ფატმაში“ წარმოსახული მოხუცი. სიცოცხლითა და თავისუფლების წყურვილით სავსე ჯამბულატი სატუსალოში შეაგდეს, სადაც მას ჩონჩხაქტეული, სულიერად უკვე მკვდარი მოხუცი დაუხვდა. ტუსალი ბედს შერიგებია, ზის საკანში და მორჩილად ელის აღსასრულს, ხოლო მთლად რომ არ დაჰკარგოს დროის ანგარიში, წლებს რამაზანის დღეს გასროლილი ზარბაზნის მიხედვით ითვლის, ითვლის და კედელზე ინიშნავს. ამასვე უჩივებს ჯამბულატსაც, როდესაც ეს უკანასკნელი იმედიანად ამბობს — მე მაინც გავიქცევო. შემდეგ სცენაში ჩვენი ტუსალი იმას აღარა ჰკავს, რაც პირველად ვნახეთ. მას თითქოს ჯამბულატის რწმენა, ახალგაზრდობა და ენერჯია გადასდებია, — მასთან ერთად თხრის ხერხელს სატუსალოდან გასაქცევად. რა უზომო სიხარულით არის სავსე მისი

შეძახილი: „ჯამბულატ, კედლის იქით ზღვა ხმაურობს“. ამ სიტყვებში თქვენ ნათლად გესმით, რომ ზღვის ხმაურთან ერთად აგერ, სულ ახლოა თავისუფლება.

სახის სრულიად თავისებური გადაწყვეტაა ჯაშუში საჭურისის როლი ფილმში „მამლუქი“. ეს სახე ფილმის იდეის გახსნას ემსახურება და მიუხედავად პატარა მოცულობისა, დიდად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

...სატრფოსთან პაემანზე მიმავალ მამულს ჩრდილი მისდევს ქალაქის ქუჩებში. შეშარავად მიაბიჯებს ჯაშუში. ყურადღებად ქცეულა იგი, ოდნავ წინ წახრილა — თითქოს ეშინია, რაიმე არ გამოშეპაროსო. თვალეები ბოროტი ცეცხლით უელავს. სახეზე ავის მომასწავებელი კმაყოფილება აღბეჭდვია. ნიშნისმოგებით გაიღიმებს ხანდახან. უთვალთვალებს ჯაშუში მსხვერპლს და ნეტარებს: ახლა კი ვეღარსად წამივო...

შემადრწუნებელი, შეშარავია ირ. ნიჟარაძის მიერ წარმოსახული საჭურისი — ჯაშუში, და სავსებით დამსახურებულ ზიზღს იწვევს მაყურებელში. ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიგონოთ ერთი ფაქტი:

ფილმის ამ ეპიზოდების გადაღება ბაქოს ქუჩებში წარმოებდა. გადაღებას ბევრი ცნობისმოყვარე ესწრებოდა, განსაკუთრებით ბავშვები. ირ. ნიჟარაძის ჯაშუში საჭურისი მათ იმდენად რეალურ პიროვნებად აღიქვეს, რომ მსახიობს დასდევდნენ და ქვიშას აყრიდნენ. ხედავდა მსახიობი ბავშვების ამ რეაქციას და გული სიხარულით ევსებოდა — მისი მიზანი მიღწეულია. მან შეძლო გმირის სწორად წარმოსახვა.

ზემოთ ჩვენ გავიხსენეთ ირ. ნიჟარაძის სამი როლი, განზრახ — ერთი და იმავე პერიოდისა. მსახიობმა იმდენად შეძლო მათი ერთმანეთისაგან განსხვავება, რომ არა თუ უცნობი მაყურებელი, კარგი ნაცნობებიც კი ძნელად ახერხებდნენ ამ სამი ეპიზოდური როლის შემსრულებელში ეცნოთ მსახიობი ირ. ნიჟარაძე.

აი კიდევ ერთი სახე, ისევ მძაფრი, ისევ ძალზე მკვეთრი ფერებით დახატუ-

ლი, მეტად ცხოველი და, ამავე დროს, საოცრად ცხოვრებისეული, ზომიერი და ადამიანური, იქნებ უფრო ზომიერიც კი, ვიდრე ყველა სხვა სახე ამ ფილმში. ეს არის ბუღალტერი მოკლემეტრაჟიან კინოფილმში „ბურთი და მოედანი“. ისეთ ადამიანებს, როგორც ირ. ნიჟარაძის ბუღალტერია, ყოველი ჩვენთაგანი თითქოს ძალიან ბევრს იცნობს, და ძალიან კარგადაც. მაგრამ ეს არ არის ვიღაც კონკრეტული ნაცნობი. ეს არის ყველა-სათვის კარგად ნაცნობი ჩვევებისა და თვისებების ნაკრები, ეკრანზე ძალიან ცოცხლად, დიდი სიმართლით ასახული.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოვიდა რამდენიმე ქართული ფილმი, რომლებშიაც მაყურებელმა ვეღარ ნახა ირ. ნიჟარაძე. ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამის მიზეზი ის როდია, თითქოს მსახიობმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დამთავრა შემოქმედებითი ცხოვრება. არა, 1961-62 წლები მსახიობის შემოქმედებაში მეტად მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს. ამ დროის უმეტესი ნაწილი ირ. ნიჟარაძემ მოძმე უზბეკეთში გაატარა, სადაც მიწვეული იყო კინოსტუდია „უზბეკფილმის“ მიერ საბავშვო კინოფილმში „პამირის შვილები“ ერთ-ერთი მთავარი როლის — სკოლის დარაჯის ატობეკის როლის შემსრულებლად.

ფილმის დამდგმელი რეჟისორი ვ. მოტილი და მთელი გადამღები ჯგუფი ძალიან კმაყოფილია ირ. ნიჟარაძის მუშაობით:

„მიუხედავად გადაღების ძალზე მძიმე პირობებისა ზამთარში, პამირზე, მსახიობი ნიჟარაძე უზადოდ მუშაობდა და გადამღები ჯგუფის ყველა წევრისათვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა.

რაც შეეხება შემოქმედებით მხარეს, მსახიობმა ნიჟარაძემ სწორად გახსნა თავისი გმირის სახე და მრავალწახნაგოვნად წარმოსახა იგი. მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე მსახიობი დაუღალავად ეძებდა სულ ახალ და ახალ შტრიხებს სახის გასამდიდრებლად.

კინოსტუდია „ტაჯიკფილმი“ მადლობას უხდის მსახიობ ნიჟარაძეს კარგი შემოქმედებითი მუშაობისა და დისციპლინისათვის — გკითხულობთ ტაჯიკეთიდან გამოგზავნილ დახასიათებაში.

ტაჯიკეთიდან დაბრუნების შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა, პერიოდიც საკმაოდ არახელსაყრელი იყო — ზაფხულის მიწურული, გადამღებ ჯგუფთა უმრავლესობა ან ამთავრებდა გადაღების პერიოდს, ან ემზადებოდა ახალ სურათზე მუშაობის დასაწყებად. მიუხედავად ამისა, ირ. ნიჟარაძისათვის სამუშაო მაინც აღმოჩნდა — მას თითქოს ელოდა თავისი საქმე. ამჯერად ეს იყო ეპიზოდური სახეები ფილმებში „ალავერდობა“ (მღვდელი) და „არდადეგები“ (მწყემსი). ეს ორი ეპიზოდი მსახიობისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან იგი ახალგაზრდა რეჟისორებთან გიორგი შენგელაიასა და მერაბ კოკოჩაშვილთან მუშაობის შედეგად შეიქმნა.

ჩვენს წერილში ეპიზოდური როლების შემსრულებელ მსახიობთაგან ძირითადად ორი ოსტატის შემოქმედებას შევხებით. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, წერილი შეზღუდულია, მაგრამ თუ იგი ვინმეს აღუძრავს სურვილს უფრო ღრმად შეისწავლოს ეს საკითხი, ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით.

ლალი ყურულაშვილი
ზოგი რამ ეპიზოდური როლების შესახებ





კრიტიკა ზეგნობითა

ნოზარ ჩხეიძე

პირველი წიგნი

ყოველი მწერალი, თუ ის რამედ ღირს, ახალი და ორიგინალური უნდა იყოს. მან ლიტერატურაში უნდა მოიტანოს თავისი ხასიათი, ცხოვრება და ბიოგრაფია. არ არსებობს ორი ადამიანი, რომელთაც ერთნაირი ცხოვრებისა და ბედის მიუხედავად, ერთნაირი ხასიათი ჰქონდეთ. ის საერთო, რაც ერთ დროში დაბადებული და გაზრდილი მწერლების ბიოგრაფიასა და ცხოვრებაშია, ქმნის ერთიან ლიტერატურულ თაობას. სწორედ ეს საერთო მომენტები და ნიშნები განსაზღვრავს თვისობრივად ერთიან ლიტერატურულ პროცესს. მათი დადგენა და მეცნიერული კლასიფიკაცია აუცილებელია, რისი უადრესად ნიჭიერი, დაკვირვებული ცდები უკვე ჩატარდა ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. დროდადრო თაობის წარმომადგენელი მწერლები იღებენ მკვეთრად ორიგინალურ სახეს და ჩვენც ვმსჯელობთ უკვე არა მთელ თაობაზე, უკვე არა საერთოსა და ყველასათვის სავალდებულოზე, არამედ განმასხვავებელსა და მნიშვნელოვანზე; თაობიდან თანდათან გამოირჩევიან ყველაზე ნიჭიერი, შრომისმოყვარე ინდივიდები, რომლებიც თავისი ორიგინალური, მწერლური სახის შექმნასთან ერთად, ერთბაიროვნულად წარმართავენ საერთო ლიტერატურულ პროცესებს. თაობას თანდათან ჩამოსცილებიან ადამიანები, რომელთაც ერთმანეთთან მხოლოდ ასაკი, ბიოგრაფია და დასაწყისში ერთნაირი ლიტერა-

ტურული თემატიკა აკავშირებდათ და რომელთა ნიჭმა, გონებამ, შრომისმოყვარეობამ ვერ გაუძლო დროის გამოცდას. ყოველი ლიტერატურული თაობა, თუ მას რამდენიმე ძლიერი, ზედმიწევნით ორიგინალური წარმომადგენელი არა ჰყავს, ხელოვნურადაა შექმნილი, ფიქციაა.

ყოველი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ კარგ მკითხველს შეუძლია თამამად თქვას, რამდენად საინტერესოა კაცი, რომელმაც ეს ნაწარმოები დაწერა. ეჭვგარეშეა, მკითხველზე გავლენას ახდენს სწორედ საინტერესო, მნიშვნელოვანი პიროვნება, — იქნება ეს პერსონაჟი თუ ავტორი.



მე მინდა ჩვენი ჟურნალის მკითხველთა ყურადღება შევაჩერო საინტერესო ახალგაზრდა მწერალზე, რეზო ქვიციანი. შვიდი წელია, რაც ქართულ ლიტერატურულ პრესაში მისი მოთხრობები იბეჭდება, მაგრამ ამ საკმაოდ ხანგრძლივ დროში მან მხოლოდ თხუთმეტი პატარა მოთხრობა გამოაქვეყნა. ამ დროისათვის ეს მეტად მცირეა. მაგრამ რეზო ქვიციანი ცოტას არ წერს. მას უყვარს წერა და, როგორც იტყვიან, ეწერება კიდეც. თუ ის ცოტას ბეჭდავს, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ მოთხოვნებს უყენებს საკუთარ თავს. მისი მოთხრობების პირველი წიგ-

ნიც — „ზზიანეთი“ — აღბეჭდილია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, როგორც საკუთარი თავის, ისე მკითხველის წინაშე.

მისი ყოველი მოთხრობა აღბეჭდილია მტკიცე რწმენით — საინტერესოა არა ის, თუ რას ხედავ, არამედ როგორ ხედავ. საინტერესოა კაცი, რომელმაც ნახა, განიცადა და გადმოსცა, რადგან ყოველთვის, ამბავსაც და მოვლენებსაც ჩვენ მისი თვალითა და გონებით ვუყურებთ. და თვით ამბის მნიშვნელობაც, ადამიანის მოქმედებისა და სხვარების აზრიც, ლიტერატურაში განსაკუთრებით, დამოკიდებულია მისი ამსახველი და შემქმნელი ავტორის პიროვნებაზე.

როცა რეზო ჭეიშვილის მოთხრობებს კითხულობთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს უთუოდ აქვს კარგი ლიტერატურული გამოცდილება, რომ მან გაიარა ლიტერატურული ძიებების გზა და შესძლო ჩამოეყალიბებინა თავისი მწერლური მსოფლშეგრძნება და მტკიცე მხატვრული პოზიციები.

რა შეიძლება ითქვას მის მანერაზე, სტილზე? პირველ რიგში ის, რომ მისი მანერაცა და სტილიც შეესაბამება მის თვალს, ხილვის გროტესკულ ხასიათს (ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ბევრი ახალგაზრდა მწერლის ხედავ სხვანაირია, მანერა კი სხვანაირი); შეესაბამება ამბავს, რომელსაც ყვება, განცდას, რომელსაც გადმოსცემს, სიტუაციას, რომელსაც ქმნის; შეესაბამება, რაც მთავარია, მისი აზროვნების ხასიათს. სწორედ ამიტომაც მისი მოთხრობები სასიამოვნო საკითხავი. ამ მოთხრობებში არაა წყალწყალა ადგილები, დაუდევრად, უმიზნოდ, შინაგანი ფსიქოლოგიური მოტივების გარეშე დაწერილი ფრაზები. მან იცის ფრაზის ყადრი, აქვს მისი თანდაყოლილი გრძნობა. მისი სტილი პოეტური, დახვეწილი და პლასტიურია. მწერალი ხატავს თავის პერსონაჟებს მოქმედებაში. მწერალი არ ფიქრობს და არ აზროვნებს პერსონაჟების მაგიერ, ის მხოლოდ გადმოსცემს, და უნდა ითქვას, იშვიათი ტაქტით, მათი სულისა და აზრის მოძრაობას, მათს განწყობას.

პირველი მსოფლიო ომიდან სოფელში დაბრუნდა ჯარისკაცი. თან ჩამოჰყვა დაღლილობა, ძილში ლაპარაკის ჩვევა და ხის ფეხი. ომიდან ბევრი არ დაბრუნებულა, მაგრამ რალაც სასწაულით დაბრუნდა ომის დროს მოზილიზებული თითქმის ყველა სახედარი. ჯარისკაცი ახლა მიწაზე ზის, მსხლის ძირში. მეზობლებსა და მის ძმას უკვირთ, რომ ის დაბრუნდა და აქეთურსა და იქითურს ყვებიან, თავიანთ გაჭირვებაზე ლაპარაკობენ.

ჯარისკაცი ფიქრობს:

„აქ მაინც ყველაფერი წესრიგშია. დაუსაფლავებიათ ჩემი მშობლები, ძმას ცოლი შეურთავს, შვილები გაუჩენია... აღბათ იმიტომ იყო, რომ არ მელოდნენ. მე აბა ახლა აქ რა უნდა გავაკეთო ისეთი... მითუმეტეს, სახედარც ჩამოუვიდათ. ჩემი ძმა მშრომელი კაცია. ამ ეზო-გარემოს უჩემოდაც მოუვლიდნენ... ბოლოს რალაც იქნებოდა... ყველაფერს ეშველებოდა. შეიძლებოდა არ ჩამოვსულიყავი. მაინც არ მელოდნენ... შეიძლება მე შემთხვევით ჩამოვედი, ანდა... შემთხვევით წავედი, რა ვიცი!.. ის ბავშვი რატომ ოხრავს, ნეტავი?“

მინდა ცდუნებას არ ავყვე და დეტალურად არ გავარჩიო ეს საკმაოდ მრავლისმეტყველი ამონაწერი. დამერწმუნებით, რომ აქ არის შინაგანი მონოლოგიც, ტკივილისა და სიბრალულის მომგვრელი ქვეტიქსტიც. ე. წ. „ცნობიერების სტიქიური დინებაც“ და რაც მთავარია, ყოველივე ეს საოცრად მართალი, ბუნებრივი, ყოველმხრივ მოტივირებული და ამავე დროს ზედმიწევნით სუბიექტურია. ეს ქვეშარითი მწერლობაა.

ტექნიკურმა სიახლეებმა ფორმის, სიუჟეტის, განსაკუთრებით კი კომპოზიციის სფეროში, ზედმიწევნით თავისუფალმა ასოციაციურმა არქიტექტონიკამ უკვე დაკარგა ის ძალა, რომელიც ამ სიახლეს და თამამ ექსპერიმენტს თან ახლდა. ყოველივე ეს უკვე აღარაა ნო-

ნოდარ ჩხეიძე
პირველი წიგნი

ვატორობა და მაშასადამე უკვე არ შეიძლება იყოს მოსათმენი თვითონიანი. ასეთ ტექნიკურ აღმოჩენებს, რაც უკვე არა ტექნიკაზე, არამედ შინაარსის ადექვატურად გამოსატყვანე უნდა მეტყველებდეს, გამართლება აქვს შესაფერი მასალის, პრობლემისა და გამომსახველობითი ხერხების აუცილებელი არსებობით. დღევანდელ ქართულ პროზაში უკვე გვაქვს ასეთი აღმოჩენების საკმაოდ გონივრული გამოყენების შემთხვევები. მაგრამ გვაქვს მაგალითებიც, როცა თვითონ ნაწარმოები ორგანულად და შინაგანად არ ამართლებს ამ ტექნიკური სიახლეების მამარჯვებას, მათ გამოყენებას, როცა პრეტენზია მეტია, ვიდრე შესაძლებლობა, როცა წარმოდგენა სცვლის ცოდნას და ახლებურად თქმის სურვილი — აუცილებლობას. სამწუხაროდ, ზედაპირულად მოაზროვნე რამდენიმე ახალგაზრდა მწერალმა უსიუჟეტო მოთხრობა, კომპოზიციური სიახლეები და ასოციაციური აზროვნება ისე გაიგო, თითქოს საჭირო არ იყოს დასრულებულობა და მთლიანობა, ერთიანობა და მკაცრი მხატვრული ლოგიკა ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

სწორედ დასრულებულობა და მთლიანობა, მკაცრი შინაგანი მხატვრული ლოგიკა შეადგენს რეზო ჭეიშვილის მოთხრობათა ერთ-ერთ მთავარ ღირსებას. ეს პირველ რიგში განსაზღვრულია იმით, რომ გარკვეული და ნათელია თვით ავტორის მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პოზიცია. კრებულში არის უსიუჟეტო მოთხრობები და უმეტეს მათგანში არაფერი ხდება მოულოდნელი, უჩვეულო, ისეთი, რაც ტრადიციული მოთხრობის თითქმის მთავარი საფუძველი და გამართლება იყო. მაგრამ თუ ამბავი არ იწყება, არ ვითარდება და არ მთავრდება, იწყება, თანდათან ძლიერდება და მთლიანდება განწყობა, რითაც მიღწეულია მოთხრობის ყველა შემადგენელი კომპონენტის მტკიცე ორგანიზაცია. აქ დიდ როლს ასრულებს რიტმი, რომელიც, სამწუხაროდ, არ არის ისეთი მძაფრი და დი-

ნამიური, როგორც ჩვენს ეპოქას შეეფერება, მაგრამ შესატყვისება მოთხრობათა საერთო ხასიათს. მისი მოთხრობების რიტმი შედარებით ერთფეროვანი, მოდუნებული და მელანქოლიურია, ესაა ნახევარტონების, მკვეთრად გაუმიჯნავი კონტურებისა და ნაღვლიანი სიცილის რიტმი.

ცხადია, ცხოვრებაში ბევრია ბედნიერი ადამიანი, ყოველ შემთხვევაში, ყოველი კაცის ცხოვრებაში არის ნათელი ბედნიერებისა და სიხარულის მომენტები, წუთები, დღეები. მაგრამ რეზო ჭეიშვილს ჯერ კიდევ არ დაუხატავს და აუწერია ასეთი ხალხი და ასეთი დღეები. მისი ყველაზე ბედნიერი და კმაყოფილი პერსონაჟების სიხარული მაინც სევდანარევი, მელანქოლიური და ნაღვლიანია. ეს ითქმის მოთხრობა „ბზიანეთის“ თორმეტ მამაკაცზეც, ამ კრებულის ყველაზე ბედნიერ ხალხზე. „ბზიანეთ“ ერთ ქალზე შეყვარებული თორმეტი მამაკაცის სევდიანი და სასაცილო, მაგრამ ღრმად ადამიანური და პოეტური ამბავია. კვირაში სამჯერ იკრიბებიან ისინი ბზიანეთის ქუჩაზე, რათა სიმღერის რეპეტიცია გაიარონ, ნებაყოფლობით, უგასამრჯელოდ, დატკბნენ ლამაზი ლოტბარის ცქერით და თავიანთი უცნაური სიყვარულის შეგრძნებით. ისინი სასაცილონი და მამაკაცურად მორცხვები არიან, ხოლო ქალი თამამი და ტაქტიანად ალერსიანია. მათ სჭირდებათ ერთმანეთი, უყვართ ერთმანეთი, ისინი ერთმანეთით ცხოვრობენ. ეს მშვენიერი მოთხრობაა იმიტომ, რომ გახსენებს,—ადამიანი წუთიერი და პატარა სიხარულითაც ცხოვრობს, მოლოდინით ცხოვრობს, მისთვის აუცილებელია სილამაზე და მისი სიყვარული... მთავრდება რეპეტიცია, საყვარელ ლოტბარს მიაკითხავს ქმარი და შინ წაიყვანს. მერე „გუნდის წევრები ქუჩის მთელ სიგანეზე, ერთი ტროტუარიდან მეორემდე, იშლებიან. სიცივისაგან ყველა ბეჭებშია მოხრილი. კიდევუ მიმავალი ცდილობს გაფუჭებული საწვიმარი ღარიდან ჩამოვარდნილი წვეთი კისერში არ ჩაუვარდეს

და პალტოს საყელოს ყურებამდე იწევს. სადღაც დაკიდებული მძკუტავი ნათურა ძლივს ანათებს. სველ გრანიტზე ჯერ ირიბულად გაწოლილი ლანდები მიცოცავენ, შემდეგ ადამიანები მიაბიჯებენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი მძლავრად განათებულ პროსპექტზე გადაიან, თავიანთ ლანდებს კარგავენ და ტროლეიბუსებსა და ხალხში ირევიან“.

რეზო ჭეიშვილი ადამიანში ეძებს და პოულობს ამაღლებულსა და მშვენიერ სულიერ სილამაზეს. ცხოვრებისაგან ფიზიკურად მოტეხილ ადამიანებშიც მისთვის ხშირადაა შენახული წმინდა მორალური საწყისები, პოეტური ოცნება და ფიქრი. მაგრამ ასეთი ადამიანების ხატვის დროს ის არასოდეს არ ქმნის „შესაფერ“, „ხელისშემწყობ“, მაგრამ ყალბ ატმოსფეროს. ქელებიდან დაბრუნებული ხეივანი ალბათ სიკვდილზე ფიქრობს. ის პაპიროსსა სთხოვს პირველი სართულის კიბეებზე მდგომ ახალგაზრდას. რამდენიმე ცალს ჯიბეშიც იწყობს. მერე უცნობს ეცნაურება. თვითონაც ამავე სახლში ცხოვრობს, ქალიშვილთან ერთად, ოღონდ დაბლა, სარდაფში, „მზე და ასეთი რამე ჩვენთან არ ჩამოდის“. მაგრამ ახლა მას იქნებ დაავიწყდა ქელები და სიკვდილი, ქალიშვილი და უმზეო სარდაფი. ახალგაზრდობაში მიზღვაური იყო და მერცხლების გადაფრენა აგონდება, ამაზე ფიქრობს.

„— რა კარგია ახლა ზღვა... ყველაფერი ბეღია: ერთ თვეში, ცოტა უფრო გვიან, ამინდს გააჩნია, მერცხლები გაფრინდებიან. ვინ იცის, რამდენი ვეღარ დაბრუნდება, რამდენს ბუდე დანგრეული დახვდება, რამდენი გზაში დაიღუპება: უამინდობისაგან, დაღლილობისაგან, უმშვიდობით... მერე მერცხალი ისეთი უწყინარია, სითბოს მოყვარული. მერცხალს მოწყენილს ვერ ნახავ... მხოლოდ თუ გალიაში ჩასვი, დარდისაგან მოკვდება...“

სათვლებიან ვაჟს უკვირს: ამხელა კაცი მერცხლების გულისათვის როგორ ტირისო, დაფიქრებული შედის სახლში.

ვაჟი მთელი დამე წუხდა, ესიზმრებოდა თევზები, ოქროსფერი, ლურჯწინწყლებიანი თევზები. ტრიალებდა, შფოთავ-

და, ვერ გაეგო, რატომ გაუფუჭდა ხასიათი, რას დარდობდა“.

არც ვაჟი, არც დედამისი ავტორს პოეტურად არ განუწყუცია; არც ხეივრის ხასიათი, მისი ქცევა არ განუტვირთავს უხეში, საკმაოდ ტლანქი დეტალებისაგან, მას სიტყვაც არ გადაუკრავს ხეივრის მდგომარეობასა და მისი ფიქრების ასოციაციურ, მაგრამ მტიკიცე ლოგიკურ კავშირზე. რა ხშირად მსჯელობენ ყალბი წარმოდგენებით ადამიანებზე, ანგარიშს არ უწევენ მათ ხასიათს, ინტერესებს, მათ მისწრაფებას პატარა, მაგრამ აუცილებელი სიამოვნებისა და ბედნიერებისაკენ. როცა ახალგაზრდა მწერალი ასეთ მოულოდნელ, რთულ, მაგრამ ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და ხასიათებს ხედავს, მისით ინტერესდება, მართლაც შეგიძლია ილაპარაკო მის კარგ თვალზე, პოეტურ ბუნებაზე და მისი შემოქმედების წმინდა მორალურ საწყისებზეც.

თავისი ხასიათით, მასალასა და თემასთან დამოკიდებულებით „მერცხლებს“ წააგავს „ლუკა პაჩიოლის ცხოვრების უკანასკნელი წლები“ და „მთვარიან ღამით“. ეს ორი და კრებულის კიდევ რამდენიმე მოთხრობა იუმორისტულია. საერთოდ რეზო ჭეიშვილი იუმორისტ მწერლად ითვლება.

რეზო ჭეიშვილის იუმორი ორგანულადაა დაკავშირებული ჩვენს წარმოდგენებთან ტრადიციულ იუმორისტულ პროზაზე. მისი იუმორი ღრმავა, არაზედაპირული, ის არ გვეძლევა თავისი წმინდა და განყენებული სახით, როგორც მისი შემოქმედების დამოუკიდებელი ფენომენი და მთავარი მამოძრავებელი ძალა ან თვითმიზანი. მასთან იუმორი მხატვრობის შედეგია და არა მხატვრობის საფუძველი. ის ხატავს სასაცილოს და არა სასაცილოდ. ის არაა აგებული, ძირითადად, მოულოდნელობასა და შესაბამებაზე, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ მაინც ფელეტონური და ანეგდოტური ხასიათი აქვს.

დღევანდელ ქართულ პროზაში, მიუ-

ნოდარ ჩხეიძე
პირველი წიგნი

ხედავდა იმისა, რომ გეყავს კარგი იუმორისტი მწერალი ნოდარ დუმბაძე, უნდა მივესალმით ამ ჟანრით დაინტერესებულ ყოველ ახალგაზრდას. ნოდარ დუმბაძე და რეზო ჭეიშვილი ქმნიან საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეს. მაგრამ მათი მხატვრობაცა და იუმორიც პრინციპში, საფუძველშივე განსხვავებული...

ჭეიშვილის იუმორისტული პერსონაჟებიც უმეტესად სერიოზული და ჭკვიანი ხალხია; მაგრამ ისინი მონატრებული არიან თანაგრძნობას, სიბოძს, დაფასებას. ასეთია გრიშა ნემსაძე, ლუკა პაჩიოლოს თაყვანისმცემელი, გამოცდილი და კარგი სპეციალისტი ბულალტერი. ახალგაზრდული ოცნებები ოჯახმა, შვილების გაზრდამ, დღენიადაგ ფულზე, ეკონომიურ უზრუნველყოფაზე ფიქრმა ინაცვალა. თავის ძველ, მეცნიერულ გატაცებასაც ვერ მოაბა თავი, ვერ დაწერა შრომა ლუკა პაჩიოლოზე. ბოლო დროს ხვრინვა დასჩემდა და ძილს უფრთხობს ქალიშვილს, ცოლს, მეზობელ საქონელმცოდნეს.

— ცალკე ცხელი ჰაერი, ცალკე ხვრინვა გვალრჩობს. ეს კაცი სუქდება და ხვრინვას უმატებს, — ამბობდა ცოლი... იყო დღეები, როცა გრიშა თავაუღებლივ აჩხაკუნებდა საანგარიშოს; მის ოჯახში ხვრინვაზე იყო ლაპარაკი.

— ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, ბიჭმა უნდა მოიყვანოს ცოლი. ვინ შემოვა ჩვენს ოჯახში? — ამბობდა გრიშას მეუღლე.

ცოლის ნათესავები მოდიოდნენ გრიშას ოჯახში და ლაპარაკობდნენ იქითურზე, აქეთურზე. ბოლოს მაინც ხვრინვაზე ჩამოაგდებდნენ საუბარს.

და გრიშა ნემსაძემ ცხვირის ოპერაცია გაიკეთა. იმ დღეს ყველას ადრე დაეძინა. მხოლოდ გრიშა ნემსაძე ფხიზლობდა და ფიქრობდა. „ფიქრობდა სიყვარულზე, სიყვარულზე არა როგორც ზოგად ცნებაზე, არამედ უბრალოდ, კონკრეტულად: თავის რომანულ დღეებს იგონებდა. ეს მოგონება სადღაც შორიდან მოდიოდა, მაგრამ მოდიოდა საგნობრივად, მოდიოდნენ მთვარის შუქზე მოგონებები. ყველა

ესენი გრიშას შეეძლო დაეთვალა, ან ხელით შეხებოდა რომელიმეს... გრიშასა და იმის სიყვარულმა და ცხოვრებამ შემდეგ ისე თვალსაჩინოდ და ხელშესახებად ჩაიარა, რომ გრიშას მისი ბოლო წლების ცხოვრებიდან ყველა მომენტი შეეძლო დაეთვალა, გაეყო, გაემარაგლებინა. ახლა ის, ესე იგი, მისი ცოლი, მეორე ოთახში იწვა. ვინც მეორე ოთახში იწვა, ის იყო ერთი და ნამდვილი, ხოლო ის, რომელიც უყვარდა, იყო უსაზღვრო და არაკონკრეტული. სინამდვილეში ის იყო ის, რომელიც მერე მისი ცოლი გახდა, მაგრამ მისი ცოლი მაინც სხვა იყო და ის კიდევ სხვა“.

გრიშამ მოუმატა და მოუმატა ხვრინვას.

„ნახევარ საათში ცოლი და ქალიშვილი ფეხზე დადგნენ“.

„მეზობელი საქონელმცოდნე პერანგისამარა გამოსულიყო ეზოში: — ფრონტზე სანგარში შეძინა, ეს რას ხვრინავს ასე, რომ საწოლში არ მაძინებს! — ფიქრობდა ცხოვრებისაგან ნერვებმომულილი საქონელმცოდნე და ვარსკვლავებს უყურებდა“.

გრიშა ნემსაძეს ესიზმრებოდა „არა სივერსი, რომელმაც მარტივი ბულალტერი ია ორმაგ ბულალტერიაზე გადაიყვანა. არც მამამისი ყარამან ნემსაძე, არც ის, რომელიც უყვარდა, არც ქირურგი, არამედ ესიზმრებოდა ლუკა პაჩიოლო, მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი საბულალტრო წიგნის ავტორი და მეგობარი დიდი ლეონარდო და ვინჩისა“.

ქალაქ აიაში მაინც ცხელოდა. თბილი ნიაფი ზანტად დადიოდა ქუჩებში. ფოლადისფერი მთვარე პრიალებდა ცაზე და ღამე დღესავით იყო განათებული“.

ასეთები არიან რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები, ასეთია მისი ჰუმორი, სევდა, მისი გამომსახველობითი ხერხები და ძალა, მანერა და რიტმი.

რეზო ჭეიშვილს უყვარს თავისთავთან მარტოდ დარჩენილი ადამიანების ხატვა. ესაა გრიშა ნემსაძე და გაიოზი, ბერი და დიომიდე, ალექსანდრე და სხვები. ისინი მარტონი არიან, მაგრამ არ არიან გამოწკლისები, ერთეულები. მათ ხასიათსა

და ცხოვრებაში გამოხატულია საერთო ადამიანური თვისებები. მისი პერსონაჟები სიტყვაძქუნწები არიან. ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ აუცილებელს, დამახასიათებელს, მაგრამ საჭიროსა და საკმარისს. ამით ისინი თავიანთ შემოქმედსა ჰკვანან.

თანამედროვე ლიტერატურაში ძალიან ხშირადაა ლაპარაკი მიწაზე, მიწასთან ადამიანის ურთიერთობაზე, მის სიყვარულსა თუ შიშზე. ეს დამოკიდებულება არა გავს მიწასთან გლეხის ტრადიციული მიმართების ასახვას ძველ ლიტერატურაში. ქალაქელი ადამიანი მონატრებულია მიწასა და ბუნებას. მისი ატავისტური ჩვევაა ბუნებასთან, მიწასთან დაბრუნება. მიწა მისი პირველი და საბოლოო თავშესაფარი. მარჩენალიცა და მეგობარიც.

უცნაური ბერი მიწისთვის ჩხუბში მოჰკლეს. ის მანამ ათრიეს, სანამ სული არ გააცხო. ადგილს ბერსათრიელა დაარქვეს, მაგრამ მიწა ბერის სოფელს დარჩა, რადგან ამ ამბით შეძრწუნებულმა მეზობელმა სოფელმა უარი თქვა თავის მოთხოვნაზე. უაზრო, მხეცურ სასჯელს ადამიანური სინანული და კეთილშობილური საქციელი მოჰყვა, ხოლო იმ ბერის სახელი, რომელმაც უსიტყვოდ გასწირა თავი სოფლისთვის — ლეგენდად იქცა.

ომიდან დაბრუნებულ დიომიდეს, რომელსაც ექვევება, უნდა დაბრუნებულდიყო თუ არა, შინ ძმა, რძალი და ძმისშვილები, ხოლო კერაზე ცეცხლი დახვდა. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, არ იყო მთავარი.

„დიომიდემ გამხმარი მიწა მუჭში გაფშენა. ხელები უფრო ღრმად ჩაჰყო ნიადავში და თვალეზი მილულა. მიწის დაგუდული სიმხურვალე ძვლებამდე უწევდა.

მთავარი მაინც ეს იყო“ (რეზო ჭეიშვილი).

„მოხუცს ისევ მოაგონდა თავისი კობტა სახლ-კარი, უზომოდ მოუნდა ვინმეს მისალმებოდა და შემდეგ მიწა მოეჩიქნა, თუნდაც სულ ცოტა“ (გურამ რჩეულიშვილი).

„მელონმა მანამ იარა სიბნელეში, სანამ თავისი სახლის განათებულ ფანჯ-

რებს არ დაშორდა. მერე მუხლებით თბილ მიწაზე დაეშვა. დაწვა. ფეხები ვაშალა და ხელები ღრმად ჩაჰყო რბილ, მოხნულ მიწაში. ასე იწვა მთელი ღამე, გარინდებული, მიწას ჩახუტებული. და გრძნობდა როგორ მტკიცეულად ამ მიწასთან ერთად უძგერდა გული“ (ერსკინ კოლდუელი, 1963 წ. „ნედელია“).

ამ ადამიანებისთვის მიწა ისევე საყვარელია, როგორც ზღვა სანტიაგოსთვის. მათ უყვართ მიწა ნაზი და ძლიერი მამაკაცური სიყვარულით, როგორც საყვარელი ქალი ან დედა.

რეზო ჭეიშვილის მოთხრობებში ყურადღებას იქცევს კოლორიტის იმეოათი, ძლიერი განცდა. კოლორიტულია როგორც მისი მანერა, ასევე ხასიათები, პასაჟები და, რასაც განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი, ერთიან და ზუსტ კოლორიტშია მოცემული მისი გმირების ცხოვრებისა და მოქმედების გარემო. უკანასკნელ ხანს ქართულ ლიტერატურაში შეიქმნა რამდენიმე, მეტნაკლებად საინტერესო ნაწარმოები, სადაც ასახულია უძველესი ქართული ქალაქის, ქუთაისის დღევანდელი სახე, ყოფა და ადამიანები. ადამიანის ხასიათსა და ჩვევებში ქვეშეცნულად ვლინდება გარემო, კუთხე, ტრადიცია და. თქვენ წარმოიდგინეთ, ის პეიზაჟიც, რომლის ფონზეც ის გაიზარდა და ჩამოყალიბდა. თავისი ორიგინალობით, ხასიათითა და სახით ქუთაისს ბევრი ქალაქი ვერ დაუდგება წინ. რეზო ჭეიშვილის მოთხრობათა გეოგრაფიული წარმოშობა ქუთაისსა და მის გარეუბნებთანაა დაკავშირებული. და მწერალი ძლიერია ამ გარემოს კოლორიტის განცდაშიც და მის მხატვრულ გადმოცემაშიც. ცხადია, ეს გარემოება არ გულისხმობს მისი ნაწარმოებების ე. წ. კუთხურობას, პირიქით, ის ახერხებს ამ კერძოში, „კუთხურში“ იპოვოს მისი საერთო, დამახასიათებელი ნიშნები და დაუკავშიროს ის ადამიანურ ვნებებს, როგორც ამ ვნებათა საერთო კოლორიტი.

ნოდარ ჩხეიძე
პირველი წიგნი

„ზნიანეთში“ შეტანილი არ არის რეზო
ქვიშვილის ერთი მეტად საინტერესო და
საკამათო მოთხრობა „ბიჭიკოს ავადმყო-
ფობის ისტორია“ („ცისკარი“, № 1,
1962 წ.).

თავისი თემითა და პრობლემით ეს მო-
თხრობა ყველაზე მეტად თანადროულია
რეზო ქვიშვილის მოთხრობებში. მოთხ-
რობა აღბეჭდილია მძაფრი დრამატიზ-
მით და ერთგვარი ჰუმორული ნაკადი კი-
დეც უფრო ტრაგიკულსა ხდის მოთხრო-
ბისაგან მიღებულ განცდას. მაგრამ აქაც,
სრულიად მოულოდნელად, ავტორის პო-
ზიცია ფაქტის ცოცხლად გადმოცემასა
და მის კონსტატირებას არა სცილდება.
მისი ოპტიმიზმი იმაზეა აგებული, რომ
კაცს ბოროტების ჩადენისათვის განგება
მიუზღავს სამაგვიროს. მაგრამ ძალზე
ბევრი იმედი ხომ არაა დამყარებული
განგებაზე?! ეტყობა, სწორედ ასეთი და
კიდევ სხვა მოსაზრებების გამო არ შე-
ვიდა ეს მოთხრობა კრებულში. მაგრამ
სწორედ ეს მოთხრობა ლაპარაკობს გან-
საკუთრებით ავტორის ნიჭისა და შესაძ-
ლებლობების მრავალფეროვნებაზე. „ბი-
ჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ ძლიერი
მოთხრობაა და თავისთავად ძალზე პრო-
ბლემატურია, როგორც მისი ლიტერა-
ტურული შესრულება და გადაწყვეტა,
ისე ცხოვრებისეული საკითხები, რომლე-
ვიც მასში პოულობენ ასახვას.

რეზო ქვიშვილის მოთხრობები, იშ-
ვიათი გამონაკლისის გარდა, დაწერი-
ლია ქვეყნარტი ლიტერატურული კე-
თილსინდისიერებით. მან უთუოდ იცის,

როგორ კეთდება მოთხრობა, მაგრამ ამა-
ვე დროს, მისი არცერთი მოთხრობა არ
არის „გაკეთებული“. მას აქვს ზომიერე-
ბის გრძნობა და თანდაყოლილი ლიტე-
რატურული ტაქტი.

იმის მიხედვით, რაც რეზო ქვიშვილმა
დღემდე გამოაქვეყნა, შეიძლება მსჯელო-
ბა მის ხალას ნიჭიერებასა და გემოვნე-
ბაზე, ინტუიციასა და ოსტატობაზეც.
მაგრამ მის შემოქმედებაში ჯერ კიდევ
არ წამოჭრილა თემები და პრობლემები,
რომელიც მისი გონების ანალიზურსა
თუ სინთეზურ ხასიათს და, საერთოდ,
გონების ძალას წამოწვედა წინა პლანზე.
თემები, რომელიც მან ჯერჯერობით
აირჩია, იშვიათად მოითხოვენ ინტელექ-
ტის აუცილებელსა და მწვავე ჩარევას.
მისი პერსონაჟებიც არ არიან მოაზროვნე
ადამიანები, არ არიან დღევანდელი,
მწვავე, რთული და დიდი ფიქრის ადა-
მიანები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასე-
თი ადამიანები მალე მოვლენ მის შემოქ-
მედებაში.

რეზო ქვიშვილის მოთხრობათა პრობ-
ლემატიკაზეც შეიძლება დაახლოე-
ბით იგივე თქმულიყო. მისი პრობლემა-
ტიკა არ არის, ან ჯერ კიდევ არ არის
ის ცხოვრებისეული, დღევანდელი პრობ-
ლემატიკა, რომლის ასახვასაც ეძებს ჩვე-
ნი მკითხველი ლიტერატურაში.

მის შემოქმედებას, ხედვას, ინტერესთა
სფეროს მცირე მასშტაბი აქვს და კამე-
რულობის ელფერი გადაჰკრავს. მაგრამ
დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ
ამ კრებულთან ერთად ქართულ მწერ-
ლობას კიდევ ერთი ახალი, ორიგინალუ-
რი და საინტერესო ავტორი შეემატა.



ქეპაჩე პიბუღაშვილი

რამდენიმე შენიშვნა ერთ რომანზე

ოტია იოსელიანმა ხუთი-ექვსი წლის წინათ მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება. მისი მოთხრობები გამოქვეყნებისთანავე მოიწონა მკითხველმაც და ლიტერატურულმა კრიტიკამაც.

ასეთი დებიუტი, უპირველეს ყოვლისა, იოსელიანის მოთხრობების ღირსებით აიხსნება. ისინი გიზიდავენ სინამდვილის დამაჯერებელი აღწერით, გმირთა ხასიათის ღრმა ჩაწვდომით, ლირიზმით. ერთი სიტყვით, ეს მოთხრობები ნიჭიერი ავტორის დაწერილია და ამიტომაც მათ ზოგი რამ ეპატიება: ისიც, რომ მისი გმირები არც თუ ისე რთული ბუნების ადამიანები არიან, ისიც, რომ დროდადრო ჭეშმარიტი ხელოვნების მიღმა თავს იჩენს რაციონალურად წინასწარ გააზრებული კოლიზიის ჩონჩხი და სხვა.

მაგრამ ვიმეორებ — ოტია იოსელიანი უდავოდ ნიჭიერი მწერალია. ამიტომ იყო რომ მის ყოველ ახალ ნაწარმოებს იმედით, კეთილი სურვილებითა და რწმენით ელოდნენ. ბუნებრივია, რომ ოტია იოსელიანის პირველმა რომანმა „ვარსკვლავთცვენამ“ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. გაჩნდა მრავალი ურთიერთგამომრიცხავი შეფასება. ერთნი უსიტყვოდ აღიარებდნენ მის ღირსებას, სხვები კატეგორიულად უარყოფდნენ. ზოგიერთი ამ ნაწარმოებში ქართული პროზის ტრადიციების აშკარა გამოხატვას ხედავდა, მეორენი მას „ნოველებს კრებულად“ აცხადებდნენ.

აშკარაა, რომ მთელი ეს აზრთა სხვაობა მხოლოდ რეცენზენტების გემოვნე-

ბისა და მსოფლმხედველობის ნაირსახეობით არ წარმოშობილა.

რომანი იწყება სურათით: გოგიტა, რომლის პირით ავტორი ამბავს გვიყვება, ამხანაგებთან ერთად ტყეში ყვავის ბუდეების დასანგრევად წასვლას ამირებს. გზაში მას ახლო მეგობრის გოჩას და, გოგონა შეხვდა. დაიწყეს ლაპარაკი. ცოტა ხნის შემდეგ მახლობელი ეზოდან ახალგაზრდა ქალი, ამირანის ახლადშერთული ცოლი, ვეტი გამოვიდა. ბოლოს მინდორზე შეიკრიბა ბიჭების განუყრელი ოთხეული. წინა დღეს დამარცხებულმა ბუდე და ტუხუიამ გოჩა და გოგიტა რიკ-ტაფელას სათამაშოდ გაიწვიეს. შემდეგ... შემდეგ მინდვრის თავში გამოჩნდა გოგონა. იგი ყვირილით მორბოდა ბიჭებისაკენ.

— ომი დაიწყო!
ასე შემოიჭრა ომი ჩვენს ცხოვრებაში, შეწყვიტა შეყვარებულთა ალერსიანი ჩურჩული, შეაჩერა მეგობრისაკენ გაწვდილი ხელი და ბავშვების მხიარული თამაში.

იოსელიანის მიერ პირველ თავში დახატული სურათი ყუბადღებას იპყრობს დეტალების სიმართლით, დიალოგების ბუნებრივობით, ერთი სიტყვით, იგი ქართული სოფლის ცხოვრების ერთი ჩვეულებრივი დღის რეალური სურათია. მწერალმა პირველსავე თავში გაგვაცნო თავისი გმირები. შეიძლება ითქვას. უკვე რომანის ექსპოზიციაშია მოცემული ნაწარმოების თემა: ხასიათის ჩამოყალიბება, ადამიანის ფორმირება ომის წლებში.



ვცადოთ და კიდევ ერთხელ გულდინჯად დავაკვირდეთ პიროველი თავის კადრებს, რაც ხელს შეგვიწყობს გავერკვეთ მწერლის მიერ გამოყენებული ხერხის თავისებურებაში. ჩვენ შევეჩვიეთ, რომ ოტია იოსელიანის ნაწარმოებები სავსეა ფერწერული დეტალებით, რასაც მწერალი ცხოვრების რეალური ატმოსფეროს შესაქმნელად იყენებს და რითაც, თუ შეიძლება ასე ითქვას. „თანამონაწილეობის გრძნობას“. ეგრეთწოდებულ, „დასწრების ეფექტს“ ქმნის.

ნოველაში „ჩაქარი მატარებლიდან“ დეტალების განმეორება მოთხრობის რიტმულ-ინტონაციურ ქვეტექსტს ქმნიდა. „ვარსკვლავთცვენაში“ კი იოსელიანი პირველად იყენებს ახალ ხერხს — პირდაპირ განმეორებას ასოციაციური კავშირებით ცვლის. ქვეტექსტში ვადააქვს არა სტილისტური და ინტონაციური მომენტები, არამედ შინაარსის ელემენტები. ამას რომანის დასაწყისშივე ვხვდებით: რიკტაფელას თამაშისას გოგიტამ მოქმეული ტაფელით ბაიას თავი წააწყვიტა. მოვიგონოთ, რომ რომანში თხრობა გოგიტას პირით ხდება და ამდენად, ეს გოგიტას შეგნებაში ფიქსირებული უბრალო დეტალი არ არის.

რომანის მომდევნო გვერდზე ჩვენ ვხვდებით გოგონას. იგი ბიჭებისაქენ გამორბის. მას ბაიასფერი კაბა აცვია და ყვირის: ომი დაიწყო!.. ახლა უკვე დიდხანს ვეღარ ითამაშებენ ბიჭები რიკტაფელას. რიკი და ტაფელი მწვანე ბალახებში, ბაიას ყვავილის ძირში მიაგდეს. მწერალი რამდენჯერმე უბრუნდება ამ დეტალს. იგი სამჯერაა ხაზგასმული ტექსტის სამ გვერდზე.

ოშში მიმავალი ხალხი გააცვილეს. გოგიტამ იგრძნო, თუ რა მძიმე უღელი დააწვა მხრებზე. მან არ დაანება თავისი ხარები კლიმენტი ცუტერაძეს, თუმცა თვითონაც არ იყო დარწმუნებული, რომ შესძლებდა მათ გაძლოლას. ამ დროს ის გოგონას ხვდება. გოგონა ისევ ბაიასფერ კაბაშია (მას სხვა კაბა არა აქვს!) გოგიტა ყვირლით მივარდება მას: გოგონა, მოკვლავ იცოდე! ეს უაღრესად ზუსტი

დეტალია, გოგიტას გოგონას კაბა ჩმინი. პირველ დღეს აგონებს. გოგონა მიუხედავად გოგიტას, იგი თავის ყვითელ კაბას სხვა ფერად შეღებავს.

ჩვენი აზრით, მკითხველისთვის გასაკებია, თუ რა შორეული მიზანი აქვს მწერალს, როცა იგი ამ დეტალს რამდენჯერმე იმეორებს.

„ვარსკვლავთცვენის“ კითხვისას ამის დავიწყება ერთი წუთითაც არ შეიძლება, რადგან არც ისე უბრალოა გოგიტას ისტორია. ისტორია იმ ადამიანისა, რომელიც, ავტორის ნებით, ომის პირისპირ მარტო დარჩა.

გასულ წელს ქართულ ლიტერატურაში ერთი დამთხვევა მოხდა. ორ ჟურნალში ერთდროულად დაიწყო ერთსადაიმამე თემაზე დაწერილი ორი ნაწარმოების ბეჭდვა (ომი და ქართული სოფელი), მსგავს გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ვითარებაში (დასავლეთ საქართველოში). დაახლოებით ერთი ასაკის გმირებზე, თხრობის ერთი და იმავე ხერხით (პირველი პირით) და ორივე ნაწარმოების სათაურიც „ციური სფეროდანა“

აღებული. ერთია ო. იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, მეორე—ნ. დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. მიუხედავად ერთგვარი მსგავსებისა, ეს ორი რომანი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება. განსხვავდება თავისი სულითა და ხასიათით. მწერლის მისწრაფება — აჩვენოს იმ თაობის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ომის წლებში იზრდებოდა და იწრთობოდა, მეტად მნიშვნელოვანია. ამ ახალგაზრდა მწერლებისათვის ეს შემოქმედებითი ავტობიოგრაფიის წარმოსახვის ცდაა. ჩვენის აზრით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ გოგიტა და სოსოია ასე გულწრფელად უყვართ ავტორებს.

გავიხსინოთ გოგიტასა და ფრონტზე მიმავალი მამის გამომშვიდობების სცენა. მამა გამოსათხოვარ ვახშაშზე ხმამაღლა იცინოდა. დედას და ბებიას ყელში ლუქმა არ ჩასდიოდათ. ნაკაბშივეს მამა ქალთაში ჩავიდა და ხარებს გამოეთხოვა. გოგიტა ფარულად უსმენდა ხარებთან

მამის ლაპარაკს, ხოლო როცა მამამ დაუ-
ძახა, იგი სახლისკენ გაიქცა და იქიდან
მიაწვდინა ხმა.

ეს დეტალი მთლიანი ჯაჭვის მსგავსად
შემოიკრებს დიდი ფსიქოლოგიური მნი-
შვნელობის მქონე ვითარებებს, რომე-
ლიც შემდეგ რომანში მრავალგზის მე-
ორდება. გოგიტას ესმოდა, როგორ
ეჩურჩულებოდა მამა ღვინიას: „გლახა
კაცს არც ქე ეკუთვნის შენი კოცნა“. მა-
მა ფრონტზე წავიდა. მეორე დღეს გო-
გიტას რიერაჟზე გაეღვიძა. იგი გრძნობ-
და დაკისრებულ პასუხისმგებლობას.
სურდა ოჯახისთვის რაღაც ახალი გაეკე-
თებინა. და მწერალი ისევ პოულობს
„მრავლისმეტყველ“ დეტალს — გოგიტა
შუა ზაფხულში შეშას აპობს. შემდეგ
გამოჰყავს ხარები და გზაზე მიერეკება,
სადაც ხედება კლიმენტი ცეტერაძეს.
კლიმენტი ხან ცბიერებით, ხან ძალით,
ხან დაჯერებით ცდილობს გოგიტას ხა-
რები წაართვას. მაგრამ ამოად გოგიტას
ახსოვს მამის ნათქვამი. იგი მზადაა და-
უმტკიცოს ყველას — კლიმენტის, მთელ
ქვეყანას, თავის თავსაც კი, რომ შესძ-
ლებს გაუძღვეს ხარებს და რომ ისინი
ახლა სანდო ადამიანის ხელშია. ამ სცე-
ნაში ნათლად ჩანს ავტორის დამოკიდე-
ბულება გმირებისადმი.

შემდეგ კლიმენტი ცეტერაძე ცდილობს
გოგიტას ხარები გამოსტყუოს:

„— მაშასადამე, ომი გვაქვს, მტერს
ვებრძვი, მიწა უნდა მოვხნათ, ყანა
მოვიყვანოთ, სად ცალია ხარს! გუთანს
გუთნისდედა უნდა, კავს მეხრე, ბიძია“.
ამ ცბიერ სიტყვებს ურცხვად წამოს-
როლილი ფრაზა მოსდევს:

„— მამაშენი არ დაბრუნდება, შე მა-
მამადლო!“

საინტერესოა ამ სცენის ბოლო: გო-
გიტა კლიმენტის ხარებს წაართმევს,
შემდეგ უმიზეზოდ მივარდება გოგონას
საცემად, ბოლოს კი თვითონვე იცავს მას
ხარის რქებისაგან. ეს არა მარტო ხარ-
ზე — საკუთარ შიშზე გამარჯვებაცაა,
ვაჟაკური ხასიათის პირველი გამოვლენა.
გოგიტა ბრუნდება შინ, სადაც ექვსი
წლის ზაზა, ძმის მსგავსად, შეშის ჩეხვას
შესდგომია.

რკალი შეიკრა.

შესაძლოა რომანის სწორედ ამ კომ-
პოზიციურმა თავისებურებამ, სადაც რამ-
დენიმე ლოკალურად დასრულებული მო-
ტივი ერთიმეორეში იხლართება, შექმნა
საფუძველი, რომ მისთვის ნოველების
ციკლი ეწოდებინათ.

ვნახოთ, თუ როგორ ვითარდება გო-
გიტას ხასიათი. ჩვენ უკვე ვნახეთ მისი
ურთიერთობა მეგობრებთან, გოგონას-
თან და კლიმენტი ცეტერაძესთან.

რჩება რომანის ორი უმთავრესი ხაზი,
რომელიც პირობითად ასე შეგვიძლია
დავყოთ: I. გოგიტა შრომამი. II. გოგი-
ტა და ფატი, ან უფრო სწორად: გოგი-
ტა — ფატი — გოგონა. ჩვენ აქ საქმე
გვაქვს სიყვარულის ტრადიციულ უფ-
რო მეტიც, ბანალურ სამყუთხედთან. ამ
ხაზის მთავარი უბედურება მის ბანალო-
ბაში როდია. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ამჯერად კი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ
როგორ ზიდეს გოგიტამ და მისმა მე-
გობრებმა ფიწლისა და გუთხის მოელი
სიმძიმე.

ავტორი კარგად იცნობს ობიექტს,
რომელსაც აღწერს: იქნება ეს ორთქლ-
მაგლის მემანქანის ჯიხური, სოფლის
წისქვილი თუ სხვა.

„ვარსკვლავთცვენაში“ ქართველი
მშრომელის ყოველდღიური ცხოვრების
ამსახველი ბევრი კაოკი და რეალური
სცენაა; ეპიზოდების რეალური აღწერა
ოტია იოსელიანისათვის ახალი არ არის,
ეს ეპიზოდები რომანში გარკვეულ ფონს
ქმნის, აძლევს მას ტონს. რაც ნაწარმო-
ების მთლიან განწყობას განსაზღვრავს.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მწვავედ გა-
ნიცადა ომის საშინელება. ორასი მილი-
ონი ადამიანიდან არცერთს არ შეეძლო
ეთქვა: ომი არ მინახავსო. ოტია იოსე-
ლიანის დამსახურებაც სწორედ ის არის,
რომ მან ნათლად წარმოვედიგინა სამა-
მულო ომის პერიოდის ქართული სოფ-
ლის ცხოვრება, მოგვითხრო ჩვენი ხალ-
ხის გმირულ ბრძოლაზე, მათს წარმატე-

ელუარდ ელიგულაშვილი

რამდენიმე შენიშვნა ერთ რომანზე

ბებზე, მათს სიყვარულზე სამშობლოსადმი, ქვეყნისადმი.

მოსუცი ეზიკა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცალხელა ბიძინა, გოგიტას დედა და „ვარსკვლავთცვენის“ ბევრი სხვა გმირი საბჭოთა პროზაში ასახულ მშრომელთა სახეების პლეადას მიეკუთვნება. საბჭოთა ხალხის გმირობა — ასეთია რომანის ძირითადი თემა, ძირითადი პათოსი, რომელიც ქრონოლოგიურად ომის მთელ პერიოდს მოიცავს, ხოლო გეოგრაფიულად ერთი სოფლის ფარგლებშია ლოკალიზებული.

„ვარსკვლავთცვენაში“ ოტია იოსელიანი ვარკვეულ შემთხვევაში თავისი პრინციპების ერთგულია. აქაც ბევრია შრომის ეპიზოდები. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გმირების ფსიქოლოგიის დასახასიათებლად და რომანის თავისებურ სიუჟეტურ კვანძებს ქმნის. განვიხილოთ იგი უფრო ყურადღებით.

აი, გოგიტა დახმარებისათვის უხმობს განუყრელ მეგობარს გოჩას და პირველად ცდის თავის ძალას — ცდილობს ფარულად მოხნას მიწის ნაკვეთი. სახნისი ხელიდან უვარდება, მიწაში არ ჩადის, ხოლო თვით გმირი... — „წადი, წადი — ვყვიროდი მე. — წადი-მეთქი, — ვბარბაცებდი, ვიტყეოდი, ვდაგებოდი, მუხლზე ვეცემოდი, სისხლი ჩამომდიოდა ნიკაპზე და გულისპირზე მეწვეთებოდა, — წადი, არ შეჩერდე, წადი — მე უკვე აღარ ვერიდებოდი წაქცევას, არც იმას, რომ ფეხს მტკივნეულად წამოგვკრავდი, წამოვიჩოქებდი, ან სისხლი რომ მდიოდა, ისევ ვეკიდე სახელურს და მთელი ძალით ვებრძოდი, ვეწეოდი“.

ავტორი მოითხოვს, რომ ყოველ დეტალს განსაკუთრებული ყურადღებით დაუჟღავნოთ. იგი გვიჩვენებს ყველა იმ სიძნელეს, რომლის გადალახვაც გოგიტას მოუხდა, მაგრამ გოგიტა მაინც ვერ იმარჯვებს:

„მე ბალახებში დავეცი და დიდხანს თავი არ ამიღია“.

ასეთია ამ სცენის ფინალი. ხარები გამოვარდნენ უღლიდან. შემდეგ სახლში მიმავალ გოგიტას მოესმა, როგორ მღე-

როდა ბუდუ, კლიმენტია ცეტერაძის ნაშვილები. მან დაუფიქრებლად და „უმიზეზოდ“ სცემა ბუდუს.

„ვარსკვლავთცვენის“ სტილისათვის წარსულის სცენების აღწერა დამახასიათებელი არ არის. ამიტომ იმ მცირეს, რაც ვგაქვს, უაღრესად ფუნქციონალური მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, მოთხრობილია, თუ რა ხალხით, რა მხიარულად იღებდნენ მოსავალს ომამდე. ამ საზეიმო სურათის საპირისპიროდ აღწერილია მოსავლის აღება სოფელში, სადაც მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები დარჩნენ და სადაც შიმშილის მოახლოება იგრძნობა.

ეს დაპირისპირება თითქოს კანონზომიერია. ძნელია შეედავო ავტორს იქ, სადაც ზუსტადაა აღწერილი, თუ როგორ უჭირდათ გოგიტასა და მის ამხანაგებს სიმინდიანი გოდრებით ურმის დატვირთვა. ძალა თანდათან ელეოდათ. აი, სადაც გაქრა კიდეც მისავათებული ტუხუია. შემდეგ გოჩაც წავიდა. დარჩა გოგიტა მარტო, მაგრამ მას ფატი მოეშველა (ამ დახმარებაზე კიდეც ვილაპარაკებთ). ყველაფერი თითქოს ბუნებრივია, მაგრამ კვლავ გაისმა ბიჭის ყვირილი. ამაჯერად გოჩამ გადაწყვიტა ჯავრი იყაროს ტუხუიაზე.

კიდეც ერთი ასეთი ეპიზოდი. პატარა ზაზა, გოგიტას უმცროსი ძმა, იქამდე მივიდა (თუ ვინ აიძულა, ამას ქვემოთ დავინახავთ), რომ ქურდობს თავისსავე სახლში. დედას, ბებიას, ძმას, დებს სისტემატურად ბარავს ყველს.

საბოლოოდ კიდეც ერთი სცენა. ყანაში სათოხნად კვლავ შეიკრიბნენ ჩვენი გმირები. უკვე დაჩვეული მკითხველი ელის, რომ მუშაობის რიტმი რაიმე ყვირილით შეწყდება. და მართლაც, ტუხუიამ დაინახა თავისი ძაღლი. თოლია ამძვრალა ურემზე და საუზმისათვის შემონახული ქაღი დაუთრევია.

— მოგვლავ, — იყვირა განწირული ხმით ტუხუიამ და მუქარა მაშინვე სისრულეში მოიყვანა, — სტაცა ნაჯახს ხელი და ძაღლს თავი ორად გაუპო. ოტია იოსელიანი თავის გმირს დაწვრილებით

ამაზობინებს ამ საშინელ სურათს:

„ამ დროს ჩვენ მივირბინეთ, მაგრამ ორად თავგაპირილი თოლია ცალ-ცალკე ხუჭავდა თვალებს, თითქოს ნახევარ-ნახევარი თავი ცალ-ცალკე კედებოდა და ორივეს მაინც ჭადის ნატეხზე რჩებოდა სული“.

ეს ჩაიდინა ტუხუიამ, — წყნარმა, უსიტყვო, კეთილმა ბიჭმა.

ასეთი დეტალები შემთხვევითი არაა; ისინი ერთი მთლიანის ნაწილებია, ავტორის კონცეფციის გამოვლენაა, რომელიც გარკვეულად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. ავტორის აზრით, ომმა, შიმშილმა, გაპირებამ გამოაღვიძა ადამიანებში მხეცური ინსტინქტი, სიმაკაცრე. აიძულა, რომ ბავშვებსაც კი დაეწივნებოდათ ისეთი მორალური კატეგორიები, როგორცაა პატიოსნება, მეგობრობა, სიბრალული და ადამიანობა. მაგრამ ჩვენ სწორედ ავტორის კონცეფცია გვაეკვივებს, რამდენად გამართლებულია ამგვარი მორალური გარდაქმნა, ნუთუ ომმა ადამიანებში მხოლოდ უარყოფითი თვისებები გამოაფლვინა, ან იქნებ ავტორი ასეთი უკიდურესობით ცდილობს ტრაგიკული ვითარების გამძაფრებას.

დაუზრუნდეთ რომანის მთავარ სიუჟეტურ ხაზს — გოგიტას, გოგონასა და ფატის დამოკიდებულებას. კვლავ გავიხსენოთ ექსპოზიცია, სადაც კონცენტრირებულია სიუჟეტის ყველა ხაზი. ჩვენს ყურადღებას იმთავითვე გოგიტასა და გოგონას ურთიერთობა იპყრობს.

მოზარდების ასეთი გულთბილი დამოკიდებულება შემდეგ პირველ ნათელ და სუფთა გრძნობად გადაიქცევა. მკითხველი ხედავს ამ გრძნობას მაშინაც, როცა გოგონა ამაყად უძღვნის გოგიტას აპერს, და მაშინაც, როცა გოგიტამ მოულოდნელად ნაშოვნი ხბოს ტყავისაგან უფესსაცმელო გოგონას ქალამნები გამოუჭრა. ასეთი მინიშნება რომანში ბევრია.

ავტორი პირველსავე თავში იძლევა მომავალი დრამის „კონსპექტს“. გავიხსენოთ გოგიტასა და ფატის პირველი შეხვედრა (სხვათაშორის, მესამე თანა-

მოსაუბრე გოგონაა. სამკუთხედი შეიქმნა!):

— ფატი ჰქვია?

— ისეთი კარგი ქალია და ამან სახელიც კი არ იცის, — სინანულით თქვა გოგონამ და მოახლოებულს შეპლიმა.

— რა ვიცი, რა ჩემი ტოლია, — ვიმართლე თავი. წასვლა რომ დავაპირე, მოახლოებული ფატის დიდ თვალებს შევეჩხე. გვიყურებდა ჩვენ და თითქოს რცხვენოდა, თითქოს წითლდებოდა. მერე თავიც კი დახარა და ძლივს გასაგონად გვითხრა:

— გამარჯვებთ, ბავშვებო!

— გაგიმარჯოს, დეიდა ფატი!

— გაგიმარჯოს... — ვთქვი მეც და არ ვიცოდი, დეიდა უნდა მეთქვა თუ ბიცოლა“.

ამგვარად, ფატი და გოგიტა შეხვდნენ. შემდეგ ავტორი გოგიტასა და ფატის გზებს გადახლართავს და ცდილობს ამას დამაჯერებელი საფუძველი მოუძებნოს. ფატის ქმარი ამირანი ფრონტზეა. ერთხელ გოგიტას სიმინდი დასაფტვავად წისქვილში მიჰქონდა, გოგონას შეუარა, რომელმაც სთხოვა — ფატის სიმინდიც წაიღეო.

გოგიტა მეზობელთან შეივლის. იგი ფატის, როგორც უფროსს — ფატი-ბიცოლას ეძახის. ფატი კი მას მოზრდილად ჩათვლის და შიშველი მუხლისთავების გამო დაიმორცხვებს. აქ კვლავ გვხვდება ისეთი ფრაზა, რომელიც ნელ-მოქმედ ყუმბარასავით მოგვიანებით უნდა აფეთქდეს.

— მე არ მეშინია, — ვთქვი მე და ურემზე ავედი, — კიდევ რომ დამალამდეს, მაინც არ მეშინია...

— ღამე როგორ არ გეშინია, — თქვა ფატიმ და თავი გაიქნია.

— არ მეშინია, ფატი... — მაგრამ რატომღაც მიჩოთირა დეიდას დაძახება და ხარებს სახრე გადაუჭირე“.

და შემდეგ: სიმინდის მოსავლის აღება, როცა ყველა გაიქცა და მარტოდდარ-

ედუარდ ელიგულაშვილი
რამდენიმე შენიშვნა ერთ რომანზე

ჩენილი გოგიტას საშველად ფატი მოვიდა.

— დაიჭირე! — ვუთხარი მე, ურმის თვალზე შევდექი და ფატის ზევიდან დავხედე. გოდორსაც წავეტანე. ფატიმ ორივე ხელი მაღლა ამოაყოლა გოდორს. მაგრამ იქიდან რომ გოჩა აღარ შეშველებოდა, მაინც ვერ დავიმაგრე. მთელი ძალა მოვიკრიბე, მაგრამ მაინც გადმომეფერდა ჩემსკენ. ერთი კვიტი ტარო გადმოცურდა და მდლახხელებატოტეზულ ფატის უბეში ჩაუვარდა. დანარჩენი, როგორც იყო, ჩავწარე ურემში და, როცა ფატის შევხედე, სახტად დავრჩი: იგი უბიდან ცივ ტაროს იღებდა და მთვარის სინათლეზე ისეთი თვალით მიყურებდა, შეგკრთი. ბოლოს ტარო წყენით ძირს დაანარცხა და ცივად შებრუნდა“.

ასეთია ჩვენი გმირების ერთმანეთისადმი ფატალური სწრაფვის ეტაპები. მათ გრძნობაზე ჯერ არაფერი არ თქმულა და გოგიტაც იმდენად გულმართალია, რომ ავტორს კვანძის გახსნისას ნაჩქარავი განმარტება დასჭირდა: ვაგიდა ამდენი და ამდენი წელი და ჩვენი გმირიც გაიზარდაო (ამბავი ომის დროს ხდება, რაც გმირების ყოველ მოქმედებას თუ ვერ ასაბუთებს, ნაწილობრივ მაინც ამართლებს).

ბოლოს კვანძი იხსნება. აქ სათანადო გარემოა შექმნილი. ხმა დაირხა, ტყეში უცნობები გამოჩნდნენო და ფატის მამამთილი ეზიკა ტყეში მიდის. ეზიკამ გოგიტას სთხოვა, ფატის შეეშინდება და ჩვენსას ღამე გაათიეო. გოგიტამ გოჩას თოფი გამოართვა (ეს თოფიც ვაისგრის!) და ფატისკენ გაემართა. ღამეა. მამლები ყოვიან ბირველად, მეორედ. საიდანდაც გამოჩენილი კატების რაღაც საიდუმლო და თითქმის მისტკური თამაში — მათი ჩხუბი და კნავილი. ერთი სიტყვით — გოგიტას მორალურ მარცხს თან ახლდა მამლებს ყოვილის, კატების თამაშის აკომპანემენტი. ყველაფერ ამას წინასწარგამიზნული, ერთგვარი ხელოვნური იერი დაკრავს.

ცრუ და გამოგონილი კონცეფცია მწერალს სანაცვლოს მიუზღავს. ამ სცენაში

ძნელია ოტია იოსელიანის ხელწერის ცნობა (გულახდილად თუ ვიტყვით, ეს სწრაფვა საბედისწერო ვნების მხატვრულად განსახიერებისაკენ მწერალს წინათაც ჰქონდა, მაგალითად, „ქვრივის ცრემლებში“).

ავტორმა გულმოდგინედ მოსწყვიტა ცას ყველა ვარსკვლავი. არ დაუტოვა თავის გმირს სინათლის ნასახი. ყური დაუვადეთ, როგორ და რას ლაპარაკობს გოგიტა: „ძნელია, როცა გშია, არავინ გაჭმევს, გცივა — არავინ გათბობს, უიმედო ხარ და ნუგეშისმცემელი არავინა“.

ყური დაუვადეთ ორი მეგობრის, გოგიტასა და ტუხუს დასკვნით დიალოგს (ავტორმა შემთხვევით არ წარმოადგინა ფარდის დაშვების წინ ეს სცენა)

„— არ ვიცი, მე არ ვიცი, ვისი ბრალია, იქნებ — გოგონას, იქნებ — გოჩას; იქნებ — ეზიკას ან ფატის, ვისი ბრალია — არ ვიცი. შენ... კიდევ შენ. რომ თოლიას თავი გაუჩხეხე, შენი ბრალი იყო?“

— არ ვიცი, — ამბობს ტუხუია და იმასაც გული უჩვილდება“.

ფატის სიკვდილში გოგიტას მიუძღვის ბრალი: ფატის გაუჩნდა შეილი, მთელს სოფელში ოთხი წლის მანძილზე ერთადერთი ბავშვი, ამიტომ ეზიკამ მოკლა იგი იმ თოფით, რომელიც გოგიტამ საბედისწერო ღამეს მათ სახლში მიიტანა.

ასეთია ამ ისტორიის ტრაგიკული ფინალი. გოგიტამ დაკარგა ბედნიერებისა და თავისი თავის რწმენა. იგი თავს მოღალატედ, მკვლელად თვლის. დაიღუპა ფატი, ქურდის სახელი შერჩა ზახას, ტუხუს თავისი თავისათვის თოლიას მოკლა ვერ უპატიებუა.

მაგრამ ჩვენ ვერ ვირწმუნეთ ამ ტრაგედიის სიმართლე რადგან მკითხველს არ სჯერა გმირების გულწრფელობა, რადგან ტრაგედიის საფუძველი ყალბია, ხელოვნურად შექმნილი და სათანადო მოტივირება აკლია.

ვინ არის დამნაშავე — გვეკითხებიან ჩვენ. ავტორი გოგიტას სიტყვებით გვიპასუხებს: „სიკეთეს დრო უნდა, მე დრო არ მეყო და უნებურად ბოროტებაც ჩავიდინე“.

მოდის დავფიქრდეთ, ასეა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არავის არ დაუმტკიცებია, რომ ბოროტების ჩასადენად ნაკლები დროა საჭირო. ბედმა გოგიტას ცოტა დრო მისცა, მაგრამ უფრო ნაკლები მისცა პატარა მწვერავ ივანეს კინოფილმიდან „ივანეს ბავშვობა“. ისე ცოტა დრო, რომ იგი თავისი ნათელი სიზმრების ნახვას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ამთავრებს, მაგრამ მან სიკეთის გაკეთება მაინც მოასწრო!

„— არ არის ჩემი ბრალი“ — იმეორებს გოგიტა.

მაშ ვინაა დამნაშავე! ომი?

პასუხი თავისთავად ავტორის კარნახით გაიკვამა: ომი! მაგრამ ავტორის არასწორი კონცეფციის გამო არ შეიძლება ეს დასკვნა შესწორების გარეშე მივიღოთ. მართალია ომმა უბედურება მოიტანა. ბევრის ცხოვრება დაამსხვრია, წარუშლელი დაღი დაასვა ხალხს, მით უმეტეს მათ, ვინც ის-ის იყო დაიწყო შეგნებული ცხოვრება, მაგრამ „ვარსკვ-

ლავთცვენაში“ მაინც იგრძნობა, რომ ამ გმირების ბედი ავტორის კონცეფციის გავლენის ქვეშაა მოქცეული. ამ შემთხვევაში სიმართლე გამოგონილ ამბავს უთმობს თავის პოზიციებს, აღწერა — ნატურალურ ასახვას. ოტია იოსელიანის ადამიანური ტალანტი მისივე კონცეფციით იზრდილება.

შემთხვევითი დამკვირვებლის თვალთ ვარსკვლავთა წვიმა უბრალო ქაოსია, რომელიც არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება. ასტრონომისათვის კი იგი ზუსტ კანონებს ექვემდებარება.

მწერალი, რომელმაც „ვარსკვლავთცვენის“ შექმნა დაისახა მიზნად, თვითონ უნდა იძლეოდეს კანონებს, იგი ამბის უბრალო კონსტატატორი კი არ უნდა იყოს, არამედ თვითონ უნდა აღმოაჩინოს ვარსკვლავთა გზები.

ელუარდ ელიგულაშვილი
რამდენიმე შენიშვნა ერთ რომანზე



„ვეფხისტყაოსნის“ გაჩაბდისეული ღიბრეტო

XIX საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი შოთა რუსთველის პოემისადმი. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა, დაემუშაებინა პოემის ტექსტი, გაეწმინდა იგი ყალბი ადგილებისგან და მოემზადებინა გამოსაცემად. საამისოდ შეიქმნა სპეციალური, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა მსცოვანი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. კომისიაში შედიოდნენ XIX საუკუნის ჩვენი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით ერისთავი, პეტრე უმიკაშვილი, ალექსანდრე სარაჯიშვილი, იონა მეუნარგია, თედო ჟორდანი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები.

კომისიის პირველი სხდომა 1881 წლის 6 თებერვალს შედგა. „ყრილობამ დაიწყო უკვდავის პოემაში „ობოლი მარგალიტის“ ძებნა უდიდესი თანამედროვე პოეტის ხელმძღვანელობით — ვკითხულობთ ინფორმაციაში, რომელიც გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა, — ასეთია უძლეველი ძალა პოეტის გენიისა, რომელიც ექვსასი წელიწადი მეფობს ქართველების გონებაში...“ და შემდეგ „პირველი წერაქვი მოხდა ასო ვ-ს, ნაცვლად „ვეფხისტყაოსნისა“ უნდა იყოს

„ვეფხისტყაოსანი“. ეს სიტყვა თვითონ თავმჯდომარემ ამჯობინა უწინდელურს“.

კომისია პოემის 22 ხელნაწერს უღარებდა ერთმანეთს. პირველ სხდომაზე მხოლოდ შესავალი წაიკითხეს. ტექსტს პოეტი რაფიელ ერისთავი კითხულობდა, შემდეგი სხდომიდან კი ვანო მაჩაბელი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას დაემთხვა ის გარემოება, რომ ვ. მაჩაბლისავე რჩევით ცნობილმა ქართველმა კომერსანტმა გიორგი ქართველიშვილმა იკისრა პოემის აკადემიური გამოცემისათვის საჭირო ყველა ხარჯის გაღება, ხოლო ცნობილმა უნგრელმა მხატვარმა მიხაი ზიჩიმ, რომელიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდა, — მისი ილუსტრირება. გადაწყდა მოემზადებინათ „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული, აკადემიური გამოცემა, რომლის გამომცემელი გიორგი ქართველიშვილი იქნებოდა, რედაქტორი — ივანე მაჩაბელი, ხოლო ილუსტრატორი მიხაი ზიჩი.

მიხაი ზიჩი მოიხიბლა პოემის შინაარსით. მაშინვე დადგა ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“ და ენერგიულად შეუდგა ჩანახატების დამზადებას ქართული ტიპაჟისა თუ საქართველოს პეიზაჟისათვის შესაფერისი მასალის შესაგროვებლად. ხოლო საქართველოდან წასვლის შემდეგ, სულ მალე, ნაცვლად 12 ილუსტრაციისა, 32 ილუსტრაციის

ეკიზი გამოგზავნა. „ვეფხისტყაოსანი“ საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. პოემით დაინტერესდა არა მარტო ქართველი საზოგადოებრიობა, არამედ თბილისში მყოფი რუსი და უცხოელი ინტელიგენტებიც, მათ შორის გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც იმ დროს თბილისის სამუსიკო სასწავლებელს განაგებდა.

მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი გაეცნო პოემის შინაარსს და გადაწყვიტა დაეწერა ოპერა. მისი თხოვნით „ვეფხისტყაოსნის“ საოპერო ლიბრეტო რუსულ ენაზე დაწერა ივანე მაჩაბელმა. პირველ ოფიციალურ ცნობას აღნიშნული ლიბრეტოს შესახებ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1926 წლის მარტის ნომერში წაგაწყდით. იქ გამოქვეყნებული იყო ი. ზაქარიაშვილის სტატია თბილისის სამუსიკო სასწავლებლის დამაარსებლის ხარლამბი სავანელის გარდაცვალების 35 წლისთავის გამო, რომელშიც სტატია შორის, ავტორი წერდა, რომ „სავანელი დიდი ყურადღებით ექცეოდა ქართულ ეროვნულ ძეგლთა, განსაკუთრებით ხალხურ სამუსიკო შემოქმედების დაცვას: მისი წყალობით გამოვიდა პირველი ქართული სიმღერების კრებული, დ. ერისთავის მიერ გადაღებული მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის სიმღერები (ჟურნ. „Артист“ 1885 წ.). ამავე დროს ზრუნავდა ქართული ეროვნული ოპერის შექმნისათვის. ივ. მაჩაბელს „ვეფხისტყაოსანი“ გადააკეთებინა, რომლის მუსიკაც შემდეგში კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა დასწერა“.

სამწუხაროდ, მიუხედავად ხანგრძლივი და ენერგიული ძიებისა, არც „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო და არც მის მიხედვით დაწერილი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის კლავირი ან პარტიტურა საქართველოს არქივებში არსად აღმოჩნდა.

სწორედ ამის გამო ბევრ მკვლევარს „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო დაკარგული ეგონა.

საქართველოს კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის

პერიოდიკის ფონდებში მუშაობისას ერთ მეტად საყურადღებო ცნობას წაგაწყდით. ვაზ. „კომუნისტის“ 1927 წლის 13 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია ინფორმაცია ახლადჩამოყალიბებული საქართველოს თეატრალური მუზეუმის ფონდების ექსპონატებით გამდიდრებაზე: „მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს თეატრალური მუზეუმის ორგანიზატორი დ. არსენიშვილი — ნათქვამია ამ ინფორმაციაში, — რომელმაც მუზეუმისათვის ჩამოიტანა მასალები რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ი. ს. უ მ ბ ბ თ ა შ ვ ი ლ - ი უ ყ ი ნ ი ს შ ე ს ა - ხ ე ბ...“

... ექსპონატებში განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ორიგინალი, რომელიც საქართველოს თეატრალური მუზეუმისათვის გადმოცემულია კომპოზიტორ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ.

პოემა ნათარგმნია ქართულიდან რუსულად ივ. მაჩაბლის მიერ ლექსად, ლიბრეტოს სახით.

კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვს განზრახვა ჰქონია დაეწერა ამ ლიბრეტოს მიხედვით ოპერა, მაგრამ მთლიანი პოემის მუსიკალური განსახიერების მაგივრად, მას ამოუღია ნაწილი და მის მიხედვით სწერს ოპერა „ნესტან-დარეჯანი“.

გარდა ამ იშვიათი განძისა, არსენიშვილის მიერ ჩამოტანილია მუზეუმისათვის კომპ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ გადმოცემული ოპერა „ღალატის“ პარტიტურისა და ლიბრეტოს ორიგინალი.

ყველა ჩამოტანილი ექსპონატები გამოფენილ იქნება საქართველოს თეატრალური მუზეუმში, რომელიც გაიხსნება ახლო მომავალში“.

„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტოს კვალს თითქოს მივაგენით. ჩვენ მივმართეთ საქართველოს სათეატრო მუზეუმის ფონდებს. „კომუნისტის“

შალვა მაჭავარიანი

„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო

ინფორმაციაში მითითებული მასალების ერთი ნაწილი მართლაც აღმოჩნდა, სახელდობრ, ზოგი კოსტუმში და ნაწილი ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის პირადი საჩუქრებისა, ინფორმაციაში მითითებული თეატრალური მხატვრების ზოგიერთი ესკიზი, კომპ. იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატის“ პარტიტურის ორიგინალი და სხვ. მაგრამ მუზეუმის ფონდებში „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტოს კვალაც კი არ ჩანდა.

ჩვენ უნდა გაგვერკვია, რის საფუძველზე განაცხადა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა, რომ ექსპონატებში „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტოც იყო. საკითხის გასარკვევად მივმართეთ სათეატრო მუზეუმის მამინდელ დირექტორს დ. არსენიშვილს. გამოიჩინა, რომ მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვს მისთვის გადაუცია „ვეფხისტყაოსნის“ ლიბრეტოს არა ორიგინალი, როგორც გაზეთის კორესპონდენტი სწერს, არამედ მისი მანქანაზე გადაბეჭდილი პირი, მელნით ჩასწორებული. ფაქტია, რომ ეს ჩასწორებები მაჩაბელს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ეკუთვნოდა თუ არა ისინი კომპ. იპოლიტოვ-ივანოვს, ამის შესახებ დ. არსენიშვილმა ვერაფერი გვითხრა. ლიბრეტოს ეს ეგზემპლარი არსენიშვილის მუზეუმიდან წასვლის დროისათვის, მისივე თქმით, მუზეუმში ყოფილა დაცული, ამჟამად კი იგი მუზეუმის ფონდებში ვერ ვიპოვეთ.

დ. არსენიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტოს ხელნაწერ-ორიგინალის შესახებ გვაცნობა, რომ იგი ექსპონირებული იყო შ. რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე 1937 წელს ქ. მოსკოვში და იქედან ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ფონდში მოხვდა.

ჩვენ მაშინვე მივმართეთ ვ. ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებას, სადაც კოლექტიური დამუშავების ფონდში (შიფრი 4 — 1938 წ.) მართლაც აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტოს ხელნაწერი ორიგინალი. ჩვენ გა-

დავიღეთ აღნიშნული ხელნაწერის მიკროფილმი და მისი გაშიფრული ტექსტი საქართველოს სათეატრო მუზეუმს ჩაგაბარეთ.

„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო გადაწერილია თეთრ, უხაზო, თხოვნის ფურცლის ფორმატის ქალაღზე, რომლის მარცხენა კუთხეში აღბეჭდილია ქალაღის ფირმის შტამბი.

ტექსტი გადაწერილია 5 ორმაგი ფურცლის ორივე გვერდზე. ქალაღის ზომა 22×35 სმ. დანომრილია ფურცლების მიხედვით. აღნუსხულია 11 ფურცელი (22 გვერდი). მათ შორის 10 გადაწერილია ივანე მაჩაბლის ხელით, ხოლო მე-11 ფურცელი კომპ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელით, 1927 წელს.

ლიბრეტოს ტექსტის დასასრულს კომპოზიტორს შემდეგი შენიშვნა აქვს მიწერილი: „შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გაკეთებულია ჩემთვის ვანო მაჩაბლის მიერ 1884 — 1885 წლებში დასაწერად ოპერისა, რომლის დაწერასაც მე ვაპირებდი იმ დროს. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, 22/X 1927 წ., მოსკოვი“.

როგორც ჩანს, 1927 წ. ოქტომბერში კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვს გადაუწყვეტია რომელიმე არქივისათვის ჩაეზარებია ივ. მაჩაბლისეული ლიბრეტო. ჩანს, ხელნაწერის ბოლო ფურცელი ძალზე დაზიანებული იყო და ამიტომ კომპოზიტორის საკუთარი ხელით გადაუწერია იგი, ბოლოში ზემოთაღნიშნული შენიშვნა მიუწერია, რომ სადავო არ გამხდარიყო ლიბრეტოს ავტორის ვინაობა და დაწერის თარიღი. ამგვარად, ტექსტი მოუმზადებია არქივში ჩასაბარებლად. მაგრამ, როგორც ირკვევა, თავის სიცოცხლეში იპოლიტოვ-ივანოვს ეს ხელნაწერი არქივისათვის არ გადაუცია. ამას ადასტურებს კომპოზიტორის ქვრივის მოგვიანო მინაწერი, რომელშიც ნათქვამია: „გამოწმებ, რომ ეს საკუთარი ხელმოწერაა ჩემი განსვენებული ქმრის მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვისა.“

ვარვარა იპოლიტოვა-ივანოვა“.

ქვემოთ ქ. მოსკოვის, გერცენის ქ. № 13-ის სახლმმართველობა ადასტურებს ვ. იპოლიტოვა-ივანოვას ხელმოწერას.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტექსტის მომზადება კომპ. იპოლიტოვ-ივანოვის 1927 წ. 22 ოქტომბერს დაუმთავრებია, ხოლო ინფორმაცია მისი საქ. სათეატრო მუზეუმში ჩამოტანის შესახებ დაიბეჭდა იმავე წლის 13 ნოემბერს.

როგორც ვხედავთ, ეს ორმაგი დადასტურება კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის ხელმოწერისა 1937 წ. 3 დეკემბერს მოხდა. 1938 წელს კი, როგორც შიფრიდან ჩანს, ხელნაწერი უკვე მიუღია ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებას. მაშასადამე, კომპოზიტორის ხელწერის დადასტურება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით მოხდა. ვისგან იყიდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკამ ხელნაწერი, ამის დაზუსტება ჩვენ ვერ მოვახერხეთ, მაგრამ საფიქრებელია, რომ კომპოზიტორის ქვრივისაგან არ უყიდათ.

ერთი რამ ფაქტია: ლენინის სახელობის ბიბლიოთეკას ხელნაწერი შეუძენია მოსკოვში 1937 წ. მოწყობილ შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირების შემდეგ. საიდან იყო მოტანილი ხელნაწერი გამოფენაზე, დაუდგენელია.

ლიბრეტო დაწერილია რუსულ ენაზე. პოემიდან მოტანილი ადგილები სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი და არა ლექსად, როგორც ამას გაზ. „კომუნისტის“ კორესპონდენტი წერს. თარგმანში ზოგჯერ დაშვებულია უზუსტობანი, რაც ესოდენ საოცარ-ა ივანე მაჩაბლის, ამ უბადლო მთარგმნელის მხრივ. მაგალითად, ცნობილი აფორიზმი.

„ლეკვი ღომისა სწორია. ძო იყოს თუნდა ხვადია“

თარგმნილია:

«Львенок будет силен когда вырастет, будь он львица или лев».

ან კიდევ — „თქვენი მრავალი მიწითა დასერილი დაგვიზოცია“.

თარგმნილია:

«Ваших-же раненных приходилось нам часто добивать».

ასეთი უზუსტობანი, თუმცა ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ტექსტში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ლიბრეტო ნაჩქარევად არის შესრულებული და უფრო მონახაზს, ქარვას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ვანო მაჩაბელი შემდგომში აპირებდა ნამდვილი საოპერო ლიბრეტოს შექმნას. თუ იგი მაინც გადაეცა კომპ. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის, ალბათ იმიტომ, რომ იგი გასცნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს, ლიბრეტოს დრამატულ კვანძებს და, თუ მტკიცედ გადაწყვეტდა ამ სიუჟეტის მიხედვით ოპერის შექმნას, მაშინ ი. მაჩაბელი ლიბრეტოს საბოლოოდ დაამუშავებდა. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის“ ტექსტზე არჩია ოპერის შექმნა.

სავარაუდოა, რომ იპოლიტოვ-ივანოვს არც „ვეფხისტყაოსნის“ და არც „ნესტან-დარეჯანის“ ლიბრეტოზე მუსიკა არ დაუწერია, თორემ იგი, რასაკვირველია, ცნობილი იქნებოდა, მაგრამ ძიება ამ სფეროში ჩვენ ზედმეტად მაინც არ მიგვაჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბრეტო საბოლოოდ დამუშავებულის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, იგი მაინც ძვირფასი შენაძენია ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა და თეატრმცოდნეობისათვის, რადგან ერთგვარად აკებს ჩვენს ცოდნას ივ. მაჩაბლის ხსენოკლე, მაგრამ ფრიად საინტერესო მოღვაწეობისა და „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების ისტორიის საკითხებზე.

ივ. მაჩაბელს ლიბრეტო მისთვის ჩვეული სისხარტიტა და დინამიურობით დაუწერია: მას პოემაში მხოლოდ ისეთი ადგილები შეურჩევია, სადაც მოქმედება სჭარბობს ეპიურ თხრობას. ლიბ-

შალვა მაჩაბარიანი
„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო

რეტოში თქვენ ვერ იპოვით გაჭიანურებულ მონოლოგს, იგი მთლიანად სხარტი და რიტმული დიალოგებითაა გამართული.

ლიბრეტო იწყება ხატაელებზე გამარჯვებული ტარიელის დაბრუნებითა და ზეიმით; ზეიმზე ინდოეთის მეფე აცხადებს ნესტან-დარეჯანისა და ხვარაზმას მეფის შვილის ნიშნობას. მეორე სურათში აღწერილია ნესტანისა და ტარიელის შესვენება. აქ გადაწყვეტენ ნესტანი და ტარიელი ხვარაზმას შვილის მოკვლას. მკვლელობა კულისებშია გადატანილი და მის შესახებ მაყურებელი დავარის რისხვით შეიტყობს. აქვეა დავარისაგან ნესტანის ცემა და ქაჯთათვის გადაცემა, ტარიელის დაბრუნება, მტირალი ასმათის ნახვა და ტარიელის ველად გაპრა. ამით მთავრდება პირველი მოქმედება.

მეორე მოქმედებაში აღწერილია უცხო მოყმის ნახვა როსტევეანისა და ავთანდილის მიერ, და მისი შეპყრობის ცდა. შემდეგ სურათში მოთხრობილია თინათინის გამეფება, მისი და ავთანდილის საუბარი უცხო მოყმეზე, ამ მოყმის საძებნელად ავთანდილის გაგზავნა.

მესამე მოქმედება იწყება ავთანდილის სიმღერით მულღაზანზარის ველზე, ხოლო მოქმედება მულღაზანზარის ველიდან იმ მინდორზეა გადატანილი, სადაც სამი ძმა ხატაელი ავთანდილს მიმავალ ტარიელს დაანახებენ. ამავე სურათში ავთანდილი აგნებს ტარიელის სადგომს და ესაუბრება ასმათს. ასმათი მალაევს ავთანდილს. ასმათი ესაუბრება ტარიელს ქვაბში და ტარიელი ხვდება ავთანდილს.

მეოთხე მოქმედებაში გულანშაროს ამბებია მოთხრობილი. ჯერ ნავროზობის დღესასწაული, ნესტანის დახსნა ქაჯთა ხელიდან. ჩაკეტილი ოთახიდან მისი მოტაცება ქაჯთა მიერ (ეს ერთგვარი გადახვევაა პოემიდან, მაგრამ ჩანს, ეს გადახვევა ივ. მაჩაბელმა დაუსვა იმიტომ, რომ სცენიურად მოკლედ გადაწყვიტა ქაჯეთის ციხეში ნესტანის მოხვედრის ამბავი). შემდეგ ვრცელ რემარკაში მოთხრო-

ბილია ავთანდილის და ფრიდონის ჩამოსვლა, (საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში ივანე მაჩაბელი სცენაზე ფრიდონის შემოყვანის სცენიურად მეტად მომგებიან ხერხს იყენებს. ფრიდონი აცხადებს მზადყოფნას ქაჯეთის ციხეზე გასალაშქრებლად. ამავე რემარკაში მოთხრობილია ფატმანის მიერ ჯადოქარი მონის გაგზავნა ქაჯეთის ციხეში; ფატმანის, ავთანდილის და ფრიდონის საუბარი, მონის დაბრუნება, ნესტანის წერილის მოტანა და მეგობართა მტკიცე ფიცი — დაეხმარონ ტარიელს სატრფოს გამოხსნაში.

გულანშაროში მომხდარი ამბებიდან ივ. მაჩაბელს გამოუტოვებია ფატმანისა და ავთანდილის სატრფიალო სცენები და ჩაჩჩაგირის მოკვლის ამბავი.

ამ ვრცელ რემარკაში, თუმცა ავთანდილის და ფრიდონის გულანშაროში ყოფნა და ნესტან-დარეჯანის ამბის შეტყობა მთლიანადაა მოთხრობილი, მაგრამ არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა არ არის პოემიდან მოტანილი, მოქმედ გმირებს არა აქვთ მიცემული სალაპარაკო თუ სასიმღერო ტექსტი. ეტყობა, ივ. მაჩაბელმა გადაწყვიტა ფატმანის მიერ, ნესტან-დარეჯანის ამბის თხრობა ეჩვენებინა ბალეტით.

მეხუთე მოქმედება ნესტან-დარეჯანის სიმღერით იწყება. ეს სიმღერა ნესტანის მიერ ტარიელისადმი მიწერილი წერილის ტექსტზეა აგებული. შემდეგ აღწერილია ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის თათბირი ქაჯეთის ციხის აღების წინ. ამას მოსდევს ბატალურა სცენა. ტარიელი ისევ ბრძოლაშია გართული, როცა ფრიდონსა და ავთანდილს გამოჰყავთ ნესტანი, რომელც მოეხვევა ტარიელს. სამი უბადლო გმირი მუდმივ ძმობასა და მეგობრობას შეფიცავენ ერთმანეთს.

ფინალი — მეფე როსტევეანი ზუსტადაა ზეიმით, მის ირგვლივ ცოცხალ სურათად ჯგუფდება ყველა მოქმედი გმირი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დიდი ქართველი მთარგმნელის ივანე მაჩაბლის აზრი „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების შესახებ სრულიად უნებლიეთ მთლიანად დაემთხვა დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის შეხედულებებს ამავე საკითხზე. ვანო მაჩაბელს ლიბრეტოში არ შეუტანია არც ერთი სიტყვა, რომელიც რუსთაველს არ ეკუთვნოდა და ამისდამიუხედავად შექმნა მოქმედებით, დინამიურობითა და სიმკვირცხლით ალსაგსე ფრიად სცენიური ლიბრეტო. სამწუხაროა, რომ ეს ლიბრეტო არ ჰქონდა

ხელთ კოტე მარჯანიშვილს, თორემ ალ-ზათ იგი შეძლებდა თავისი დაუცხრომელი ოცნების — „ვეფხისტყაოსნის“ სცენიური ხორცშესხმის ბრწყინვალედ განხორციელებას ვანო მაჩაბლის უბადლო ნიჭი და კოტე მარჯანიშვილის ხალასი გრძნობა, მგზნებარება და ფანტაზია ამის საიმედო თავდები იყო.

შალვა მაჭავარიანი

„ვეფხისტყაოსნის“ მაჩაბლისეული ლიბრეტო



დაჯიჯინი ქვეყნის

ნიკოლოზ თაყვაიძის

ლილი ბრძოლა ვოლგაზე

ვოლგაზე გმირი ქალაქისათვის ბრძოლაში 76-ე დივიზია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, კლევკაისთან ჩაება. ეს დივიზია 21-ე არმიაში შედიოდა. 21-ე არმია მოქმედებდა დონის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე და მან, თავის მხრივ, შემდგომში გადამწყვეტი როლი ითამაშა ვოლგაზე მტრის დაჯგუფების განადგურებაში. ამ ფრონტის სარდალი იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის მარშალი როკოსოვსკი. ჩვენი დივიზია განლაგებული იყო დონის მარჯვენა ნაპირზე. შენაერთის წინააღმდეგ მოქმედებდა მესამე კორპუსში შემავალი რუმინეთის მეორე და მესამე ქვეითი დივიზიები. მათ დაკავებული ჰქონდათ ყველა სტრატეგიული პუნქტი დონის მარცხენა ნაპირზე. ამ სტრატეგიული პუნქტების ცენტრს წარმოადგენდა კლევკაია. იგი იყო პლაცდარმი დონის მარჯვენა ნაპირზე და საჭირო იყო მისი ხელში ჩავდება, რომ განხორციელებულიყო ვოლგოგრადათან გერმანელთა დაჯგუფების სრული განადგურება.

ეს ოპერაცია 5 ნოემბრის ღამის ორ საათზე დაიწყო. ჩუმად გადავლახეთ დონი და მტერს ზურგიდან დავეხით თავს. დაბნეულმა მტერმა საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა თავის ნაწილებს. ჩვენ ზევიდან მივიტანეთ იერიში, გაგმაგრდით სიმაღლე 186-ზე და გავათავისუფლეთ კლევკაია.

ფელდმარშალმა პაულიუსმა უბრძანა მე-3 არმიის კორპუსს დაებრუნებინა კლევკაია და გაენადგურებინა საბჭოთა ნაწილები. დაიწყო გერმანელთა ფსიქიური კონტრიერიშები, დღის განმავლობაში 12 — 13-ჯერ გვიტყვიან და არ ერიდებოდნენ არავითარ ზარალს. მაგრამ ჩვენი შენაერთი წარმატებით იკერიებდა მტრის ყოველ შემოსევას. დივიზიას მიენიჭა 51-ე გვარდიის დივიზიის წოდება. ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარება ხელს უწყობდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების იმ განლაგებას, რომელმაც შემდგომ ერთ-ერთი გადამწყვეტი შეტევითი ბრძოლები მიიღო გმირ ქალაქთან გერმანელების დაჯგუფების განადგურებაში. იგი ალყაში აქცევდა გერმანელთა დიდ დაჯგუფებას. და სწორედ ეს ოპერაცია არის ცნობილი ისტორიაში გერმანელთა ჯარების განადგურების დასაწყისად.

ვოლგოგრადათან გერმანელთა ჯარების განადგურების გრანდიოზულ ოპერაციაში უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სარდალი გენერალი ვატუტინი, დონის ფრონტის სარდალი გენერალი როკოსოვსკი, სტალინგრადის ფრონტის სარდალი გენერალი ერისმენკო და უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლები: გენერალი ვასილევსკი და გენერალი ვორონოვი.

არასოდეს დამავიწყდება გენერალური შეტევის დაწყების დღე — 19 ნოემბერი. დილით, 4 საათზე, ტელეფონით გამომიძახა არმიის სარდალმა გენერალმა

ჩისტიაკოვმა, გადმომცა დრო იერიშის დაწყებისა და გვისურვა წარმატება. ჩვენი შენაერთის მარჯვნივ მოქმედებდა გენერალ ჯახუსა შენაერთი. დილის 7 საათზე ჩემი სამეთვალყურეო პუნქტიდან რაკეტის გასროლით ვამცნე შენაერთს გენერალური იერიშის დაწყება. დაღამებამდე გრძელდებოდა საარტილერიო ცეცხლი. მიწა გმინავდა. პაერი ცეცხლით ივსებოდა. მებრძოლები ცოცხვით მიიწვდნენ მტრისკენ. ეს იყო ერთ-ერთი მძიმე ბრძოლა. განადგურებულ იქნა მტრის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი, ორი საარტილერიო დივიზიონი, ნაღმტყორცნელთა მრავალი შენაერთი, რამდენიმე ათეული ტანკი. ჩვენი თვითმფრინავები თავს დაესხნენ აეროდრომს და მტერს არ მისცეს საომარი მასალების გადარჩენის საშუალება.

ჩვენ კვლავ წინ მივიწვედით. მტერმა საბასუსო დარტყმა მოამზადა. მეტად მძიმე და სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ჩვენ გერმანელებს ისე მოვაჩვენეთ, თითქოს პირდაპირ შეტევაზე გადავდიოდით. მათ მთელ ძალებს ერთ ადგილას მოუყარეს თავი და ტანკები გამოუშვეს. ამ დროს ჩვენმა ტანკსაწინააღმდეგო არტილერიამ გრივალისებური სროლა ატეხა. მტრის ტანკები შიგ შუა ცეცხლში მოექცნენ. ტანკებიდან კვამლი და ცეცხლის ალი ამოდოდა. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. განადგურებულ ტანკებს შეავტომატეები მიგუსიეთ, სწრაფად დავიკავეთ ადგილი და არტილერიის ცეცხლი გაეაძლიერეთ. საღამოს მტერმა უკანდახევა დაიწყო.

რკალი თანდათან უახლოვდებოდა გმირ ქალაქს. ჩვენი დივიზია ახლა სტანისა ზემო-ბუზიონოვკის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. ზემო-ბუზიონოვკის მისადგომებთან ჩვენი ნაწილები შემდეგნაირად იყო განლაგებული. მარჯვენა ფრთის შენაერთს გენერალი კოზინი მეთაურობდა, მარცხენა ფრთას — გენერალი ჯახუსა, ხოლო ცენტრს — ამ სტრიქონების ავტორი. შეტევა დილის 6 საათზე დაიწყო. საარტილერიო ცეცხლის დამთავრებისთანავე ტანკები გადავიდნენ შეტევაზე. ხელჩართული ბრძოლები გაჩაღდა ქუჩებში. დაუნდობელი და მდგარი ბრძოლით გატყდა მტრის წინააღმდეგობა და საღამოსათვის ზემო-ბუზიონოვკა გავათავისუფლეთ. ამ ბრძოლაში ტყვედ ჩაგვივარდა მტრის გარანიზონის გენერალი პეინიცი თავისი შტაბით. ბუზიონოვკასთან ჩვენს მხარეზე მრავალი რუმინელი გადმოვიდა.

ახლა უნდა გაგვეთავისუფლებინა სოფ. პესკოვატკა. ამისათვის ჩვენ უნდა გადაგველახა დონი. პესკოვატკა განსაკუთრებულად იყო გამაგრებული. სიმაღლეებზე მოწყობილი იყო საცეცხლე წერტილები. ნაპირთან, მიწაში ჩაფლული ტანკები მოქმედების ყოველგვარ საშუალებას გვისაპობდნენ. ჩვენ გამოვყავით მზვერავთა ჯგუფი, რომელიც შეუმჩნევლად უნდა მისულიყო მტრის მარჯვენა ფლანგთან, აეფეთქებინა საცეცხლე წერტილები და ამით ჩვენი ნაწილებისათვის დონის სწრაფი ფორსირების საშუალება მიეცა. მზვერავებმა მოქმედება დაიწყეს ღამით. მათ ხუთი საათისათვის უნდა მიეღწიათ საცეცხლე წერტილებთან. 5 საათისათვის გაისმა ტყვიამფრქვევების კაკანი, მათ აჰყვა არტილერია. რაღაც უსისტემო სროლა იყო. ამ დროს გაისმა ჩვენი მზვერავების სიგნალი და უეცრად სროლის ხმაც შეწყდა. იმ წამსვე დაიწყო ჩვენი ნაწილების სწრაფი გადასვლა მდინარეზე. მივიტანეთ ელვისებური იერიში მტერზე. შევეცვიდით მტრის სიმაგრეებში და გავმაგრდით. როცა მარჯვენა ფრთის საცეცხლე წერტილებს მივაღებთ, ყველაფერი გამოირკვა: ჩვენს მზვერავებს მათი აღფეთქება ვერ მოეხერხებინათ და სხეულით გადაჰვარებოდნენ საცეცხლე წერტილებს. მათმა გმირობამ ჩვენ საშუალება მოგვცა ხელში ჩაგვეგდო მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი.

კვლავ წინ მივიწვედით და მტრის ზურგში სოლივით შევიჭვრიეთ. მტერი თანდათან ალყაში ექცეოდა. რადიოს საშუალებით დავუკავშირდი არმიის სარდალს გენერალ ჩისტიაკოვს და მოვახსენე:

— მტერი დემორალიზებულია, ვარ ღრმა ზურგში. ნება მომეცით მივიტანო იერიში კალაჩის მიმართულებით, კალაჩში შევეურთდე მეორე მხრიდან მომავალ ჩვენს ნაწილებს და დავამთავრო რკალის შეკვრა.

— მიიღეთ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და ისე იმოქმედეთ, — მიპასუხა სარდალმა.

მტრის ქარბი ძალები სასტიკ წინააღმდეგობას ვეწივდნენ და არაფერს ზოგავდნენ, რომ ჩვენი წინსვლა შეეჩერებინათ. ჩვენ ფრთებიდან დავარტყით მტერს. გერმანელები პანიკამ მოიკვა. ტყვედ ჩავივდეთ თითქმის მთელი კორპუსი და გენერალი ხეიცი. ხეიცის შტაბის ერთ-ერთი წევრი ვაიძულეთ და რადიოთი ვალაპარაკეთ. რომ მოქმედი შენაერთებისათვის კაპიტულაცია ერჩია. მათ მხოლოდ ორი საათის შემდეგ გაიგეს, რომ ეს ხაფანგი იყო. კალაჩი ხელთ იგდეს ჩვენმა ჯარებმა და სწორედ აქ მოხდა ამ ისტორიული რკალის შეკვრა.

მოვიდა ერთიანი დარტყმის ისტორიული დღე — 10 იანვარი. ჩვენი შეჩერება აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ახლა ვიბრძოდით იმ ისტორიულ მიდამოებში, სადაც 24 — 25 წლის წინათ თავი ისახელა ქართველი ხალხის ლეგენდარულმა გმირმა ვასილ კიკვიძემ.

ტყვეების ჯგუფები განუწყვეტლივ ზურგში იგზავნებოდა. ისინი აჩრდილებს წააგავდნენ, გამხდარნი, ღონემიხდილნი, ყინვისაგან დამზრალნი. თავებზე საბნები ჰქონდათ წამოხურული და აცახცახებული გაიძახოდნენ: „ჰიტლერ კაპუტი..“

ზამთრის ბურუსიან დღეს გამოჩნდა სტალინგრადის დანგრეული შენობების სილუეტები. ეს ყველასათვის ამაღლევებული წუთი იყო. ჩვენი დივიზიის მებრძოლები მოწიწებით გაპყურებდნენ გმირ ქალაქს.

გერმანელები დიმიტროვკას „ადოლფ ჰიტლერის სიმაგრეს“ უწოდებდნენ. იგი დიდი დასახლებული პუნქტი იყო, მდებარეობდა შემადლებულ ადგილზე და ყოველი მხრიდან სივრცეს 15—25 კმ მანძილზე გადაპყურებდა. ეს გეოგრაფიული მდებარეობა ამ სიმაგრეს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. გერმანიის მთავარბრძოლა დიმიტროვკას სტალინგრადის გასაღებად თვლიდა. აქ იყო დაჯგუფებული გერმანიის შეიარაღების საუკეთესო ძალები — ესეკელები და 113-ე ქვეითი დივიზია, რომელიც ჰიტლერის პირად დაცვას წარმოადგენდა. „ადოლფ ჰიტლერის სიმაგრის“ გარნიზონს ხელმძღვანელობდა სამოცდახუთი წლის გენერალ-პოლკოვნიკი გეიცი, რომლის სახელსაც კარგად იცნობდა ჩვენი 51-ე გვარდიული დივიზია. სამამულო ომის პირველ თვეებში ბევრჯერ შეხვედრივართ მის კორპუსს და დიდხნის მანძილზე კვალდაკვალ მოგვდევდა ახლა დადგა დრო პირისპირ შეხვედრისა. გენერალი გეიცი 1914 წელს ხელმძღვანელობდა გერმანელთა შენაერთს და აღმოსავლეთის ფრონტზე რუსების წინააღმდეგ იბრძოდა. საბერძნეთში მონაწილეობას იღებდა კუნძულ კრეტის ოპერაციაში. საფრანგეთში თავი გამოიჩინა, როგორც პირსისხლიანმა ჯალათმა. ის იყო ჰიტლერის ერთგული და საყვარელი გენერალი.

შვიმუშავეთ დარტყმის გეგმა. უარყვავით ცენტრიდან იერიშის მიტანა და ისევ გამოცდილ წესს — ფლანგებიდან ზურგში დარტყმას მივმართეთ. აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან დავიწყეთ იერიშის მიტანა. მარცხნივ მოქმედებდა 120-ე დივიზია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ჯახუა. გენერალმა გეიცმა ამ მიმართულებით გადმოისროლა ორი ქვეითი პოლკი და ერთი სატანკო ათასეული, რომელიც გაძლიერებული იყო არტილერიით. ის წამოვეო ჩვენს ანკესს. ჩვენ შევუტყით დასავლეთიდან. რადგან გერმანელებს ყურადღება გადატანილი ჰქონდათ სამხრეთისაკენ, მოვექცით ზურგში და ჩრდილოეთის მხრიდან დააარჩაით. სიმაგრე გარშემორტყპულია შუალაპით. გამანადგურებელი ბრძოლების შემდეგ, შევიჭერთ დიმიტროვკაში. გარნიზონს წინადადება მივეცით, —

დაგენებოდა. ღამის 3 საათზე ასეთი პასუხი მივიღეთ: „გენერალი გეიცი არ გნებდებათ, განვაგრძობთ ბრძოლას“. დილის 8 საათზე სკოლის შენობიდან, სადაც გენერალი გეიცი იმყოფებოდა, თეთრი ზეწარი გადმოფინეს. ცეცხლი შეწყდა. პარლამენტის გადმოგვიცემს გენერალ გეიცის სიტყვებს:

— მინდა გავიგო გენერალ თავართქილაძის პირობები.

— პირობა მხოლოდ ერთია: დაყარეთ იარაღი და მთელი გარნიზონის შეძაღვენლობით დაგვენებით.

— გენერალ-პოლკოვნიკი გეიცი გთხოვთ შეუნარჩუნოთ შტაბი.

— შტაბი უკვე აღარ ესაჭიროება.

— გენერალი გეიცი გთხოვთ, შეუნარჩუნოთ სამხედრო ფორმა მთელს გარნიზონს.

— გარნიზონი გადავა სამოქალაქო მდგომარეობაში და ზურგში გაიგზავნება. ხუთი წუთის შემდეგ გეიცი თავისი ამალით შენობიდან გამოვიდა და მწკრივში დააყენა მთელი გარნიზონი — განიარაღებული თერთმეტი ათასი ტყვე. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ასაფრენად გამზადებული 89 თვითმფრინავი.

მე და გენერალ გეიცს შორის ბლინდაჟში ასეთი საუბარი გაიმართა:

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — ბატონო გენერალო, თქვენ ალბათ გახსოვთ, თუ როგორ გაიძულეხდით უკან დახევას ომის პირველ დღეებში.

მ ე: — მახსოვს. მაგრამ მხოლოდ შეტევას აზრი არა აქვს. მოწინააღმდეგე უნდა აიძულოთ დაყაროს იარაღი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიმარჯვებდით. თქვენ ძალიან ეშმაკურად მოქმედებდით.

მ ე: — ყველა გენერლის მოვალეობაა მოქმედებდეს ეშმაკურად და აზრიანად... რას ფიქრობთ გერმანიის დღევანდელი სამხედრო მდგომარეობის შესახებ?

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — სტალინგრადის მისადგომებთან თქვენმა ასეთმა წარმატებამ გერმანიის საზღვრების გამაგრება უნდა გვაფიქრებინოს. მეორე ასეთი დარტყმა დაანგრევს გერმანიას.

მ ე: — თქვენ სავესებით სწორად აფასებთ სამხედრო მდგომარეობას.

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — ბატონო გენერალო, გთხოვთ პირად სარგებლობაში დამიტოვოთ ავტომანქანა, რომელიც ფიურერმა საფრანგეთში ჩატარებული ოპერაციებისათვის მიაჩუქა.

მ ე: — ჰიტლერს თქვენ ვეღარ ნახავთ. სამახსოვროდ ჩაიწერეთ ავტომანქანის ნომერი.

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — მაშინ გთხოვთ დამიტოვოთ იგი დღევანდელი დღის სამახსოვროდ.

მ ე: — დღევანდელი დღის მოსაგონებლად თქვენ წაიკითხავთ სახელმძღვანელოებს. იქ იქნება ყველა ღირსშესანიშნავი თარიღი სტალინგრადის ოპერაციებისა.

გ ე ნ ე რ ა ლ ი გ ე ი ც ი: — მაშ გთხოვთ დამიტოვოთ რუკა.

მ ე: — არ შემიძლია, ბატონო გენერალო, თქვენი რუკა დოკუმენტური მასალაა ისტორიისათვის.

დამიტოვკასთან გერმანელთა ნაწილების განადგურების შემდეგ პაულიუსის დაჯგუფება სრულ ალყაში და გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა. ჰიტლერმა აცნობა პაულიუსს, რომ მას შემუშავებული ჰქონდა გენიალური გეგმა ამ დაჯგუფების დახსნისათვის: ვოლგოგრადიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით პაულიუსის კონტრშეტევაზე უნდა გადასულიყო და შეერთებოდა როსტოვ-კორელნიკოვის მიმართულებით მოქმედ გერმანელთა დიდ დაჯგუფებას. ეს დაჯგუფება შეთვალბოდა ოდი-სატანკო გაერთიანებისაგან და მას ხელმძღვანელობდა ულდმარშალი მანშტეინი. მისი მოქმედების მიმართულება იყო კოტელნიკოვი

ნიკოლოზ თაყაიშვილი * დიდი ბრძოლა მოლაპა *

ლაჩი — დონი—ვოლგოგრადი. პაულიუსს და მანშტეინს ერთდროულად უნდა შეეცნათ, გაერღვიათ ალყა და ალყაში მოემწყდიათ საბჭოთა ჯარები.

მეორე გვარდიული არმია, რომელსაც გენერალი მალინოვსკი ხელმძღვანელობდა, დონის ფრონტიდან გადმოსროლილი იქნა მანშტეინის ჯარების შესახვედრად და მას არ უნდა დაეშვა პაულიუსის და მანშტეინის ჯარების შეერთება.

შეხვედრა მალინოვსკისა და მანშტეინის ჯარებს შორის მოხდა კალაჩის სამხრეთ რაიონში. ამ ბრძოლებს მძაფრი ხასიათი ჰქონდა. ეს იყო გერმანელთა უკანასკნელი იმედი და ამიტომ თავგანწირვით იბრძოდნენ. ამ ბრძოლებაში ქართველი გენერლებიდან თავი ისახელა გენერალმა ჩანჩიბაძემ. მისი კორპუსი გააფთრებული იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. რამდენიმე დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ მტერმა უკანდახევა დაიწყო. პიტლერის იმედი არ გამართლდა.

ჩვენი დივიზია კვლავ წინ მიიწევა. გავიარეთ პიტომნიკი, დუბოვია ბალკა. ბრძოლები მიმდინარეობდა გუმრაკის მიმართულებით. გერმანელთა 22 რჩეული დივიზია თანდათან ნადგურდებოდა და უფრო და უფრო ვიწრო რკალში ექცეოდა. გერმანელებს ერთის მხრივ საზღვრავდა მდინარე ვოლგა, ხოლო სამივე მხრიდან — საბჭოთა ჯარები. მდინარე ვოლგის ნაპირებთან განლაგებული იყო 62-ე არმია, რომელსაც გენერალი ჩუიკოვი მეთაურობდა. მანშტეინის შემოტევის შემდეგ პაულიუსმა ორჯერ სცადა გაერღვია რკალი, მაგრამ ორივე ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

25 იანვარს გამომიძახა არმიის სარდალმა გენერალმა ჩისტიაკოვმა, იქვე იყო ფრონტის სარდალი გენერალი როკოსოვსკი, და გადმომცა ბრძანება; ჩვენს დივიზიას უნდა გაერღვია გერმანელების თავდაცვის ხაზი, შეჭრილიყო მტრის ზურგში სოლიებით და შეერთებოდა მე-13 მსროლელ დივიზიას, რომელსაც გენერალი როდინცევი მეთაურობდა. ეს დივიზია 62-ე არმიის ნაწილი იყო. როდინცევთან შეერთების შემდეგ პაულიუსის დაჯგუფება შუაზე გაყოფილი და ერთიან ხელმძღვანელობას მოკლებული აღმოჩნდებოდა.

დავიწყეთ მოქმედება ღამის 1 საათზე. შორს მოჩანდა მე-13 დივიზიის მიერ დანთებული კოცონები. ჩვენ ამ კოცონების მიმართულებით მივიწევედით. ეს ოპერაცია წარმატებით შევასრულეთ. ჩვენი ნაწილები ერთმანეთს შეხვედა გმირი ქალაქის გარეუბანში, კრასნი ოკტიაბრის რაიონში, სიზრანისა და ტექნიკურ ქუჩებში. როცა მტერი გამოფხიზლდა, უკვე გვიან იყო. მტრის დაჯგუფება შუაზე გაიყო.

ეს ოპერაცია ჩემს მიერ ჩატარებული ბრძოლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამის შემდეგ ჩვენმა დივიზიამ დაიკავა ქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, გავედით რკინიგზის ხაზზე, ნეფტოსინდიკატის რაიონში და ხელთ ვიგდეთ ქარხანა. 29 იანვარს, საღამოსათვის, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ავიდეთ ქუჩები—ირტყკაია, რახინსკაია, ყარსკაია და გავმაგრდით დნებროპეტროვსკაიას ქუჩაზე. 30—31 იანვარს და 1 თებერვალს შენაერთის ნაწილები განაგრძობდნენ მტრის განადგურებას და ათავისუფლებდნენ დნებროვსკაიას, აზოვსკაიას, დონეცკაიას, შაუმიანის, რესპუბლიკის, სოლნეჩნაიას და კომუნისტიჩესკაიას ქუჩებს, ხოლო 2 თებერვალს მტერმა კამიტულაიცია გამოაცხადა და ქალაქი საბოლოოდ იქნა განთავისუფლებული. ასე დამთავრდა ბრძოლა ლეგენდარული ქალაქისათვის ვოლგის ნაპირებზე. ეს იყო ისტორიაში გაუგონარი და გრანდიოზული ბრძოლა, რომელიც 200 დღეს გრძელდებოდა. ვოლგაზე ფაშისტური ჯარების განადგურება საძულველი მტრის საბოლოო განადგურების პრელუდია იყო.



== შვიდწლედის აღმნიშვნელი ==

აღმნიშვნელი გეგმატორი

ბურღები ეჭილება კლდეს

ბრასა

გვიანი შემოდგომის ამინდია. ყინულავს გზაზე ბურუსია. ხეობებში ნისლე-ბი თვლემენ.

მანქანა საქართველოს სამხედრო გზაზე მიჰქრის.

ყვილად და ალისფრად ბრიალებს გზისპირი, სიმწვანეს ცეცხლი მოსდებია, ხეობებში ჩამოწოლილ ნისლებში გზადაკარგული ჩანჩქერები ხმაურობენ და ყველგან გაზსადენის მიღები ყრია. იზოლირებული, ჩასაყრელად გამზადებული შავი და ვერცხლისფერი მიღები ყრია გზისპირებზეც და მაღალ კლდეებში გაჭრილ თაროებზეც.

დაბლა კლდეებში ჩახერგილი თერგი ღრიალებს, მდინარის ნაპირს თეთრად დაკლაკნილი გზა მიჰყვება. ირგვლივ მდუმარე კლდეები დგანან და თერგს გულისფიცარს ახვედრებენ. მთების ამ სიმყუდროვეში უცარი ხმა იჭრება. ეს თერგი არ არის... ეს ხმა შემოდან მოდის, კლდეების გულიდან, თერგის ღრიალს ფარავს და ხეობას იამდე ავსებს... კლდის ციცაბოზე, გზიდან ორასი-სამასი მეტრის სიმაღლეზე, იქ, სადაც მგონი ცხვარსაც და მთიელ მწყემსსაც კი გაუჭირდება ფეხის მოკიდება, მიგრუხუნებენ ბულდოზერები, ექსკავატორები, მილჩაშწყობები.

... ამბობენ, ეს მაშინ მოხდა, როცა ერმოლოვის ციხეში რუსის ჯარები იდგნენ. ეშმაკის ხიდთან ერთი მოხვევის ქალი აკენით ხელში გასულა გზაზე. წინ გა-

რისკაცები გადასდგომიან და გზა გადაუღობავთ.

მცირე ხნის შემდეგ აკენიანი ქალი მიუვალ კლდეზე დაუნახავთ და ამ კლდეს „აკენიანი ქალის“ კლდეს ეძახიან ახლაც. სწორედ ასეთ მაღალ კლდეებზე დაუსურებიათ კომპრესორების შლანგები, აქ დაუმჩნევიათ თავისი კვალი ბულდოზერებსა და ექსკავატორებს...

...ეს ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის ტრასის მხოლოდ ერთი უბანია. იგი თანდათან თბილისისაკენ მოიწევს. სერავს კავკასიონს, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეს, ჩრდილო-ოსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთს, დარიალის ხეობას, ქედს სჭრის ჯვრის უღელტეხილზე, გადადის ბაიდარის გადასასვლელზე. ამ გზაზე მშენებლებმა 300 ხელოვნური თუ ბუნებრივი დაბრკოლება გადალახეს.

აქ, კავკასიონის კლდეებში და დარიალის ვიწროებში ყოველ კილომეტრზე ათიოდე გზის საქციევი მაინც შეგხვდება. ამ ზიგზაგების მიზეზია მდინარე ხეობა, ქვისცვენა ზვავი, ციცაბო 50 გრადუსიანი დამრეცის ფერდობზე გაჩაღებული მუშაობა...

ხშირად სამონტაჟო სამუშაოების საწარმოებლად აქ სპეციალურ სამაგარ სა-

შუალეგებსა და მანქანებს იყენებენ; მი-
ღების დასამონტაჟებლად, ჩასაწყობად,
საიზოლაციოდ და კლდეში თაროების გა-
საჭრელად მთელ ტექნიკას ბულდოზერე-
ბი, ტრაქტორები და სხვა ხელსაწყოები
აანკერებენ — ამაგრებენ.

მშენებლობაზე დიდი მნიშვნელობა
ენიჭება მიწისა და კლდის სამუშაოებს.
რომელთა საერთო მოცულობა 5 მილიონ
კუბურ მეტრს აღწევს. აქედან კლდის ქა-
ნებზე 3 მილიონი მეტრი მოდის. ხშირად
ტრასაზე იყენებენ დიდი გამძლეობის
სტელეკლდებიან მიღებს. პნევმატური ამ-
წივებით, ავტომატური ხურვით და დის-
ტანციური მართვით ამონტაჟებენ გაზ-
გამანაწილებელ სადგურებს, სახაზო
კვანძებს. მარეგულირებელ მოწყობილო-
ბებს. გათვალისწინებულია წნევის ავტო-
მატური შეზღუდვა, და აუცილებლობის

შემთხვევაში, გაზსადენის გადახურვა.
მაგრამ მიუხედავად გაზსადენის მეტად
რთული კონსტრუქციისა, ავტომატიზა-
ციის მოცულობა უზრუნველყოფს ამ
გრანდიოზული ტრასის ნორმალურ ექს-
პლოატაციას.

ტრასა... მის ერთ-ერთ ურთულეს უბ-
ნად ჯვრის უღელტეხილი ითვლება. და
სწორედ აქ, გაზსადენის მშენებლობის
უმაღლეს წერტილზე თვალნათლივ ჩანს
მშენებლობის გაქანება. მისი სიღიადე;
აქედან გრძნობ, რომ ადამიანის მძლავ-
რი ნება ფოლადის სარტყელს არტყამს
ჭაღარა კავკასიონს.

გალმა თერგის ღრიალსა და გამოღმა
არაგვის ხმაურს მშენებლობის ხმაური
ფარავს. და ეს ხმაური უერთდება მთების
გულისცემას, ქარისა და მდინარეების
ღმუილს.

ქვესანი მშენებელი

ტრასაზე ექვსასი მშენებელი მუშაობს.
თითქმის ყველანი ახალგაზრდები არიან.
იშვიათად შეგბედება ოცდაათ წელს გა-
დაცილებული. ორმოცი წლის კაცი უკვე
ხნიერ მრავალნაცად და მრავლისმნახ-
ველ ადამიანად ითვლება. ამ ექვსასი
ადამიანის საერთო თვისება თავისი საქ-
მისა და პროფესიის უსაზღვრო სიყვარუ-
ლი.

ისინი ექვსასი არიან. მაგრამ შეიძლე-
ბოდა 32 ათასი ყოფილიყვნენ. 32 ათასი!
ამ ვეებერთელა გაზსადენის მშენებლო-
ბას 32 ათასი მუშახელი დასჭირდებოდა,
მექანიზაცია რომ არ ყოფილიყო. ეს ზუს-
ტად გამოანგარიშებული და დასაბუთე-
ბულია!

ახლა გაზსადენის მშენებლობაზე დიდი
რაოდენობის ტექნიკაა გადასროლილი-
მექანიზებულია ყველა სამუშაოს 98
პროცენტი. მთელს მშენებლობაზე არ
არის მექანიზებული მხოლოდ რამდენი-
მე ოპერაცია—შედულებული კუთხეების
იზოლაცია, შედუღების შემდეგ თხრი-
ლების გაწმენდა... დანარჩენ სამუშაოს
აქ ასრულებენ მანქანები, რომლებსაც

ახალგაზრდა ენთუზიატები მართავენ.

ჯვრის უღელტეხილის კეხიდან რამდე-
ნიმე კილომეტრის მანძილზე ტრასას
თავს დაჰყურებს ორასმეტრიანი კლდე.
ორასმეტრიანი კლდე გზას უღობავს
მშენებლებს. მას გვერდს ვერ აუვლიან.
ვერც გვირავს გაიყვანენ, დიდი დროც
უნდა და ძვირიც დაჯდება. ვერც ადვი-
ლად მიუღებება კაცი. დაბლა მდინარე
მოგრუხუნებს, ცალმხარეს უღელტეხი-
ლისაკენ გზა მიემართება, მეორე მხარეს,
თითქმის ნახევარი კილომეტრის სიმაღ-
ლეზე ხელისშემშლელი კლდეა აღმართუ-
ლი. დრო არ იცდის. ყოველი წამი ძვირ-
ფასია. კლდე უნდა აფეთქდეს. გზიდან მე-
ორე მხრისაკენ სახელდახელოდ ეწყობა
საბაგრო გადასასვლელი და კაუჭებზე
და ბაგირ-ბლოკებზე ჩამოკიდებულ
მბურღავს სტეფანე გასპარიანს, ამფეთ-
ქებლებს ლადო კაშიაშვილს და დავით
შალაშვილს იქით მიეჭარებათ. მათ ვიქ-
ტორ სუშკინი და ვასილ მიაკოტაც უერთ-
დებიან.

მბურღავმა თავისი საქმე გააკეთა. ახ-
ლა ამფეთქებლების ჯერია. დაძაბულო-

ბა ორივე ნაპირზე იზრდება. შემდეგ გზიდან მოჩანს, როგორ გამოირბიან ხუთნი ბავირისაკენ. დუმილი. დაძაბული დუმილი და მოლოდინი... და ჰა, იგრანა! კლდეები გრვინავენ. კვამლი და მტვერი ნისლივით წვება. ნისლში უზარმაზარი ლოდები მოტაცებული ფოთლებივით მოფრიალებენ. 200 მეტრიანი კლდე მდინარის პირას ჩაიშალა. მთაში კი 15 მეტრი სიგრძის თარო გაიჭრა. ახლა აქ ამფეთქებლებს საქმე აღარ აქვთ მათ სხვა კლდეები ელოდებათ. აქეთ ბულდოზერები მოდიან...

შესვენებისას მშენებლებთან რომ სასაუბროდ ჩამოხდეთ, დიდი კამათის მოწმე გახდები. ყველას თავისი პროფესია უჩვენია. ბულდოზერისტი თავის პროფესიას აქებს. ელექტროშემდუღებელი და ზენკალი—თავისას. ექსკავატორისა და მილჩამწყობის მემანქანეებს რომ ჰკითხოთ, უიმათოდ საქმე არ გაკეთდება. ასევე ფიქრობენ გამყვანები, მბურღავები, ამფეთქებლები. მაგრამ აბა რომელიმე მათგანი არ იყოს! ყველა ერთნაირად საჭიროა მშენებლობაზე...

მშენებლობის შედარებით „სწორ“ უბანზე. ფასანაურის მახლობლად ასეთ სურათს წაეწყვიდით: აქ ისევე როგორც დარიალში ბულდოზერები და მილჩამწყობები მუშაობდნენ. მიღების წყება მსუბუქად მოჰქონდა მანქანას. დინჯად, მშვიდად მუშაობდა მემანქანე გოგი კობაიძე ერთიმეორეზე აწყობდა მიღებს თხრილებში. იკეცება მეტრი მეტრზე, კილომეტრი კილომეტრზე და მანქანა უკან იტოვებს თხრილებში ჩაწყობილ, უკვე გამზადებულ მიღებს, რომლებიც თუნდაც დღესვე მიიღებენ ცისფერი ალის უხილავ საწვავს.

აი ერთი 400-500 მეტრის სიგრძის სექცია უკვე მზად არის. ახლა საჭიროა მისი შედუღება და შეერთება მეორე სექციასთან. მესამესთან. აქ შემდუღებლები იწყებენ მუშაობას. შედუღებაში ტოლი არა ჰყავთ ანატოლი კოვალს, ნიკოლოზ კოსტინს, ივანე ლუნინს. მათ ნამუშევარს ქება არ სჭირდება, ჩვეულებრივი თვალთაც ჩანს, თუ რა სუფთად,

საიმედოდ არის შედუღებული ერთმანეთთან მიღები.

მშენებლობის მექანიზატორებს ახალგაზრდა ინჟინერი ზურაბ ქანთარია ხელმძღვანელობს. სულ ცოტა ხანია, რაც მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა. ამ უბუკმა თავისი კოლონის მუშაობა ისე მოაწესრიგა, რომ ზოგ ქალარაშერეულ ინჟინერსაც კი გაუჭირდებოდა.

არცერთი საათის გაცდენა. არცერთი ავარია ტრასაზე — ასეთია კოლონის მექანიზატორთა პრინციპი. თუკი გზაზე რაიმე ფათერაკი მოხდა, თვითელი მექანიზატორი საუცხოოდ მექანიკოსიცაა. შრომის ჩინებული ორგანიზაციის, იშვიათი მხარაბმულობისა და ურთიერთდახმარების წყალობით კოლონის მექანიზატორებმა ოქტომბრის 45 წლისთავისათვის დაამთავრეს გაზსადენის გაყვანა ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ ფერდობის უკანასკნელ უბანზე, საქართველოს ძველი სამხედრო გზის თავზე...

ცოტა ჩრდილოეთით, კობსა და ყაზბეგს შუა, მექანიზატორთა სხვა კოლონამ, ვლადიმერ კონერჯინის კოლონამაც დაამთავრა ხაზის გაყვანა.

ჩრდილოეთ ოსეთის პატარა სოფელ ჩიშიში მოთავსებულია გაზმშენებელთა საველი შტაბი. აქედან სამხრეთისაკენ, მთებში მიემართება ფოლადსადენი — ათასობით, ათათასობით მილი, რომელიც ადამიანისა და ტექნიკის შემწეობით თბილისისაკენ მოიწევს.

თავდადებულად შრომობს ექვსასი მშენებელი. სხვადასხვა ადამიანები არიან ისინი, მაგრამ ყველას ერთი ფიქრი უჭირს: გაზი საქართველოს დედაქალაქს! რაც შეიძლება სწრაფად! ამისათვის ისინი არ იზოგავენ თავს, არ ზოგავენ ძალ-ღონეს, ცოდნას, ენერჯიას. ამისათვის გადიან თითქოს ფეხმოუკიდებელ ციცაბოებზე და იჭრებიან დარიალის კლდეების გულში.

ალექსანდრე გეგეჭკორი
ბურღები ეჭიდება კლდეს



უშვავის ხიდს იქით, სოფელ ლარსთან ამ შემოდგომაზე ძალიან ხშირად ისმოდა ძლიერი აფეთქების ხმა. მშენებლებს გზად ბევრი დაბრკოლება ელოებოდათ. მართლაც ამ ადგილებში თერგი და საქართველოს სამხედრო გზა მრავალჯერ უზარმაზარ კლდეებს უფლიან გვერდს და გზის ასაქცევი არსად არის.

ძნელი საქმეა, ძნელი და ხანგრძლივი. და ამ უბანზე სამუშაოდ მოვიდნენ შახტ-მშენებლები. მათთვის ახალი საქმე არ არის უმაგრეს ქანებში შეჭრა. მაგრამ აქაური გრანიტის მყარმა ქანებმა ტყვარჩილელი და ტყიბულელი გამყვანებიც კი შეაფერხა.

ბურღები კლდეებს შეეჭიდა... გავარდა, გამაფრდა, გაშმაგდა და დათმო ბრძოლა. მაშინ შახტმშენის უბნის უფროსს გივი სვანიძეს გაახსენდა, რომ თავისი მუშაობის ათწლიანი პრაქტიკის მანძილზე კიდევ ჰქონდა ასეთი შემთხვევები.

ტყვარჩელშიაც ჰქონდა ერთხელ ასეთი შემთხვევა. ახალ შახტს აშენებდნენ და გამყვანები არაჩვეულებრივად მძიმე ქანებს წააწყდნენ. ბურღები სხლტებოდა. ვერ ერეოდა ქანს. სწორედ მაშინ ერთ-ერთი მბურღავის წინადადებით ბურღვის კუთხე შეცვალეს და ირიბი კუთხით დაიწყეს ბურღვა.

ახლაც უბნის უფროსმა იმ ნაცადი ხერხით დააწყებინა მუშაობა მბურღავებს. პნევმატური ბურღი ფოლადის რაშვიით ყალყზე შედგა, ითახთახა, იზრიალა, ხელიდან გასხლტა, მაგრამ გივი ჯიუტია... ისევ და ისევ დახარა ბურღვის კუთხე, ისევ შეუტია გრანიტს და ბოლოს დასძლია. ბურღი გრანიტში შეიჭრა ერთხელ, მეორედ — მეათედ...

გამყვანი უსათუოდ ენთუზიასტი უნდა იყოს. ამ საქმეს გულგრილობა არ უყვარს. თუ სულითა და გულით არ იმუშავებ, ფატირაკი შეგემთხვევა. გამყვანის ტრასა ნამდვილი ფრონტია, თავდასხმას უნდა ელოდო ყოველი მხრიდან. გვირა-

ბის გაყვანისას ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლება და მოულოდნელობა ჩასაფრებულნი. გრუნტი გრუნტია, მულამ და ყველგან ჭირვეულია. აქ მით უფრო. აქ სილის მცირე შემთხვევით ფენას კიდევ უფრო მცირე კირის ფენა ცვლის, მერე კი ისევ კლდეები და კლდეებია. და ასეთ გრუნტში მზადდება ნიშნები აფეთქებისათვის.

ამ სამუშაოზე ბადალი არა ჰყავთ მეგობრებს — გამყვანს გიორგი კაკალაძეს და აფეთქებელს ოსმან ციჩუევს. გამყვანი ცვლაში უზარმაზარ საქმეს აკეთებს. სამაგიეროდ რა დიდი სიხარულია, როცა დღის ბოლოს გამყვანი თავის შემყვლელს ეტყვის: „დღეს 5, 7 ან 8 მეტრი გვირაბი გავიყვანეთ“.

5 — 8 მეტრი. სულ რამდენიმე ნაბიჯია. მაგრამ რამდენი ენერჯია, რამდენი მოსაზრება გჭირდება, რომ ამ რამდენიმე ნაბიჯით შეაღწიო კავკასიონის გულში.

შახტმშენის პირველი უბნის უფროსი გივი სვანიძე თერთმეტ წელზე მეტია მიწისქვეშ მუშაობს. გამყვანიც ყოფილა. მალაროელიც. მიწისქვეშ მისთვის არაფერია უცხო. ტყუილად კი არ იყო რამდენიმე წლის განმავლობაში ტრესტ ტყვარჩელ-ქვანახშირის პირველი შახტის მთავარი ინჟინერი. მაგრამ არა, ასეთი მძიმე ქანები ჯერ არსად შეხვედრია. მაგრამ ამასაც დასძლევენ. კავკასიონის ქედზე გვირაბს კლდეებივით მაგარი ბიჭები გაიყვანენ. ასეთი ბიჭები მოვიდნენ ტყიბულედან, ტყვარჩილიდან. ვალედან და შეიქმნა ბაგრატ ლომიძისა და რუბენ მარგიშვილის ბრიგადები. ახალგაზრდებმა მსურველედ მოკიდეს ხელი ახალ საქმეს და ახლა ყოველდღიურ დავალებას 120 — 130 პროცენტით ასრულებენ. ოქტომბერსა და ნოემბერში გივი სვანიძის ბიჭებმა 400 მეტრზე მეტი სიგრძის გვირაბი გაიყვანეს კავკასიონის კლდეებში. ეს გეგმით ნავარაუდევზე თითქმის ერთიორად მეტია.

კომპრესორის მემანქანე გივი ამირიძე თავის მანქანას უტრიალებს. მალე მორი-

გი ცვლა მოვა და გივი მანქანას სინჯავს, ამოწმებს ზეთს, საწვავს, მერე რთავს... და იქ სადაც შლანგები გვირბაში იკარგება, აგუგუნდნენ პნევმატური უროები...

კლდეებს კვლავ შეეჭიდა ბურღი. შეეჭიდა, რომ კიდევ ერთხელ დაამტკიცოს — ადამიანის სწრაფვა კავკასიონის გრანიტის კლდეებზე ძლიერია.

მშენებლობის უფროსი

დიღომში, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მოთავსებულია ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობის დირექცია. მშენებლობის შტაბში ყოველ წუთს ახალი ცნობები მოდის მშენებლობიდან.

პატარა კაბინეტში ზის შუათანის მოძრავეი კაცი და მუდამ რაღაცას ელის. ელის ადამიანებს, ელის ახალ ცნობებს ელის ტელეფონის ზარს.

იმ დღეს, როცა კრასნოდარის გაზი ფოლადის მილებში გადავა და კავკასიონის ქედით თბილისში ჩამოაღწევს, მშენებლობის უფროსი ივანე პავლეს ძე კაპლინი თავისებურ იუბილეს გადაიხდის — აღნიშნავს ნავთობისა და გაზის მრეწველობის სისტემაში მუშაობის 40 წლის თავს.

40 წლის წინათ ივანე კაპლინმა დამხმარე მუშად დაიწყო მუშაობა. მერე მიწისმთხრელიც იყო, ზეინკალიც შემდუღებელიც. მუშაობდა ნავთსადენ ბაქო-ბათუმის მშენებლობაზე. შემდეგ ბაქოს ნავთობის ინსტიტუტის მუშაეაში შევიდა. მერე ისევ ნავთსადენები, გაზსადენები... იყო მშენებლობის უფროსი, სამმართველოს უფროსი. ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი.

მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა ნავთსადენები კრასნოდარი-ნფტეგორსკი, მახაჩკალა-გროზნო, გროზნო-ტუაფსე, არმავირი-უკრაინა, გურიევი-ორიოლი, გაზსადენები კრასნოდარი-როსტოვი-ლენინგრადი, აქსაი-ტაგანროგი-ქდანოვი. სტავროპოლი-გროზნო, მინერალური წყლები-კისლოვოდსკი, სტავროპოლი-მოსკოვი, მოზდოკი-ორჯონიკიძე და ახლა აქ აშენებს ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენს.

ივანე კაპლინმა რომ იანგარიშოს და ერთმანეთს მიუმატოს ყველა იმ ნავთსადენისა და გაზსადენის სიგრძე, სადაც მას უმუშავია მუშად, იწინარად თუ მშენებლობის ხელმძღვანელად, დედამიწის დიამეტრს 27 კილომეტრით გადააჭარბებდა.

მშენებლობის უფროსს წინ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული რუკა უდევს. მასზე აღნიშნულია გაზსადენების ტრასები, რომლებიც მიემართება ჩრდილოეთ კავკასიიდან დონბასის რაიონებში, მოსკოვსა და ლენინგრადში, ამიერკარპატებიდან მინსკში, კიევსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. უზბეკეთიდან ურალსა და ციმბირში. ამ მრავალკილომეტრიანი მილსადენებით მიდის უხილავი საწვავი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

მსხვილი სამრეწველო ცენტრის მოქნილი და შეუფერხებელი მომარაგებისათვის იქმნება ერთიანი წრიული გაზსატრანსპორტო სისტემა. ამ სისტემაში შევა ჩრდილოეთ-კავკასიუს, უკრაინის, ურალის, შუაზიისა და ამიერკავკასიის სისტემები.

ორჯონიკიძე-თბილისის ახალი მძლავრი გაზსადენის ამოქმედება ერთიან სისტემად შეკრავს სტავროპოლის, კრასნოდარისა და აზერბაიჯანის სამ უდიდეს გაზის საბადოს. ასე მოვა თბილისში მძლავრი ნაკადი.

გაზსადენის მშენებლობა მომავალი წლის მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს. მაგრამ მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ვალდებულნი იყვნენ თვით ადრე მომავალი წლის პირველი კვარტალის ბოლოს მიაწოდონ თბილისს ბუნებრივი გაზი.

ალექსანდრე გევიშვილი
ბურღები ეჭიდება კლდეს

აქ გამოჩნდა დიდი კოლექტივის ერთი-ანობა ზამთრობით ჯვრის უღელტეხილი ზევეებით იხერგება და დამპროექტებლებმა ეს გარემოება გაითვალისწინეს, მაგრამ მშენებლებმა გადაწყვიტეს ამ დაბრკოლების გადალახვა. და ამისათვის ზაფხულშივე შეუტყეს უღელტეხილს. შეუტყეს და შემდეგ ორი მხრით გაშალეს სამუშაო — ორჯონიკიძისაკენ და თბილისისაკენ. აცივდა, შეიძლება უღელტეხილი ჩაიკეტოს. მერე რა! მშენებლებს ეს არ აშინებთ! უღელტეხილი გავლილია. ახლა გაზსადენის მიღებმა სამხრეთით უკვე ანანურს, ნატახტარს. მცხეთას მი-აღწიეს. ჩრდილოეთით — ლარსს, ჩმის, ორჯონიკიძეს.

სულ ცოტა და ისინი თბილისს მოად-გებიან და მაშინ ჩვენი ქალაქი დღეში იშდენ გაზს მიიღებს, რამდენიც ახლა ყარადალიდან რვა დღეში მოდის.

მალე შეიკვრება და დამთავრდება ტრასა და მშენებელთა მანქანები ახალი ადგილებისაკენ დაიძვრებიან. ახალი ადგილებისაკენ წავლენ გამოცდილებით და-ტვირთული ქართველები, რუსები, უკრაინელები, აზერბაიჯანელები, სომხები... ვინც მეგობრობის დიდებული ტრასა-გაზსადენი ორჯონიკიძე-თბილისი გაი-ყვანა.

კაკკასიონის ქედზე კი კვლავ დუმი-ლი ჩამოწვევა და მის სიღრმეში შენა-ხული იქნება მძლავრი ბურლების გუგუ-ნი.



მეცნიერება და ტექნიკა

იაროსლავ პუშკინი

სინდისი

თარგმნა ვერა ბუაჩიძემ

ოპენჰეიმერის საქმე

ტელერის ცხოვრების შემდგომი გზა ნათლად ჩანს მისი გამოსვლებიდან უშიშროების კომიტეტში, მაგრამ ტელერი მრავალ ფაქტს ამახინჯებს. მან საკმარისად შეაღამაზა თავისი ემიგრანტული წარსული. ერთსა და იმავე დროს მას თავი მოაქვს როგორც კომუნისმის, ისე ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლად. სინამდვილეში კი იგი ფანატიკოსი ანტიკომუნისტია. ტელერს შეიძლება მართლაც სჯერა მის მიერვე შეთხზული წარმოდგენისა, რომ თითქოს მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ემიგრანტული ცხოვრების ღრმა განცდებმა, მაგრამ ეს ასე არ არის. მისი ძველი ანტიკომუნისტური შეხედულებების განვითარებას ხელი შეუწყო ცხოვრების პირობებმა. მისი ცხოვრების გზის დასაწყისი თარიღდება 1919 წლით, როცა ძალაუფლება ხელში აიღო მუშათა საბჭოების რესპუბლიკამ, და როცა განებევრებული ბავშვი მოულოდნელად მიხვდა, რომ შესაძლებელია შეწყდეს უღარდელი ცხოვრება და დაემსოს არსებული წესწყობილება. მაშინ მან იგრძნო შიში მათ წინაშე, ვინც ჯერ კიდევ გუშინ არაფერი არ იყო და მონების უსახელო ბრბოს წარმოადგენდა. რევოლუციური რუსეთიდან გაქცეული

მეფის გენერლებისა და არისტოკრატების შვილების მსგავსად, მასაც ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ შიშმა უხილავი დაღი დაასვა. მის ჩვენებებში შეიძლება აღმოვაჩინოთ უფრო სეოზული ფალსიფიკაციაც. მაგალითად, იგი ხშირად იმეორებს და ამტკიცებს, რომ შეერთებულმა შტატებმა წყალბადის ბომბის შექმნაში გაუსწრეს საბჭოთა კავშირს. ცოტა უფრო გვიან ნათელი გახდა, რომ ეს ასე არ იყო. იმ დროს ასეთ აზრს ამერიკელი პოლიტიკოსები და მეცნიერები გავრთიანებული ძალებით იცავდნენ. ტელერისათვის კარგად იყო ცნობილი საბჭოთა წყალბადის ბომბის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი რადიაქტიული მტვრის ლაბორატორიული გამოცდის და ანალიზის შედეგები. ჩამოსხმის კვალი ამტკიცებდა, რომ საბჭოთა კავშირს აქვს წყალბადის ბომბი, რომლის ტრანსპორტირება შესაძლებელია. გამოცდა ჩატარდა 1953 წლის 12 აგვისტოს, ე. ი. ექვსი თვით უფრო ადრე, ვიდრე შეერთებულ შტატებში. წაგებულ იქნა შეჯიბრი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამოიწყეს, დარწმუნებულებმა, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა ვერასოდეს ვერ დაეწეოდა მათ. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა მცირე ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა დაემალა მოვლენების ასეთი მოუ-

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 1963 წ.

ლოდნელი განვითარება ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. ტელერი თანმიმდევრულად იმეორებს ამ შეთხზულ არგუმენტებს უშიშროების კომიტეტშიაც, რაც უკიდურეს შემთხვევაში უცნაურობად უნდა მოგვეჩვენოს. ლოკიკურად ოპენჰეიმერთან დავაში მას თავი დამარცხებულად უნდა ელიარებინა. ადამიანებს არ უყვართ მწარე სიმართლის აღიარება, და ამაში არაფერი არ არის გასაკვირი. ტელერი ამ თავის ურწმუნოებაში მართო არ იყო, იმ დროს ტრუმენმა და დელესმა საჯაროდ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირს, რასაკვირველია, არ შეიძლება პქონდეს წყალბადის ბომბი. თავიანთი მტკიცების დასასაბუთებლად მათ შექმნეს საკუთარი თეორია, რომ 1953 წლის 12 აგვისტოს სადღაც ციმბირში აფეთქდა არა წყალბადის ბომბი, არამედ ექსპერიმენტული ლაბორატორია.

ტელერმა დაამახინჯა აგრეთვე ატომური ბომბის შექმნაში ეინშტეინის, სცილარდისა და სხვა მეცნიერ-პაციფისტების მონაწილეობის როლი. სინამდვილეში ამ მეცნიერებმა ატომური ბომბის წარმოების დაწყებას ხელი შეუწყვეს. ცნობილია წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს ამერიკის პრეზიდენტ რუზველტს. იგი დაიწერა იმის შემდეგ, რაც მათ გაიგეს შემავფოთებელი ცნობა, რომ გერმანელებმა შეკრეს იახიმოვის საბადოები და კატეგორიულად აკრძალეს რადიუმის გატანა. ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანელები ახლო იყვნენ პრობლემის გადაწყვეტასთან. ყველასათვის ცხადია, რა განსაცდელი მოელოდა მსოფლიოს თუ პიტლერის განკარგულებაში აღმოჩნდებოდა საშინელი „გეიმგაფე“, რომლითაც ის ხალხებს სისტემატურად აშინებდა. 1945 წელს, როცა ცნობილი გახდა, რომ გერმანელმა მეცნიერებმა ვერ შესძლეს ბომბის შექმნა, ეინშტეინი, სცილარდი და მეცნიერების სხვა ასობით მოღვაწე წინაღუდგნენ ამ იარაღის გამოყენებას იაპონიის მიმართ, რომელიც ისედაც დამარცხების მიჯნაზე იმყოფებოდა. მაგრამ მეცნიერებმა ვერ

მიადწიეს წარმატებას. პრეზიდენტ ტრუმენის პირადი ბრძანებით ბომბები ჩამოგდებულ იქნა. ხიროსიმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ცივი ომის“ უფერტიურად იქცა. ტელერმა მოგვიანებით აღიარა, რომ ბომბების ჩამოყრის მომხრე არც ის იყო. ეს მას ისევე, როგორც ოპენჰეიმერს, უხერხულად მიაჩნდა პოლიტიკური თვალსაზრისით. ტელერი ემსახურებოდა იმ აზრს, რომ ჯერ გაეფრთხილებინათ იაპონელები, თუ რა საშიშროება მოელოდათ მათ და მოეთხოვათ კაპიტულაცია, და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დათანხმდებოდნენ. შეიძლებოდა ბომბების გამოყენება.

ყურადღებას იმსახურებს ტელერის აღიარება, რომ წყალბადის ბომბის პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია. დისკუსიის სიმძაღრეში მან ვერც კი შეამჩნია, როგორ დაანგრია ერთ-ერთი ეს ძირითადი ბურჯი, რომელსაც ეყრდნობა ანტისაბჭოთა პროპაგანდა. თუ სიმართლეს შეესაბამება იმის მტკიცება, რომ წყალბადის ბომბის პრინციპი დიდი ხანია ცნობილია, მაშინ სისულელეა ის, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი ცდილობდა წყალბადის ბომბის თეორიული საფუძვლების ინფორმაცია ჯაშუშური გზით მიეღო. ამგვარად უქმდება სიკვდილით დასჯილ ცოლ-ქმარ როზენბერგებისადმი წაყენებული ბრალდება...

აღსანიშნავია აგრეთვე ტელერის განცხადება იმ-ს შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინა ამერიკას იმ მომენტში, როცა საჭირო იყო საჯარო აღიარება საბჭოთა კავშირის იმ წარმატებისა, რომელიც აქამდე განუხორციელებლად ითვლებოდა. ატომური ბომბის მონოპოლიის დაკარგვის გამო მოსაბოხილ იქნა სტრატეგიული დოგმები და საჭირო გახდა ყველფრის თავიდან დაწყება. ცნობილია, რა გააკეთა ამერიკამ. მან გადაწყვიტა ებასუხა ძალის პოზიციით. იმ დროს ყველაზე დიდი საშიშროება ამერიკის მიერ პრევენტული ომის დაწყების შესაძლებლობა იყო. მრავალი მიზეზის გამო ასეთი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. ამაში დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ძლიერების წინაშე შიშმა და აგრეთვე

საზოგადოებრივი აზრის შეუპოვარმა ბრძოლამ ახალი ომის წინააღმდეგ, ამიტომ განხორციელდა სხვა ვარიანტი: ინტენსიური შეიარაღება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ მხრივ გაესწროთ საბჭოთა კავშირისათვის. ამავე დროს ეს მონოპოლისტთა ჯგუფების ინტერესებსაც შეესაბამებოდა. მაგრამ თავიდანვე არსებობდა მესამე შესაძლებლობაც, შემწყდარიყო საბჭოთა კავშირთან კონკურენცია და დადებულიყო ხელშეკრულება, რომელსაც ტელერი, როგორც ჩანს, ძალზე აბსურდულად სთვლის და ამიტომ მას არც კი აღნიშნავს. საბჭოთა კავშირის არაერთგზის შეუტანია ასეთი წინადადება, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მომდევნო წლებში მოვლენათა განვითარებამ გვიჩვენა, რომ მსოფლიოს გადასარჩენად საუბრობა სწორედ ამ მესამე გადაწყვეტილების მიღწევას.

მაგრამ ისევ ტელერს დაუფბრუნდეთ. თუ მკითხველი დაუჯერებს ტელერის ნალაპარაკებს, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება თითქოს ტელერი თავის მისწრაფებებში ამერიკისა და მეცნიერების სამსახურის გარდა, სხვა იდეალებით არ ხელმძღვანელობს. სინამდვილე, როგორც ეს ხშირად ხდება, სხვაგვარად გამოიყუ-

რება. თუ რას წარმოადგენს ტელერი, მომდევნო წლებში გამოამჟღავნა. ის ოპენჰეიმერს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამტყუნებდა, თვით კი იმავე გზას დაადგა. ის სახელმწიფოებრივი და საკონსულტაციო მაღალი პოსტებისაკენ მიიღტვის, ხშირად გამოდის ტელევიზორში და იბეჭდება ჟურნალებში, განსაკუთრებით კი ისეთ არქივებში, რომლებშიც არც კი იხსენიებოდა „ლიფი“ და „ფორიან ოფისი“. ის გამოდის დალესის და ხშირად თვით ამერიკის პრეზიდენტის სამეცნიერო მედიუმის როლში. ის გახდა კლასიკური პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც უფრო მეტ დროს კონგრესისა და მინისტრთა თათბირებზე ატარებს, ვიდრე ლაბორატორიებსა და უნივერსიტეტებში. ოპენჰეიმერისაგან განსხვავებით, ის ამის გამო სინდისის არავითარ ქენჯნს არ განიცდის. ტელერი თავს არ იწუხებს საკუთარი აზრების ჩამოყალიბებით. იგი უბრალოდ იმეორებს იმას, რასაც ლაპარაკობს სახელმწიფო მდივანი. იგი მიღებული კაცია და ალბათ მის კარიერას კარგა ხნის მანძილზე მხოლოდ წარმატებები ელის.

ბორის პასის ჩვენება

— თუ მე, დოქტორ ტელერის მსგავსად ჯერ ჩემს გრძობებზე ვილაპარაკებ, პირველად უნდა გამოვთქვა ჩემი დიდი კმაყოფილება. ჩვენი მუშაობის მანძილზე ჩვენ მივეჩვიეთ ლოდინს და, ხშირად, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დგება დღევანდელი დღის მსგავსი დღე, როცა ჩვენ, და რაც მთავარია, ყველა რწმუნდება, რომ ჩვენი შრომა უნაყოფო არ იყო. დღეს რომ ოპენჰეიმერი უშიშროების კომიტეტის და, უფრო მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, მთელი ამერიკის სამსჯავროს წინაშე დვას, ჩვენი დამსახურებაა.

მე არ დავმალავ ჩემს აზრს: მე მკონია, რომ ეს საქმე უნდა გაერჩია ჩვეულებრივ ამერიკულ სასამართლოს. სრულიად

არ იყო მართალი დოქტორი ტელერი. რომელიც, როგორც მე გავიგე, მზად იყო გაემართა ოპენჰეიმერთან აკადემიური დისპუტი. პროფესორ ოპენჰეიმერის საქმე — აზრთა უბრალო შეჯახება არ არის, როგორც ეს მსაჯულ უორდ ივენსს და, მასთან ერთად, ზოგიერთ მეცნიერს ჰკონია. მე დავამტკიცებ, რომ ეს საქმე, უპირველეს ყოვლისა, სისხლის ამაართლის საქმეა. ცხადია, ან უფრო სწორად, ცხადი უნდა იყოს, რომ ოპენჰეიმერი მხოლოდ უმადლესი სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო არ წარსდგა ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე. მე ვი-

იაროსლავ პუტიკი
სინდისი

მოქმედებდი სრულიად სხვაგვარად — უბრალოდ და უცერემონიოდ.

რობერტ ოპენჰეიმერს ამერიკა და ევროპა იცნობს, როგორც მეცნიერს, რომელსაც ჩვენ ბევრ რამეს და, უპირველეს ყოვლისა კი, ატომურ ბომბს უნდა ვუმაღლოდეთ. ერთმა ფრანგმა მწერალმა ისიც კი დაწერა, რომ ოპენჰეიმერს არ დაეხარჯა ზედმეტი სიტყვები და საფრანგეთის რომელიღაც ხელმწიფის მსგავსად გოლზე ხელი დაერტყა და ეთქვა: „ატომური ბომბი ეს მე ვარო“. არც ჩემს და არც ჩემი დაწესებულების მიზანს არ შეადგენს ამ ადამიანის დამსახურებისა და სამეცნიერო კომპეტენციის შეფასება. ამას სხვა ავტორიტეტული ინსტანციები სწყვეტენ. ჩვენ დამნაშავე გვიანტერესებს, როგორც სუბიექტი, რომელსაც ბრალი ედება სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მმართველ მთელ რიგ მოქმედებებში. ჩემი და ჩემი დაწესებულების მიზანია დავიცვათ ეს უშიშროება. ჩვენ ვიცით ერთი უტყუარი წესი: ის, რაც აძლიერებს შეერთებულ შტატებს, — კარგია, ის, რაც მას ასუსტებს და ძირს უთხრის — ცუდია და უღმობლად უნდა მოისპოს. ჩვენთვის ოპენჰეიმერი პოტენციური მტერია, და არ უნდა შეგვაჩეროს მისმა ნამდვილმა ან შეთხზულმა დამსახურებებმა, მისმა დიდებამ და პოპულარობამ. ეს ჩვენ ვერ შეგვაცდენს, რადგან კარგად ვიცით მექანიკა, რომლის დახმარებითაც აღწევენ ხოლმე ერთსაც და მეორესაც.

როგორ რობი:

— საუცხოვოა.

ბორის პახი:

— ოპენჰეიმერის საქმე ჩვენთვის, უშიშროების ორგანოებისათვის, დაიწყო ჯერ კიდევ თორმეტი წლის წინათ, როცა მგონი დოქტორმა კომპეტონმა ოფიციალურად შესთავაზა ოპენჰეიმერს ლოს-ალამოსში ატომური ლაბორატორიის ხელმძღვანელობა. მე უნდა განვაცხადო, რომ პროფესიული და ორგანიზაციული თვალსაზრისით მისი

დანიშვნა გამართლებულად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და პოლიტიკური ინტერესებისათვის ეს კატასტროფას წარმოადგენდა. ჩვენი დაწესებულება, როგორც ცნობილია, აწარმოებს ლაბორატორიების თანამშრომელთა შემოწმებას. ჩვენ საფუძვლიანად ვსწავლობდით იმათ წარსულს, ვისაც აქ უნდა ემუშავა. ჩვენ ვამტკიცებდით მხოლოდ მას, ვისი პატრიოტული გრძნობებიც ემკვს არ იწვევდა. კანდიდატურის შეფასებისას სახელმწიფო უშიშროებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეცნიერულ კვალიფიკაციას. ჩვენ მიედევლობაში არ გვყავდა ნაციისტები, რადგან ისინი პიუტიმის აღარ იყვნენ, და ამიტომ ჩვენი ყურადღება კომუნისტებზე გავამახვილეთ. მათი გავლენა მეცნიერებისა და ხელოვნების სამყაროში გაცილებით ძლიერი იყო. ვიდრე ეს შეიძლება მოეჩვენოს გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებრიობას. ჩვენ მშვენივრად ვიცოდით, რამდენად დიდი იყო მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში შეგნებულად ვხუჭავდით თვალს, თუ ზოგიერთი წარსულში კომუნისტებს უთანაგრძნობდა. მაგრამ ასეთი კომპრომისი შეუძლებელი იყო, როცა საქმე ხელმძღვანელ თანამდებობას ეხებოდა. ჩვენი საბუთები შეუცდომლად მოწმობდა, რომ ოპენჰეიმერი ან შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი იყო ან მისი აქტიური თანამგზავრი. ჩვენ ვმოქმედებდით ისე, როგორც ამას ჩვენგან ჩვენი სამსახურეობრივი მოვალეობა მოითხოვდა: კატეგორიულად და უსკამნოდ უარყვავით ოპენჰეიმერის კანდიდატურა.

როგორ რობი:

— სწორია.

გორდონ გრეი:

— ვინ შეცვალა ეს გადაწყვეტილება?



ბორის პახი:

— მანკეტენ დისტრიქტის¹ მეთაურმა გენერალმა გროუვზმა, რომელმაც გამოიყენა თავისი განსაკუთრებული უფლებები და დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება ლაბორატორიის ხელმძღვანელად ოპენჰეიმერის დანიშვნის შესახებ. ასე დაიკავა მან წამყვანი მდგომარეობა ატომურ მეცნიერებაში.

დოქტორი უორდ ივენსი:

— მოწმე, თქვენ ალბათ იცით ისეთი გამოჩენილი მეცნიერის აზრი, როგორიცაა პანს ბოტე, რომელმაც განაცხადა, რომ უოპენჰეიმეროდ შეერთებულ შტატებს არ ექნებოდა ატომური ბომბი!

ბორის პახი:

— მართალია, ოპენჰეიმერს აქვს განსაზღვრული დამსახურება ატომური ბომბის წარმოებაში, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ამოცანას გადასწყვეტდნენ სხვა მეცნიერებიც (თუნდაც იგივე პანს ბოტე), რომლებიც არ იყვნენ ემპირიკური ანტიამერიკულ განწყობილებაში. ამიტომ ჩვენ გულში არასოდეს არ ვეთანხმებოდით გენერალ გროუვზის გადაწყვეტილებას. მე მგონია, დღევანდელი სხდომა იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ჩვენ არ ვცდებოდით. შემძლია დავარწმუნო უშიშროების კომიტეტი, რომ ჩვენი უნდობლობა სამართლიანი იყო. იგი გამოიკვთა მრავალი წლის მანძილზე საბუთების შესწავლის, ყოველმხრივი დაკვირვებების, მსჯელობისა და ემპირიის საფუძველზე. მე მგონია, რომ ჩვენ არაფერი გამოგვრჩენია. ჩვენ ვსწავლობდით მის საქციელსა და მოქმედებებს, გრძნობებსა და ხა-

სიათს, მე ვიცნობ ოპენჰეიმერს ისე, თითქოს ის ჩემი ძმა იყოს...

გორდონ გრეი:

— ჩვენ ყველაზე უფრო გავინტერესებ, რა დროიდან გაუჩნდა ოპენჰეიმერს კომუნისმისი კენტი მიდრეკილება.

ბორის პახი (თავის ჩანაწერებს ფურცლავს):

— კომუნისტური განწყობილება ოპენჰეიმერს გაუჩნდა 30-იანი წლების დასაწყისში. გარდამავალი პერიოდის ეკონომიურმა სიძნელეებმა, რომელსაც განაცდიდა ჩვენი ქვეყანა მრეწველობის მოდერნიზაციის გამო, სწრაფად გამოიყვანა ოპენჰეიმერი წონასწორობიდან. რა სუსტი უნდა ყოფილიყო მასი რწმენა ჩვენი წესწყობილებისადმი! ოპენჰეიმერის რეაქცია მით უფრო საკვირველია, რომ ამერიკული ცხოვრების სინამდვილე, რომელზედაც იგი ბოლშევიკური აგიტაციისათვის შესაფერი სკეფსისით და ურწმუნოებით ლაპარაკობს, აძლევდა მას სრულიად დამაკმაყოფილებელი ცხოვრების საშუალებას. ოპენჰეიმერი მდიდარი ოჯახიდანაა, რომელიც აკმაყოფილებდა ყველა მის სურვილს: ის სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. მისთვის გზასხნელი იყო უმაღლესი საზოგადოებისაკენ და თავისუფლად შეეძლო მიეღო ყოველგვარი სიამოვნება. მიუხედავად ამისა, სიყმაწვილიდან ჩვენი წყობილების წინააღმდეგი იყო... კომუნისტებს კავად ესმოდათ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო მათთვის ოპენჰეიმერს და ყველაფერი გააკეთეს, რომ დროზე გაეხვიათ იგი თავის ქსელში. მათ გამოიყენეს ძველი და ეფექტური მეთოდი: შეაჩერეს ქალი — ლამაზი სტუდენტი-ფსიქიატრი ქანა ტოტლოკი. ყველამ როდი იცოდა, რომ ტოტლოკი, პასადენის უნივერსიტეტის ინგლისური ენის პროფესორის ქალიშვილი, კომუნისტი იყო. როგორც ჩვენ გამოვარკვეეთ, ოპენჰეიმერთან მისი შეხვედრა წინასწარ მომზადებულია

¹ გენერალი ლესლი გროუვზი იყო მანკეტენ დისტრიქტის (შეორე კოლური დასახლება — „დსმ — პროდუქტი“, რაც ნიშნავს „დამზადებული მასალების მომზადებას“) უფროსი. ომის დროს დამიფუთლად ასე ეწოდებოდა ატომური იარაღის წარმოებას. 1947 წელს, როცა მანკეტენ დისტრიქტი გადავიდა ახლანდელ სახელწოდებულ ატომური კომისიის გამგებლობაში, გროუვზმა დასტოვა არმია და მას შემდეგ კლკაროლი გამოთვლითი მანქანების ერთ-ერთი უდიდესი ფირმის თანამშრომელია.

იაროსოვ პუტიკი
სინდი ი

იყო და 1936 წლის გაზაფხულზე მოხდა ბევრი არ იყო საჭირო, რომ ოპენჰეიმერი კოცონივით ანთებულიყო. ამ დროიდან იგი ეხმარებოდა კომუნისტურ პარტიას და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. შემდგომში თვითონ ტოტლოუსაც შეუწყვარდა ოპენჰეიმერი. და არა მარტო შეუწყვარდა, ამ გარემოებათვის მან სიცოცხლეც კი გასწირა. ამაზე მე შემდგომ მოგახსენებთ. პროკომუნისტური სიმპატიების გამო ოპენჰეიმერმა ნალე მიიპყრო ყურადღება ჩვენი უშიშროების ორგანოებისა, რომლებმაც 1936 წლიდან პირითადად ყველაფერი იცოდნენ მის საქმიანობაზე.

გორდონ გრეი:

— თქვენ გაქვთ საბუთი, რომ ოპენჰეიმერი კომუნისტური პარტიის წევრი იყო?

ბორის პახი:

— ჩვენ ვერ შევძელით და ვერ ვიპოვეთ მისი პარტიული ბილეთი. იქნებ იგი ფორმალურად არც არსებობდა, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს... კომუნისტები და თვით ოპენჰეიმერი საკმაოდ ფხიზელ-

ნი არ აღმოჩნდნენ და ჩვენ ბევრი დამატკიცებელი საბუთი მოგვეცეს მათი არალეგალური ურთიერთობისა და თანამშრომლობის შესახებ... მე თავს ნებას მივცემ წარმოვიდგინოთ წერილობითი საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ ოპენჰეიმერი ხანგრძლივი დროის მანძილზე იღებდა კომუნისტურ გაზეთ „პიპლზ უორლდს“. აქვე არის ოპენჰეიმერის ხელმოწერილი საბუთები პროფესიული კავშირების გაფიცული წევრებისათვის ფულადი დახმარების გაცემის შესახებ (დამსწრეთა შორის ვრცელდება საბუთები).

გორდონ გრეი:

— გმადლობთ, საკმარისია.

ბორის პახი:

— ო, არა, ჯერ ყველაფერი არ მიჩვენებია. აქ მე გადმოვცემთ ესპანელ ლტოლვილთა დასახმარებლად ოპენჰეიმერის ხელმოწერილი ქვითრის ფოტოასლს. ბრალდებული დიდი თანხებით ეხმარებოდა წითელ კომუნისტურ ესპანეთს და ამერიკულ ბრიგადას, რომელიც იქ წითლების მხარეზე იბრძოდა.

ვაგრძელება იქნება



ტექნიკური რედაქტორი ვიორჯი ჭავთარაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/IV-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკე № 197. უე 05257. ჭალაღლის ზომა 70x108. ტირაჟი 6.800.

საჭარბელოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფკამოცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата. Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.




ვაგი იჩიაური — მეუღლის პორტრეტი

აეთანდლე ვარაზიშვილი — პოეტის პორტრეტი

იური შვეციანიშვილი —
სტუდენტი ვაგონა

ფოტო თარხან არჩვაძის



აღმოჩენები, თავისი მიღებით, ხელის
ხსალით, ტექნიკურა პრობლემატიკის
თაში და საინტერესო ვადანერვიუთ
ის, შეიძლება ითქვას, თანადროვე
შეატრობის დონეზე დვას.

დღეს, იწებ როგორც არასდროს, ქარ-
თული ვერსია, კანდაცხა, ვრადიფა
შედეგია მიზნულური და საინტე-
რესო სახელებით.

ქლისტიურა ახრებება, ერთეული
ხსალით, ზუსტიატი პარტურადა, დი-
დი ქუშინაში და ხალხია მეცობობის
დიდი იდეა — თი შუადენს თანა-
მედროვე ქართული ხელოვნების ში-
აუა ღიბსებას.

ერნალ კლასის ამ ნიმუშში იმე-
დება 1962 წლის რესპუბლიკურ სახე-
ატრო ვაიონებაზე წარდგენილი რამ-
დენიმე ნაწარმოების რეპროდუქცია.

ვაიონებამ ცხადყო, რომ დღემდე
ქართული ხელოვნება სწორად ავტოლო-
ვებურ პოზიციას დვას. ის მოუთხოვე-
ლია ასახოს საბჭოთა ხელის მიმტრ-
ებმა მწიფობისაყენ, ერთა თანამეცობ-
რობისა და მწიფობიანი თანარსებო-
ბისაყენ, მოუთხოველია ხელი შეუწყოს
კომუნისის მწიფებელი ადამიანის მო-
რალურ, იდეურ და ესთეტიკურ აღზ-
რდის, ცხადია, ვაიონებანზე წარმოდგე-
ნილი ექსპონატები არ არის ერთხან-
რად მიზნულური და საინტერესო,
მაგრამ ხალი უმეტესობა უხასტებს და
აქეთყოფილებს თანამედროვე მყურე-
ლის დიდ მოთხოვნებს.

დაიქვეყნა
1924 წელს
საბჭოთა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**ЦИСКАРИ**“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„СВЯЧОТА МЦЕРЛИ“

ИНДЕКС 76236

შოთა ინჰენიერიის

ახალი ლექსები

წერილი შატავა

დინარა ნოდინა შემოკლებიზე

(ამჟამ ნოემბრის დიბეგება შატავის
სურათის რეპროდუქციის)

ლილი ზახარაიის ნიხ

ახალი ინტერვიუ თაბორის
„ლინარა“ ლხარის შინათაზე

მისილი იაკოვინათაზე,

მუხრანის კაპიტანი

შოთა ინჰენიერიის
საბჭოთა ინჰენიერიის

6